ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი

12

1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

282
გამოცემის ოცდამეოთხე წელი

12

დეკემბერი
1980
თბილისი
სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა და პოეზია

3. ლალი ბრეგვაძე — კენტავრის უკანასკნელი ზაზ-ხული. მოთხრობა
32. ჯემალ ინჯია — ირმის ნაბეღლები. სონეტების გვირ-გვინი
38. ხელა შალვაშვილი — ლექსები
40. თამარ ერისთავი — ლექსები
42. ვახტანგ გოგოლაშვილი — ლექსები
45. ნელი გაბარიჩიძე — ლექსები
48. თენგიზ ჩალაური — ლექსები
50. შუკო ჯიქია — ფიგნიდან — „ლანდები და ისინი“. ლექსები
53. ნიკოლოზ მიქაძა — გარიერაკზე მოფრინდება თე-თრი მერცხალი. მოთხრობა
70. ოთარ მეოქიშვილი — ლექსები
71. ივდი ჯაბუა — ლექსები
73. არჩილ დვალთიანი — „ბედნიერების გზას შენ თვი-თონ უნდა მიაკვლიო...“ მოთხრობა
86. ლევან სანიაძე — უკარაქაშო ხმლები. დასასრული

ახალი თარგმანები

99. სამუელ ტეილორ კოლრიჯი, უილიამ ბლეიკი, ედუარდ ტომასი — ლექსები. ინგლისურიდან თარგმ-ნა გიორგი ნიშნიანიძემ

საკაკ XXVI ყრილობის შესახვედრად

104. ოთარ ნოდია — სიმართლის ფილი სუნთქვა

რუსთაველის ნაკვალევზე

113. ალექსანდრე ფოცხიშვილი — ჩვეულებრივ სიტუა-ციურისა და ქართველთაცვლილ ფენომენის გაცხა-დებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

წერილები

125. გურამ გვეტრდიოთელი — ნაბიჯი კორიზონტს იქით. დასასრული
138. თენგიზ კეფელავა — ახალგაზრდობის ქომაგი და მეგობარი
143. ბივი ჯაფაშვილი — მნიშვნელოვანი შენაძენი

ხელოვნება

145. ვახტანგ ბერიძე — უჩა ჯაფარიძე
149. ირინე მერაბიშვილი — ლორეტა შენგელია-აბა-შიძე
151. ნაზი კილასონია — სიმღერის სიყვარული

„ცისკრის“ ფოსტა

154. რაფიელ შამელაშვილი — ფერილი რედაქციას
155. ეურნალ „ცისკრის“ 1980 ფლის ნომრების შინაარსი

მთავარი რედაქტორი
ბორის ფოცხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი, გივი გეკაძე(“ცისკრის”), გურამ გვეტრდნიოელი, რისმამ ბორიდზენი, ბორგანი ბუაღლია, ნოდარ დუმბაძე, ბერაბ ელიოზიშვილი, ილია ორბელიანიძე, ედუარდ მენაბდე

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ოგბა ბაჯაკორია

გურამ შანეზლიძე, ნუგზარ შატბერაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გივი ძველაძე, ნუგზარ ფერეთელი, თამაზ ნიკვინეაძე, ტარიელ ჭანტურია, რეზო ჭეშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლალი ბრეგვაძე

ალბავრის უკანასკნელი ზეფხული

იწვა და უფროს დაზე ბრაზობდა, ასე ადრიანად რომ ჩაადო ლოგინში. თითქოს ჯიბრზე მოექცა, თითქოს იცოდა, რა მოუთმენლად ელოდა მაგურას მოსვლას. სწორედ დღეს უნდა ჩამოსულიყო, ასე იწერებოდა წერილში, რომელიც დედამ ხმამაღლა წაიკითხა და მერე დაუდეგრად ჩაიკუმა წინსაფრის ჯიბეში.

დილიდან საღამომდე შინ იყო, ფეხი არ გაუდგამს სახლიდან, ყურებდაცქვეტილი ამაოდ ელოდა, ეგებ ვინმეს დასცდეს, რომ დღეს დანაპირების ასრულების ვადაა. მაგურას ხსენება მისი მოსვლის გარანტიად მიაჩნდა რატომღაც. მოჟამული ამინდი იყო, ერთი წამოშენა კოკისპირულად წამოშენა, არც აპირებდა გამოდარებას, რაც ადამიანს ძალაუნებურად აყენებდა უიმერ გუნებაზე, მელანქოლიის ბადეს აქსოვდა. საკუთარ ფიქრსა თუ საზრუნავში შემოაღამდა ყველას. არ გამოჩენილა მაგურა და იმის მაგიერ, რომ უფროს დას ერთხელ მაინც მოესაკლისებინა იგი, ცოტა მაინც შეებერტყა ყური, თითქოს შანსაც კი უგებდა ძმას, მატრაკვეცად თვლიდა და მის გამოსაჯავრებლად ეგებ იმასაც ფიქრობდა, რა შენი საქმეა, ვინ მოვა და ვინ წავა, გამომიჩნდა არამკითხე მოამბეო. ადრიანად აუკრა გუდა-ნაბადი, დედასთან დაადგზღა, ჯემალის დაწოლის დროაო, სინათლეც გამოუთთო და — დაიძინეო! — უბრძანა. ჰოდა იწვა.

გარედან ისევ მოესმოდა ხმები—სიცილი, ხმამაღალი ხველება. ვერანდაზე შეეყარათ თავი მდგმურებს, ვიღაც ტრანზისტორს აწვალებდა, ალბათ ქუჩის მხარეზე, კუთხის ოთახის მდგმური, კბილის ექიმი, როხროხა კაცი, იშვიათად რომ უწევედა სხვებს ანგარიშს და მეზობელთა სამართლიან გულისწყრომას იმსახურებდა. მაგრამ ეს ყველაფერი დროის რაღაც უმნიშვნელო მონაკვეთში ხდებოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ტალღის უკუქცევას ემთხვეოდა, შემდეგ, ამოასკდებოდა თუ არა ტალღა ნაპირს, ყველაფერს შლიდა, როგორც მასწავლებლის მსუბუქად მოძრავი ხელი ცარცით აკრულებულ დაფაზე. ძლიერი დგაფუნი უცებ ისეთი რბილი, ამოდსასმენი ხდებოდა, თითქოს ცხრილში გაცრესო. ეტყობოდა, კაი მანძილზე ამოდიოდა

ქ. ბარქსის სახ. სამ. სსრ
საბჭოთაშორის საუნივერ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული

წყალი, ბიჭი ცვალებადი ხმის მიხედვით ხვდებოდა ამას, რადგან შემხვედური ნაპირი სხვადასხვაგვარად ხმიანობდა. იმისდა მიხედვით, სად რა ზომის კენჭები ეყარა. ახლა თითქმის პლაჟის სილნარ კიდემდე უწევდა ტალღის კუდი, აქედან კი სახლამდე დიდი აღარაფერი მანძილი იყო. ბიჭს არ ეამა ზღვის ამგვარი ბორგვა, გამოცდილებით იცოდა, რა უსიამოვნების მოტანა შეეძლო სახლამდე ამოზავთულ წყალს. იქნებ ამიტომაც არ იძინებდნენ მდგმურები, ეშინოდათ, მძინართ ფანჯრებზე არ მოგვიკაკუნოსო ზღვამ. თუმც წელს სულ ახალ-ახალი დამსვენებლები ეწვივნენ, უცნოები, მათ ხომ ჯერაც არ ეწვნიათ ამ სახლზე ზღვის თავდასხმის შიში, გამთენიისას წყალში მოცურავე ქვედა სართულის ოთახებში ფეხშიშველა არ უტყაპუნებიათ და დიდრონი ვედროებით, გობებით, ძველი ქვაბებითა და ყველფრით, რაც კი კაცს იმ დროს ხელთ მოჰყვებოდა, სულმოუთმენელად არ უხაპიათ მლაშე და მძიმე წყალი. ამიტომ ბიჭმა დაასაკვნა, ალბათ ისევ ადრეო. ფდესაც არ ეძინა, დროდადრო, ერთმანეთში არეულ ხმებს შორის დედის ხმასაც ცნობდა, ყველაზე ახლობელ, საყვარელ ხმას. მერე წაედებოდა თვალი, მაგრამ მალევე ფხიზლდებოდა, და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ერთ-ერთი მოფხიზლებისას არ იგრძნო, რომ გვარიანად გამოძინია.

ახლა უფრო ბობოქრობდა ზღვა, ეჭვი არ იყო, სახლის ქვედა სართულის კედელს ტალღა თუ არა, ზზეფები მაინც ასხამდა. მთელ სახლს ეძინა უკვე. ძილქუშად შედედებულიყო ღამე, გარინდებად. კედლებიდან ეონავდა თითქოს ეს გარინდება, მდგმურთა ოთახებიდან მოდიოდა, მის საწოლთან ხვავდებოდა უჩინარ მთად, რათა გაეკვირვებინა, დაეფიქრებინა და ცოტაც შეეშინებინა. მთლად გაუფრთხა ძილი. მილულა თვალი საგანგებოდ, ნაძალადევად, მაგრამ ნაცვლად ძილისა, ზღვის ხმა მიკრძა ბინდმა, რომელიც ჩვეულებრივი საყვარელი ბუბუნი კი აღარ იყო, მოთქმას წაგავდა უფრო.

ოთახი, სადაც იგი იწვა, სახლის ბოლო ბმარეს ჯერ კიდევ მის დაბადებამდე მიეშენებინათ. ფანჯარა ლამის ზედ ეპარნებოდა კედლებჩახავსებულ სახაჭაპურეს, რომლის სახურაზზეც დღენიადაგ დაფხაწუნობდნენ აჭარული ხაჭაპურის სუნით ყნოსავგალიზიანებული, ვირთაგვებზე მონადირე უპატრონო კატები.

ზაფხულობით მუდამ ამ მიყრუებულ ციცქნა ოთახში გადმობარგებდნენ ხოლმე, რადგან ზღვის მხარის ოთახებს განსაკუთრებით ეტანებოდნენ დამსვენებლები, თუმც დედა ხშირად ახსენებდა მათ, აქეთ ზღვის ცინცხალი ჰაერი პირდაპირ ფანჯრებში იფრქვევაო, და ქრაპაც სარფიანად ითხოვდა. ზაფხულის დადგომა და ბიჭის უკანა მხარეს გადასახლება ერთი იყო. მხოლოდ ლოგინს გადაუნაცვლებდნენ, ნივთებს კი ყველგან ხელუხლებლად ტოვებდნენ თავ-თავის ადგილს, რაც ბიჭს ხშირად აშკარა უპირატესობას უქმნიდა მთელ სახლში ჩაბინადრებულ, სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამობარგებულ ხალხზე. მაგალითად, ყველზე დიდ ოთახში, რომლიდანაც ისე მოჩანდა ზღვა, გეგონებოდა, გემბანიდან ვარ გადამდგარიო, კედელზე მიმაგრებულ თაროზე კაცის მეეხიტოლა სადაფის ნაირფერადქერქიანი ნიყარა იდო. საფერფლედ ხმარობდა მას მამა, უმეტესად ზამთრობით, სტუმრიანობისას. მთელი ზაფხული და შემოდგომა კი ნიყარა თაროზი იდო და ისეთივე სამკაულს წარმოადგენდა ოთახისას, როგორც ლარნაკში ჩაწყობილი, მტვრისა და სიძველისაგან გახუნებული ბუტაფორიული ყვავილები ანდა პიანინოზე შემოდგმული უნაზესი გეიშას ფაიფურის ლამაზი ფიგურა. ნივთები სწორედ იმ პირობად შეიილმოდა ჩათვლილიყო, რაც სახლის ყოველ კუთხე-კუნჭულზე ბიჭის უფლებამოსილებას დაანახვებდა მდგმურებს. აგერ ახლა, სულ რამდენიმე დღის წინ, სწორედ ამ ოთახში ჩასახლებული მეტიჩარა დაძმის ჯიბრზე, ცხვირაწეულები რომ დადიოდნენ, თავი კიტრებივით მოჰქონდათ, ესაოდა, შენზე ორიოდ წლით უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსები ვართო, ბიჭმა დრო შეარჩია, და როცა მათი დედა სამზარეულოში საქმიანობდა, უბოდიშოდ შეეხტა მდგმურთა ოთახში. ყურადაც არ უღია, გაოცებისაგან როგორ დაადგინეს პირები და-ამამ: დაუკაკუნებლად გაგონილა შემოსვლა? — თვალებიოღა ამბობდნენ. ისინი წელზემთან შიშვლები, განიერ ტახტზე გადაწოლილიყვნენ და დაბრაწულ ბეჭებზე სქლად ესვათ მაწონი. სწორედ იმ ტახტზე, ზამთრობით გემრიელად რომ ეძინა თვითონ და ფერადფერად სიზმრებს ხედავდა. „უნახავები. — გაიფიქრა მან, ვიდრე თ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწკრივებულ კაცებს გარიდებული. დაიღალა ბიჭი, პირველად ისმენდა ასეთ გაუთავებელ ლაპარაკს, მოითენთა და მამის მკლავზე თავმიდებულს ჩაეძინა. ბოლოს ხომ მაინც ყველანი ერთად დაბრუნდნენ. ისევ მატარებელი, დედა ცრემლს ვეღარ იკავებდა, რიგრიგობით იკრავდა გულში შვილებს, ჩუმად ტიროდა, ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ჩაიდუდუნა — ნუ გეშინიათ, გამამართლესო. მამა სულ ფანჯარაში იყურებოდა და იყურებოდა. ყველანი იყვნენ ბედნიერი, თუმც არ ლაპარაკობდნენ ამ ბედნიერებაზე, თითქოს ბუმბული ყოფილიყო იგი და შინებოდათ, რომ პირიდან ამონაკადებული ჰაერი გაფანტავდა. მათ კი არ უნდა დაეპნიათ ბედნიერება, არ უნდა დაეკოტაოვებინათ, უკლებლივ უნდა მიეტანათ შინ.

ახლა სულ სხვაგვარი განცდა მოჰქონდა წარმოდგენაში წუთით ჩასახლებულ მოტორულ რახრახს, განცდა გაურკვეველ სიხარულში შედუღაბებული ლოდინისა. მოსწონდა ეს ლოდინი, რადგან უჩვეულო, ძლივსნაღირსებ ფუფფენებას ხედავდა მასში. არც იცოდა, რას ითხოვდა, რას ელოდა ამ ლოდინისაგან, მაგრამ მაინც უცნო სიხარულს ჰპირდებოდა დილა. უფრო სწორად კი დილას მოჰქონდა განვლილი დრო, შარშანდელი ზაფხულის ჩახჩახა დღეები, თბილი და წყნარი, მაგრამ ნესტიანი საღამოები. შარშანდელი ზაფხული ერთადერთი იყო, გამორჩეული. მან ჯოობა დანარჩენ ათს, რომლებიც ბიჭისათვის ისე იყვნენ ჩანთქმული და ჩაკარგული დროის მორევში, როგორც წყალში საგანგებოდ მოსროლილი კენჭები.

ვინ იცის რამდენჯერ გაუფრთხა ძილი ამ ერთ ღამეში და რამდენჯერ ჩასთვლიმა კვლავ. როგორც კი თვალი წაედებოდა, მაშინვე ბრუნდებოდა წარსული. თუმცა ეს არ ჰგავდა წარსულს, ნამდვილად ახლა ხდებოდა ყველაფერი.

„იგი“ ზის ლამაზ პირსაწმენდზე, ზედ ყვითელი იხვები რომ ახატია და ზღვას გასცქერის. ჯემალი კი გარეშემდგომ-ტირიალებს, ხან მის გვერდით ჯდება, ხან ფეხებს წვება ქვიშაზე, ხან მუხლებზე წამოჩოჩილი კენჭებს ქექავს, მისთვის ეძებს ლამაზს, ძალიან, ძალიან ლამაზს, მერე კისრისტკბილვით გარბის, თავით ერჭობა ტალღაში, ისევ ამოდის, მაგრამ უკვე შორს, ღრმა წყალში და სწრაფი, მოხდენილი მხარულით მიცურავს დიდი ბიჭებით დახუნძლული ნავისაკენ.

— კუზმა! მოი აქ. — უძახის ერთი მათგანი.

ისიც მაშინვე ჩაეჭიდება ნავის წიბოს.

— ეგ გოგო შენთანაა, ჯო? — ეკითხება ჭროღათვალებიანი ლამაზი ბიჭი, ყოველდღე რომ ახალ-ახალ საცურაო ტრუსს იცვამს. მას კაზიმირას ეძახიან.

ჯემალი თავს უქნევს — ხოო, თან ნავს ეკონწიალება.

— რა ქვია, ჯო? — ახლა მეორე კითხულობს და ნიჩაბს აჩერებს.

ჯემალი თვალებს უბუტტავს შიგ ჩანთებულ მზეს, არ პასუხობს, არ უნდა და არ პასუხობს.

— ნავზე დაგსვამ, ჯო. — ამბობს კვლავ მენიჩბე, მაგრამ არავინ აშველებს ხელს, როცა ბიჭი აბღოტებას ცდილობს. ისევ უმეორებენ კითხვას:

— რა ქვიაო, ჯო, არ გესმის? ხმა ამოიღე, კუზმა!

და მან იცის, ამაოდ ცდილობს ნავზე ასვლა, ისევ ჩამოეკონწიალება, თითქოს ამჩატებულ სხეულს ასვენებდეს. იცის, რა ვაჟბატონებიც ბრძანდებიან ესენი; მთელ სანაპიროზე ერთ გოგოსაც არ გაუშვებენ, რომ არ გაიცონ. მერე დაასეირნებენ ნავით, ეკურკურებიან, ეპრანჭებიან, დაჰყავთ კინოში, ცეკვებზე, წასვლისას თურმე სადგურზეც აცილებენ, — კიდევ ჩამოდიო — სთხოვენ. ახლა ახალს გაიცნობენ, იმასაც ისევე ექცევიან და ასე გრძელდება მთელი ზაფხული და ნახევარი შემოდგომა, სანამ არ დამთავრდება ბანაობის სეზონი.

რა გესაქმებათ მის სახელთან, — ფიქრობს ბიჭი. — თქვენ გოგოებს მიხედ-

ეთ, ნაცვლად ამისა კი ამბობს: ნუ მეძახით კუზმას, მე ჯემალი მქვია.

მისი პასუხი სასაცილოდ არ ჰყოფნით: ამას დამიხედეთ, ითხოვს პასპორტის სახელით მომმართეთო... შენ არ დაეკარგე პატრონს... შე ძველო... თათი დაივაწროვე, თვეზი არ შეგიძვრეს, გაფრთხილდი... — როხროხებენ ბიჭები.

გადამდებია სიცილი, ჯემალიც იმანჭება, ზეიმობს, მარტო მან იცის, რომ ვიოოს მაგური ქვია, ესენი კი, ჭიაზეც რომ გასჯდნენ, ვერაფრით ვერ მოიაზრებენ ამ სახელს. მაშ ჟუჟუნა ხომ არ ერქმევა, ან სვეტა, ან კიდევ მარუსია.

— რომელს უფრო გაინტერესებთ? — ნიშნის მოგებით იკრიჭება.

— შეხე ამ ლაწირაკს! — ბრაზობს მენინჩბე. მარჯვედ ატრიალებს ნიჩაბს, — მოშორდი ნავს, თორემ ჩაგაფარე! დაიკარგე აქედან!

ჯემალი ტანს აიქნევს, ფეხის ტერფებს სწრაფად და ერთდროულად მიარტყამს დარწეული ნავის ფერდს და ბზარუკუღმა გადაეშვება წყალში. ლამაზად გამოსდის ნახტომი, უხარია, ნაპირიდან ალბათ მაგურა უცქერის.

მერე დაჰყურებს ქვიშაზე ჩამხობილს, მზე გვარიანად მოჰკიდებია, კოპლებიანი საცურაო კოსტიუმი ცოტათ-ოდენ ბინუნებია, თუმც ისევ მოხდენილად ადგას ოდნავ ჩასუქებულ ტანზე. ვითამაშოთ კარტი... — მერამდენედ იმეორებს თხოვნას გულში, მაგრამ ერთხელაც ვერ ამბობს ხმამაღლა, იცის, მას ფიქრი ურჩევნია კარტის თამაშს. საათობით შეუძლია დაჯდეს ხმის ამოუღებლად, უცქიროს ზღვას, იფიქროს და იფიქროს. ამ დროს მას ავიწყდება აქვე, მის გვერდით ფინიასავით მიცუცქული ბიჭი, მოდარაჯე და მფარველი, გულწრფელი სიმორცხვით რომ ეუბნება:

— მასე გეტკინება თავი. აწყვილებს კაწაწა მკლავებს, ნახევრად ქვიშაში ფლობს და ისე უცურებს თავქვეშ. ისიც არ ეწინააღმდეგება ბავშვის სურვილს, რომლის უმწეო, გახუხული სხეული სასაცილოდ გამოიყურება შავ, ფანთხოვრა კაკუნ ქვედა საცვალში. ოღონდ იცოდეს: — გეტკინება ხელები, გეტკინება, გენაცვალე. მაგრამ ბავშვი ჯიუტობს, გააქნევს თავს და მხრებიდან ჩამოწურული წყლით გამუქებულ ქვიშას ჩაშტერება. „ამის შემდეგ უნდა ვიცოცხლო ხუთი, ხუთი და კიდევ ხუთი წელი, რომ შეხხელა გავხდე, ეს ძალიან ბევრია. როდის გავა ამდენი დრო?“

მაგრამ განა მომავლის ბურუსს მიღმა მიძინებული დროის არსებობა უშლიდა ხელს ბავშვს, რომ ბედნიერად ეგრძნო თავი?

არკი იცოდა, ფიქრობდა თუ ესიზმრებოდა ყოველივე ეს. ერთიც იყო და მეორეც, ყოველ შემთხვევაში, საეჭვო და შეთხზული არა ყოფილა. რა ვუყოთ, რომ ამ ამბების შემდეგ ერთი წელი გავიდა. ძველი პერანგები მთლად დაუპატარავდა ბიჭს, სამაგიეროდ ახლები უყიდეს, შარვლებიც სულ ტოტებიანი აცვია, მაღაზიაში მზად ნაყიდი; კითხვითაც გამართულად კითხულობს უკვე, მარცვალ-მარცვალ, ჯახირით კი არა, აი, მის კლასში ოთხებს რომ უწერენ, თითქმის მთისავით. ხო, მართლა, ვიღაც თამამტკლეპილი კაცი დაიჭირეს მის თვალწინ კინოში. შუა ფილმზე სინათლე ანთო, ორი ზორბა ბიძა აქეთ-იქიდან ამოუდგა და ხმაური რომ არ გამოეწვინათ, ხელკავით გაიყვანეს. ვიღაცებმა თქვეს, ჯაშუში იყოო. მამა უცნობდება, აბა რა ეგონა... მეთევზეებს უზარმაზარი თევზი რომ უპოვნიათ?! მაგრამ ბაღე დაჯრა თურმე და გაიქცა, ამტკიცებდნენ, ნამდვილად ზვიგენი იყოო. ერთს ნიძლავი დაუდეს, ჩემი წერაა, სად წამიაა, ცოტაც მაცალეთო.

და ყველაფერი, მის ძალუბურანიან გონებაში აკრიატებული, მაგურას მოსვლას ელოდა.

მაგურა ძველებურად მათთან ერთად ისადილებდა ზღვისკენ გადამდგარ ღია აივანზე. ჯემალი მიუჯდებოდა ქვისგან ნთალი მრგვალ, მუშამბაგადაფარებულ მაგიდას და მაგურას ხათრით ყველაფ-

---

ლალი ბრეგვაძე
კენტავრის უკანასკნელი ზაფხული

ერს შეჭამდა, რასაც კი დედა შესთავაზებდა.

— ჯემალ, — ჰკითხა ერთხელ დედამ. — შემწვარი კარტოფილი უფრო გიყვარს თუ მაგური?

ბიჭმა დასაღეჭი ლუკმა პირში შეიჩერა, მართლა ჩაფიქრდა, მაგრამ არაფერი უპასუხა. ანკი რა ეთქმოდა, ისეთი კისკისი ატყდა მაგიდაზე.

— შემწვარი კარტოფილი ერთადერთი რამაა, რის ჭამაზეც ხვეწნა არ სჭირდება, — გარკვეულობისათვის დაუმატა დედამ.

დედა მართალს ამბობდა, მაგრამ ბიჭს კარტოფილზე მეტად მაგურა უყვარდა, უფრო მეტად კი თავისი ძაღლი. არა, ძაღლი კი არ უყვარდა, უბრალოდ ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო მის გარეშე. მორჩა და გათავდა.

ეს ღამე კი არა, სატანჯველი იყო. მთლად დაეკარგა მოსვენება. დილაბინდზეღა ჩაეძინა ღრმა, შვებისმომგვრელი ძილით. არ გაუგია გათენება, თითქოს ძილქუში დასცემოდეს, მკვდრივით იდო საწოლში, აღარც ზიზმრებს ხედავდა, აღარც ფიქრს აწიალებდა.

გამოღვიძებულს მოწყენილი, ნაცრისფერი დღე დახვდა. ეტყობოდა მეორე საუზმის დრო იყო უკვე. მდგმურები მიწყნარებულიყვნენ, მხოლოდ ორნი შერჩენოდნენ ვერანდას — მოხუცი მასწავლებელი ქალი და ღიპიანი ჟურნალისტი, მოცისფრო პიჯაკი რომ ეცვა მუდამდღე. ქალი ფეხზემდგომელა მიირთმეოდა ხილის წვენს, ჟურნალისტი კი კედელზე აკრულ, ფერად-ფერადი ლაქებით აჭრელებულ, ძველისძველ, დამქანქულ რუკას სწორედ ისე უკირკიტებდა და მიშტერებოდა, ჯემალის დამ რომ იცოდა ხოლმე. ასეთ დროს ბიჭი ყოველთვის იმას ფიქრობდა, ნეტავ რას ხედავს ამ გაფერადებულ ქაღალდში, მართლა გაეგება რაიმეო?

ბიჭმა სწრაფად გაიარა ვერანდა, გავიდა აივანზე, სადაც პირსაბანი ეგულებოდა. პირს, ჩვეულებრივ, საბანაოში იბანდა ხოლმე, მაგრამ დღეს რატომღაც უღალატა ჩვეულებას. აქედან მთელი წინა ეზო მოჩანდა. პირის ბანას რომ მორჩა, კიდევ კარგა ხანს იდგა ერთ ადგილას, ნელა იმშრალებდა, თან მაგურასათვის განკუთვნილი ოთახის მიხურული ფანჯრისკენ გაურბოდა თვალი. გუშინაც ასე მიხურული იყო იგი, არაერთგზის ცვლილება არ იგრძნობოდა, აბა რად ეგონა მაინც, აგერ-აგერ გაიღებოდა ფანჯარა და გულისფანცქალით დალოდებული კინოსტრათის პირველი კადრივით გამოეცხადებოდა მაგურას ნანატრი სილუეტი. რაც მეტს ფიქრობდა, მით მეტად უცრუვდებოდა იმედი და რწმუნდებოდა, არავინ არ შემომატებია სახლს, ყველაფერი ძველებურად დარჩენილაო. ერთიორჯერ ძაღლის წკმუტუნი გაიგონა, რომელსაც ვერანდის მოფიათებული კარიდან გამომავალი, ენერგიული, ჟურნალისტის მოუღლავი ხმამაღალი ლაპარაკი შეენაცვლა.

— ოხ, ეს კურილიის კუნძულები, — ამბობდა იგი, — ნახეთ, როგორ მძივებივით ასხმიან ზღვას. ისინი კუნძულ ხოკაიდოსა და კამჩატკის ნახევარკუნძულის ერთმანეთთან გაგზავნილ ამბორს აღასრულებენ. ინებეთ, უფრო საოცარი სურათის ნახვა ალბათ შეუძლებელია, კაცი იფიქრებს, ცრემლები წასცვენიაო იაპონიას. ნახეთ, იხრჩობა საუკუნის ცივილიზებული ქვეყანა, იხრჩობა, არც მეტი, არც ნაკლები. ახლა ევროპა? ა, ჩემი ბატონო, იხილეთ და დატკბით, როგორ მოკრძალებულად, უპრეტენზიოდ გამოიყურება, ფეხს არ იცვლის ოდინდელი მიწა-წყლიდან, სადაც საკაცობრიო კულტურის აკვანი დაიორწა.

— ჭეშმარიტად სწორი ბრძანებაა, — ნასიამოვნები ეპასუხება ქალი, ევროპა მარადიული ქალწულია, ამიტომაც ამკობს მას ეს უბადლო მოკრძალება.

ქალის მილეულმა ხმამ ბიჭის სმენას საშუალება მისცა, კვლავ მოყურებოდა ძაღლის წკავწკავი, სადღაც სახლის უკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა მხრიდან რომ მოდიოდა. ხელში შერჩენილი პირსაწმენდი სწრაფად მიკიდა აივნის კუთხის სვეტებშუა გაჭიმულ თოკზე, რომელზეც საბანაო კოსტიუმებს აშრობდნენ მდგმურები, და გაღიზიანებულმა იმით, რომ ახლა კვლავ ჟურნალისტმა დაიწყო რიხით: — მე რომ მკითხოთ... ბიუს კი საშუალება აღარ ჰქონდა, მიეყურადებინა, დაეზუსტებინა, საიდან ისმოდა ძაღლის ხმა, იგი ნაჩქარევად დაეშვა კიბეზე, ეზოში ჩავიდა, დააპირა სახლისათვის ირგვლივ შემოვლო. აი, ფლიგელის ის კიბე, პირდაპირ მაგურასათვის განკუთვნილ ოთახში რომ ადის. შედგა. ძაღლი სულაც არ დავიწყებია, მხოლოდ ერთი ნაბიჯით გადაუხვია გზიდან. აირბინა კიბე, სულ ორ-ორ და სამ-სამ საფეხურს გადაახტა ერთდროულად, თვალის დახამხამებაში აღმოჩნდა კართან, დარწმუნებული, რომ ოთახში არავინ დახვდებოდა, არც დაფიქრებულა, ისე შეგლიჯა, მაგრამ გაჩხიბულივით გაირინდა, უცებ ვერაფრით ვერ შეეგება დაეჯერებინა, რეალობად მიეღო ის, რასაც ცხადლივ ხედავდა თვალით, თუ?.. საწოლში მაგურას ეძინა, თავი მასავით ძინარე მამაკაცის შიშველ მკლავზე ედო და ვითომ აქაც არაფერი, მშვიდად, ძლივგასაგონად ფშვინავდა. სწორედ ამ სიმშვიდიდან ეწვია ბიუს ცდუნებასავით უხერხული განცდა, რაც ერთდროულად იყო სირცხვილიცა და ინტერესიც.

მაგური მოვიდა ასეთ ჯანღიან დღეს, ასე უჩუმრად, თითქოს სულ ერთი იყო მოვიდოდა თუ არა. მაგური მოვიდა და უწინდელივით ბალიშქვეშ წიგნამოდებულს კი არ სძინავს, არამედ ვიღაც კაცთან ერთად გახვეული ჩარსავგამოკრული პლედში.

დედამ იცის, დედამ რა თქმა უნდა, ყველაფერი იცის, შეეგება, დაესალმა, ოთახში შეუძღვა, თეთრეული მიაჯთვა, ბევრჯერ გაუცინა. დიახ, ასე იყო. ბიუს ვინ ასწავლიდა, როგორ ღებულობდნენ მათ სახლში დასასვენებლად მობრძანებულ მდგმურებს.

ბიუი ასე გაშეთებული რომ იდგა ახლა ფეხმოუცვლელად, კი არ ფიქრობდა, არამედ თავიისით მოდიოდა აზრები, ფიქრის მსგავსი აზრები, ცხვირ-პირზე გადაეფიდოდა, მას კი უნდა მოესწოო და ამოეცნო, ამოეკითხა, მაგრამ ... ფერს ვეღარ კითხულობდა, გაქცეულ კინოლენტასავით უღმერთოდ გადაიბაწრა ყველაფერი, რასაც კი ჭეუთამყოფელი გონება შეიძლებოდა მისწვდომოდა. რა ხდებოდა, როგორ ხდებოდა, რომ იგი, ჯერაც ბავშვი, მოლიანდებოდა ამ უცნობში, შეჭარხლულმკერდიან მამაკაცში, რომელსაც ზედა ტუზს ირგვლივ შავი ულვაში შემორკალვოდა და ნეტარი ძილისათვის მიეცა თავი. მაგრამ ეს იყო წამით, თითქმის არარსებულ დროში, სანამ ისევ მოეგებოდა გონს, სანამ მთელი თავისი უსმობელობით ირწმუნებდა სიმართლეს: მაგურა უკვე აღარ იყო ის, და ბიუს თავიც რომ მოეკლა, ვეღარასოდეს იქცეოდა იმად, ვისაც მოუთმენლად მოელოდა იგი. მაგრამ ახლა იყო სარკე, რომელშიც ბიუმა დაინახა თავისი თავი და გაოცდა. რატომღაც მის სხეულს გადავიწყებოდა მნიშვნელოვანი, ძალზე მნიშვნელოვანი რამ და ეს წუთიც გახსენების წუთი იყო, რომელიც მოურიდებლად ანჯღრევდა და აღვიძებდა მას, რისი აზრი და შინაარსი ბიუს მამაკაცური წარმოშობის წიაღში იდო. ნუთუ ორთა შეყვარებული სხეულებიდან წვეული თუ გამოხმობილი სირცხვილი იყო მხოლოდ, ასე რომ დაუწურა გული, სწორედ იმგვარად, ზღვაში დამხრჩვალი ადამიანის პირველად ხილვისას რომ დაემართა.

გამობრუნდა, სასწრაფოდ გამოიხურა კარი და აჩქარდა, დამნაშავე რომ აჩქარდება, რაც შეიძლება მალე გაეცალოს ცოდვის ადგილს, ისე. მაგრამ რაც კარს უკან მოხდა, იქვე კი არ დარჩენილა, არამედ ახლაბუდასავით შემოებლანდა, გასაქანი აღარ მისცა. დაბრუნებიდან თავის ჩვეულ ცხოვრებას, აგერ რამდენიმე წუთის წინ რომ ჰქონდა. და ბიუმა იგრძნო, მოხდა ის, რისთვისაც სრულებით არ იყო მზად.

მას აღარ გახსენებია ძაღლი, კიდეც რომ გახსენებოდა, იქნებ აღარც მოეძ-

---

ლალი ბრეგვაძე
კინტავრის უკანასკნელი ზაფხული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ებნა, ბიჭისათვის აღარ არსებობდა არაფერი, გარდა გაოცებისა.

ისევ სახლში დაბრუნდა, რადგან არ იცოდა, სად წასულიყო, სად იყო ახლა მისი ადგილი. მდგმურები ვერანდაზე გამოფენილიყვნენ. ყველაფერი ერჩია მათთან შეხვედრას, მაგრამ უკანვე ხომ ვერ გაბრუნდებოდა. გაიძურწა, ქუჩიდვივით გაძვრა მათ შორის და სამზარეულოს მიაშურა. აი მაგიდა, ჩვეულებისამებრ, სადაც ჩაის ტილო გადაეფარებინა დედას მისთვის გამზადებულ საუზმეზე. პუდინგის მოზრდილი ნაჭერი, რამდენიმე ცალი ალადი და კისელით სავსე დიდი ფინჯანი აღმოჩნდა ტილოს ქვეშ. დაჯდა, ჩაშტერებით დააცქერდა საჭმელს, პუდინგი აიღო და ჩაკბიჩა, მაგრამ არ შეეძლო ჭამა, ლუკმა ყელში ეჩხირებოდა, ასეთი უგემური პუდინგი არასდროს დაუმზადებია დედას. ანება თავი ჭამას, იჯდა, არაფერზე აღარ ფიქრობდა უკვე, ლეთარგიაშეყრილივით გამოთიშულს ჰგავდა, მერე ადგა და სამზარეულოდან გამოსულს ვერანდაზე კი აღარ გაუვლია, მექანიკურად დაუყვა საბაზანოს გვერდით, დაბლა ჩამავალ შიდა ბნელ კიბეს, სახლის ნესტიან, ლოკოკინების პრიალა ნაკვალევით ერთიანად აჭრელებულ უკანა კედელთან რომ გადიოდა. ისევ მოესმა ძაღლის წკავწკავი. რაც თავი ახსოვს, ძაღლი მათი სახლის განუყრელი ბინადარი იყო, მაგრამ მისი ხმა ბიჭს არასდროს მოსჩვენებია ასეთი შემზარავი. ამანაც გააღიზიანა, ერთი კი მოავლო თვალი იქაურობას, ძაღლი ხურმის ხის ძირას მიწოლილიყო. ფეხის ხმაზე ნელა წამოსწია თავი და ჩაწრიპლული თვალები მიაგება პატრონს. ბიჭი არ გაჩერებულა, ოღონდ გაიფიქრა — ტირისო, თანაც იმასაც ჩაეკითხა თავის თავს: განა ცხოველებს შეუძლიათ იტირონ? მაგრამ არ იყო ამოცანების ხასიათზე. თუმცა გაახსენდა ამასწინანდელ მამის ნათქვამი: ძალიან დაბერდა ეს ძაღლი, იქით აქვს უკვე პირი, ჯიმალის ხათრი იყოს, თორემ ეგ ეზოში გასაჩერებელი აღარაა.

ძაღლის ხელის ხლება ბიჭის გალახვას ნიშნავდა. ისინი ერთად გაზრდილები რომ იყვნენ, მდგმურებსაც კარგად მოეხსენებოდათ და როცა ბიჭის გულის მოგება სწადდათ, ძაღლს გემრიელ-გემრიელ სასუსნავს უყრიდნენ გულუხვად. არავის ეერჩოდა, აღარც ყეფდა უკვე, თითქოს დავიწყებოდა ძაღლი რომ იყო. უმეტესად თავშეყრილი ხალხის ახლო უყვარდა ყოფნა, გაიწვართებოდა, თავს წინა თათებზე დადებდა და მიეცემოდა თვლემას.

სანაპიროსა და სახლს შორის გამავალი ვიწრო ქუჩა ერთბაშად მიესალა წუხანდელ ღელვას. საგრძნობლად გრილოდა, აქა-იქ თუ მიტყაპუნობდნენ დამსვენებლები ამტუტებულ ქუჩაზე, ისიც ალბათ ისეთები, ცნობისმოყვარეობა ნებას რომ არ აძლევდათ, არ ეხილათ სტიქიის სილაღის შედეგი. მთელი პლაჟი დამპალი ხის ნამსხვრევებითა და გამდნარი კუპრით იყო დაბინძურებული. ზღვას კი დაეხია უკან, მაგრამ ისევ ბობოქრობდა. წყლის ღელვას დაეფანტა და თითქმის გაენახევრებინა ჯემალის სახლის შორიახლო, ზედ პლაჟზე, თვითმცლელებით საგანგებოდ მოზიდული ხრეშის ვეება მთა, სანაპიროს დაცვის მიზნით ზღვის ღრმა ჭებში რომ უპირებდნენ ჩაყრას, რათა ხელოვნურად დაედაბლებინათ ტალღათა სიმაღლეები.

ბიჭს არავითარი სურვილი არ ჰქონდა, მისილუო გზაზე ევლო. ამიტომ სანაპიროსაგან მოშორებულ ცენტრალური ქუჩისაკენ ამავალ ჩიხში გაუხვია, გაჰაკვა გაუსხეპაკ, თავის ნებაზე მიშვებული ტრიფოლიატის მწკრივს. მერე ინსტინქტურად მოაბიჯუნა თავი, მოიხედა უკან, შეამოწმა, ძაღლი ხომ არ მომდევსო. ჯერ კიდევ აქეთ შემოხვევამდე შენიშნა, ჭიშკრიდან რომ გამოლასლასდა ოვი, თქმა არ უნდოდა, პატრონს გამოჰყვა, მაგრამ იმდი ჰქონდა, შორს წასულს რომ დამინახავს, გაბრუნდებაო. ძაღლი არ გაბრუნებულა, კვლავ მისდევდა. უჭირდა სიარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე მანძილს გაივლიდა, ჩაიკეცებოდა მერე მუხლებში, მოითქვამდა სულს, ისევ წამოდგებოდა, ისევ მისდევდა. შეებრალა, დაეღლოდა, თან გაბარაზდა — რა ჯანდაბა გემარჯობა, ფეხზე ვეღარ დგები?!

მალე ერთად მიდიოდნენ. ძაღლი როცა ჩაიკეცებოდა, ბიჭიც შედგებოდა, ეს იყო მისი თანაგრძნობა, პარკისკენ ჭკნნდათ გეზი აღებული, განმარტება მოუნდა ბიჭს. ასეთ ეიერმატ დღეს, წუთი-წუთზე რომ შეიძლებოდა დაეშვა თავსხმას, იცოდა ცარიელი იქნებოდა პარკი. მარტო რომ ყოფილიყო, დაუსრულებლად ივლიდა მარადმწვანე ხეთაგან სურნელდაკმეულ ბილიკებზე, მაგრამ ძაღლს რაკი ძაღლზე უჭირდა, ბიჭიც იიულებული შეიქმნა გაჩერებულიყო. სკამს ვერ მოესწრო გაშრობა, მაგრამ აინუწშაიც არ ჩაუგდია ეს, დაჯდა და შორიახლო ჩაცუცქულ ძაღლს დაუწყო ცქერა. რარიგ არ სიამოვნებდა ახლა მასთან ყოფნა, თუნდაც იგი ასეთი დავრდომილი კი არა, ძველებურად ჯანმრთელიც ყოფილიყო. მას ფიქრი სურდა, რაღაც სხვაგვარი, თავის თავთან განმარტოებული, ძაღლი კი ამის საშუალებას არ იძლეოდა, ნაღვლიანი, ამოწყლიანებული, მავედრებელი თვალებით შესაცქეროდა პატრონს. ბიჭს თვითონვე სჯიდებოდა გამხნევება, მარტოდ დარჩენა მაინც, ძაღლი კი სევდას გვრიდა, ტვირთად ქცეულიყო. განა არ ეცოდებოდა, მაგრამ რით ეშველა. და ასე გაორებულ სურვილთა შორის, დაულაგებელ, ნაფლეთ-ნაფლეთად ქცეული ფიქრის ასაკინძავად ამაო ცდაში ნელა, მაგრამ თანდათან ეძარცვებოდა სიმკაცრის სამოსი იმას, რამაც ბიჭი სახლიდან გამოაქცია, შემოუძახა ცვარნამით გაჯერებული ფიქვნარში. ხოლო ყველაფრისგან, რაც განიცადა და რაც იმ განცდისაგან ფიქრად თუ ახალ განცდად იქცა, თავსამტვრევ, ნახევრად ბუერკვეველ აღმოჩენად, იშვა რაღაც ‘ირულიად ახალი, ჭირვეული და უსიამო, სამტროდ განწყობილება რომ ეთქმოდა უფრო. ოღონდ ეს არ იყო ხადქცეული მტრობა, არამედ სევდის ჭგავდა, შენივე არასრულფასოვნებით დაეჭვების სევდას. ისევ მიხურული ფანჯარა, გუშინაც ასევე მიხურული რომ იყო მდგმურის მოლოდინში... სახლი, სადაც გაიზარდა, უცებ გაუცხოვდა, და ბიჭმა ინატრა, ნეტავი არასოდეს დამაბრუნაო შინ. არც დაემთავრებინა ნატვრა, რომ მის წინ, მოპირდაპირე სკამს, რომლისგანაც წეიელი აგურის მსგავილი ნაფხვენით ნაყარი ბილიკი ჰყოფდა. ბერიკაცი მიადგა. ბიჭმა იგი ჯერ კიდევ შორიდან შენიშნა ფიქვების ხეივანში მომავალი, თავმორკალულ ტროსტს მარჯვედ იბიჯგებდა, მაგრამ მაინც ბანცალ-ბანცალით მოათრევდა ფეხებს, აქეთ-იქით იყურებოდა თავისი სავალის ახლო-მახლო, მერე უფრო შორს ავლებდა მზერას, მაგრამ ბიჭი მას უბრალო, უმნიშვნელო დეკორაციასავით აღიქვამდა, არკი აქცევდა ყურადღებას. ბერიკაცი კი მოვიდა, არც მას შეუხედავს დამხვდურისათვის, ვითომ ვერ შეგამჩნიე, ისე, შეთხხვევით მოვადექი ამ სკამსო, მოვიდა და აგერ ცხვირწინ წამოუსკუპადა. დაჯდა თუ არა, ჯიბიდან ვაშლი ამოიღო, მერე კიბანის იქექა და იფათურა, სანამ პატარა ჯაყვა დანა მოიძია, ძლივს-ძლივს გახსნა და ვაშლის თლა დაიწყო. ნელა ირჯებოდა. ვაშლს ნთალი რომ აწყდებოდა, ბერიკაცი ხელის დაუდევარი აქნევით გაურკვეველი მიმართულებით გზავნიდა მას.

ბერიკაცის მოსვლას არავითარი ინტერესი არ გამოუწვევია ბიჭში, მაგრამ მექანიკურად მაინც ადევნებდა თვალს მის ყოველ მოძრაობას. რა უცნაური გარეგნობა ჰქონდა, როგორ საგანგებოდ ჩაფუთნულიყო, ეტყობოდა, დაუშვებლად მიაჩნდა, რომ აგერ ახლა, სულ ერთი თვალის დახამხამებაშიც მოსალოდნელია ისეთი მზე გამოჩახჩახდეს, ყველაფერს ოხშივარი აადინოს. ნელა, ლუკმა-ლუკმა შეექცეოდა

ლალი ბრეგვაძე
კენტავრის უკანასკნელი ზაფხული

ვაშლს, დროდადრო შეწყვეტდა ჭამას, მძიმედ ჩაყლაპავდა უკბილო პირში მომდგარ ნერწყვს, მოწკურავდა თვალებს, ზღვას დააყურებდა, თან თავს გადაქანჩაღლებდა. უკმაყოფილების ღიმილს გაიკრავდა ტუჩის კუთხეში და რაღაც გაურკვეველს ჩაიჩიფჩიფებდა მწყრალად. ბიჭს სულაც არ ჰქონდა ბერიკაცის დარდი, ბიჭს ძაღლი უკვდებოდა. ღმერთო, გადაარჩინეო! — ღაღადებდა მის არსებაში უჩინარი, ოღონდ ისე უგგრგალოდ, ისე ზერელედ, თითქოს საკუთარი წოდიდან კი არა, არამედ ბაღის სულ განაპირა ტევრიდან მოდიოდა ვედრება, ვიღაც სხვათა შორის, თავშესაქცევად წარმოთქვამდა ამ ორად ორ სიტყვას და ბიჭმა იცი კი არ იცოდა, გულით სწადდა თუ არა მისი ახდენა. ხოლო ძაღლიდან მოხუცზე რომ გადაანაცვლებდა მზერას, მაშინ მთლად უაზრო, ისეთი არაფრისმთქმელი ხდებოდა ეს „ღმერთო“, თუ-გინდ ბერიკაცის ხელისგულზე გამზადებული ვაშლის პაწაწინა ნაჭრები ყოფილიყოს, რომელთაც მორიგებით იყრიდა იგი პირში. ბიჭის მზერა რაკი დაიჭირა, ბერიკაცმა, ოღონდ თვალი არ გაუსწორებია მისთვის, ვითომ ჩემს თავს ვებაასებიო, სინამდვილეში კი ბიჭთან გამოლაპარაკების მიზნით თქვა: მორჩა, აღარ იზამს საშველს... მერე უკანასკნელი ნაჭერიც შესანსლა და რახან ბიჭის ყურადღება ვერ მიიქცია, იხტიბარი არ გაიტეხა, განა ასეა საქმე, ჯერ ბოლომდე არ მითქვამს, ხოლო თუ ვიტყვი, ყურადღებასაც დავიმსახურებო, ისევ განაგრძო.

— ეს სულ ადამიანების გამო ხდება, მათი ცოდვების გამო. ამაზე კი ნაკლებად ფიქრობს ვინმე.

ისეთი სახე მიიღო, უთუოდ დიდი სიამოვნება მიანიჭა საკუთარმა სიბრძნემ. იგი აშკარად ბიჭს ელაპარაკებოდა უკვე. ბიჭს კი სიტყვა არ გამოუგია, რაში ეკითხებოდა, რას პრუტუტნებდა ნახევრად მიხრწნილი უცნობი. ძაღლისკენ მიბრუნდა მთელი ტანით, იმედოვნებდა, თუ არ გამოვეპასუხები — ეგეც დამეხსნასო.

ბიჭი პირველად ხედავდა ნამდვილ სიკვდილს, რომელიც არც ზღვისგან სიცოცხლეგამოცლილ სხეულში მარადიული ძილის სიმშვიდეს ჰგავდა, არც სამუდამოდ გამქრალი, არყოფნაში გადასახლებული ბავშვის ხონჩით გამოცხადებულ სევდას. ახსოვს, ხონჩა ქუჩაში იარაფეხებზე მდგარ ფარ-ფაცარზე გაეწყოთ, კამფეტებით, ნაირფერად შეღებილი კვერცხებით, პურის ცომისაგან გამომცხვარი ფრინველებით დაემშვენებინათ. ერთმანეთს ასწრებდნენ ბავშვები, დაიტაცეს საჩუქრები, იცოდნენ ყველაფერი თანატოლმა ბიჭმა გამოუგზავნათ, რომელიც აღარასოდეს ითამაშებდა მათთან ერთად. არავის უკითხავს რამე, უჩუმრად დაეზავნენ სიკვდილს, ოღონდ მაშინ სამუდამოდ იშვა შიში, უსახო, უცხო, უსიამო.

მაგრამ ახლა სიკვდილს არ ახლდა შიში, ახლა იგი იყო საშინლად მტანჯველი, მომაბეზრებელი, დამცინავი, ტვირთი, რომლისგანაც უნდა განთავისუფლდე, რომელსაც უნდა განერიდო, დაე, აღესრულოს, დამთავრდეს.

ეს კი ვერ ახერხებდა განრიდებას. რატომ? სკამზე ჯაჭვით ხომ არ მიებმთ? ვინ აიძულებდა, საშინელების მოწმე გამხდარიყო? მაგრამ ვერ დგებოდა, განძრევის, წასვლის ძალა არ შესწევდა. და უცებ, სულ ახლახან, ეს-ესაა უხმოდ აღვლენილმა ვედრებამ — ღმერთო, გადაარჩინე! — დაკარგა აზრი, გაცამტვერდა, მერე კი მეტამორფოზაქმნილი ახალ სურვილად ამოსკდა ბიჭის შეურვებულ გულს: ღმერთო, მალე მოკვდეს! თითქოს ხმამაღლა წარმოთქვა, ძაღლის ამაზრზენი ხროტინაც დაფარა თითქოს, და უმალვე, წარმოსახვითა თუ რეალურად აღქმული ხმებთან ერთად, ჩიფჩიფა, ხრინწგარეული ხმაც ჩაესმა. ბერიკაცი კითხულობდა:

— რა ჭირს?

არ უპასუხია. კაცმა ისევ ჩასძია:

— ძაღლზე გეკითხები, რა დაემართა-მეთქი, ხომ არ კვდება?

— არ ვიცი. — თქვა ბიჭმა.

— შენია?

უსიამოდ შეაშტერდა ბებერ, ნაოჭ-ასმული, ქეციან სახეში, ნაძალადევად დაუქნია თავი.

ძაღლი უკვე უზომოდ იტანჯებოდა. ხროტინთან ერთად დუღიც ამოსდიოდა დაფრენილი პირიდან. წამოდგომას ლამობდა, მუხლის დამაგრებას, მაგრამ ისევ ეცემოდა, კვლავ იკრებდა ძალას, ხელახლა წამოიმართებოდა, ისევ ჩაინოვეოდა მუხლებში, და ეს ხდებოდა ისტერიული გაბორტყბით, რაც სხეულისათვის სიკვდილისა და სიცოცხლის უმოწყალო ბრძოლის შედეგი იყო.

ბიჭი აწრიალდა, წამოდგა, ერთ ადგილას აწუწული შესაცქეროდა ძაღლის სულთმობრძოობას.

— კვდება... — თქვა ბერიაკაცმა. — კი, ნამდვილად კვდება. მაგრამ არა გაქვს ამის უფლება, სხვა არა იყოს, რა ლამაზია, ძაღლი პარკში კვდებოდეს. ძაღლები, ჩემის აზრით, სადღაც მოფარებულში, ქუჩის ბნელ, ნაგვიან კუნჭულში უნდა ლევდნენ სულს. აქ პატიოსანი ადამიანების დასასვენებელი ადგილია, ამიტომ ჰიგიენის დაცვა გვმართებს.

ბიჭი საგანგებოდ დააკვირდა ბერიაკაცს იმის დასადგენად, გიჟია თუ ბაბა-ვსო გიჟს.

ის კვლავ განაგრძობდა:

— მე აქ დასასვენებლად ვარ, შენ კი მაიძულებ, ძაღლის სიკვდილი ვიყურო, ეს დაცინვაა, ყმაწვილო, ნუთუ არ გასწავლეს, რომ ადამიანების აბუჩად აგდება ვერაფერი ზრდილობაა! წაიყვანე, წაიყვანე სანამ სული ამოძერება, მე არ მსურს, ყველაფერი ბოლომდე ვნახო.

ბიჭს აღარც მისი მოსმენა შეეძლო, აღარც ძაღლის ტანჯვის ცქერა. ერთხანს კიდევ იდგა, არ ტიროდა, ფიქრადაც არ მოსვლია ეტირა, ოღონდ რაღაც მეავესავით ამოებჯინა გულგვამიდან, ეგონა, აგერ-აგერ ღებინება დამეწყებოთ. ჩვეულებრივი გულისრევა არ იყო ეს, როგორც ღელისას დარწეულ გემში მჯდომს დაემართა ერთბაშად ამედ რაღაც სხვა, შეძრული, ძოწოლა-შეყრილი სხეულისა და სულის ერთობლივი ტკივილის კავშირი.

— წაიყვანე, ჩქარა! ჩქარა! — ქოთქოთებდა ბერიკაცი.

ბიჭმა ბაღი მოათვალიერა, მერე ბერიკაცის გაბოროტებული თვალების შემხედვარემ, იმის შიშით, ტროსტი არ მოიქნიოს, ძაღლს არ დამირტყასო, თავაზიანად, თანაც ისეთი ფრთხილი ტონით, თითქოს ამ კაცის წინაშე მართლა მიუძღოდა ბრალი, უთხრა:

— ბაღი ცარიელია, გადაბრძანდითო სხვა სკამზე.

ისევ საზიზღარი გულზიდვის მსგავსი ამოებჯინა ყელში, და იმის შიშით, იქვე არ ეღებინებინა პირი, აღარ მიუქცევია ყურადღება კაცის უკვე გაავებული, ბებერული ლანძღვისათვის, აღარც ძაღლისთვის შეუხედავს, შურდულივით გავარდა ზღვის მხარისკენ.

მიჰყვებოდა ასე თავისთავად, ინსტინქტურად აღებულ გეზს და ხვდებოდა, რომ იგი სხვა არა იყო, თუ არ უაზრო სრბოლა ქაოსში, საიდანაც ნაღრევი კვირტივით გამოსცდა მისი ბავშვობის უდროო სტუმარი — მარტობა, რომლის მიზეზი არც იცოდა თავის თავში ეძია, თავის უმწეობასა და გაურკვევლობაში, თუ ყველაფერში, რაც მის გარშემო არსებობდა, მისი მარადიული სიყვარულის ორ ნაპრის შუა მოქცეულ სამყაროში, დედით რომ იწყებოდა და მთავრდებოდა ზღვით.

ეული ყარიბივით იხეტიალა მთელი დღე. კვლდაკვალ მისდევდა ზღვის მუქი, დარკალული ვატის სირბილეს.

იყო კი შეუჩერებელ სვლაში ხსნა, აშორებდა იგი იმისაგან, აქამდე მისი ცხოვრება რომ ერქვა, მისი წარსული, რაზეც ხელიდებით ამბობდა უარს. ვინ შეასმენედა ლეთეს წყალს, სად იყო თავდავიწყების მდინარე.

მუხლი არ ჩაუკეცავს, არ შეუსვენია, არც უფიქრია სულის მოთქმაზე. შები-

ლალი ბერეგბაკაძე
ანტბავრის უკანასკნელი ზაფხული

ნდებისას ისევ უკან მოსდევდა უცნობ, უკაცრიელ ნაპირს. ისედაც შილიფად ჩაცმული ერთიანად დანესტიანებულიყო, გასაუჩი გახდა. მოდიოდა, თან შეთითანივით მიეკიებინა მზერა ზღვისათვის, შებინდების ჩრდილი ნაღვლივით რომ ედებოდა მღვრიე, აჩეხილ თხემზე. ძალზე შორს წამოსულიყო. ეს მანძილი ხელმეორედ ჰქონდა დასაფარი. უკუქცევა ხომ შინ დაბრუნებას ნიშნავდა, და ისიც უკვირდა, ყველაფრის უარყოფიდან ნუთუ შეიძლებოდა კვლავ დაბრუნებულიყო იქ, საიდანაც გაიქცა, გაიქცა ცამდე მართალი, დაუმსახურებლად დასჯილი, განუკითხავი, მაგრამ დაბრუნებაც ხომ თავისთავად, ანგარიშმიუცემლად, სურვილის ჩაურევლად ხდებოდა. ტკივრთივით მოთრევედა დამძიმებულ, მღოლტულ სხეულს, რაღაც გაუცნობიერებელ ალღოს ჰყავდა გამობმული უხილავი საბელის კუდზე და სახლისაკენ მიასუნსულებდა.

ფიქვნარის გრძელ პარკს რომ გაუპირისპირდა სანაპირო, ბიბმა საგრძნობლად აუჩქარა ფეხს, ახლაღა იგრძნო, რაოდენი ზაფრა ბუდობდა ღამის მომნუსხველ უძრაობაში, მის ცივ, სულის გამთოშველ სამოსში, რომელიც ეცვა ზურგსუკან გამოყოლილ შიშს და რომლის უმოძრაო ნაოჭიდან გამიოწვადებოდა ლითონივით მძიმე, ტლანქი და ხაოიანი ხელი, პერანგის საყელოში ჩაფარინდებოდა ბიბს ზედ კინჩხთან, და სასწაულიც ამას ერქმეოდა. ადამიანები კი, აქა-იქ შავ სილუეტებად რომ გადმოდგომოდნენ უვარსკვლავო ცადამხობილ, ჩაყრუებული სანაპიროს მოაჯირს, სეირის საყურებლად მოსულიყვნენ.

მიისწრაფოდა. ზოგჯერ შიგ თვალებში მიეფრქვეოდა ხოლმე დასალეერიდან გადმოტყორცნილი პროექტორის მცოცავი ჭავლის სინათლე, მალევე ისევ რომ გადასრიალდებოდა, გადაევლებოდა მთელ ზღვას და მიღმეთის უკუნს ჩაენთებოდა. და ბიბი ისევ ბავშვი იყო, უძლური, უნუგეშო, დაკარგული ბავშვი, რომელიც სახლში ბრუნდებოდა. ნეტავი ყველას ეძინოსო. — ესღა დარჩენოდა სანატრელად, იქნებ თავის ოთახში უჩუმრად შეძრომა მოახერხოს. წესით კი უნდა სძინებოდათ. სტუმრები ასეთ ამინდში განა ლოგინსა და ნებივრობას არ არჩევდნენ?

ქუჩიდანვე დაინახა, რომ ზოგიერთი ოთახის ფანჯრებში ჯერაც ენთო შუქი, რაც მთავარია, აივანი და ვერანდა გაჩახჩახებული იყო, მათი სინათლე სახლის ახლომახლო მდგარ ხეებს და ადესა ყურძნის მაღალ ტალავერსაც სწვდებოდა, დაბლამდეც ჩამოსულიყო ღრეჩოებში გამოღწეული და მჭრქალ ნათელად განფენილიყო. ეზოში ხეირინად შესვლა ვერ მოესწრო, აივანზე კი უკვე ყვირილი ატყდა: მოვიდა! მოვიდა! ეს მხატვარი ყვიროდა, ყველა შარვალზე მისდღემჩი ლაქა რომ ჰქონდა და ყოველ ცისმარე აივნის ფართო მოაჯირზე წვებოდა მუცლით, თავსა და ფეხებს ზეაწევედა, რაც კი შეეძლო, — ოოგის ვარჯიშიაო, — ამბობდა დიდი სერიოზულობით, სხვებსაც ურჩევდა, სასარგებლოა, მომბაძეთო. მერე დედის ხმაც... შეწუხებული, აჩივლებული ხმაც: მოკლავს მამამისი, რაღა ვქნა, მოკლავს!...

ჯემალი ნელა აუყვა კიბეს, მთლად აეტანა უკვე კანკალს, იგი ავად იყო. ადიოდა. რამდენ საფეხურსაც აივლიდა, მეტად რწმუნდებოდა, ვერ მოკლავდნენ, ოღონდ იმიტომ კი არა, ავად რომ იყო ახლა, რის გამოც შეიბრალებდნენ, არ ახლებდნენ ხელს. მას თავდებად არ სჭირდებოდა ავადმყოფობა, არც რაიმე სხვა, არაფერი არ სჭირდებოდა, რადგან ჰქონდა უფრო მნიშვნელოვანი — უარყოფის შესაძლებლობა, საიდანაც იწყებოდა თავისუფლება — მწუხარე, მაგრამ ლამაზი საიდუმლო. რასაც ახლა იგი თავისსა და მთელს სამყაროს შუა ააფარებდა.

სიცხემ გაუარა. ლოგინში წამოჯდომის ნებას აძლევდნენ უკვე, მაგრამ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწადდა ნებადართული ფუფუნება, არც ადგომა, არც არაფერი. უამრად დაბანგებოდა სხეული. უსასრულო დასვენებას მისცემოდა. იწვა გატრუნული, ჭერიდან იატაკამდე, მერე იატაკიდან ჭერამდე დაატარებდა მზერას. საგნებს დაეკარგათ დამქანცველი სიმძიმე, ორიოდ დღის უკან გაუსულტებას რომ უპირებდნენ სიცხისაგან გათანგულს. ოთახში ფეხაკრეფით აღარ დადიოდნენ ახლობლები და ჩურჩულის ნაცვლად ჩვეულებრივ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. კისკისებდა უფროსი და, აღარც დედა იყო ნაღვლიანი. ძველებურად იღიმებოდა, ძველებურად ტუქსავდა ურჩ ქალიშვილს, ძველებურად ანალვებდა ბიჭს საჭმელს, თან ჰპირდებოდა, კარგად რომ გახდები, ახალ ველოსიპედს გიყიდის მამა, ასე თქვა მაშ, გიიზარდა ბიჭი, ძველი ველოსიპედი რაღაში არგიაო. მდგმურებიც შემოჰყოფდნენ დროდადრო კარებში თავს, როგორაააო, იკითხავდნენ. მაგურა არ ჩანდა. კარის ყოველ გაღებაზე ფიქრობდა: ახლა შემოვა, ახლა უთუოდ შემოვა. არ მართლდებოდა წინათგრძნობა, თუმც ისიც არ იცოდა ბიჭმა დანამდვილებით, სწყინდა თუ უხაროდა მისი არმოსვლა.

ყველაფერი ძველებურად იყო სახლში — აუწყობელი ფეხის ხმები ბიჭის ოთახის კარის წინ გამავალ, ეერანდისა და სამზარეულოს დამაკავშირებელ ხის იატაკიან შუშაბანდში. მხოლოდ დილაადგომის რამდენიმე საათით ყუჩდებოდა სახლი, რადგან კვლავ დარები დაიჭირა და ბანაობას შეუდგნენ წყალს მონატრებული დამსვენებლები. სწორედ ამ რამდენიმე საათს, სიწყნარეში ჩამაყუდრებულს, შეეძლო ეფიქრა იმგვარად, თითქოსდა მთელი ცხოვრება მეტი არა ეკეთებინოს, გარდა წოლისა და ფიქრისა. ზოგჯერ ფიქრიც არ ეთქმოდა მის გარინდებას, უფრო უჩუმარ ჩივილს ჰგავდა იმის გამო, რომ არავინ ეგულებოდა ქვეყანაზე, ვისაც გაანდობდა, თუ რა განიცადა, როცა მომაკვდავი ძაღლი მიატოვა და გაიქცა, იმასაც, რამაც უარი ათქმევინა, მერე ანიც, ბერიკაცის წასვლის შემდეგ, მერე მაინც მისულიყო და ენახა. ვინ იცის, ფეხი გაჰკრეს და სკამქვეშ შეჩურთეს, ანდა კაუჩით წაეფორთხიალეს ფიქვნარის მოსაზღვრე ქუჩისაკენ, რომ მეორე დილით ნაგვისათვის გაეყოლებინათ. მას უნახავს, თითქოს ცარიელი კოსმერვის კოლოფი ყოფილიყოს, მკვდარ ძაღლს როგორ შეუძახებდნენ ხოლმე სიბინძურით მოპირთავებულ მანქანის ძარაზე, რომლის ბორტს წამოსკუპული მენაგვე, თავისი საქმის ერთგული მსახური, ყურთასმენის წამოღებად აყორიალებდა პაწია ზარს.

ზღვაში? არა, ზღვაში ვინ გადააგდებდა, მსგავს რამეს არავინ სჩადის, ზღვა ხომ მაინც ნაპირზე გამორიყავს გვამს, მაინც ადამიანებს მოუგდებს.

ფეხზე წამოდგა თუ არა, განაცხადა, მე ზღვაზე აწი შავი ტრუსით აღარ გავალ, ჩვეულებრივი საბანაო ტრუსი მიყიდეთო. სასაციოდ არ ეყოთ. მაინც შეუსრულეს სურვილი, უყიდეს, მიაზომეს, ჩაუვიწროვეს სიგრძე-სიგანეში, თანაც იცინეს და იხარხარეს, იცოცხლე, იჯერეს გული. ჯემალს კი უკვირდა, რას ხედავდნენ სასაცილოს, ხომ არ გაგიჟებულიყვნენ. მერე ძალიან რომ გაუჭირეს საქმე, ბიჭმა უფროს დას გაგულისებით უთხრა:

— კარგი, ჰო, მოკეტე!

ვინ მოელოდა ამას, ვინ მოელოდა! გაშტერდნენ, გაიოცეს, უფროსი და კი ვალში არ დარჩა: — რამდენს მიბედავ, ღლაპო, რამდენს ბედავ თუ იცი! — იმეორებდა გაწიწმატებული.

და ცოტა დააკლდა, ბიჭს კინაღამ ასეთი პასუხი დასტყოფა: გიბედავ, ოხოხ-ოხო, დიდი გასაბედი შენა ხარ, ცოტა კიდევ, ჩაწვები მერე ვინმეს მკლავებში და გააჩენ შვილს. მაგრამ კბილი დააჭირა ენას, გაფიქრებით დაკმაყოფილდა,

ლალი გრიგოლაძე
ქინტავრის უკანასკნელი ზაფხული

ზურგი აქცია დას, კარს მიაშურა, სადაც ისევ წამოიწია გამოდევნებული ხმა: გაგიყდა ეს უბედური ბავშვი, აღარაა ჭკუაზე! მაგრამ სწრაფად გააღწია, მიხურა კარი და ზღურბლშივე, კარის ჩარჩოზე მიაწყნა აცცტებული აუგი.

ნეტავი რა აოცებდათ? ან რად ნათლავდნენ გიყად, რას ჩაადიოდა ასეთს, რად აუტეხეს განგაში. რასაც ახლა სიგიჟეს ეძახდნენ, სულ სხვა რამ იყო, იცოდა ეს ბიშმა, მაგრამ სახელდობრ რა, ამაზე ვერასგზით ვერ გასცემდა პასუხს. არც თვლიდა საჭიროდ, ყველაფრისათვის უთუოდ სახელი დაერქმია, იმითაც კმაყოფილდებოდა, სულმოუთმენლად რომ მიიჩქაროდა ზღვაზე.

ავადმყოფობის შემდეგ ბიშს შუუსრულეს პირობა, უყიდეს ახალი ველოსიპედი, დიდთვლებიანი, მონიკელებული. ჰოდა, ისიც ძველებურად დაქრის სანაპიროზე, დაქრის აწყვეტილი ყინით, ფრინარი მეტოქის ჯიბრით. თუმცა რა იცვლება ამით? კვლავინდებურად მეორდება ყველაფერი: ჭაბს, იხდის, იძინებს კატების ქნავილითა და ფხაწაფხუწით აკლებულ ოთახში, იცვლის პერანგებს, ისმენს დედის დარიგებებს, და ერთი სული აქვს, როდის გავა დრო, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დრო მაინც, ეგებ აღარ დაარიგონ, ეგებ მხოლოდ საკუთარ სურვილებს ემორჩილებოდეს მაშინ. ახლა კი სწორედ ქროლვაშია ის, რაზეც ხელ არ ეწიფების არავის მის გარდა, სადაც იგი არის მეუფე საკუთარი თავისა და იმ სამყაროსიც, რომლიდანაც ხილულის ერთ მხარეს ზღვის წარმტაცი ინტერესია, მეორე მხარეს კი სანატორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლების, ხმაურიანი პიონერთა ბანაკების ერთიმეორისაგან პატარ-პატარა, განზოგნებითა თუ სანაპიროს პერპენდიკულარულ ვიწრო ქუჩებით დაინტერესებული წყება. ერთხელ, სწორედ ამ გაბმული რიგის, სახელმწიფო დაწესებულებათა საიმედოდ შემოღობილ ეზოთაგან ერთ-ერთის რკინის გისოსებიან მესერთან თავის კბილი გოგონებს შეხვდა. თუმც შეხვედრა ... ეთქმოდა, რადგან ბიშმა ისინი შორიდანვე მოლანდა. დაბეტონებულ ცოკოლზე შემომდგარიყვნენ, თავები მესერის წვეტანებს ზემოდან გადმოეყოთ, ზღვაში ნახვერად ჩაყურყუმალავებულ ნარინჯისფერ მზეს გაპყურებდნენ და ხმადაბლა, მოღიღინე, მაგრამ წკრიალა ხმით მღეროდნენ. როცა ბიშმა წინ ჩაუქროლა მესერს, შინების მსუბუქმა შრიალმა სიმღერის მელოდიის პაწაწკინტელა ნაფლეთიც წაიტაცა, თუმცა იქვე, სულ ახლოში დატოვა ისევ. სიმღერა ხომ ერთ ადგილას იდგა, მაგნოლიის ხესავით. აქეთობისას კვლავ შორიდან შენიშნა ბიშმა, რომ გოგონები ისევ იქ იდგნენ, ისევ მღერიდნენ. სვლა შეანელა, მიპარვით მიუახლოვდა, შედგა შორიახლო, ცალი ფეხი მიწას დაადაჯინა, ზედვე შერჩა გვერდით გადაყანთრულ ველოსიპედს და პირზე ღიმმომდგარმა უსმინა მათ. გოგონებმა უმალვე შენიშნეს, მათაც ღიმილი შეაშველეს სიმღერას, და ბიშს მოეჩვენა, რომ გაუცვალეს ღიმილი, რათა ვიდრე კვლავ დაუბრუნებდნენ ერთმანეთს, ნაცნობობის სამახსოვროდ ჰქონოდათ. მოგებული ბიჭი დარჩა. ერთის ფასად ორი, ოთხი, ექვსი, შვიდი... დიახ, შვიდმაგი ერგო, თუმცა ვინ უწონიდა და უზომავდა. საჩუქარს, დაიმორცხვეს ოღონდ გოგონებმა, სიმღერა კი ჩაათავეს ბოლომდე, მაგრამ მყისვე მიბრუნდნენ და კისკისით გაიქცნენ, მტრედებმა რომ იციან — შეფრთხებიან და ფართქალ-ფართქალით გაფრინდებიან, სწორედ ისე.

ოდესმე თუ დამფრთხალა ვინმე მის თვალწინ? ოდესმე თუ გაუწევიათ ამდენი ანგარიში — დაემორცხვათ და თანაც გაქცეულიყვნენ?

მსუბუქად მოახტა ველოსიპედს, სადავემიშვებული სილაღე შეეჯდა ტანში, და ქროლვაში, ამაყ, უზომოდ თნეველ სიხარულში ახლა ცოტაოდენი მადლიერებაც ერია იმის გამო, რომ უცხო თანატოლებმა, კოპწია, პატარა ამორძალებმა ასე უბრალოდ, ერთი გა-

ღიმების სანაცვლოდ დაუდასტურეს ის, რასაც მის ცხოვრებაში პირველად მიეღო ესოდენ მძაფრი მნიშვნელობა: იგი იზრდებოდა!

მერე ამ აღმოჩენით წაქეზებული, ბიჭი სანატორიუმის დამსვენებელთა ხშირი სტუმარი გახდა. რკინის მესერთან მიდგებოდა, ველოსიპედსაც იქვე მიაყუდებდა, გამოჩერთული ჯიბეებიდან მუჭა-მუჭა იღებდა ახალმოხალულ, ჯერ ისევ თბილ-თბილ მზესუმზირას და გისოსებს შუა გამომარჯვებულ ხელისგულებზე უყრიდა გოგონებს. ისევ ცვლიდნენ ღიმილს, მოწიწებით, ნაზად, ღიმილი თითქოს მაგნოლიის ვეება, მაგრამ სათუთი ყვავილი იყო და ფრთხილად გადადიოდა ხელიდან ხელში. უფრო მეტიც, გოგონები ელოდნენ კიდეც ბიჭის მოსვლას, იდგნენ, გასცქეროდნენ გზას და სიმღერა, მათი ნაცნობობის შუამავალი, აღარც ახსენდებოდათ. ელოდნენ როგორც სახლიდან მოსული წერილს, დედმამიშვილის ახალგადაღებულ სურათს და ყველაფერს, რაც ამ გისოსებს გარეთ დარჩათ. ბიჭიც არ აყოვნებდა, მან ზეპირად იცოდა ბავშვთა სანატორიუმის დამსვენებელთა თავისუფალი საათი მზის ჩასვლისას. მერე გოგონები სათითაოდ ძვრებოდნენ საგანგებოდ ჩაღვერილ გისოსის მორკალულ სიცარიელეში, გადიოდნენ ეზოს გარეთ, შემოუჯდებოდნენ ბიჭს ველოსიპედზე და ისიც წინ და უკან დააქროლებდა მათ. ახლა მეორე, მესამე და ასე ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს, სანამ სანატორიუმის მოფრიალებული, ვეება ეზოს სიღრმიდან ზარის ყრუ ეღრიალი არ მოაღწევდა. ყველას უხმობდნენ, სასწრაფოდ უნდა მოეყარათ თავი. ბიჭს წარმოდგენა არ ჰქონდა, რისი ნიშანი იყო იგი, ვახშმის თუ რაიმე ღონისძიების დაწყების, ან რა მნიშვნელობა ჰქონდა, ყველა შემთხვევაში ხომ მაინც მარტო უნდა დარჩენილიყო. მაგრამ ეს აღარ ჰგავდა ჩვეულებრივ სიმარტოვეს, რადგან მაშინაც კი, როცა გოგონები თვალს მიეფარებოდნენ და ბიჭიც სანაპიროზე გაწვართულ ქუჩას მსუბუქი შინებიდან ებმებოდა, მისი მხრები ისევ და ისევ თავიდან იწყებდა განცდას წამისას, როცა იმ შვიდიდან ერთის ხელი მსუბუქად, მორცხვად დაენდობოდა. სწორედ ეს ერთი წამი იყო, რომელშიც ახდენა ეწერა ყველა ოცნებას, და რომელშიც უზომოდ უყვარდა თავისი თავი. რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ეს სიყვარული, მისით იწყებოდა ყველაფერი, რაც მას ეხებოდა და ისიც, რაც უცხო იყო, არაფერს სთხოვდა, არც არაფერს სთავაზობდა. დაიწყო ფიქრი, ფიქრი, ფიქრი... დაქრის და დაქრის ველოსიპედით, მხრებზე მსუბუქად უწყვია გრილზე გრილი წუკელი ხელი, ქარისაგან აშლილი ყავისფერი სწორი თმის ბოლოები, უცხო სურნელი რომ დაჰკრავს, საფეთქელთან წამოუფრიალდება ზოგჯერ. მერე ჭიშკარს შემოალებს მაგურა, გვერდით ქმარი მოპყვება, ცალი ხელი ქალისათვის მოუხვევია მხარზე, მეორეში კი მსხლითა და ატმით სავსე ბადეს მოაკიწნიალებს; ჩუმად აივლიან ფლიგელის კიბეს, გვერდზე ერთხელაც არ გაიხედავენ, არ აინტერესებთ, რა ხდება გარშემო, სულაც არაფერში ენაღვლებათ, თუ მდგმურთა გაკვირვებული მზერა მერამდენედ კითხულობს — ვინაა ეს უკარება წყვილი. შეაღებენ თავიანთი ოთახის კარს და შემდეგ გამოჩენამდე თავს აივწყებენ ყველას, რათა კვლავ მეტი ინტერესი გამოიწვინონ. აი, ქვიშაზე წვანან თავმიდებულები, ტფიცხებიან მზეს და გაუთავებლად ჩურჩულებენ. მაგრამ მათ ხატებას ისევ ყავისფერი, ქოროლაში აშლილი ყავისფერი თმები აეფარებოდა ხოლმე. ბიჭი სწრაფად ამუხრუჭებდა ველოსიპედს, თავს უკან აბრუნებდა: რა ქვია?

— მანანა.

მხოლოდ ამ ერთის, იმ შვიდთაგან მხოლოდ ამ ერთის სახელი დაამახსოვრდა, არა, სხვა სახელებიც ახსოვს, ოღონდ რომელი რომელს ერქვა, ეს აერია,

---

ლალი გრეგორაძე

ვეფხვაურის უკანასკნელი ზაფხული

ეროვნული ბიბლიოთეკა
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

მერედა, ხელთავიდან ხომ არ ჩამოპყვებოდა სათითაოდ, ისევ ხომ არ გამეორებინებდა.

ზოგჯერ საკრისფერ დღეს ფიქვნარში ნანახი სახექეციანი მოხუცი მოდიოდა გამოუხმობლად, იმანჭვებოდა, დუეს ყრიდა პირიდან, ჩიფჩიფებდა: ვინ მოგცა ამის უფლება!.. მაგრამ მაშინვე დევნიდა გონება, ისიც მსწრაფლ გარდაქმნდებოდა. ისევ პრუნდებოდა აწმყო, ისეთი, როგორიც სინამდვილეში იყო:

წევს პლაჟს გადაყოლებულ ბეტონის მხურვალ პარაპეტზე, სხეულებით დახუნძლულ ნაპირს გაჰყურებს. დაბლა კი პარაპეტიდან ჩაკიდულ, მთელ ნაპირზე გაწოლილი კიბის სულ ზედა საფეხურს განივად მოჰყვებიან ბიჭები, დიდი, ნამდვილი ბიჭები. მის დანახვაზე რატომღაც ხუმრობის გუნებაზე დგებიან: კუზმა, გამარჯობა ძველო. — ამბობს ის, ადრე ზედაც რომ არ უყურებდა, ლაწირაკად თვლიდა.

— ნუ ეძახი კუზმას, ვერა ხედავ, ჯო, წყინს! — ღლიცინებს მეორე.

მას კი აღარ სწყინდა, სულაც აღარ სწყინდა ზედმეტი სახელით რომ მიმართავდნენ დიდი ბიჭები.

— ქალებს ათვალიერებს. კენტაური ადამიანდება. — ამბობს ისევ პირველი. — იცით, რა პროცესია ეს?

ღიმებმა. მის ღიმილში ჯემალი თანაგრძნობას უფრო ხედავს, ვიდრე დაცინვას. მიუხედავად ამისა, მათ შორის მაინც თვალუწვდენი ოკეანეა, რომლის გადაცურვასაც ბევრი, ძალზე ბევრი დრო სჭირდება.

და დროის ოკეანეში ჩაკარგული, ზურგსუკან დარჩენილი ბიჭი უხმოდ მისახახის მათ: წამიყვანეთ, თქვენთან მინდა, რა მოხდება, მეც წამიყვანთ, მაგრამ თავისი გზით გაუტიეს, არც მოუხედავთ უკან, თითქოს პარაპეტზე გაშოტილ ბიჭს სახე მთისავით არ ჰქონოდა მზისკენ გაჯანგრული, თითქოს მათზე ნაკლები ფშვიტინ-ფშვიტინი სცოდნოდეს და გულზე უხეში მკედით პაწაწა ნიკარა არ ჰკიდებოდეს.

ხოლო რაკი ამაო იყო გულ[illegible]ის ახდენაზე ფიქრი, რახან ყოველგვარ ძალას აღემატებოდა შეცვლა ათვალწუნებული, მაგრამ როგორღაც კანონადქცეული ყოფისა, ბიჭი იძულებული იყო დამორჩილებოდა განგების სურვილს და დაკმაყოფილებულიყო იმით, რაც დაუმადლებლად ეძლეოდა, რაზეც არ სჭირდებოდა თხოვნა-მუდარა. ადიოდა ნაპირსმომდგარ კატერზე, ჩვეულებრივ აჰყვებოდა სეირნობის განწყობილებაზე მყოფ მგზავრთა ნაკადს, მოექცეოდა კიბის თავში, ერთბაშად იწევდა მერე, თევზივით გადაეშვებოდა ძირს. მხოლოდ სილუჯრეული შერჩებოდა მაშინ უცაბედ ნახტომს გადაყოლილ მზერას. სანამ მოულოდნელობის მოწმენი მხედველობით მექანიკურად აღქმულს გონებასაც მიატანდნენ, ის კარგა მანძილზე გაცურდებოდა წყალქვეშ, სადღაც შორს ამოჰყოფდა თავს, ხელის ერთი ჩამოსმით ჩამოიწურავდა თვალებს და ზეაიხედავდა. მიაღწია საწადელს, ერთდროულად გაეშტერა ამდენი ადამიანი, ჯერაც რომ ვერ მოესწროთ გონს მოსვლა, მაგრამ მალე მიხვდებოდნენ, ამ ლამაზი, მარჯვე ნახტომის შთაბეჭდილებით იწყებოდა ხანმოკლე გასეირნება. ბიჭი მათ სიურპრიზს სთავაზობდა.

წყალი რომ მობეზრდებოდა, ახლა ნაპირს მიაშურებდა, იყიდდა მოხარშული სიმინდის ტაროს, შეიგულებდა რომელიმე ხალვათ ადგილს, ილუკმებოდა, თან თვალს ართობდა. მერე დადიოდა ფიქვნარის კიდე-კიდე, უცქერდა ლომისა თუ თევზის ქვის ტლანქ ქანდაკებებთან, ანდა გამოხრუკულ პალმებთან ფოტოგრაფის აპარატის წინ პოზებდაჭერილ, სუნთქვაშეკრულ დამსვენებლებს, ზღვაზე გატარებული მზიანი დღის სამახსოვროდ წაედა რომ განეზრახათ. საღამოზე კი, მზის ჩასვლის ჟამს, მიიჩქაროდა გაუცნობიერებელი სიხარულის შესახვედრად, ბავშვთა სანატორიუმის რკინის გისოსებიან მესერთან რომ ელოდა. ხოლო გზაში, იქამდე არმისულს, უცნაური ეშვები იპყრო-

ბდა, ეგონა თავისი გამოგონილი იყო ყველაფერი, არავინ ელოდა, არც არასდროს დალოდებია, არც ის წაბლისფერი თმები უნახავს ოდესმე, არც ღიმილი უსახსოვრებიათ, და რასაც იგი რეალობად თვლიდა, მხოლოდ სანატორიელი სურვილი იყო, დიდი ბიჭების შანტრაბაში გარეკის მსგავსი, სხვა არაფერი. მთელი გზა ამ ეჭვებით იტანჯებოდა, სანამ არ გამოჩნდებოდა მესერი, ისინიც... ყველაფერი იწყებოდა თავიდან. მკვდრეთით აღდგომას ემსგავსებოდა მათი შეხვედრა. მაინც რა იყო მთავარი ამ ლოდიწში, ამ თბილ შეხვედრებში, თვით ასაკი თუ სხვა რამ, ბოლომდე ვერამოხსნილი, რასაც სწორედ ეს ასაკი ედო ზიდად და რაც ერთდროულად აშკარად საგრძნობიც იყო და იდუმალიც, ჩვეულებრივი, უკვე დაშტამპული ყოველდღიურობაც და უჩვეულო განსაკუთრებულობაც. ანკი რაში ჭირდებოდა ამეებზე ტკივნის ჭყლეტა, განა ისედაც არ ახალისებდა მის ცხოვრებაში გაჩენილი სიახლე? მაგრამ, კაცმა რომ თქვას, სიახლეც აღარ ეთქმოდა, რადგან ბიჭმა იმთავითვე გაითავისა იგი, წარმოუდგენლადაც მიაჩნდა უკვე, სხვაგვარად გაეტარებინა დღის ის გარკვეული მონაკვეთი, როცა მზეს ძალა ეკარგება, ყვითლდება და ნელინელ ეშვება ზღვისაკენ.

ხოლო ერთ მშვენიერ დღეს, როცა ბიჭს არც ახსოვდა, რომ დრო მიიპარება და ყველაფრს ბოლოს და ბოლოს დასასრული აქვს, გოგონებმა უთხრეს: ხვალ მივდივართ, ნაკადი მთავრდებაო.

— მიდიხართ? — გაიკვირვა ბიჭმა. — ასე მალე?

— რაღა მალეა. — გაეცინათ მათ.

იმ საღამოს აღარ უსეირნიათ ველოსიპედით, ჩქარობდნენ, მხოლოდ გამოსამშვიდობებლად მოვედით, ჩემოდნები გვაქვსო ჩასალაგებელი.

ისეთი მოულოდნელი იყო დამშვიდობება, რომ ბიჭს არ შეეძლო ერწმუნა მართლა გაწმორებას თუ ნიშნავდა იგი. მეორე დღესაც ჩვეულებისამებრ გასწია სანატორიუმისაკენ, გაუყვა ზღვისპირა ქუჩას, თავაწყვეტილი [illegible] ლებდა ველოსიპედს, იხტიბარს არ იტეხდა, ისე, ტყუილუბრალოდ, სასეირნოდ მივდივარ, თორემ ისინი ხომ უკვე წასულები იქნებიანო. ჰოდა, ასე ტყუილუბრალოდ, თუმცა სანაპიროს მეორე მიმართულებაც ჭქონდა, იგი მაინც სანატორიუმისაკენ მიიჩქაროდა. სულმოუთქმელად იარა პალმებამდე, რის შემდეგაც ოციოდ მეტრში იწყებოდა რკინის გისოსებიანი მესერი. აქედან უკვე ნელი სვლით გასწია, ისე ნელი სვლით, ველოსიპედის შინების შრიალი ესმოდა. დათქმულ ადგილს როგორც კი ისეთი მანძილით დაუახლოვდა, რომ ადამიანის ცნობა შეეძლებოდა, დაინახა ის შვიდთავიან ერთი, ერთადერთი, მარტოდ მომდგარი მესერს. ეოგო გზისკენ იყურებოდა, აშკარად ბიჭს ელოდა, მის დანახვაზე მთელი ტანით აეკრა გისოსს და ნაწნავის კუდს საჩვენებელი თითით დაუწყო დახვევა. ბიჭი ზიგზაგური სვლით მისრიალდა, გაუხარდა გოგოს დანახვა, მაშინვე მიახალა:

— შენ არ წახვედი?

— ჩვენი მატარებელი გვიან გადის, უთხრა გოგომ. — მამა ზღვაზე ჩავიდა საბანაოდ. ამოვა აწი დ წავალთ.

ბიჭმა სიტყვა ვეღარ მოძებნა, თუმცა ძლიერ სწადდა, გაება საუბარი, ეკითხა რამე. რარიგ უცნობნი იყვნენ ახლა ისინი ერთმანეთისათვის ასე პირისპირ, ასე მარტონი. და ბიჭმა უცვე დაიმორცხვა. გოგომ გისოსებს შუა გამოყო მკლავი, ხელში ოთხდამოკეცილი ხაზიანი რვეულის ფურცელი ეჭირა.

— მისამართებია. მთხოვეს გადმომეცა. — უთხრა ბიჭს.

მან სასწრაფოდ ჩამოართვა ქაღალდი. მერე გაკვირვებით შეხედა გოგოს, ისევ ნაწნავის კუდს რომ აწვალებდა.

— რა იცოდნენ, რომ მოვიდოდი?

გოგოს გუშინვე უნდა გადაეცა მისთვის ფურცელი, თავისი მისამართი მიეწერა რიგით მეშვიდეს და დამშვიდო-

ლალი გრიგოლაძე
კენტავრის უანასაკნელი ზაფხული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბებისას ბიჭისთვის უსიტყვოდ ჩაედო პერანგის გულისპირზე მიკერებულ ჯიბეში. მაგრამ ამის თქმასა, რასაკვირველია, არ აპირებდა. ბიჭის კითხვაზე — რა იცოდნენო, ერთი პასუხიღა დარჩენია: არ ვიცი. — ამბობს გოგო, თან მხრებს იჩეჩავს.

თუმც რამდენი რამ უნდა რომ ჰკითხოს, ბიჭი მაინც ღუმილს არჩევს, თორემ ჰგონია, საცაა გავალ პირს და ვიტყვი, რაც ყველაზე მეტად მაინტერესებსო: მანანამ ხომ არაფერი დაგბარა საიდუმლოდ, ან საერთოდ რას ამბობდაო ჩემზე. მექანიკურად გაშალა ფურცელი, მისამართების ბოლოში სწრაფად დაიწყო სახელების კითხვა. აი ისიც, „მისი“ სახელი, სადღაც შუაში, ლამაზი ბავშვური ხელით ნაწერი. რამდენჯერმე წაიკითხა ზედიზედ, თვალის უცაბედი მოვლებით. ისევ დაკეცა და ის-ის იყო პერანგის ჯიბეში ჩადება დაეპირა, რომ გოგომ ახლა სწორედ ასევე მოკეცილი მეორე ქაღალდი გამოუწოდა.

— ეს ჩემი მისამართია. — უთხრა და თვალები დახარა.

ბიჭმა უსიტყვოდ ჩამოართვა ისიც, ოღონდ არ გაუშლია, და როცა გოგომ ნაღვლიანი მორჩილებით, ჩხუბის შემდეგ ბავშვები რომ შერიგდებიან, იმგვარად ჰკითხა — მომწერ? როგორი, როგორი უხერხულობა იგრძნო ბიჭმა. აი, ნაცნობად შემცნეულ უცნობს რომ გადაკოცნი, მაშინვე ხვდები შენს შეცდომას, მაგრამ რა, აღარ იცი, როგორ მოიქცე, ვეღარც სიტყვა მოგიძებნია, ვეღარც გაბრუნებულხარ, რომ წახვიდე, არადა, ეტყვი, შემეშალეო? თუმცა მან უკვე იცის, რომ შეგეშალა, ამტომაც დაბნეული, შენსავ დღეში ჩავარდნილა. აი, ასეთი უსიტყვო ურთიერთგაგების ძაფსღა თუ ჩაეჭიდებოდა ახლა ბიჭი, უხერხულად დაიქნია თავი, ოღონდ ეს ჩვეულებრივ თანხმობას კი არა, როგორღაც გამოსავალს უფრო ნიშნავდა. გადაწყვიტა, უფრო სწორად კი შეიგრძნო, რომ არასოდეს არც ერთ მათგანს არ მისწერდა წერილს. თითქოს შვება მოჰგვარა ამან, რაღაც დიდი და რთული მოვალეობისაგან იხსნა. ოღონდ ნაღველის მსგავსიც ერია მის განცდას, ჭაბუკური ანცობისა და წადიერი გულგრილობის ავან-ჩავას სრულებით რომ არ დაგიდევდათ, და მერეც, მოგვიანებით, როცა მეზობლის ბიჭთან, თავის კბილი დურსუნთან ერთად ბეწო ტალღაზე აყელყლავებული გასცქეროდა ხოლმე აღმოსავლეთით წამოყუდებულ, შორეულ, დათოვლილ მთებს, თავისდაუნებურად მუდამ ისე ახსენდებოდა იმწუთინდელი სახტადდარჩენის სევდაშეპარული განცდა, გეგონებოდათ, უკან იხევდა დრო.

მაგრამ დაბრუნდა დურსუნი, თვენახევრის უნახავი ამხანაგი, და ყოველივე კვლავ ძველი რიგითა და წესით აეწყო. მთელი დღე ერთად დაეხეტებოდნენ, საღამოს სეანსებზე ესწრებოდნენ კინოს, ცურავდნენ, ბურთაობდნენ, დააქროლებდნენ ველოსიპედებს, ათასნაირი ხრიკებით შეძვრებოდნენ ხოლმე საგასტროლოდ ჩამოსულ, ღიაცის ქვეშ გამართულ ესტრადის მსახიობთა კონცერტებზე, დაესწრნენ ბოშათა თეატრსაც. მოკლედ, ცხოვრობდნენ ისე, როგორც უნდა ცხოვრობდეს მათი ასაკის ბიჭი, ჯერ ისევ ბავშვებად რომ თვლიან შინაურები.

ჯეშალს სახლში აღარ უდგებოდა გული, საღილობისას თუ შეარბენდა მცირე ხნით, ისიც უფროსი დის საყვედურების მოსმენას უნდებოდა, ზოგჯერ იმასაც ახერხებდა, ანიუწში არ ჩაეგდო საყვედური. ახალ-ახალი მდგმურები ირეოდნენ სამზარეულოში, ვერანდაზე, ეზოში, აბაზანა ერთთავად დაკავებული იყო. მდგმურთა წყება მოდიოდა, წყება მიეშგზავრებოდა, ლაპარაკობდნენ ხმამაღლა, დაურიდებლად, ერთმანეთს ეცილებოდნენ თუთის ვეება ტოტებზე ჩამობმულ ჰამაკს, გამუდმებული რიგი იდგა ეზოს ონკანთანაც. მდგმურთა ამ გაუთავებელ მიეთ-მოეთში ზოგჯერ თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰკრავდა თვალს მაგურასა და მის ქმარს, ოღონდ ახლა ისინი იყველფვის ხელიხელგაყრილნი როდიღა დადიოდნენ. დილით კაცი რომ ზღვიდან მოვიდოდა, მაგურას ისევ ეძინა. მერედა, ვინ იცის, იქნება წიწმრად ხედავდა თავის ქმარს, ხედავდა მკერდგანიერს, თავისუფალი ნაბიჯით მომავალს, სოცრად მოხდენილს, როგორადაც იგი ცხადად ევლინებოდა ბიჭის ხარი ინტერესით დაძაბულ თვალს. კაცს სპილენძისფერი დასდებოდა სახეზე, შავი თმაც ოდნავ წაბლისფერი გახდომოდა, უცნაური ბზინვა გადაჰკრავდა ზედ.

ბიჭმა გადაწყვიტა, სისხამზე ამდგარიყო. ეს იმის შემდეგ, როცა ერთხელ, სადილობის ჟამს, ყური მოჰკრა, ერთ-ერთი მდგმური, ღაღადაა კაცი, ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი რომ უყვარდა, ცუნდრუკი ჯეელივით გახარებული აივნიდან გასძახოდა ფლიგელის კიბეზე ამავალ მაგურას ქმარს: მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, თქვენი მაგალითი რომ არა, რამხელა სიამოვნება მომაკლდებოდა, არც ერთ დილას აღარ გავუშვებ აწი, აგაშენოთ ღმერთმა, ჩიტივითა ვარ კაცი, მაგრამ სად გაქრით, თვალიც ვეღარ მოგაწვდინეთ, ვიფიქრე, გადაკურა ზღვა და ეგაა-მეთქი, სად გაქრით?

მას ცხვირწინ პულვერიზატორი ეჭირა, თან ლაქლაქებდა, თან სუნამოს ისხურებდა ნასვირინგალ, შავყვითელ სახეზე.

ჯემალიც იქვე იდგა, აივანზე, წყლის ონკანთან, სადილობის წინ ხელის დაბანას აპირებდა, მოშვებული წყლის ჩხრიალში ისმენდა კაცის ლაქლაქს, თან ცალი თვალი ფლიგელის კიბისკენ ეჭირა. მაგურას ქმრის შეკავებული ბუზუნა სიცილი რომ გაიგონა, მაშინვე დაკეტა ონკანი, იყუჩა, იქნებ დაილაპარაკოს, იქნებ გავიგონოო მისი ხმა, ისე გაირინდა, სუნთქვის ნებასაც აღარ აძლევდა თავს. მაგრამ ტყუილად, სულ ტყუილად. ერთი სიტყვაც არ უთქვამს მაგურას ქმარს, იცინოდა მხოლოდ, ალბათ ართობდა ამ დამთხვეული მეზობლის ფიზიონომია, მერე შეტრიალდა და გარა კიბე.

ბიჭს არც ანკესი დაჰჭონდა ზღვაზე იმათ მსგავსად, პირსის კიდე-კიდე რომ გამწკრივდებოდნენ ხოლმე ყოველ სიხსამზე, არც ფეხშეუდგმელ ზღვაში ბანობა სწადდა. დაადგებოდა იგი ოდნავ მოქანავე ნაპირს, დაბობებდა წინ და უკან, ოღონდ თავის თავსაც არ უტყდებოდა, რომ მაგურას ქმრისათვის თვალის შევლებაზე ოცნებობდა აქ, ამ სიმშვიდეში, სადაც არ იყო მდგმურთა ყაყანი, და სადაც ისინი ზღვისპირას შემთხვევით შეხვედრნი იქნებოდნენ. დიახ, არ უტყდებოდა თავის თავს, რადგანაც, სიმარილე რომ ითქვას, ბიჭმა ისიც კი არ იცოდა, უნდა სძულებოდა კაცი თუ პირიქით, და მიუხედავად ამისა, ყველაფერი აინტერესებდა მისი.

მაგრამ მას აქეთ, რაც მეთევზეებმა ნავით მოიყვანეს კაცი ნაპირამდე, ძმაკაცურად აუწიეს ხელი დამშვიდობებისას, მანაც ასევე ხელის აწევით უპასუხა, მერე ზურგსუკან ხრაშახრუშით ჩაუარა გრილ ქვიშაზე ჩაცუკქულ ბიჭს, აგერ უკვე ორ საათზე მეტი რომ იყო, რაც მეთევზეთა სვლას ადევნებდა თვალყურს და მაგურას ქმრის კვალი რომ არ დაეკარგა, უმალვე იმ მხარეს მიაშურებდა, საცა ირწუნებდა, აგერ აქ შეიძლება გამოვიდნენო. მან კი ისე ჩაიარა, თავიც არ მოუბრუნებია. რა ამაო გამოდგა ბიჭის ღელვა, ამდენი ფიქრი, გეგმების დაწყობა: გვერდით რომ მომიჯდეს? რომ დამელაპარაკოს, მკითხოს რამე? ისე უნდა მოვიქცე, არ შემატყოს მისი გულისათვის რომ ვზიკარ და ვკანკალებ აქ. ცოტას ვისაუბრებთ ალბათ, მე მხოლოდ კითხვებზე გავცემ პასუხს, ეს არც ისე ძნელია. მერე ნავზე გაყოლას შემომთავაზებს, მეტყვის, რაკი ასე მარჯვე ყოფილხარ, რაკი ადრინდან ადგომა

შეგძლებია, სათევზაოდ წაგიყვანო. მაგრამ წყალში ჩაიყარა ყველაფერი. მან ისე გაიარა, თავიც არ აუწევია. ჯემალს მოეჩვენა, კაცი მაგურაზე ფიქრობდა, ნეტავ ისევ სძინავს, თუ ღვიძარი დამხვდებაო. ნელა მიაქნევდა ხელს, რომლის საჩვენებელსა და შუათითის ზედ კუთხის დასაწყისში გაერჭო სიგარეტი და მალიმალ მიჰქონდა პირისაკენ.

ჰოდა ამის შემდეგ მაგურას ქმარი ჯემალისათვის ჩვეულებრივი დიდი ბიჭი იყო, აქაურთა მსგავსი, და უმცროსთან ურთიერთობას მასაც ერთი ღერი სიგარეტი ერჩია, თუნდაც ეს უმცროსი სულს ლვდეს მისთვის.

დურსუნნისათვის არ უთქვამს მსთავდზე რომ დგებოდა და ნაპირ-ნაპირ რად დაეხეტებოდა. იგი თვლიდა, ერთი ასაკის მიუხედავად, მაინც უპირატესობა ჰქონდა ამხანაგთან შედარებით, მეტი გამოცდილება. ამიტომ სიდინჯეც მეტი მართებდა. სინამდვილეში კი, როცა ენას კბილს აჭერდა, სწორედ ამით ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას. არც ცდებოდა, ის ხომ ამ გზით საკუთარ სამყაროს იქმნიდა — სხვისთვის შეუღწევადს, ხელმიუწვდომელს. მაგრამ შთაბეჭდილებები, ბიჭს რომ ეგონა ეხოლოდ ჩემს საიდუმლოებას წარმოადგენსო, თავისთავად იჩენდა ხოლმე თავს, მეღაველდებოდა ყველაფერში: ხასიათში, ქცევაში, ლაპარაკის ახალშეძენილ მანერაშიც. ახირებული გახდა, თავისნათქვამა, დურსუნიც იძულებული იყო, მუდამ მის სურვილს დაჰყოლოდა.

ზღვაზე ამინდის კულტი ბატონობს, მეტადრე თბილ თვეებში. იგი მართავს ადამიანთა ბედნიერებასა-განწყობილებას, სურვილს, ტემპერამენტს. არსად არა აქვს მზეს ესოდენ დიდი ძალა და სიკეთე, როგორც აქ, სადაც განგებას მხოლოდ და მხოლოდ მზიანი დღის წყალობას ეევდრებიან. თუმც ესეც უმთავრესად მოაგრაკეებზე ითქმის. ადგილობრივთათვის, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც მრავლად უყენია მდგმური, დარი და ავდარი განურჩევლად. დარში მდგმურთა ღრიანცელი აწუხებთ, ავდარში კი მათი გაუთავებელი წუწუნი და ჩივილი — როგორ აიტანონ, რომ საშუალება არ ეძლევათ მიეფიცხონ მზეს, და წყალსა და სხეულს ამაოდ მომთენთავ სხივთა მცხუნვარების ზომიერ მონაცვლეობაში ჰპოვონ ნეტარება. ამიტომ ცამ ოდნავ შეიკრა თუ არა პირი, ყველას თვალები ზემოთ აღუპყრია, არ გაავდრდესო, თითქოს ბეჯითი დაკვირვებით შეცვლიდნენ ბუნების ნებას.

დილით, მართალია, უღიმღამოდ აბჟუტდა მზე, მაგრამ მოძლიერდა თანდათან, არ გაუცრუა იმედი მზერაგაპყრობილთ. კვლავ ჩვეულებრივი დღე იდგა, ისეთი ხალხმრავლობა იყო პლაჟზე, ფეხის მოსანაცვლებელი ადგილის გამოხახვა ჭირდა.

ჯემალმა და დურსუნმა დილიდანვე ველოსიპედებით მოიქროლეს მთელი სანაპირო, ქანცგაწყვეტამდე იჯლიგინეს, მერე სახლებს მიაშურეს და საღამოთი, ოდნავ რომ იკლო ხვატმა, დათქმულ დროს შეხვდნენ ერთმანეთს პირსის გასწვრივი ჩასასვლელში წრიულად დადგმულ სოკოს ფორმის მაგიდების გვერდით მიფოხილ ჯიხურთან, სადაც ცხელ სილაში ხარშავდნენ თურქეულ ყავას. როგორც ყოველთვის, ახლაც რიგი იდგა აქ, ყავის მთორობელა სურნელი ეფრქვეოდა ზედ და რიგი სწრაფად მიიწევდა წინ. ბიჭებს არც უფიქრიათ დადგომა. ყავა კი უნდოდათ, მაგრამ ფული მხოლოდ კინოსთვის თუ ეყოფოდათ, დილითვე დაიანგარიშეს კაპიკ-კაპიკ. ფილმი ორსერიანი იყო, ამერიკული, მისი ნახვის სურვილი სჯობნიდა ყველა სხვა სურვილს. კინოს დაწყებამდე სამი საათი იყო დარჩენილი და ბიჭებს დრო უნდა მოეკლათ.

ნელა გადაუყვნენ პლაჟის პარაპეტს, გაჰყურებდნენ ზღვას. პირსთან ხალხი გროვდებოდა, რადგან კატერი ნაპირზე მოდგომას ეპირებოდა. არ უყვარდა ჯემალს, როცა ზღვისპირი ბაზრის მოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანს ემსგავსებოდა, ამიტომ ამხანაგი თხოვნაზე — ჩავიდეთ, ვიბანაოთო, — არც დაფიქრებულა, უმალვე გაიქნია თავი.

— ცოტა მყუდრო ადგილი მოვნახოთ სადმე, ვერა ხედავ, ჯო, რა ამბავია?... — და პირისსაკენ დაუდევრად აქნეული ხელი ჰაერშივე გაუჩერდა. კატრის შესახვედრად გასწრაფებულ ადამიანთა თხელ ნაკადში მაგურას ფარ-თოფარფლებიან ალისფერ ქუდს სწრა თვალი. ქმარიც გვერდით მიჰყვებოდა, თეთრ შარვალზე შავი, კუპრივით შავი პერანგი ეცვა, ეხური გრძელკოკარდიანი ტილოს ქუდი, თავი ოდნავ დაედრიკა და აუჩქარებლად ადგამდა ფარ-თოფართო ნაბიჯებს. ბიჭი შეჰყურებდა ამ ნაბიჯთა მონაცვლეობას და უეცრად იგრძნო, რომ იგი ანდამატივით ეწეოდა თავისკენ, ეწეოდა მბრძანებლური, ქედმაღლური სითამამით, მას კი ძალა არ ჰყოფნიდა წინააღმდეგობის გაწევის, იგრძნო, და ახლა იგი აღარსად წამსველი აღარ იყო. ერთადერთი გზაღა ესრსებობდა მისთვის — მაგურას ქმრის კვალს ადევნებული, კატერზე ამავალი გზა.

— აქ ჩავიდეთ, — უთხრა დურსუნს. — რა იყო, რამ გაგაშტერა.

უკან გაბრუნდა, დაეშვა შერღვეულ პარაპეტში დატანებულ კიბეზე. არც კი მოუხედავს ფეხათრევით გაყოლილი ამხანაგისაკენ, ნეტავ რა ბზიკმა უკბინაო, რომ ფიქრობდა თავისთვის. ხოლო, როცა ფეხშეუნელებლად მობრუნდა, უთხრა — კატერს უნდა გავყევეთო, — დურსუნმა გაოცებისაგან პირი დააღო, აჩქარდა, გვერდგვერდ აედევნა.

— გაგიჟდი, ჯო! კინოს ვეღარ ვნახავთ. რა კატერი აგიტყდა თუ იცი?

ჯემალი შედგა, იმწამსვე ამოიბრუნა შარვლის ჯიბე.

— აჰა, დაიჭი, მე არ წამოვალ კინოში. ნე მეტყვი უარს. ჩემი წილი კატერზეც გვეყოფა და იმდენიც გადარჩება, რომ კინოში ნაყინს იყიდი. სხვა დროს სულ შენ სურვილზე იყოს, ოღონდ ახლა დამიჯერე.

სასწრაფოდ მიაჩჩა ფულ[illegible] ძალით ჩაუდო ხელში.

— ჩვენ ხომ ძმები ვართ. რამდენჯერ შემპირებიხარ, შენი გულისათვის ყველაფერს გავაკეთებო.

— შეგპირებივარ და გავაკეთებ კიდეც. — მართალია დამაჯერებლად არა, მაგრამ მაინც ჩაილაპარაკა დურსუნმა, ფული ჩაიჯიბა. — წამო, განა უარზე ვარ. — გულში კი ფიქრობდა: რა ოხრობა უნდა კატერზე, გამონახა რა საქმე.

კატერი სწრაფად ჩამოიცალა, კანტიკუნტად მოჰყვნენ მგზავრები, სამგზავროდ აქედან წაჰყვებოდა კაიძალი ხალხი. ამსელელები უკვე შეფენოდნენ კიბეს. აი, მაგურას ქუდიც, რომლის აბრეშუმის თასმები ზედ ნიკაპქვეშ გაებანტა და რომლის წყალობითაც შორიდანვე, ერთი თვალის მოვლებით შეიძლებოდა მგზავრთა შორის მაგურას ამოცნობა.

ნაპირზე მცირე ხნით ჩერდებოდა კატერი, ამიტომ უნდა ეჩქარათ, თორემ კიბის აკეცვას მოასწრებდნენ. ახლა წინ დურსუნი გარბოდა, დროდადრო მოხედავდა ამხანაგს, შეუფუცხუნებდა, გამოადგი, ჯო, ფეხი!

უკანასკნელნი ავიდნენ კიბეზე და გემბანს მისეულ მგზავრებს შეერევნენ თუ არა, გასვლის გამაფრთხილებელი სიგნალიც გაისმა.

ყველა სკამი დაკავებული იყო, უადგილოდ დარჩენილნი მოაჯირებზე გადამდგარიყვნენ. აი ისინიც, ვისაც ამოედევნა ბიჭი. ახლა კაცის შავმა ხალათმა მიიტაცა თვალი, რადგან მაგურას ქუდი აღარ ეხური, გაბანტული თასმებით წამოეცვა იგი მკლავზე, რომელიც მოაჯირზე ედო.

ცოლ-ქმარი ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით საუბრობდა, ისე შესაცინებდნენ ერთურთს, ერთმანეთში განზავებას ცდილობდნენ თითქოს, ერთმანეთის სხეულებში გადასახლებას, გარე-

ლალი გრიგოლაძე
კენტავრის უკანასკნელი ზაფხული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემო მყოფთა მიმართ აბსოლუტურად გულგრილნი ჩანდნენ. სწორედ ამ გულგრილობაში დაინახა ჯემალმა თავისი შეცდომა, უცებ გაუხათდა გონება, ინანა, არ უნდა ამოესულიყავით. რა ესაქმებოდა აქ, რა უნდოდა ბედნიერი წყვილისაგან. მათი შეხმატკბილებული ურთიერთობა აფორიაქებდა, წვრილმანი ადამიანური ეგოიზმი შეჰყროდა თუ თავკერძობას ხედავდა ახალგაზრდა მამაკაცის დინჯ, მოწესრიგებულ ცხოვრებაში და სწორედ ეს აკარგვინებდა მოსვენებას. რა თქმა უნდა, არც ფიქრობდა ბიჭი კატერზე ამოსვლის ნამდვილ მიზეზზე, ამეებზე საფიქრელად ცხელოდა? ოღონდ ეს კია, შეიგნო თავისი შეცდომა, მიხვდა, რომ ბედნიერთა გვერდით აზრს კარგავს ყოველგვარი მიზეზიაა და მიზანიც, ისე კნინდება, უჩინარდება, სირცხვილის სამოსში ვხვევს საკუთარი უნიათობა და იქნებ ისიც ინატრო, ნეტავ გავქრე და აღარაფერს ვიხილოო ნათელი.

ჯემალა ცერად გახედა ამხანაგს, ოდნავ რომ დაებჩინა პირი, წინა ორი ქათქათა ღოჯი მოეჩანდა, არხეინად ჩაჰყურებდა წყალს. იდიოტი. — გაიფიქრა უნებლიეთ, — ნამდვილი ყეყეჩი. მისთვის სულ ერთია აქ იდგომება თუ ორმაში იჯდება, მთავარია, საღამოს კინო ნახოს. უფრო იმიტომ ბრაზობდა, რომ ეს ყეყეჩი აქამდე გვერდიდან არ მოსცილებია, ახლა კი, როცა ჯემალმა მაგური და მისი ქმარი მიაგნო, როცა უნდა იფრთხილოს არ შეამჩნიონ, როცა ერთი ბიჯიც აღარ წაუდგამს და აქვე გაშეშდა მათ შორიახლო, ეს ბოთე ჯიბრზე წაბენტერდა, მათ გვერდით ჩაეჩხირა, და ამას როდი დასჯერდა, ხელს იქნევს — შენც აქ მოდიო. ჯემალმა თვალი აარიდა, მხრებში ჩარგო თავი, მხარი უქცია დურსუნს, თან გაფაციცებთ დაიწყო ფიქრი. როგორ გამოეხსნ[illegible]ებინა შეცდომა. თუმც რაღა დროს... კატერი აბუბუნდა, დაირწა და ნელა, მძიმე-მძიმედ გაცურდა. არ შეაჩნიონ ძალიან, [illegible] ეს საჭირო. მათთან ახლოს, მაგრამ

უჩინრად. უაზრობად, ჯოჯოხეთად [illegible]ვენა ის საათ-ნახევარი, სანამ კატერი წინასწარ განსაზღვრულ სასეირნო მარშრუტს მოიცლიდა ზღვაში და კვლავ ნაპირზე დაბრუნდებოდა. მაგრამ განა არსებობდა სხვა არჩევანი?

ეს ყეყეჩი მაინც არ აღიზიანებდეს. რა სიამოვნებით ეეკვავდა, მასზე ამოიყრიდა ყველა ბოღმას. მაგრამ საკმარისი იყო ეგრძნო, დურსუნი უკვე გვერდით მიდგასო, გაიგონა თუ არა მისი პოლიპებიანი ცხვირის ქსუტუნი, უმალვე ანატია ყველაფერი. ერთხელაც გაეპარა თვალი ბორტს გასწვრივ. თავის ოდნავ წინ გადაწევა, და აგერ მხარი, ქუდწამოკცმული მკლავი, რომლის იდაყვთანაც ბაფთის მარყუჟის შედარებით გრძელი ბოლო დაკიდებულიყო. ათიოდ მეზავრი მიჯნავდა მაგურასაგან.

— დურსუნ, — უთხრა ბიჭმა მოსულს, — ხომ გახსოვს, შარშანდლამდე მე და შალო როგორი ამხანაგები ვიყავით.

— კი. — დაეთანხმა დურსუნი, თავი დაუქანჩალა. — ეგ ყველამ იცის, მასაც უყვარდი. მერე შენი სოლო ცეკვის მასწავლებელმა შალოს მისცა, შენ ადექი და მას შემდეგ შეიძულე იგი.

— ჰო, სხვებიც ალბათ მასე ფიქრობენ, მაგრამ არაა მართალი, სულ სხვა რაღაც მოხდა, რაც ჩემს მტმა არავინ იცის. ესეც არ იყოს, შალო კეთილღლეობით მშშშარაა, მშშარასთან ამხანაგობა კი ვის რაში ეპიტნავება.

— რაღაც მოხდა თქვენს შორის? მითხარი, არ შეიძლება მითხრა?

— რატომაც არა, ოღონდ სხვა დროს, ისიც მხოლოდ იმ პირობით, თუ ახლა დამარწმუნებ, რომ შალოსთან მშშშარა არა ხარ და ღირს შენთან ძმაკაცობა.

სმენადქცეულმა დურსუნმა გაკვირვებით იკითხა:

— რა, შენ გინდა, რომ გადავხტე?

— არა, გადახტომას ვინ გთხოვს, დამშვიდდი. ოღონ[illegible] ი რა. ჩემს მზერას გააყოლე თვალი.

[illegible] გადაიწია, რაც შეეძლო გადაჯეჯყა მკერდი, დურსუნს

კისერზე წაატანა ხელი, აიძულა ისიც მასავით მოქცეულიყო, მერე მაგურას მკლავს მიაჭდო მზერა.

— ხედავ იმ ჩამოკონწიალებულ ბოლოს? მაფთიზე გეუბნები, შტერო. ერთი ხელის გამოკვრა და მორჩა, სულ ეგაა. ლაპარაკშია გართული, ვერც გაიგებს.

— რას ამბობ, ჯო!

— ასეა ვიცოდი, არ იყავი ამის გამკეთებელი. მშიშარა სხვას რას აშაკებს. რა მოხდა, განა ძნელია? შენ ჩაიცლ ჩვეულებრივად, ხელის ოღნავ აწევა დაგჭირდება, და სანამ გონს მოვლენ, გემბანის იქითა მხარეს გაძვრები ხალსში. შალოს ამბავს კი კინოს შემდეგ გიამბობ, გზაში.

— მოხვალ? — თვალები აუციმციმდა დურსუნს.

— კიო. — თვალებითვე დაიმედა, — ოღონდ შენ იქნები ერთადერთი, ვისაც ჩემს გარდა ეგ ეცოდინება, გაიგე?

— რა თქმა უნდა.

— ჰოდა, გააკეთე, რაც გითხარი. არ შეგეშინდეს. მთავარია, არ შეგეშინდეს.

დურსუნმა თავი დაუქნია, მერე ზანტად, უხალისოდ წავიდა. ჯემალს თვალი არ მოუცილებია მიმავლისათვის, რომელიც გაუსწორდა მაგურას, შედგა, წამით შეყოყმანდა. ჯემალს გულმა რეჩხი უყო, ვაითუ ამხანაგს ვერ შეესრულებინა დანაპირები. და ბოლმა ჩურჩულით წასაცდა: — შენი ჭკუა ვატირე, დურსუნა, მიდი, შე ბოთე.

სიტყვა „ვატირე“ დიდი ხანი არაა, ნუგბარი საცუცნავივით იქცა მათთვის, ხშირ-ხშირად წამოაფრიალებდნენ ხოლმე მოკლე ფრაზების თავსა და ბოლოში ისე დაუდევრად, ფიქრისა და ტვინის ჭყლეტის გარეშე, როგორც ბილეთს — ავტობუსის ბოლო გაჩერებაზე ჩამოსული მგზავრი. დურსუნმა ჯემალისაგან პირველად რომ გაიგონა ეს სიტყვა, გაოცდა:

— გინება ისწავლე, ჯო!?

ბულვარის ბოლოს დადგმულ ტრის ვაგონში იყვნენ მაშინ. სულ გახარჯეს ხურდები, უკანასკნელ კაპიკამდე ისროლეს, მაგრამ ნიშაში არ უჯდებოდათ. ხოლო როცა ბოლო ნასროლიც ცარიელზე დარჩა, მაშინ თქვა ჯემალმა მათთვის მანამდე უჩვეულო სიტყვა.

გაბრაზა ამხანაგის შეცცალებამ. — ეს რა გინებაა, ყეყეჩო, — მიახალა ტირის ვაგონიდან გასვლისას, — რა ყველაფერი გიკვირს. მერე ცოტაც და, კინაღამ ისიც დასცდა, თუ მოვინდომე, შვიდი გოგო ერთდროულად მომწერსო წერილს. ხოლო თუ მაინც შეიკავა თავი და არა თქვა, იმიტომ, რომ იცოდა, არ დაუჯერებდა დურსუნი, სასაცილოდ არ ეყოფოდა, ბაქიბუქობაში ჩამოართმევდა. ტარაბახი კი, რაც მართალია, მართალია, არ უყვარდა ჯემალს.

მაგრამ ეს მხოლოდ პირველად, მერე კი შეეჩვია ყური, თანდათან გაუშინაურდა მათ მეტყველებაში შემოსული ახალ სიტყვას — „ვატირე“ — ხან დედის, ხან ჭკუის, ხან ყოფის, ხანაც ღმერთისა და რისთვისაც დასჭირდებოდათ, იმის მისამართით რომ გზავნიდნენ.

...მერე კი, თითქოსდა სულსწრაფი ამხანაგის შესარცხვენად, საპასუხოდ დაუმსახურებელი ლანძღვისა, რომელიც ცხადია, არ მისწვდენია მის ყურს, დურსუნმა უეცრად წაატანა ხელი ნასკვის კუდს, ფრთხილად მოსწია და რაღაცა ბოლომდე გამოხსნა, აჩქარებით განაგრძო გზა. მაგრამ არ გასულა მეორე ბაქანზე, იქვე მიეკედლა ვიღაცებს თეთრად გადებული ბორტის ბოლოში და სხვებთან ერთად მანაც დაინახა, როგორ დაეშვა წყალზე წითელი ქუდი, ნელა, ფარფატ-ფარფატით, ლამაზად დაჯდა სულ ახლოში, რადგან კატერი უხვევდა, და პირქარს ძალა დაეკარგა. დაინახა ისიც, მოაჯირს როგორ მოევლო თავზე ჯემალი, თევზივით გადაეშვა წყალში. და გემბანის შიშინი გაოცების ამოძახილში დურსუნმა გაიგონა საკუთარი ფიქრი:

გიჟია ე ოხერი!

ლალი გრეგვაძე

კენტავრის უკანასკნელი ზაფხული

ხსნასავით იყო წყალი, ერთბაშად მოაცილა ყოველგვარი უსიამო განცდა, წელში გამდრეკაც ტკივრთვით მოხსნა. გასდია ნაპირისაკენ ცერად დაძრული დინებას. მიდიოდა მსუბუქი მხარულით, მოხდენილი ბრასით, დელფინით. დაფწეოდა წყალგაუმტარ ძაფით ნაქსოვ ფარფატა ქუდს, ისევ მოისვრიდა მთელი ძალით, რაც შეიძლება შორს რომ წასულიყო, რადგან მიწეოდა კვლავ. ყოველი დაწევა წყალზე გადადგმული ერთი დიდი ნაბიჯი იყო. ზოგჯერ ოდნავ მოაბრუნებდა თავს, მაშინ ხედავდა კატერს, ფართოდ რომ რკალავდა ზღვის ამობურცულ თხემს, და რაც უფრო შორს მიდიოდა, რაც მეტად იზრდებოდა მათ შორის მანძილი, მით მეტად არსებობდა ის ფარული ქიშპი, რის წინაშეც ქედი არ მოიდრიკა ბიჭმა.

ნაპირი შორს იყო და ამ სიშორეშიც ნეტარება იგრძნობოდა, როგორც ორი არჩევანის შუა მდგარი ფიქრი წამით გადაერთვება, ანცი ბავშვის თვალით დაინახავს პირველთოვლობას და სიხარულით დაბნეულს უსახლკაროდ დარჩენილი ბეღურებიც კი ავიწყდება. მაგრამ ვეება ცის ქვეშ წყალში პირაღმა წოლისას გამოერევა წამი, როცა ბიჭი შემნდობია ყველასა და ყველაფრის მიმართ, როცა ეულია და სუსტი, როცა ეულია და თანაც ძლიერი.

გამოერევა

ოღონდ ბიჭმა არ იცის, რომ გარინდების სულგრძელი წამი არის თავის თავში მანამდე შეუცნობის აღმოჩენის, ანუ თავის თავში ღმერთის ძიებისათვის ხელისცეცებით ძლივს მიგნებული გზა, რომლის ბნელ ლაბირინთებში საკუთარი სულის კელაპტრებით უკვალოდ დაეხეტებიან კაცობრიობის მარადიულ ტკივილთა უხილავი აჩრდილები.

არ იცის

წინ ნაპირი ელოდება, ღვიძილი და გაუუოფელი. იგი მიდის ნაპირისაკენ, მიდის კი არა, მიილტვის, თანაც მიაქვს უხილავზე გამარჯვებისა თუ თავისივე თავზე აღმატების, ანუ ძლევის კრძალული სიხარული, ყველაფერი მიაქვს იქ, სადაც ნამგზავრი ტალღა დაღლილი მგზაურის ნათმენი ხვაშადიკით ამოადგაფუნებს, ამოყრის ოხვრას.

ისევ ხმელეთი, ისევ მზე, მისი წილი მზე, დასაკუთრებულიცა და საზიაროც, ჩაკონებული ჭერეხივით დაყრილ უცნობთა სხეულს. გასაშრობად გაფენილი ბიჭის ტანსაცმელი, წითელი ქუდი... გასაშრობად გაფენილი მისი ფიქრი. ო, როგორ მზისკენ გაწვდილ დრეკია ყლორტს ჩამომსხდარ ნიბლიებივით კანკალებენ მის ცხოვრებაში მოფლოდნელად მოსული, უეცარი შთაბეჭდილებები, განცდები, თავისივე ქცევის ამოუხსნელ უცნაურობათაგან შეჩქვიფებული სახტად დარჩენის წუთები, ნათხოვარი ღიმილივით უხერხულად რომ ამობაწროდა მისივ შინაგანი ხედვის ბუნდოვან თვალსაწიერს. მისკენ მიქცეული მზერა ისე უკრთებოდა, ეღლებოდა, თითქოს თოკზე გასული ჯამბაზის ფეხის მოძრაობას ემსგავსელისო. უძრაობაში, „მე“-სა და გარშემო არსებული სამყაროს ძლივსშესაგრძნობ ზღვარზე მდგომისათვის ახლა მხოლოდ ორი რამეღა არსებობს — სხეული და თვალი, მზის მცხუნვარებას დანებებული, ნაგვემივით მორჩილი სხეული და მონადირე, რაიმე ახლის, მისთვის მანამდე ანგარიშგაუწევლის, აზრმიუცემისა და მიუღებელის მაძიებელი თვალი. ასპარეზი ეთმობა თვალს, რომლის ჭრელ-ჭრელ ხილვებში მოილალება ბოლომდე შეცნობის უხუნდო სურვილი და თან მოაქვს წარსულზე, თვინიერ ბავშვობაზე გულაყრილობის ირონია, წამქეზებლური, იდუმალი კიკინი სხეულში უხილავის გადმოსახლების უზესთაესი აღტყინება, მკრეხელური ფიქრად რომ ჩამოხატდება უმალვე:

რა იქნება მხოლოდ ერთხელ დავადო ხელი. გამარტყამს? ჰა, ნუთუ გამარტყამს?

გოგოს თეძოს ბორცვზე დიდი შავი ხალი აქვს, ცერცვის მარცლისოდენა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წევს არხეინად და მასავით ბატკნის ბეწვივით ჩაბურღულთმიან მეორე გოგოს კარტს ეთამაშება. ბიჭი ამ მეორესას სახეს ხედავს, მხრებსაც, ხელებსაც, მას თლილი, ნაზი თითებით უჭირავს მარაოს ფორმაზე გაშლილი კარტი. „მაინც რატომ არიან ქალები წელში გამოყვანილები, ჩვენ კი ფიცარივით სწორები. თანაც ხორციც როგორი ფაფუკი აქვთ, არც ჩვენსავით მაგრად შავდებიან. არსებობს ნეტავ კაცი, ვისაც ამ ადგილას ამოსვლოდეს ხალი? როგორი შავია, ალბათ ერთი-ორი ღერი თმაც აქვს". არ დაემთავრებინა ფიქრი, რომ იმანაც, რომლის თეძოსაც ასე გაერთო, ოდნავ აბრუნა თავი, ეტყობოდა, კარტის თამაშის საჭიროებამ მოითხოვა ეს უნებლიე მოძრაობა. მაშინ კი ბიჭის თვალწინ ორი ერთნაირი, ზუსტად ერთნაირი პროფილი გაჩნდა. გოგცება კი არა, გოოცებაზე მეტი ეთქმოდა ამას, რიღაცა თავშეკავება, ვაა! — აღმოხდა ხმამაღლა, ისე ხმამაღლა, გოგონებმა გაიგონეს ანგარიშშიუცემლად წამოსროლილი სიტყვა, მიხედნენ, რასაც ნიშნავდა საკვირველის ხილვით ანაზდეულად შეკოწიწებული, ადვილად წარმოსთქმული სამიოდ ბგერისაგან შემდგარი შორისდებული. წამით შეწყვიტეს თამაში, ალმაცერად გამოხედეს ბიჭს და მისი გამომეტყველების პასუხად მიმტევებლურად ჩაიღიმეს. მანცდამაინც არ ეუცხოვათ გოოცებული ბიჭისა. ბიჭმა იგუმანა ეს, და სანამ ისინი კვლავ მიატრიალებდნენ ერთნაირ თავებს, დაასწრო, მარჯვედ იკითხა:

— ხომ არ გწყინთ?

— რა უნდა გვწყინდეს? — ერთდროულად თქვეს ტყუპებმა, თითქმის ერთდროულად.

— რომ გიყურებთ.

— გვიყურე, რა. — ცხვირი აიბზუა იმან, რომლის სახე ამ მცირე ხანში ისეთი სიზუსტით აღიქვა, ისე შეისწავლა და ეიმახსოვრა, რომ ამ მეორეს მა[illegible] ადარებდა ახლა, ადარებდა და ეძებდა მსგავსებას. თუმც მათ მსგავსებას არც სჭირდებოდა ძებნა, — ვაწლი რომ შუაზე გაგეჭრათ, ეგ იყო. [illegible] მაგრამ ყველაზე მეტად იმან გააოცა, გოგომ რომ წამოიწია და ნახევრად მჯდომარეს თეძოს თავზე სწორედ ისეთივე ხალი გამოუჩნდა, რამაც თავიდან ასერიგად მიიპყრო ბიჭის ყურადღება. გოგონებს ტანიც ერთნაირი ჰქონდათ. რა ავადმყოფური მსგავსება იყო, მასში იოტისოდენა პატივისცემაც არ იგრძნობოდა ინდივიდუალობის, ტიპაჟის, „მე"-სა და „შენ"-ს განმასხვავებელი განუმორებლობის, დიახ, განუმეორებლობის, რის გამოც ბიჭმა თავს უფლება მისცა, მოურიდებლად, ისეთი განწყობით, თითქოს მხოლოდ ერთ ადამიანს მივმართავო, თქვა: .

— მეც ვითამაშებ, თუ შეიძლება.

გოგონები გაჩუმდნენ, კარტი აუროვეს. ეს კი თანხმობად ჩათვალა ბიჭმა. ასეც იყო, ვიდრე ბიჭი მათთან დაჯდებოდა, კარტი უკვე სამ მოთამაშეზე გაიშალა.

ბიჭმა ხელუხლებლად დატოვა თავისი ნივთები, ოღონდ თვალი ძაინც იქით ეჭირა. ვინმემ რომ გაზაფხულზე წითელფერგადაღლილ, ზღაპარივით ლამაზ ველზე მოწყვეტილი ყაყაჩო მტვრიან გზაზე დაადგოს, ნაცრისფერი მტვრით გალიპლიპებულ გზაზე, ისე არ უუხდებოდა ეს ღაღანა ქუდი ბიჭის დაჭყლეტილ, უბადრუკ ტანსაცმელს. ფეხსაცმელები აღარ ჰქონდა, ცალი ცურვასას დაეკარგა, ცალიც ნაპირს მოღწეულმა თვითონ მოიცალოა წყალში. გოგონებთან სულ კოჭლობ-კოჭლობით მოვიდა, ისეთი ცხელი იყო ქვიშა.

ხელს ხელზე იგებდა ბიჭი და თანდათან იმსახურებდა პარტნიორების სიმპათიებს. მაგრამ აბსოლუტური გამარჯვება ეჭვსაც ბადებს სხვათა თვალში, ანდა ბადებს სურვილს, რომ გამარჯვებულს დაუპირისპირონ უფრო ძლიერი, გამოუძებნონ მასზე ღირსეული. თუ არა ასე, აბა რად თქვა ერთმა ტყუპისცალმა:

ლალი ბრეგვაძე
ქონტაბრის უკანასკნელი ზაფხული

— ჩვენ ამხანაგი გვყავს, მისი დედა მამაჩვენთან მეშაობს, ერთად დავდიგართ ხოლმე სტუმრად, ახლა მთაში ისვენებს, სვანეთი ქვია იმ ადგილს. აბა იმას ეთამაშე, ნახავ, ათი ხელიდან ორსაც ვერ მოუგებ.

— მოვუგებ, — თავის აუწევლად ამბობს ბიჭი. — იმასაც მოვუგებ. — თან განგებ აწიტებს გვერდზე, და ეს ხელოვნური სითამამე, უეცრად შეძენილი თავისუფალი, მოურიდებელი ქცევის მანერა ეხმარება დაიჯეროს, თვითონვე დაიჯეროს, რომ უსათუოდ მოუგებს.

— არ შეიძლება. — ახლა მეორე ამტკიცებს. — არ შეიძლება იმას ვინმემ აჯობოს. — თან აყოვნებს კარტის ჩამორიგებას. ბიჭს კი მოთმინება არ ჰყოფნის, ხელებში შეჰყურებს, კიდევ და კიდევ უნდა დაამტკიცოს, რომ კარგი მოთამაშეა. — ის უუკეთესია. — გოგო მიმიკას იცვლის სახეზე, — არც ტრაბახი უყვარს, არც გოგონების თანდასწრებით იფურთხება, თანაც როცა გელაპარაკება, სახეში გიყურებს.

— მაინც ვაჯობებ, — იმეორებს ბიჭი.

— ის მთებშია ახლა, მწვერვალებს ესაუბრება და ლექსებს თხზავს. იცი რა ძნელია ლექსების თხზვა?

— ის მთებშია, შორს, ძალიან შორს, მაგრამ თუ მოისურვებს, შეუძლია დგვინახოს. თვალები დახუჭოს და აი ასე, როგორც ესხედვართ სამნი, ზუსტად ასე დაგვინახოს.

— ოხ, რა წარმოდგენა ჰქონიათ. — ფიქრობს ბიჭი. მერე კი მისთვის აღარა აქვს მნიშვნელობა, რომელი და რას ამბობს, რადგან აზრებიც მათი პატრონებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. სწორედ ამ ერთგვაროვნობაში იყო შორეული. ბუნდოვნად საცნაური, მაგრამ აშკარა, ცოდვისა და ნეტარების ფარული, ოდნავ ზიზღნარევი ტკივილი, და ბიჭმა ისეთი უხერხულობა იგრძნო, ისეთი მოუსვენრობა, თითქოს ორპირ ქარში ბჯდარიყოს გაუნძრევლად და ძალრბილში უამოდ გამჯდარ სიცივეს გაჯიბრებოდეს. ტყუპთა მსგავსება, უძლერო ჭა იყო, და შიგ რაგინდ დაუსტულლბლად ექცირა ბიჭს, თავის ხატს კი ვეღარ დაინახავდა, არამედ საპირისპიროს, განსხვავებულს, რაღაც მარადიულ საწადელს, რომლისკენ ლტოლვა ყველა შარვლიანისათვის ჩვეულებრივ სურვილად ხდება ბოლოს და ბოლოს და მას ერთი ზოგადი სახელი ერქვა — ქალი. ე. ი. სიკეთე, წყალობა და იმავე დროს წყევლაც, ახდენა რომ ეწერა უეჭველად. მერე იმასაც მიხვდა, რომ საფთქელთან წამოფრიალებული წაბლისფერი თმები და მაგნოლიის ბკრთალი სურნელი, შერეული ზღვისპირულ საღამოხანის სიგრილეს, ქარში მოსმენილი მუსიკა იყო მხოლოდ, შემოდგომის ხატულა ფოთოლივით აფრიალებული მეხსიერების ყრუ კედლებისაკენ, რომელთა მიღმაც ადამიანები მარადიულ, უცოდველ ბავშვებად რჩებიან.

— უნდა წავიდე. — თქვა ბიჭმა, რადგან ზღვაში უკვე გამოჩნდა ნაპირისაკენ გამოშურებული კატერი, მაუწყებელი იმისა, რომ ბიჭი თურმე დიდხანს მოცურავდა. თითქმის მთელი დრო გზაში შემოხარჯვია. ათ-თხუთმეტ წუთში პირსს მოადგება კატერი, ბიჭიც ახლავე აიკრავს გუდა-ნაბადს. აბა აქ ხომ არ გამოიჭიმება ქუდით.

— დაიცადე? — ჰკითხა ერთმა დათაგანმა, როცა ბიჭი წამოდგა, — რატომ აჩქარდი. — თან კარტი აშალა.

მათ თავიდანვე შენობითში დაიწყეს ნაცნობობა, ახლაც არაფერი იყო საკვირველი ამ უცერემონიოდ ნათქვამში, მაგრამ თუ იგი მაინც ეჩოთირა ყურს, ეს იმიტომ, გოაცების საბაში ჰქონდა, აქამდე რად არ ენახა იგი, ან მისი ტუუპისცალი. კაცი რომ ვერ გაარკვევდა, რომელი რომლის ორეული იყო, ერთხელაც არ მოეკრა თვალი.

ჩაიცვა. პირობა დასდო, ხვალ ამ დროს მოვალ აქვეო. გოგონები არას ამბობდნენ. მათი დუმილი კი სარწმუნოს ხდიდა, რომ ბიჭი მართლა მოვიდოდა, მარტო კი არა, დურსუნთან ერთად, ორთავე ველოსიპედებით გამო-

ეცხადებოდნენ, მოუტანდნენ თეთრ ლეღვს და რამდენხანსაც დები მოისურვებდნენ, იმდენხანს დარჩებოდნენ მათთან. ეს ყველაფერი გაიფიქრა ბიჭმა, რასაკვირველია, გაიფიქრა, განა თქვა, განა წინასწარი შეთანხმება გამართა. დიდი ბიჭებიც ხომ არასდროს თხოულობდნენ ნებართვას. ჰოდა, ვისზე ნაკლები იყო?

— წავედი. — მიუგდო სიტყვა დამშვიდობების ნაცვლად ისე ნაჩქარევად, ისე უდიერი სითამამით, როგორც ნაყინის ყუთზე დადებულ მონპანსიეს კოლოფში ყრიდა ხოლმე ბურდა ფულს, და აზრადაც არ მოსდიოდა, გამყიდველისათვის სალამი ეთქვა.

საღამოს მთელი სახლისათვის ცნობილი იყო კატერზე მომხდარი ამბავი. ირიონდ მდგმური უნებლიე მოწმე გახდა, თუ როგორ შედგა მაგურას ქმარი ავნის მოაჯირზე, ჩამოხსნა თუთის ტოტზე დაკიდებული წითელი ქუდი და გადასცა ცოლს, რომელსაც ვერადა ვერ აეხსნა, საკიდრად რატომ მაინცდამაინც ხის ტოტი აერჩია ბიჭს, რაში დასჭირდა ამ სიმაღლეზე აბობღება. თანაც ისიც ვერ აეტანა, მდგმურები პირდაღებულები რომ შესცქეროდნენ მოაჯირზე შემოდგარ მის ქმარს. ამათთვისაც და ამ სახლში მობინადრე ყველა დანარჩენთათვისაც ყოველთვის ყურადღების საგანი იყო ეს პიკანტური წყვილი. და რახან მათ ვერაც გრძელ, მდგმურთა თავშესაყარ ვერანდაზე ხედავდნენ ხოლმე, ვერც აივანზე და ვერც საერთო სამზარეულოში, რა თქმა უნდა, შემთხვევითობისათვის უნდა მიეწერათ ახალგაზრდა ცოლ-ქმრის აივანზე ყოფნა. მაგრამ უცნობთა სახეები, ზედ ცბიერი ინტერესი რომ შეპარვოდათ, მათ ძველებურად კი აღარ შეჰყურებდნენ, ლამაზი ჩიტი რომ ჩაიფრენს და მზერას გაატან, ისე კი აღარ, არამედ ნასიამოვნები, ფამილარული ნიშნისგებით — ბოლოს და ბოლოს გაერიკეთო ჩვენს მარაქაში? მაგრამ მაგრამ აკი იცოდა, არავითარ მარაქაში არ გარეულა, ამიტომ ირიონდ წინადადება გახარჯა გარკვეულობისათვის: — სეირნობისას კატერიდან გადამივარდა ქუდი, ჯემალი თან გადაჰყვაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულაც არ გაკვირვებიათ ბიჭის თავდადება. ახალგაზრდა ქალი კიდევ მეტად მიმზიდველი იყო, როცა ლაპარაკობდა. მისი გულისათვის ყველაფრის გაკეთება ადვილად შეიძლებოდა. ოღონდ ესაა, მთელმა სახლმა იმღამესვე შეიქცია თავი ამ ამბით. განა ტყუილადაა ნათქვამი: ორმა თუ იცის, ღორმაც იცისო. ზოგი აქებდა ბიჭს, ზოგი პირიქით, ამბობდა, არც ერთი ჭკუთამყოფელი ბავშვი ასეთ რისკს არ გასწვედაო. ზოგმა იმის აწონ-დაწონა დაიწყო, ცოლი სჯობდა თუ ქმარი. რა დასამალია და, ისიც კი თქვეს, არც ისეთი გასაგიჟებლები არიან, რამდენადაც თავი მოაქვთო. აქაც ვერ მოუთმინა ვიღაცას გულმა, აღნიშნა, — გეთანხმებით, ყველაფერზე გეთანხმებით, მაგრამ რაღაც აქვთ ძალიან კარგი, მიმზიდველი, თუნდაც ის, ასე საოცრად რომ უხდებიანო ერთმანეთს! სულ მთლად ასალმა მდგმურებმა აღტაცება ვერ დაფარეს ასეთი აზრთა სხვადასხვაობით გამოწვეული მსჯელობის გამო და იხვეწებოდნენ, ხვალვე გვანახვეთ, რომელია ეგ წყვილიო.

ბიჭი კი იწვა თავის ციცქნა ოთახში, თვალმილულული შუალამემდე უსმენდა ჭერში კატების ფხაწუნს, თან ნატრობდა, ხვალამდე უფრო კარგად დამწიფებულიყო ლეღვი. და ამასაც ფიქრობდა ბიჭი, ნუთუ აუცილებლად ლექსებს უნდა თხზადე, რომ ვინმეს ნამდვილად შეეყვარდე. ისე შეუყვარდე, თავისი ნებით გაკოცოსო. მერე იგრძნო, რარიგ უაზროდ, სულელურად აუფორიაქდა გული, ოღონდ რა იცოდა, ამ ფორიაქს ტკივილიც რომ ეოქვა სხვაგვარად.

ღიაა სულის ყველა სარდაფი.
ნაზია და მწუხარე ღამეული ფიქრი.
მაგრამ წამდაუწუმაც ხომ არ ხდება, რომ

ლალი გრიგოლავა
ქალბატონის უკანასკნელი ზაფხული

საკუთარი სურვილით ვაკითხავდეთ სევდას, ბაგშვობიდან მოყოლებული, მთელი ცხოვრების ბაზე პატარ-პატარა სადგურებივით რომ გველოდება. და თუ არა აქ, კიდევ სად შეიძლება უფრო ახლო მივიდეთ ჩვენს თავთან, ვიტიროთ იმის გამო, რომ სუსტები ვართ, იმის გამო, რომ ასე კარგები ვართ, ცოდვილნი, მაგრამ მაინც ღვთისმოსავნი, ბოროტნი, მაგრამ მაინც უზომოდ კეთილნი, და ჰაი, რომ მდუმარებაში ვიოხებთ ხოლმე გულს, მწარე მდუმარებაში, რადგან ყველა ჩვენგანში სახლობს მივიწუვებული წმინდანი, რომელსაც, როცა მოგვესვრება, მაცხოვარივით გავეკრაჯთ სევდის ჯვარზე, მთავარი კი ისაა, ამისათვის არ გვეხრდება არც ოუდა, არც ვერცხლი, არც სამართალი. ჰოდა, იქნებ ესაა ერთადერთი შესაძლებლობაც, სადაც თავისუფლებას საზღვარი არა აქვს.

...ოღონდაც!..

ხომ ამოსცდა ნათელი. განაღა აქვს აზრი გრძნობისა და ფიქრის წინაღამინდელ ჭირვეულობას? ახლა განა ვინ იტყოდა, რომ ბიჭის გულს ოდესმე მიჰკარებოდეს ხინჯი და ეჭვი, და მისი ლაი სუნთქვა ერთხელ მაინც შეეგუბებინოს უნებლიე ამოოხვრას.

ღილდანეე გამოიყვანეს ზღვაზე ბაიდარკები. კეპებჩამოფხატული სპორტსმენები მთელ სიგრძე-სიგანეზე სერავდნენ წყალს ამ ფერად-ფერადი ნავებით.

იწურებოდა აგვისტო, ოდნავ გამსუბუქებულიყო ნაპრი, ერთი დღე-ღამეც საკმარისია ზღვაზე, მკვეთრი ცვლილება რომ მოხდეს. რაღა დარჩა, ორიოდ დღეც და ხავერდოვანი სეზონი დაიწყებოდა, მოიწყნენდა ზღვა, ბებრების სიყვარულის დრო დადგებოდა, როგორც აქ ამბობდნენ. მებაიდარკეებს კი ვერ მოეთმინათ, ადრიანად შესდგომოდნენ ვარჯიშს. კაცმა რომ თქვას, არც ეშლებოდათ ხელი, თავისუფლად დანავარდობდნენ.

იჯდა ჯემალი სანაპიროს მომზღუდავ პარაპეტიდან პლაჟის ყვითელ სილამდე ბრტყელ-ბრტყელ, ნაცრისფრად ბზზინავ საფეხურებად მძიმედ ჩამოწოლილ ბეტონის კიბეზე, ნაპირსამაგრებლის მაგვრობას რომ სწევდა ზღვისპირა მოსახლეობისათვის, იჯდა და ისეთი გატაცებით გასცქეროდა ბაიდარკების სრბოლას, როგორც ყმაწვილი შეიძლება უცქერდეს მისთვის [illegible] ლეს სანახაობას. მისი შემხედვარე იფიქრებდა, რომ ბიჭს დაუსრულებლად შეეძლო მჯდარიყო აქ, ფეხი არ მოეცვალა ადგილიდან. ეგებ ასეც იყო, ეგებ არაფერზე არ გაეცვალა ეს სიამოვნება, რომ უცნო ხმას ზედ მის ყურთან არ ეთქვა:

გამარჯობა, ვაჟკაცო!

ბიჭმა იჩქითად მოხედა. მაგრამ ქმარი ეჯდა გვერდით. ისე დაებნია მოულოდნელობამ, ძლივსღა მოახერხა სალამზე დაგვიანებული პასუხი მაინც მიეგო.

— გაგიმარჯოთ. — ამოღერღა ბიჭმა.

— დღეს დაიწყეს პირველად? — ბაიდარკებზე ანიშნა.

— დღეს. — თქვა ბიჭმა. ქუშად გახედა სივრცეს. ახლა სამი ბაიდარკა ერთმანეთის გვერდიგვერდ მოჰქროდა, ჯვარედინად სერავდა დინებას. — წითელი კარგი მენიჩბეა (იგი ნავის ფერს გულისხმობდა). ნახეთ როგორ მარჯვედ უსვამს ნიჩაბს, რა მსუბუქად ხმარობს ხელს, მაგრამ მისი ნავი ოითქოს ოდნავ განიერია დანარჩენებზე.

— ვითომ?

— კი, სულ ოდნავ. მაგრამ ამ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ დროზე არ გამოცვალა, ტყვილად ექნება თავისი სიმარდის იმედი. ბაიდარკა გველთევზასავით უნდა იყოს. — ისე თქვა ბიჭმა, გეგონებოდათ ამ საქმეში ჭიპი აქვსო მოჭრილი.

ახალგაზრდა კაცს გაეცინა. ბიჭს რაც სჯეროდა, ის იყო მისი სიმართლე. სწორედ ეს მოეწონა კაცს და თბილად გაიცინა.

— ჰო, იქნებ მართალი ხარ. — უთხრა მერე. — და საერთოდაც ყოჩაღი ბიჭი უნდა იყო, გეტყობა. აბა შენს ადგილას სხვა ვინ გაბედავდა... მაგრამ როგორ მოგვიდა თავში, ქუდის გულისათვის იმ სიღრმეში გადამხტარიყავი, თანაც საიდან...

ბიჭი არ დაფიქრებულა, პასუხის გასაცემად ჯიბეში კი არ დაუწყია სიტყ-

კებისათვის ჩაძრომა, თავისუფლად, ამგვარ საუბარში გამოჯეკილივით მიუგო.

— თქვენს მეუღლეს ძალიან უხდებოდა ის ქუდი.

მეუღლესო. — სწორედ ასე თქვა. ძაინც საიდან მოიტანა ეს სიტყვა, რანაირად მოადგა ენაზე. ცოლი ეთქვა, სხვა საქმეა, იქნებ მაშინ არც გაკვირვებოდა კაცს ბიჭის პასუხი. ამან კი არც აცია, არც აცხელა, აიღო და ასეთი გადაპრანჭული სიტყვა მიაგება. — მეუღლესო. და ახალგაზრდა კაციც ძალაუნებურად განეწყო სერიოზული საუბრისათვის.

— უხდებოდა? — გაიმეორა მან. — მერე ამას რა კავშირი ჰქონდა შენთან?

— არაფერი, — უთხრა ბიჭმა, — ოღონდ ვიფიქრე, ქუდი რომ დაეკარგოს, შეიძლება გული დაწყდეს-მეთქი. მაგურა გუშინ კი არ გამიცვნია.

— ვიცი. — თქვა ახალგაზრდა კაცმა. — შარშანაც აქ ისვენებდა.

— დიახ, — მიუგო ბიჭმა, — აქ ისვენებდა. მაშინ თქვენ ერთად არ იყავით.

ახალგაზრდა კაცს მოეჩვენა, ბიჭს უნდოდა ეთქვა, — მაშინ შენი არ იყოო, მაგრამ ნაცვლად ამისა თქვა — ერთად არ იყავითო. ისევ გაეცინა. განა შეიძლებოდა საუბრის გაგრძელება? მართლა მოეწონა, ნაღდი ბიჭი დადგებაო.

— გაიფიქრა, თან ხელის დიდი მტევანი დაადო თავზე, აურია მზისგან გარუჯული, მთელი ზაფხულის ნაზარდი თმა. მერე ადგა და კიბის საფეხურს აუჩქარებლად გადაჰყვა ჩრდილოეთისაკენ.

აწი ბაიდარკებით წვრთნაც დამთავრდებოდა, სპორტული ბაზის ზონაში გადმოათრევდნენ ნავებს. იქითკენ მიდიოდა კაციც. „თავს მოვიჭრი, თუ ნაპირზევე არ ნახოს წითელი. დარწმუნდება, რომ არ ვცდები, არ მატყუებს თვალი“. უზომოდ ბედნიერი იყო, იმღენად, რომ შეაწუხა კიდეც სიხარულმა. თითქოს ყველაფერი, რაც ოდესმე სწყენია, მხოლოდ იმიტომ სწყენია, რომ ეს სიხარული გამოესყიდა ბიჭს.

მერე დიდხანს ცურავდა, ებრძოდა მძიმე წყალს, და რატომღაც ახსენდებოდა უკვე მივიწყებული, პარკში ნანახი სახელეციანი ბოროტი ბერიკაცი, და ერთი-ორჯერ ფარულ წყენასავით იმანაც გაურბინა გონებაში, ხომ არაფერი დაემართა, რატომ ვეღარსად მოვკარიო თვალი. დიახ, ფარულ წყენასავით, ალბათ იმიტომ, რომ მტერიც და მოკეთეც ცოცხალი სჭირდება ადამიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა იძლევა ძალას, — ასე სჯეროდა ანთოსზე მითის შემქმნელს. „გვირგვინის“ ღერძიც დედამიწის ეკვატორს ემთხვევა. პირველი ქართველი კოსმონავგია ნაწარმოების ლირიკული გმირი. ყოველ შემთხვევაში ასე წარმოვიდგინე მე. მისი ფრენის მართვის ცენგრი საყვარელი ქალის გულია, რომლის ერთგულებაზეც არის დამოკიდებული ვარსკვლავეთში მხარგაშლის დიაპაზონი.

ირმის ნახტომი

(სონეტების გვირგვინი)

1

შემოვეწყობი დიდი დათვის თანავარსკვლავედს
ნანებივრები თავაწყვეტილ ფიქრთა ამალით.
გადამეშლება კოსმიური სივრცის ტრამალი,
ეგებ სამყაროს მივეახლო მთავარ ნასკვამდე.

რა მანძილიც აქვს გასავლელი ვნებას დასკვნამდე,
თუმცა ორივე სულ სხვადასხვა ცნება რამ არი, —
შემომერტყმება ის მანძილი, როგორც ქამარი
და ასე მინდა, რომ თანაბრად დროს და გზას ვკლავდე;

წინ დროშასავით წამიძღვება შენი თმის ქარი,
ცისკარი მწუხრი გახდება და მწუხრი ცისკარი,
რადგან კანონი გადიქცევა უკანონობად.

სხვა გზით წარმართავს მომავლის გზებს ბედი-მეისრე,
უკან დამრჩება სიძულვილი, უკან — მონობა.
თვით ალიოტზე დაგიკრეფავ ედელვეისებს.

2

თვით ალიოტზე დაგიკრეფავ ედელვეისებს,
ირმის ნახტომით სონეტების გვირგვინს დაგიწნავ,
რომ ვარსკვლავეთთან სამუდამოდ ძმადგანაფიცმა
აპრილის ჯილით შემკობილ თავს ვდიო მე ისე,

როგორც არასდროს უდევნიათ ღმერთებს, კეისრებს,
გზამიცემულებს არიადნას გრძელი ძაფისგან,
გაკიდებულებს საყვარელი ქალის კაბის ქარს,
რომ აგრილებდა თვალებიდან ნატყორცნ გეიზერს.

მე კი შენს ცრემლებს არასოდეს დავენახვები,
თუნდაც მწყევლიდნენ ჩვენი ზვრები და ვენახები,
სადაც მტევნებად ასხმულია შენი თვალები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადაც ათასი მეოცნებე დადის ხეირზე.
მივქრიავარ, მალე, ჩანს, ვარსკვლავად შევითვალები,
ვეებერთელა თვალს ჩამიკრავს ბეტელჰეიზე.

3

ვეებერთელა თვალს ჩამიკრავს ბეტელჰეიზე,
გულმოცემული დავივინყებ სიმშვიდის ნყურვილს.
ვიურვებ ლხენით დღეცისმარე და ვილხენ ურვით,
სულ ერთი არის შენ შეისმენ თუ ვერ შეისმენ.

არ მოგროვდება მოყაყანე ხალხი სეირზე,
ველარც მომწვდება გამჭორავთა ენა და ყურნი.
ვიქროლებ სადღაც ბედნიერი ხანმოკლე კრულვით,
დედამიწაზე რაც მომისწრეს და რაც შეიძლეს.

ნეტავ სადა ღვრი ცრემლებივით სპეტაკ სიმძიმილს,
ნუთუ არაფერს გიმკითხავებს ზეცის ციმციმი,
სადაც ანაზდად კაბადონზე ისე ინათლა,

თითქოს სიმართლე დასცდათ კარის თამამ მასხარებს,
თითქოს წყვდიადში დამამწყვდია იმ გოლიათმა,
შენთვის ბრძოლისას სიზმარში რომ დამამარცხა მე.

4

შენთვის ბრძოლისას სიზმარში რომ დამამარცხა მე,
არ გაგიმეღლავნე, შემეშინდა შენი წყენისა.
არ ჩამითვალო მოჭადრაკეს ეს სვლა ცხენის სვლად.
ჩემი კი არა, ცრუ დუმილი სხვისიც მაცხარებს.

მე ახლა ვითვლი ანდრომედას ღაწვზე ბაც ხალებს,
რომელთაც ჩემგან ავარდნილი მტვერი შენისლავს.
პირველი მწერალ ხელს, ხელს საშველად გამოშვერილსაც
წარმოვისახავ, გული მეწვის და მიფანცქალებს.

ნეტავ ამჟამად ეგ ხელები რას აკეთებენ —
ყუმბარას ხომ არ მიმზადებენ ასაფეთქებელს
ანუ გესლიან წერილს მწერენ ცის მისამართით.

ახლა ის დროა, გლეხები რომ მიწას ფარცხავენ.
შემომეყრება ჭაობივით ძნელი ალმართი —
ᲨᲘᲠᲐᲨᲘ მეტყვის: მაგას არ აქვს არც დღე, არც ღამე.

5

ᲨᲘᲠᲐᲨᲘ მეტყვის: მაგას არ აქვს არც დღე, არც ღამე.
როგორც კეთილი იმედის კონცხს, ვენდობი ᲨᲘᲠᲐᲨᲘ.
სიკვდილის პირას მივალ, როგორც მდინარის პირას,
თუ ვერცხლის თმები მოღალატედ არ შემრაცხავენ.

ძვალშესალაგნი ძლიერ ჰგვანან წიგნთა საცავებს,
მიწაზე მრავალ ძვალშესალაგს ვწევევარ ხშირად
და მიფიქრია, რომ ცხოვრება არა ღირს ჩირად,
გახმობისათვის ქალები რომ ძაფზე აცვამენ.

Ჯ. „ცისკარი“, № 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სწრაფვაში დამვიწყნია დღის მოსასვლელი,
შემომაშველე, გალაქტიკის ნისლო სასმელი,
ეს ყველაფერი სიყვარულის გამო ვიღონე,

რომლის ბადალი სიმხურვალით მარტო მზე მიმზერს
და აღარ ვიცი მომესმა თუ გამოვიგონე —
მე მეწვიეო ჩემს კისერთან დამდგარ ზეიმზე.

6

მე მეწვიეო ჩემს კისერთან დამდგარ ზეიმზე,
მოულოდნელად მომწვდა ეს ხმა და გამარინდა.
ოდესმე შენ რომ გაატოლე აკვამარინთან,
ᲫᲘᲠᲐᲤᲘ მოჰგავს ზღვის ტალღებში დანთქმულ კრეისერს.

ახლა მე ვიცი მისისიპზე, პოზე, რეინზე,
გვადალკვივირზე, მტკვარზე, დონზე ცურვის დარი დგას,
მეც ძირს ჩამოვალ, თუ ნახტომი გამიღარიბდა,
თუ დაეღვარა ციურ ირმს დასაღვრელი რძე.

და დამიდნება შენეული აკვამარინი,
როგორც წარსული, ლუდის ქაფი ან ქვამარილი,
ეგერები რომ უზიდავენ ნაკრძალის ირმებს.

ერთი წკვარამი გამეფდება გორზე, ბერლინზე,
დაეკეცება ფრთები ცისკენ მიმქროლავ ფრინველს,
მთვარის ცხელ შუქზე შავშავ წარბებს შეჰყრის ბნელი მზე.

7

მოვარის ცხელ შუქზე შავშავ წარბებს შეჰყრის ბნელი მზე.
დაიქუფრები შენ, ზესკნელო, სევდით მოცულო.
მე კი მივქრივარ, გამარჯვების ხატზე კლოცულობ,
როგორც დაღლილი ჩოგბურთელი ბოლო გეიმზე.

მეკვიატება ერთი აზრი ცთომილ მემიზნეს —
შენთან მოსვლამდე სხვა სამყარო რომ გადმოვცურო,
ᲛᲘᲠᲜᲘᲡ ფაფარზე ჩემს მაშვრალ შუბლს ოფლი მოვწური
და დავესიზმრო ძირს ვეზუვის ძილს აპენინზე.

იფეთქოს მიწამ, გულისძგერის ექომ იგრგვინოს,
ცამ გადიკაროს უხალისოდ და უგვირგვინოდ.
დიდი ავდრების მოლოდინში დავრჩე ნიადაგ

და თუ ვნატრულობ საქანელად ქალის ნაწნავებს,
ჩანს, უახლესი საზრუნავი გამჩენია და
ᲗᲔᲗᲠᲘ ᲯᲣᲯᲔᲑᲘ ჩემს სიხარულს ლხენით არწყავენ.

8

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲯᲣᲯᲔᲑᲘ ჩემს სიხარულს ლხენით არწყავენ
და თუ ოდესმე დაუტკბება ფარხადს შირინი,
სიკეთის მარცვალს მივაბარებ მიწის შვილივით
ურწყავ ნაკვეთებს, ყამირ ველებს, მინდვრებს სარწყავებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღარ შევნატრი მათუსალას, არც ბზებს, არც ყვავებს,
ჩემი ჩრდილიდან ჩამოაღწევს ჩელოს ჩივილი.
შენ თან გაგყვება მისეული ხმა აჩრდილივით,
მე სამიჯნურო იდილია ვერ დამაწყნარებს.

ფეხქვეშ მაღრიბი გამეგება, როგორც მაშრიყი,
ნაზირ-ვეზირად მეყოლება ყველა არშიყი,
ვისაც თვალებიც კაჟისა აქვს, გულიც კაჟისა.

ქვიშის კოშკების ხუროთმოძღვრებს, მუშებს, ინჟინრებს
მივახარებ, რომ აღარ ჰქონდეთ შიში დასჯისა.
დედამიწაზე ავხსნი ღუზას და ვიყიჟინებ.

9

დედამიწაზე ავხსნი ღუზას და ვიყიჟინებ.
მოკლე ტალღებზე დაიჭერენ ყიჟინს ჩიტები.
მიზიდულობის ძალას ისე შევეჭიდები,
რომ შენ არ მოგთხოვ ამისათვის ჩინებს, ჯინჯილებს.

თუმცა წინდაწინ გამარჯვებას ვერ დავიჟინებ,
შემემოსება ზეცად შენი სახე დიდებით.
ჩემი სიმაღლის ნიშანსვეტზე მონმედ მჭირდები,
დედისერთა რომ ცაში ვეძებ დედმამიშვილებს.

მზეს — დედას ჩემსას, მთვარეს — მამას, ვარსკვლავებს —
და-ძმებს
მოვინახულებ, პირველყოფილ სიმორცხვეს ღავძლევ,
უკან წასაწევ გზას შესცვლის გზა წინ დასახევი.

შენი დამცველი ჯადოქარი ვეღარ მიჩივლებს
და ყოვლისშემძლე სიყვარულის წმიდა სახელით
ჯურღმულში იმედს ჩავუნერგავ სიკვდილმისჯილებს.

10

ჯურღმულში იმედს ჩავუნერგავ სიკვდილმისჯილებს
რწმენის, სიმართლის და მამულის სიყვარულისთვის.
მივქრივარ ზემოთ, არწივის ფრთას კი განვურისხდი,
რომ არ მაჩვენებს ღვთიურ მთიებს და ცას მიჩრდილებს.

უკურნებელი სატკივარი თუ მოვირჩინე,
თუ არ ჩამთვალეს სამყაროში, როგორც ტურისტი,
ოუ სადარდელი შენმიერი ვძლიე ურიცხვი,
განსაწმენდელად რაც ჩემივე ნებით ვირჩიე,

მაშინ უთუოდ დავმუნჯდები ბოლეროსავით
და გავგრძელდები მომავალში ჰომეროსამდის,
მალებს დავიმტვრევ ხერხემალზე ჰეგზამეტრივით.

ლურჯ ცისარტყელებს გამოვაწრთობ ცეცხლის ენებაზე
მიტომ მეწვევა შენი სხივი ზეღვთაებრივი,
თანაბრად იგრძნონ სიხარული ჩემი ერებმა.

11

თანაბრად იგრძნონ სიხარული ჩემი ერებმა,
ძირსდაცემული სიყვარულის გაცოცხლდეს კერპი
და დედამიწას მოაშოროს, ვითარცა კემპინგს,
გზადაბნეულმა მოგზაურმა — ბედნიერებამ.

ქვეყნის სუყველა სარკმელს გავხსნი, თუკი მენება,
გათხელდებიან კაუჩუკის ლანჩები ცეკვით
კასტანეტების ტკაცატკუცზე, ძვირფასო, მე კი
ღვინით შევხვდები უნახავი დღის გათენებას.

მოგითხრობ თუ სად ვტრიალებდი, სად გეწეოდი,
სად მიმყავდი და ძველქართული სადღეგრძელოთი
მე გაიძულებ გაწითლებას დაფიონსავით.

წამს დაიშლება საიდუმლო ყველა სერობა
და, ვით ნაპოვნი მბრსზე თვალი პატიოსანი,
უცხო გვირგვინი განაცვიფრებს ვიცი ევროპას.

12

უცხო გვირგვინი განაცვიფრებს ვიცი ევროპას.
გაკვირვებისგან თვით აზია დარჩება სახტად,
სადაც სიყვარულს ჰარამხანა გააჩნდა ტახტად
და შუამავლად საჭურისის ენამჭევრობა.

ყველაზე მღვრიე ტირანული სისხლიც ვერ მობანს
უკუღმართ ვნებას შორიახლო სხვადასხვა ხალხთა.
ჩემი სალამი სასიცოცხლოდ გაყვანილ არხთან
დამდგარ მეზობელს, სისხლსა და ხორცს, მომმეს, მეგობარს.

საჩემიანო ტრფიალების ალმურს მოუცავს —
ერთიანად სწვავს მცხუნვარება მრწემსაც, დროულსაც.
ალაზნის ველი ისე გარბის მდინარის გასწვრივ,

თითქოს გაროზგეს ფიროსმანის შველი ელვებმა.
თუგინდ ალმართზე დავადგები გოლგოთის გზაწვრილს,
ოღონდ გიყვარდე, მიწიერო მშვენიერებავ.

13

ოღონდ გიყვარდე, მიწიერო მშვენიერებავ,
თანამგზავრივით მომყვებოდე თამამად გვერდში.
ეს დაიხსომე — კუნთში ძალა ვიდრემდე გვერჩის,
ნუ გამოვარკვევთ სურვილებით ვინ ვის ერევა.

ერთნაირ ზეიმს გადავუხდი თბილისს, ერევანს,
მტრედს ზეთისხილის რტოს გავატან ტრაფალგარ
სკვერში...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარღვნასთან ქერჩი გამახსენდა, წარღვნა და ქერჩი,
შენ კარგად იცი, ერთმანეთში რისთვის მერევა.

შენს ფანჯარასთან ფარშევანგად მოვაფრენ აისს,
გამოგაფხიზლებ შეშინებულს სიზმრისგან და ის
მთლად უსაფუძვლო შენი შიში გამანაწყენებს.

არ შემიძლია ჩემს ფილტვებთან ვიცბიერო და
შენი ჰაერით არ ვისუნთქო, თუნდაც დამწყევლე,
ოღონდ გიყვარდე, მშვენიერო მიწიერობავ.

14

ოღონდ გიყვარდე, მშვენიერო მიწიერობავ,
თუთის ხესავით შემარყია ნაღდმა სურვილმა.
მე სიყვარულის მონასავით დაღდასმული ვარ,
მკაცრ ეპოქაში მჭირდება ეგ ღვთისნიერობა.

ერთად ავაგოთ ამ დროების ღირსი შენობა,
თვალები რათა დაებრიცოს ათას შურიანს,
გადავაჯეროთ, ვინც ურწმუნო არის სრულიად,
მფრინავი თეფშის გამოჩენის უსაშველობა.

შემხვდი თანხმობის მოედანზე ეიფელს ახლოს,
სადაც სასახლის მოდგასულ შლეიფებს ნაღვლოპს
მსუბუქი სიო მეცხრამეტე საუკუნიდან.

თან შეგეხები, თან მოგწყდები, თან ამ ასპარეზს
დავტოვებ შენგან უბოდიშოდ გულნაკლული და
შემოვეწყობი, ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲗᲕᲘᲡ თანავარსკვლავედს.

15

შემოვეწყობი ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲗᲕᲘᲡ თანავარსკვლავედს,
თვით ᲐᲚᲘᲝᲗᲐᲖᲔ დაგიკრეფავ ედელვეისებს.
ვეებერთელა თვალს ჩამიკრავს ᲑᲔᲢᲔᲚᲯᲔᲘᲖᲔ,
შენთვის ბრძოლისას სიზმარში რომ დამამარცხა მე.

ᲫᲘᲠᲐᲨᲘ მეტყვის: მაგას არ აქვს არც დღე, არც ღამე,
მე მეწვიეო ჩემს კისერთან დამდგარ ზეიმზე.
მთვარის ცხელ შუქზე შავშავ წარბებს შეჰყრის ბნელი მზე,
ᲗᲔᲗᲠᲘ ᲯᲣᲯᲔᲑᲘ ჩემს სიხარულს ლხენით არწყავენ.

დედამიწაზე ავხსნი ღუზას და ვიყიჟინებ,
ჯურღმულში იმედს ჩავუნერგავ სიკვდილმისჯილებს,
თანაბრად იგრძნონ სიხარული ჩემი ერებმა.

უცხო გვირგვინი განაცვიფრებს ვიცი ევროპას,
ოღონდ გიყვარდე, მიწიერო მშვენიერებავ,
ოღონდ გიყვარდე, მშვენიერო მიწიერობავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი არსება

მე ჩამბაბარეს ჩემი არსება,
მეც... ჩავიბარე საუბედუროდ,
და მისთა საქმეთ, ხდება ასედაც,
ვერა ვწვდები და ვერა ვგებულობ.
კიდეც განვსაჯე, კიდეც დავენდე,
ვკითხე საიმდროვ-საამდროულოც...
ძალიან ხშირად მე მას დავეძებ,
ძალიან ხშირად ვერცა ვპოულობ.
ვიტყვი, მივაგენ და... მეკარგება,
ვიტყვი, ჩავწვდი და... ჰბურავს
ნისლები,
ვრჩები ასეთად, რჩება ასეთად, —
არც ის იცვლება, არც მე ვიცვლები...

მე კი...

ახლა იქნება გვიანიც არის,
იქნებ კი არა, ასეა სწორედ...
მე კი ზედმეტი ლოდინით წყნარი
იმედიანად გავყურებ შორეთს.
ვინ მიკარნახა ეს ამოდენა
ან სიჯიუტე, ანდა ლოდინი,
ან... ეს უტყვი და ჩუმი გოდება,
ან... უხილავის ხელით პოტინი,
ხომ შეიძლება მეც დავიღალო,
მივინავლო და ჩავქრე სრულიად...
მე კი არ მინდა, ჯერ დამილამდეს,
მე კი სიცოცხლე ჯერაც მწყურია.

ამ ასი ტყვიით

ასი ნაოჭი ლამაზყოფილ დედის ხატებას,
ასი ნაოჭი და... ასივე მიძღვნილი ჩემი...
ასი ნაოჭი... ვწყევლი ქვეყნად ჩემს დაბადებას, —
ამ ასი ტყვიით დაცხრილულ ვარ ტერფიან-თხემით.

იდუმალ მხარეში

მე ვიხედები ჩემს სამყაროში, —
ამ უძიროსა და ბნელ ხაროში.

ნიჭს, უნარსა და ძალ-ღონეს
ვიწვევ, —
არსების ჩემის შესწავლას ვიწყებ;

წინ მიდევს ვრცელი, ნაცნობი
წიგნი, —
ეფურცლავ... შეცდომებს ვეძიებ
შიგნით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქ... სინათლეა... გზაა... ტევრია...
ამოუცნობი ბევრზე ბევრია.

რა, რატომ, რისთვის, რის გამო
ხდება,
როდის, რამ, რატომ მიცვალა ნება,

ხშირად რის გამო მერთმევა ფრთები,
ან რატომ ვზეობ... ვერაფრით
ვხვდები...

ოდუმალებით მოცულს მხარეში —
დავბორიალობ ჩემს სამყაროში.

ვაჰ, თუ...

აჰა, სარკმელთან მოდგა კვირადღე,
ზეცამ მტრედები დაგზავნა თეთრი,
ვიტყვი: წავალ და თვალს გავილაღებ,
წავალ და არაგვს ავყვები-მეთქი.
თუ მშველის ამ დროს, არაგვი
მშველის,
თქვენ გყავდეთ თქვენი დარდის
ზიარი —
დიდი ქალაქის ერთგული სენი —
ღელვა, გნიასი, ორომტრიალი.
გავურბი სახლებს, მაღალ
სართულებს, —
ცივად რომ გჭვრეტს და არც
მოგაყურებს.
გავურბი ქალაქს, მიველტვი არაგვს,
სიო მითრთოლებს ოქროსფერ
დალალს.
მკერდიდან იძვრის ჰანგი რამ, უცხო
და ჰანგი იგი სხვა ახალს უხმობს.
და უცებ... ეჭვი ჩნდება და...
მზარავს,
უეცრად ეჭვი გამბურღავს ერთი —
ვაჰ, თუ სხვა ფერი დაედო არაგვს,
ვაჰ, თუ სხვაგვარი დამიხვდეს-მეთქი!

და მაინც...

და მაინც, მაინც, რაა ცხოვრება, —
ქარი, ღრუბელი, სუსხი თუ... ნისლი,
გამძლეობაა, მოვალეობა,
ფუჭი გარჯა თუ... ესეც და ისიც.
რა აზრი დასდევს ამქვეყნად მოსვლას;
ან დაუწერელს ვინ გვიწერს
წესებს...
რად ერთს ეკალი, სხვას — დაფნა
ჰმოსავს,
მეც მაწრიალებს კითხვები ესე.
რაა ცხოვრება და მისი არსი
და კერძოდ, ჩემთვის რა არის იგი, —
ჩაღრმავებაა საკუთარ თავში,
თუ... წასვლა-მოსვლის ჩვეული
რიგი...
იქნებ რწმენაა, თმენაა იქნებ,
ან... ტანჯვა, ანდა — ესეც და ისიც...
ვერაფრით ვაწყობ აწეწილ ფიქრებს,
ვერ გამიფანტავს გარშემო ნისლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ბედნიერებას იმ დღეს ეცვა
უბრალო კაბა,
მხრებში მოხრილი მიდიოდა
პატარა შუკით,
თვალებში ედგა უჩვეულო
სინათლის შუქი, —
რაღაცა ძნელი სიხარული
მიჰქონდა ალბათ.

ჩავუარე და არ შევჩერდი,
არ გავყევ უკან,
მხოლოდ ღიმილი შევაგებე,
თავაზიანი,
მოვიხედე და...
დადევნება იყო გვიანი —
უკვე გაევლო გასავლელი
პატარა შუკა.

●

მე ვარ მეისრე,
ვცხოვრობ აქვე, რკინიგზასთან
პატარა სახლში,
მე მევალება —
მატარებლის გამოჩენისას
გამოვიდე რკინიგზის პირას
ყვითელი ალმით
და მატარებლის მემანქანეს
ჩემს უბანზე უსაფრთხოების
ნიშანი მივცე.

მე წლიდან წლამდე
გამოვდივარ რკინიგზის პირას
მატარებლის შესაგებებლად
ყვითელი ალმით
და წინასწარ ბეჯითად ვიცი,
რომ ჩემს ბაქანზე
ერთხელ წუთითაც არ გაჩერდება
შორი გზებისკენ მიმავალი
მატარებელი.
მე ვარ მეისრე
პატარა ბაქნის.

ვინ დადის აქეთ?!

მიწის ზედაპირს ოდნავ აჩნია
ბილიკის კვალი...
ვინ ცხოვრობს ნეტავ აქეთა მხარეს
ან ამ ბილიკით აქეთ ვინ დადის,
რომ დადის ასე კანტიკუნტად
მაგრამ მაინც აქეთკენ დადის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვისი სურვილით დადის აქეთ,
ან ვისი დარდით?!

ახლა, როდესაც ყველა მგზავრი
დიდ გზატკეცილებს ეტანება,
ვის მოწყურვებია სველ მიწასთან
ტერფით შეხების ნეტარება,
ვინ დადის აქეთ?!

●

წინ მიდიოდი თავაუღებლად
მერე მობრუნდი და გაიოცე: —
დიდი გამზირის გადასასვლელზე
თვალისცეცებით გადარბენას
ჰგავდა სიცოცხლე.

თიბვა

მე დღეს მოვთიბე ორი ბულული
და შემარქვეს კარგი მთიბველი,
მარჯვენა მიქეს...
ბალახთან ერთად უნებლიედ ძირში
მოცელე
ღიღილოები, ცისანები და ბაიები,
რომლებიც ასე ძლიერ მიყვარდნენ.

ალბათ საღამოს
ამ ბექობზე ამოვალ ისევ,
დავწვები დამჭკნარ ყვავილებში,
მოვიგონებ მათ სილამაზეს
და ტირილით გულს მოვიჯერებ.

ჰა, ის მთიბველი,
ჩვენი დღეების ბალახს რომ თიბავს
პირბასრი ცელით,
ისიც აქ იყო, —
და ამ დღის თივაც მიამატა
თავის ბულულებს.

ჰეი, მთიბველო,
ახალბედა შენ მაინც არ ხარ,
როდესაც თიბავ,
ცელს ყვავილებს ვერ აარიდებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცი წლის წინათ

ოცი წლის წინათ შემოდგომის ფერადი დღეა:

საფიჩხიაზე ვარდისფერი უნაბის ხეა...
ნაცნობი ქალი გრიშაშვილის წიგნში დებს ფურცელს...
ხეზე შერჩენილს დაზუზუნებს ფუტკარი ყურძენს...
მთაში უწვიმავს, წყალწითელა იმღვრევა შავად...
ამოვა მთვარე საღამო ხანს და აღარ ჩავა...
ოდნავ აციოდა. ფეხსაცმელებს ვნატრობ საოცრად...
დედა კითხულობს სანთლის შუქზე „ვეფხისტყაოსანს“...
ჩანს ნაქერალა, ჯერეთ ისევ დაუთოველი...

იმ ძველ სიზმრებში, ძველ სიზმრებში დარჩა ყოველი.

შეხვედრა

მართლა დიდი ხნის უნახავივით გზაზე შემომხვდა მამა წუხელი,
მან არ იცოდა, რომ მკვდარი იყო, შემეცოდა და არ გავუმხილე.

მითხრა, იარის წამალს ვეძებო, იქნებ მიშოვნო მამა-შვილობას,
აღარც მახსოვდა, ცოტას კოჭლობდა, თურმე გახსნია ძველი ჭრილობა.

მერე არაყზე ჩამიპატიჟა, სარდაფში ჩავყე ტოლი კაცივით,
არც მომეფერა, არც ვადამკოცნა, მოწყენილები ჩუმად დავცილდით.

სადგურისაკენ გაჰყვა ტრამვაის, გამომეთხოვა, თან გამიღიმა,
თურმე იცოდა — ცოცხალი ვიყავ, შევეცოდე და არ გამიმხილა.

უმეზობლობა

„...ვიღუწოდ უმეზობლობასა, ვითარცა მარტო ემკვიდრობდ კუეყანასა ზედა“...
დავით აღმაშენებელი — „გალობანი სინანულისანი“

ბრგუნვილი ენით მიჩივლია ჩემი ობლობა,
უმეზობლობა მიტირია,
უმეზობლობა.
ეიქმენ ღვთის მხილველ და უფალმა თვითონ მაცნობა,
მარტოკა ბრძოლა,
მარტო შრომა,
მარტოკაცობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა გამაჩნდა,
არა მქონდა,
არა მებადა,
დაცხრენ აღძვრანი უხილავ და ხილულ ვნებათა.

ოდეს განვედი ეშმაკთ განხდად, ოტებად მტერთა,
მაშინაც ვიყავ მხოლოდშობილ ძესავით ერთა.
ბევრნი, ვისთვისაც შემიმართავს ხმალი მკვეთარი,
ყოფილან ლირწნი და ნაშობნი იქედნეთანი.

ამიტომ ვზარდე საკუთარი იმედით მხოლოდ,
ჩემი პატარა უმეზობლო ქვეყანა ბოლოს.

მივეც გელათი — თეთრ ღრუბლებში შეჭრილი ქორი,
ისე საჩინო,
ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის.

გამოვუჭედე სატევარი, აბჯარი, თორი,
ისე ნათლის-ფერ,
ვითა ელვა ღრუბელთა შორის.

ჩავყარე ვაზი, დავასხურე მაისის თქორი,
ისე შვენიერ,
ვითა ვარდი ყვავილთა შორის.

დავზარდე შვილნი, დავსხი გზასა უკაცრიელსო,
კაცთმოყვარენი,
ღმერთთა შორის, ვითა იესო.

წავედი წყნარად...
შვიდი ადლი წავიღე ტილო...
ბრგუნვილი ენით მაინც მოთქმად დავმჯდარვარ, შვილო.

არც სიღატაკე,
არცა მტრობა,
არცა ობლობა,
უმეზობლობა მტანჯავს შენი,
უმეზობლობა.

შენ ამბოზ...

შენ ამბობ — ომი იქნება,
ვინ იცის, მართლა იქნეს!
— ცეცხლი წალეკავს ქვეყანას...
მართლა წალეკოს იქნებ!
— ასერგასის დღე მოვაო,
დღე წარღვნათა და ქართა...

ვინ იცის, მართალს ამბობდე,
იქნებ მოვიდეს მართლა.
მაინც არ მინდა გისმინო,
ლოცვა მამშვიდებს ძველი:
— უტყვ იყოს ენა მზაკვარი,
მავნე მართლისა მთქმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშვიდ ვარ

დღეები ამბოხებული
ჩაქრა სანთელი ვითა,
დრო დადგა განპოხებული
სიბერით კეთილითა.

ვაი, ვეღარა გავივლი
იმედით დაბანგული.
დაჭნა სიტყვათა ყვავილი,
მშვიდ ვარ და მდაბალ გულით.

ბიძაჩემო

წარსულ წლებზე გაიფიქრებ, სიჭაბუკე გაგიქრება,
ცოტა გული არ გეტკინოს, არ გეტკინოს, არ იქნება,
სახლი ახლად გადახურე, ფუძე ვეღარ გამოცვალე.
ისევა გაქვს სავსე ქვევრი, ყველა ვეღარ გამოცალე,
გაახარე ნარგავები, გსურდა კარგი შეგერჩია,
თმას ჭაღარა მოგეძალა და სიბერე შეგეჩვია,
შვილისშვილებს დანატრული ფიქრებს ატან ტყეში ნიავს.
შარშანდელი გახსოვს თოვლი, დაზამთრების გეშინია.
არ მღერიან მეზობლები, თავის ჭერქვეშ მინაბულან.
მხოლოდ ცოლი გეფერება ორმოცი წლის წინანდულად.
დილიდანვე გელოდება ნაცნობ რცხილის წმინდა ჩერო...
როგორ უცებ გამოხუნდა ყველაფერი, ბიძაჩემო.

დაბრუნება

მხოლოდ შენ ერთი,
მხოლოდ შენ ერთი,
იყავი ჩემი ეშმაც და ღმერთიც.
პატარა მიწავ ოკრიბის მთაში,
შენთან ვბრუნდები დამსხვრეულ
ფრთებით,
ხვალ შენს ყვავილში,
წყაროში, ქვაში,
შენს ლურჯ ბალახში
განვსხეულდები.

საქართველო...

გადავისმინეთ რამდენი კვნესა,
გადავიღამეთ რამდენი მწუხრი,
საქართველოო,
წინაშე შენსა
ქედდადრეკილ არს ყოველი მუხლი.

საქართველოო,
მოგვაპყარ სმენა
შენს სალოცავთან ტკივილის მჩენთა,
კაცებრ უწყოდე ვნებანი ჩვენი,
ღმრთაებრ გვიხსნიდე ბრალთაგან
ჩვენთა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი გაბრიჩიძე

•

სიზმრად ვისიზმრე ხარირემი ბორკილაყრილი,
ქალაქის კედლებს რომ ლოკავდა ენის ხაოთი,
სანთლებად ენთო შავი მარტი, თეთრი აპრილი,
და შენ, მამულო, სანთლებს შორის ლურჯად ჰყვაოდი,

ჩამოდიოდა ფარნავაზი ბროლის კიბეთი,
რჩეულთა შუბლებს აღაჩენდა წვეთი მირონის,
ყრმათა სიმრავლეს დროშად ეპყრა სიტყვა — იმედი,
ლალის აკიდო, ამეთვისტო და საფირონი...

სინათლევ ჩემო, ცისმიერო, უღამეულო,
საგალობელო, წყვდიადიდან ამონაშუქო,
ვერწალეკილო, ვერძლეულო, ვერდარღვეულო,
ამა სიზმარზე უმშვენესი რაი გაჩუქო.

შემოძახილი მავსებს ქართა არდახანების,
გაძარცვულია შემოდგომის მსუყე დარბაზი,
თვლემენ უღელქვეშ ჩალისფერნი ჯერაც ხარები,
მილეულია ლოცვა იგი და მუხამბაზი.

ჩამსაფრებია ღრუბლიანი თვალი სიბერის,
შემორღვეულა მესერი და ღობე-ყორენი,
დადის ავაზა — სულთა ჩვენთა ლიუციფერი,
წუხან ფიქრები, სასვავენი და საყორნენი...

მე... აქ დავრჩები, გზები გელის შენ სამარადო,
ეს საუკუნე მე ჩამივლის, შენ კი აღზევდი.
წამოგეწევა (?) ერთხელ მაინც ჩემი ბარათი,
შემკრთალი სიზმრის ნაკვერჩხლებით და სინაზეთი.

თუ... ხარირემი, ხარირემი ბორკილაყრილი
წარსულის სევდას შემატოვებს მისთვის წამიერს;
ო, საქართველო, წინ რამხელა გელის აპრილი,
ო, საქართველო, იგალობე მრავალჟამიერ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანკარა ლექსი ამომქონდა ჭიდან ყოველთვის.
დღეს კი დავლანდე, ბოროტ კაცებს აეღოთ შლამი
და ავსებდნენ იმ გრილ სიმაღლეს;

და ოწინარიც... სახრჩობელას მოჰგავდა უმალ,
ვიდრე ოწინარს.

ყრუ გალიაში, მარადიულ ჩემს სამყოფელში,
შმაგი ქარიშხლის ზუზუნიც კი ვერ შემოჭრილა,
არამც თუ ჩქამი ჭიამაიის.

მიწას თუ ფეხს არ დააკარებ, მაშ, რა მოგივა...

გადასახედი

თითის წვერებზე წამომდგარი მომავალს ვზვერავ,
სხვა საუკუნის მაბჯენია შუბლზე წიბონი,
არყოფნის იქით... ეჯიბრება სივრცეებს ძერა...
არყოფნის იქით... მირიადთა წელთა ციკლონი...

ამონათება მოგიზგიზე გრძნეულ ბურთების,
მფრინავ ქალაქთა მოსხივება აქვამარინით,
ახალი დანტე, ბეთჰოვენი, ვაჟა, რუსთველი,
გალაკტიონი, რაფაელი და... პაგანინი.

თუ საჭიროა — ბარიკადთა სისხლით გაღებვა,
ქარი — მიჯნურთა ბარათების მიმტან-მომტანი;
ივერიისთვის — ისევ ისე ლურჯი თაღები,
დავიწყებული: ცოტანი ვართ, ვეჟო, ცოტანი...

აყვავილება უდაბნოთა ანთუ — პირიქით,
გადანაცვლება უთვალავი, გვემა რუკების.
...ნუ წაიშლება მთაწმინდისკენ ოღონდ ბილიკი,
და სხვას ყველაფერს გაუძლებენ თვალთა გუგები!

ხმა წარსულიდან

ვით სარეცელზე უეცარი წამოძახილი,
ხმიანობს ლექსი უცხო პირთა არდარიდებით, —
ღმერთო მაღალო, რა გაჭირდა ერთი მახვილი,
გვანან ცოთმილებს ყელზე ყალბი მარგალიტები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფუფუნებაა სიყვარულის ცალფა მანძილი,
ოდეს ცხრათავა ითავისებს ზღაპრის წალკოტებს,
მახვილი, ღმერთო, რა გაჭირდა ერთი მახვილი,
თორემ აიკლებს ყოველივეს, აანაფოტებს.

დამპირებიან გრიგალები შველას, შედევრებს,
ამაოების ბურბუშელა თუმც შარიშურობს...
მე ჩალისფერი ხარის ტყავი აფრად შეკერე
და პონტოს სილრმე იმედივით მაქვს ჩანიშნული.

განფენილია საქართველო, როგორც ჩონგური,
და დაწყვეტამდე დაჭიმულნი თრთიან ხნულები,
ნატიფ სხეულზე რიალებდა ლანდი ჯოგჯრი,
ზეგარდმო ნიჭის ვერშემცნობი, ნამარხულევი.

...არ აკლდა ომი, მტერთა ძრწოლის იყო მნახველი,
თავისთა შვილთა, სხვისთა მკვდართა უხვად მმარხველი,
და მაინც ძილში წასცდებოდა ამოძახილი —
მახვილი, ღმერთო, რა გაჭირდა ერთი მახვილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსოვთ ლურჯი ფრინველი?

...ისე ვიღლებით და ვიქანცებით,
ალბათ ვერასდროს გავიღვიძებდით
მძლე საყვირებით და დაფდაფებით რომ არ გვიხმობდეს
სისხლში გამჯდარი, უკურნებელი ავადმყოფობა —
მოვალეობა, სიყვარული, წინსვლის სურვილი
და ქედმოხრილი ატლანტის ხვედრი
უღლელ მხრებზე დედამიწის ნაცვლად რომ აწევს ოჯახის
ტვირთი...

ჭეშმარიტად ბედნიერია
ბალღი, რომელსაც განთიადისას
ესიზმრება ლურჯი ფრინველი...
...ჩვენ კი ვიღლებით და ვიქანცებით.

იმედი

(ვაჟიშვილს)

ყველა ბაყბაყდევს და ლევიათანს,
ცხრათავა ურჩხულს,
ვისთანაც შებმა მე ვერ გავბედე,
ბიჭო, შენ უნდა მოუღო ბოლო...

ჩემს მიწადქცეულ სხეულს და საფლავს,
სულს, ქართლის მთების მსუბუქ ნისლში მობორიალეს.
შესძახო უნდა, შეეხმიანო სიტყვით სალბუნით —
მამავ, გაჯობე!

●

სიჭაბუკეში მქონდა ოცნება, შევყოროდი სადმე ნებიერ ფოცხვერს...
რომ მას ჩემს ტანზე, ვით მუხის ქერქზე, გაელესა ბასრი ბრჭყალები.
მახსოვს, იმასაც ვნატრობდი ერთ ხანს, გავჩენილიყავ ლაოკონიის
მესამე ვაჟად.

რამდენი ღამე გავათენე ამ ახირებით...
ძერე და რისთვის?
დუნედ... უცეცხლოდ... უხალისოდ განქარდნენ წლები
და ჩემს წალკოტში მწვანე ნაყოფებს ყუნწის ძირებში შეეპარათ უკვე
სიყვითლე,
და ახლა როცა დამშვიდებული, დამდგარი ღვინო გადავიღო უნდა მესამედ,
ბედნიერი თუ ბრმა შემთხვევის ურცხვი წყალობით

ჩემს წინ განრთხმულ და თვალებმინაბულ ფოცხვერს დავცქერი.
მთლად უსუსურიც არ ყოფილა ჭაბუკური ოცნება ჩემი,
ყოვლისმმუსვრელი ცეცხლის გრიგალი შემოიჭრა ჩემს სანახებში...
და იწვის ცოცხლად ქერქშემოცლილი ჭარმაგი მუხა,
რომელიც ახლა ლაოკოონის ეულად შთენილ მესამე ვაჟს ჰგავს.

●

მომენატრება სამშობლო ჩემი —
ცისფერი სევდა,
ვით ძილ-ბურანში ბალღს დაობლებულს —
სადა ხარ დედა?!

ომში დალუპულ მამრთა წუხილი შუალამიერს

ცისფერ ტრამალზე ბებერ მგელივით
ფრთხილი ნაბიჯით გადივლის მთვარე —
„ღმერთო რა ღრმაა და რა ცივია ჩვენი სამარე...
...თუ უწყის ყველამ, რომ სული სხეულს
ვერსად ვერასდროს ვერ გაშორდება,
არც არვის ესმის გამოხრულ ძვალთა ცივი გოდება.
არც არვინ იცის, რომ დრო ქარია
უოკებელი და ყველგან ხარობს,
რომ ერთია და განუყოფელი მთელი სამყარო.
რომ ქვესკნელშიაც მეუფებს ჟამი,
ჟამი მბრუნავი უკუქცევისკენ,
მარადიული წამია — მზერა ვარსკვლავეთისკენ...
და კიდევ სახე შინმოუსვლელთა
კედლებს მიკრული ჭაბუკ ხატებად,
წინ რომ უნთიათ შავი დედები თეთრ კელაპტრებად.
უმამოდ გაზრდილ ბალღთა ოცნებაც
მონატრებული მშობლიურ ალერსს,
ამ საუკუნეს მკერდზე წარუშლელ დამღად რომ აქვს.
ეგებ ჭაღარა სატრფოთა ოხვრაც
ამონაკვნესი სიზმრეულ ვნებით,
ჩვენ კი აქ ვქრებით, უქმად ვიხრწნებით და
ვიფერფლებით.
წყეულიმც იყოს ვინც ჩვენს თაობას
ესოდენ მძიმე არგუნა ხვედრი...
რა დარჩა ჩვენგან — მხოლოდ მიწა და შარავანდედი!“
ომის მსურველნო,
ათხოვეთ ყური დალუპულ მამრთა ამ მოთქმას მწარეს,
ხედავთ ტრამალზე მშიერ მგელივით მიმოდის მთვარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ—„ᲚᲐᲜᲓᲔᲒᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ“

●

მარჯვნივ აიხედეთ, მაღლა:
ხედავთ? — გამოქვაბულიდან
როგორ გამოდიან ადამიანები, —
წელში მოხრილები, კუზიანები,
და ხელებს მიწამდე მიათრევენ,
როგორც დაშავებულ წინა ორ ფეხს.

და გამოდიან თითო-თითოდ,
დინჯად, აუჩქარებლად, აგრეთვე
იცავენ შუალედს... და ამასობაში ხედავთ? —
ზეგანზე სადაც ისინი გადადიან
და შეწევნით ნაცრისფერი ცის ფონისა,
შეიქმნა და მივიღეთ მათი ასეთნაირი
სილუეტების საკმაოდ გრძელი მწკრივი.

და მეწინავე დაეშვა დაღმართზე, ხოლო
ცოტა ხანში მწკრივი მოირკალა
და ჩადიან, ჩადიან... ახლოვდება შავი,
და თუ რა უნდა იყოს ამ ფერის, — არ ვიცით,
და მეწინავე უკვე ამ შავის
რამდენიმე ნაფლეთითაც გადაითხუპნა,
ხოლო როგორც მოველოდით,
ეს დაემთხვა აქეთ, — გამოქვაბულიდან,
კიდევ ერთი მათნაირთაგანის ფერმკრთალ,
ძალზე უღიმღამო გამოჩენას.

●

მეგზური დაეჭვდა და არ იცის
დანამდვილებით აქეთაა თუ არა
ის, რისკენაც მოუძღვის მომყოლებს,
რომელნიც ჩვეული უდარდელობით
მოვლენ, და მათ შორის ერთს
ხმელი ბალახის ღერიც
გაუჩრია პირში და წიწკნის.

და მეგზური არ იმჩნევს არაფერს
და ნიღბავს უმწეობას
და თვალწინ უდგას:

„აჰა, მოვედით, ესაა“-ს თქმის ჟამს,
თავისი სახის ნიშნისმოგებითი გამომეტყველება.

მაგრამ გზის დაუსრულებლობამ
და მისმა უკვე ბზარგარეულმა შეპირებებმა
და მუდარამ იმისა თუ: მოითმინონ, —
დაბადა ეჭვი, და იწყეს წუწუნი,
ლანძღეს, განეშორნენ და მიმოდაიბნენ.

და ჩვენ ყოველივე ამის მერმე,
ველოდით სიჯიუტეს მისას:
თავის გამხნევებას, ძალების მოკრებას
და მარტოკა იქ ჩაღწევას, მაგრამ
ვხედავთ გაშეშდა, არ იძვრის
და უზომოდ გაკვირვებულია.

●

მისდევენ ღრიანცელით; ლტოლვილი
ამ გორაკის თავს არ იქნება ჯერაც
გადაღწეული, ხოლო მდევრები უკვე
ფერდობზე შეფენილ ტყეს შეესივნენ
და სანახაობა ერთობ ნადირობისნაირია.

და ესენი, — დარწმუნებულები იმაში, რომ
ვერსად წაუვათ, — დიდად არ ჩქარობენ
და მათი ქმედება დაუდევრულია, რაღაც
აგდებული ფერის, და მიტომაც უკანანი
სულაც მიჩანჩალებენ და სახეზე, —
„საქმე უჩვენოდაც გაკეთდება“ — აქვთ გამოხატული

და უეცრად მეწინავეებმა შენიშნეს, რომ
ნაკვალევი ლტოლვილისა, აქედან უკვე
რაღაცნაირად ამჩატდა... და ამისიქითაც
უფროდაუფრო კარგავდა სიმკვეთრეს...
და დაფეთებულებმა, ახლა ფაციფუცით
განაგრძეს სვლა და რაჟამს გორაკს
მოევლნენ, აქ ნახეს, რომ სულ რაღაც
ორიოდ ბალახის ღერილა ისწორებდა თავს.

და ატეხეს აყალმაყალი და ერთმანეთის მიმართ
ბრალისდება, და ზოგი საით გარბის, ზოგი საით,
და საითაც ერთი იყო, ახლა მეორე მიდის იქით,
და სხვები სულაც გაოგნებულან და თითი
საფეთქელთან მიუბჯენიათ, — რაიმეს მოსაზრებისთვის,
და მათ შორის ზოგიერთებმა ზევითაც აიხედეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

მტერი შესევია სოფელს
და შემზარავია ხილვა,
უმწეოთა ზედა
მხეცურ ძალადობის.

ხავილის, უსასოო
შეკივლების ხმებს
გამოსცემს თავზე აულისა
ბედის უკუღმა მბრუნავი ჩარხი.

და მოჩვენების ზემოთა მხრიდან,
ქალი გამოიჭრა კვამლით,
კვამლმა გამოსდია ნაფერთ-ნაფერთ
და მახვილშეღერილი მდევარიც მოჰყვა.

ბავშვს მოაფართხალებს ქალი
და მდევარი სადაცაა
უნდა დაეწიოს, ქალმა
უფსკრულისაკენ უგანა, ხოლო
გადაეშვებოდა ვიდრე, —
ცისკენ აისროლა ბავშვი.

●

ვერავინ ვერავის მივამსგავსეთ,
არადა, — ამ სასაფლაოზე დაკრძალულებს
ყველას ვიცნობდით და მაშინ
ისინი ჩვენი ახლობლები იყვნენ.

და თითოეული ლოდის ქვეშ
იმას ვგულისხმობდით, ვინც იწვა
და იგი ისევ ისეთივედ წარმოგვედგინა
როგორიც ადრე იყო.

აწ კი ესენი ვინ არიან, — თეთრები!..
წამოიშალნენ და დაბორიალობენ
და დადიან მხოლოდ რეტიანებივით
და მეტად უმაქნისად
და სიარულისას ერთმანეთს ეჯახებიან
გადიან ერთმანეთში, და გარდა ამისა,
მათ შორის ვისაც როგორც უნდა
ისე შეუძლია გაუჩინარება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ მიქაცა

გარიჟრაჟზე მოფრინდება თეთრი მერცხალი

ვუძღვნი ჩვენს ლიტველ ბეგობარს კოსტას ლადიგას

I

ჩვეულებრივად დილის შვიდ საათზე ვდგები ხოლმე, იშვიათად რვაზე, დღეს დილით კი ექვსზე უკვე ფეხზე ვიყავი. მთელი ღამე არ მეძინა. რამდენი ვიწვალე, მაგრამ არ იქნა, ვერ დავიძინე, ვერ გავართვი თავი უჩვეულო ფიქრებს. ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს სამოცი წელი მისრულდება?!. დასჯილ მოწყეტსავით ვდევარ. უცნაურია და უხერხულიც, თითქოს არც კი შეჰფერის ჩემი ხნის კაცს. თუმცა რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს წლებს, თუკი ისევ ჯანზე ხარ, აღსავსე ახალგაზრდული გზნებით და ისევე, როგორც ორმოცი წლის წინათ, ყველაფერი გაღელვებს: ოდნავი სიხარული, ოდნავი ეჭვი, და უმნიშვნელო წყენაც კი; ისევე აღფრთოვანება, იგივე გატაცება, სიფიცხე და იგივე ბავშვური გულუბრყვილობა... ოღონდ ერთი განსხვავებით: გამომჩენნა სრულიად უცნობი ორეული — ბრძენი, დაფიქრებული, რომელიც ყოველ ჩემს ნაბიჯს ზომავს, თითქოს უხილავი ჯაჭვით ვყავარ დაბმული. იგი იღმანიანიც არის და უიღბლიც, მაგრამ ცდილობს ახსნას გაურკვეველი, უცნობი, მიუწვდომელი... ახე მივაბიჯებ ცხოვრების გზაზე, როგორც ჯამბაზი მავთულზე, ვაბალანსირებ ყოველ ჩემს ნაბიჯს და ჩემი ძალზე სერიოზული ორეული, რომელიც ყოველისმეცოდნეა და ზორხმკვრეტელი, ცდილობს არ ჩამოვვარდე იმ სახიფათო მავთულიდან... მან დღეევანდელ დღემდე მომიყვანა, გამბადა კომპოზიტორი, დირიჟორი, ამბიანენ, ცნობილი და ნიჭიერი, მაგრამ მე თვითონ გადაჭარბებულად მიმაჩნია ეს ეპითეტები. გარდა ამისა, ცნობილი როდი ნიშნავს ნამდვილს, დიადი ნიჭით დაჯილდოვებულს.

ჩინებულად მესმის, რომ ჩემი წვლილი მუსიკალურ ხელოვნებაში თითქმის უმნიშვნელოა, მაგრამ უიმედობას არ ვეძლევი. ეს სწორედ ამის გამო ვარ მადლიერი ცხოვრების, ხალხის, ჩემის დროისა... განა არ ღირდა მხოლოდ ამისათვის გაჩენა ამ ქვეყანაზე?...

ამაზე მეტს ცხოვრებაში ალარც კი მოველოდი. დაბადებიდან არ გამომყოლია „კეთილშობილ ნიჭი", რომელსაც იხსენიებს სალიერი პუშკინის დრამაში. არც მუსიკალური „გონებით" დაჯილდოვებივარ ჩემს მშობლებს (თუმცა ვინ იცის!). ალბა, ვინ გადმომცემდა. ვინ ჩამინერგავდა ჰარმონიის გრძნობას?... გვიან შევდგი ფეხი ხელოვნების დიდებულ დარბაზში და დავიკავე იქ, პატარა, შეუმჩნეველი ადგილი. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. როცა ოცნება გადამექცა ხელოსნობად, ყოველდღიურ შრომად... მოიცათ, მოიცათ, ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ არ არის ის „ლურჯი ფრინველი", რომლის დაჭერასაც ლამობს ყოველი მოკვდავი? ჰო, მართლა, ჩვენთან ლურჯი ფრინველის ნაცვლად არსებობს თეთრი მერცხალი, რომელსაც ქრისტეშობის ყოველ ალიონზე მოველოდით ბავშვობაში. ჩემი ორეული დაეჭინებით მიმტკიცებს, რომ ყველაფერი ახეა. ეს საცოდავი დოგმატიკოსი (ჩემი ორეული) ვერ ითმენს წინააღმდეგობას, კამათს, კერპპივით ჯიუტია. მაგრამ ხმამაღლა ამის თქმას ვერ ვბედავ: რაც უნდა იყოს, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ვცე პატივი ჩემს ორეულს, ჩემს მეორე „მეს" და სადღაც სულის სიღრმეში ვგრძნობ, რომ იგი მართალია.

აი, ახლაც ოჯახით მიმიწვიეს მშობლიურ ზღვისპირა ქალაქში, რომ აღნიშნონ ჩემი სამოცი

ფელი. ალბათ, ეს უფრო მომავალ თაობისთვისაა საჭირო, ვიღრე ჩემთვის. ჩემი ბიოგრაფია ხომ ერთგვარი „ეტალონია", რომელშიც, როგორც სარკეში, ახასხვია ამ პატარა ჭვეყნის ახლო წარსული, მისი ისტორია, მისი ახალი ბილიეები. ამიტომ ვარ ისევ აქ, სახლში, სადაც გავატარე ჩემი ბავშვობა, სადაც დაიწყო ჩემი პირველი გაუბედავი შემოქმედებითი ძიება, პირველი მარცხიცა და წარმატებებიც...

... რა მშვენიერი დილაა! დიდი ხანია არ მინახავს ასეთი დილა... ან შეიძლება მხოლოდ მგონია, რომ არ მინახავს. ჩემს შობლიურ ქალაქში ხომ მუდამ ასეთი მზეა, ლურჯი ცა, ლურჯი ზღვა და თოლიები, თოვლივით თეთრი თოლიები.

სახტემრო დარბაზში რომ შემოვბრუნდი, მხოლოდ მაშინდა შევნიშნე, რომ ცოლი უკვე ამდგარა და სამზარეულოში ფუსფუსებს, გარჯაშია. ქალიშვილის ოთახის ნახევრად ღია კარებში ვხედავთ: ჩემი გოგონა კითხულობს ლოგინში (რამდენჯერ ავუკრძალე ლოგინში კითხვა, მაგრამ მაინც არ იშლის, რომელიღაცით ჭიუტია). ხსენებაზე მომგონდა, შვილებედ სახადლოში — სიდიდრი ახლად დაკრეფილ ყვავილებს ალაგებს ბროლის ლარნაკში... არავის სძინავს სახლში, როგორც ჩანს, ყველას ადელვებს დღეგანდელი დღე. რატომღაც უბერზულად ვიგრძენი თავი.

მე კი მინდოდა შეუმჩნეველად ჩაველო ამ დღეს, რომ იგი ყოფილიყო ჩვეულებრივი, ყოველდღიური, — საიუბილეო სხდომისა, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებისა, დითირამბებისა და საზეიმო აურზაურის გარეშე... დღეს მე ვდღირეფორობ—გამოვდივარ ფართო ალდაღრირის წინაშე, შემდეგ კი სიტყვით უნდა მივმართო დამსწრეთ, უნდა გამოვნახო უნიეელო, მაღალფარდოვანი ფრაზები, წარმოვთქვა ადგზნებული სიტყვები, უნდა გადვუხადო მადლობა საზოგადოებას იმისთვის, რომ ვარსებობ და ვკქმნი. ახლა ვარზრდები კი ერიტოელი და ოდნავ ფლეცებული მზერით დამიწყეებენ თვალიერებას, ყოველნაირად აწონ-დაწონიან ჩემს გარეგნობას, ჩემს ჩაცმულობას, ჩემს საქციელს, მიხვრა-მოხვრას და, ალბათ, ახეთი ფიქრები დაეუფლება მათ: „აი ადამიანი, რომელსაც ცამეცი ნეფეს ალდაცებული (ღმერთო, ნამდვილი მათუსალიია!). მან უკვე განგელო თავისი გზა, რაღაც შეკნა, შეიძლება დიდი არაფერი. ვერ გაუმართლა ოცნება, ბოლოს ვერ განაზორციელა ჩანფიერი. მაგრამ ამა ვის ახდომია ოცნება? სამაგერად, გავვატარა ბილიკი, გაიკვანა გზა, აგვიშენა ხიდი, ფონი ხომ არ არსებობს ცხოვრებაში!. ახლა საქმე ჩვენზეა, ჩვენს ცოდნაა და მონდომებაზე".

ნამდვილად ასე იფიქრებენ. ოვაციებსაც არ ეშიალლებენ. რა გიეწყობა, შეჰფერის ასეთ დღეს. ეს უფრო მოწყალებაა ჭგავს, რომელსაც ხალხი სიამოვნებით გაიღებს, ამიტომ რომ ადამიანს სჩვევია სიკეთე მიუწყოს ახლობელს, სიხარულით დაახარჭეროს იგი. მე თუ მკითხავთ, „ფალეფინია, თუ სულაც არ მოეწყოთა ეს ზეიმი. ვგრძნობ, რომ დღევანდელი დღე ჩემთვის საზეიმო გოლგოთად იქცევა (აბა, რას ვამბობ, განა გოლგოთა შეიძლება იყოს საზეიმო? რა აბსურდია!).

მაგრამ ასეთი ფილი და ასეთი მზე ყველაფერს გავიწყებს ამ ჭვეყნად. დარბაზში გავლილან რიალზე უყურადღებოდ მიგდებულმა რვეულმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ავიღე რვეული და გადავფურცლე. სათაურმა დამაინტერესა: „მანანას ღღიურები". ჭვეყნით: „ამბორობა"... საინტერესოა, რას ფიქრობს, რით ირის დაგვირთოფი ჩემი თვრამეტი წლის გოგონას გონება, რა აღელვებს, რა აწუხებს, რისკენ მიისწრაფვის, რა ვეგმები აქვს დასახული მომავალში?. მე კაცგამრიელად წინააღმდეგი ვარ სხვისი წერილებისა და ღღიურების წაკითხვისა:

...ძალაუნებურად მომგონდა ჩემი ბავშვობა. ყოველი ახალი წლის წინაღამით დედა ჩვეულებრივზე უფრო ადრე დაგვაწვენდა ხოლმე, თან გვარწმუნებდა, თითქოს-და გარიერაზე მოფრინდებიო თეთრი მერცხალი, რომელსაც ბედნიერება და, რაც უფრო საინტერესო იყო ჩვენთვის, საჩუქრები მოჰკონდა ბავშვებისათვის. ვინც ყველაზე ადრე გაიღვიძებდა ანუ გვარწმუნებდა დედა, — აუცილებლად ნახავსო მას. და ჩვენც სიხარულითა და აღელვებით მოველოდით თეთრ მერცხალს. ის კი აღარ ჩანდა, ალბათ, ამიტომ, ჩვენ მუდამ მოგვიანებით ვიღვიძებდით. თუმცა იყო შემთხვევა, როცა ზოგიერთები ჩურჩულით და საიდუმლოებით სავსე ზმით გვარწმუნებენდნენ რომ მათ თითქოს და დაინახეს თეთრი მერცხალი! მე კი არ გამიღიმა ხედმა, ერთხელაც ვერ მოვკარი თვალი თეთრ მერცხალს...

რასაკვირველია, არავითარი თეთრი მერცხალი არ არსებობდა ბუნებაში, ეს იყო მოგონილი ამბავი, ღარიბების მარადიული ოცნება ბედნერებაზე. მანანას ღღიურებს რვეულის დახედვისას რატომღაც მომაგონდა თეთრი მერცხალი, ღღიურები თავის ადგილას დავდე და თან, წავაწერე: „გაუფრთხილდი სულიერ აღსარებას, ნუ დაივიწყებ მას, სადაც კი მოგიხდება..."

გუშინ საღამოს ქალაქში გავედი. ზღვის სანაპიროზე გავიხეირნე... ბავშვობის მეგობრებს შევხვდი... მე მათ ვაკვირდებოდი, როგორც სარკეში აკვირდებიან ხოლმე საკუთარ გამოშეტყველებას: „ღმერთო ჩემო, როგორ დაბერებულან!" მრავალი მათგანი უკვე ცოცხალი აღარ არის, ბევრი კიდევ ომში დაიღუპა: ქერჩში, სევასტოპოლში, კაკასიის მისაფგრამებთან. ზოგიერთებმა, ჩემსავით, დატოვეს თავიანთი ბუდე, მათ, ალბათ, შემთხვევით თუ სადმე შეხვედებიო... უცაბ თვალწინ წარმომიდგა უწინდელბური, ძველი ქალაქი, ისეთი, როგორიც ჩვენი სიყმაწვილის დროს იყო. როცა ჩვენ უნდა ველოდნენ ალეკანებლეკნი ვიეაკვი ახალი ცხოვრების შეგრძნობით... მომგონდა ის დღეც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ლენინგრადის კონსერვატორიის პირველ კურსზე მიმიღეს. აი, მაშინ პირველად ვიგრძენი ჩემი სრულწლოვანება. მომაგონდა წერილი, რომელიც მაშინ მიგწერე ჩემს შეყვარებულ გოგონას. ახე ეწერებოდა ის წერილი: „ისეთი ბედნიერი ვარ, რომ არ შემიძლია არ გაგიზიარო ჩემი უდიდესი სიხარული. დღეს მიმიღეს კონსერვატორიის პირველ კურსზე! გასაგებია შენთვის? მი-მი-ღეს!!!.

ჩვენ რომ ახლა ერთად ვიყოთ, ალბათ, ცეკვას დავიწყებდი ამ მოზღვავებული სიხარულისაგან, ჯარასვით დავტრიალდებოდი და ფეიერფული ჩაგიფარეოდი. აი, როგორც მაშინ, — ხომ არ დაგავიწყდა? — ზღვის პირას...

გავიმარჯვე კონკურსში! ნახეგრად ცარიელ დარბაზში (გამოცდებზე არავის უშვებენ, უფროსი კურსელი ტატდენტების გარდა) კომპოზიის წინაშე, რომელიც უბრწყინვალესი მუსიკოსებისგან იყო შემდგარი, მე დავუკარი ლისტის უნგარული რაფსოდია! და წარმოიდგინე, ბოლომდე არ შემაწყვეტინეს დაკვრა! ახა, თუ წარმოგიდგენია, რას ნიშნავს ეს ამბავი! არა, იმ ფოფოს, ალბათ, სიკვდილის კარამდე ვერ დავივიწყებ და მიუხედავად იმისა, რომ მესამე დღეს მიღებულთა სიაში ჩემი გვარიც ამოვიკითხე, თვალებს არ დავუჯერე, ჰალლუცინაცია მეგონა.- „შეიძლება ძმინავს და მესიზმრება? მოდი, კიდევ ერთხელ შევამოწმებ-მეთქი...“ მეორეჯერ და მესამეჯერ მივიობნევე კედელზე გაკრული სიასათან და მოვძებნე ჩემი გვარი.

ახლა ღამეა. ალბათ, ათ საათს გადაცილებულია, მაგრამ არ შემიძლია ოთახში ყოფნა. მინდა, ვიყვირო ხმამაღლა, მთელი ძალ-ღონით: ბედნიერი ვარ, ბედნიერი! გესმით, ხალხო, ბედნიერი ვარ!“

გამოვდივარ საერთო საცხოვრებლიდან. მივალიკვე სპორტმენის ნაბიჯებით. ვუსმენ უზარმაზარი ქალაქის ხმაურს. დიდი ქალაქის მრავალხმიანობა და ზრიალი ფანტასტიკურ სიმფონიად მეელინება გონებაში. ოფელეა რეკლამებმა. ელვარებენ პროეექტორები. გუგუნებენ ავტომობილები, გრუხუნებს ლიანდაგი ტრამვაის ბორბლებქვეშ... ეს ოვით ცხოვრება გუგუნებს — მარად მოძრავი, დაუოღვეველი და უსაზღვრო... მიუწყდომელი, განუზომელი და უცნაური.

ისაკის ტაძარი, ადმირალთა სამეოფელი, მე უკვე პეტრეს ძეგლთან აღმოვჩენდი. „ბრინჯაოს მხედარი“... ვიღაცას ეკვიდები მოუტანია მისთვის. ვინ უნდა იყოს ნეტავი, ნორჩი მეოცნებე თუ სიძველეთა ჭაღარა თაყვანისმცემელი?

ძეგლის პირდაპირ გრძელ მერხზე ჩამოვჯექი და გამვლელებს ვაკვირდები. მინდა ვიყვირო, ვიმღერო, ვიხარხარო, მინდა, ვუამბო ყოველ გამვლელს ჩემს სიხარულზე.

Sos! Sos! Sos! მიშველეთ! გადამარჩინეთ! ვიხრჩობი საკუთარ აღფრთოვანებაში! მიშველეთ, განა ადამიანები არა ხართ?! მთლად ჩამითრიეს ტალღებმა სიღრმეში, სულ ღრმად და ძირს ვეშვები... ფსკერზე ვეშვები, მიშველეთ!

თანდათან მაუდერდება და სიმშვიდე ისადგურებს ჩემ ირგვლივ. ვწყნარდები და კვლავინდებურად ვაკვირდები გამვლელებს. რასაკვირველია, ეს ადამიანები — მოხუცები და ახალგაზრდები, მომლიმარნი და სერიოზულები, — გამიგიბენ, გაინაღვლებენ ჩემს სიხარულს. გაიარა წუთიმა, კიდევ წუთიმა, კიდევ ერთმა, უცებ გაწვიმდა. ზმაპუნა თანდათან გაძლიერდა და კოკისპირულ წვიმად იქცა. მომეჩვენა, თითქოს წვიმა მღეროდა, მღეროდა სხვადასხვა ჰანგებზე. თვალები დავხუჭე და წვიმის წვეთებს შევუშვირე სახე. შემდეგ კვლავ გავახილე თვალები და გავიქეცი, თითქოს ღვარძალეში მივეცურავდი. წვიმის წვეთები სახეზე მიტყლაშუნებდნენ. ორმა მამაკაცმა ჩაიარა. ერთმა, რომელიც უფრო ახლო იყო ჩემთან, თითით ანიშნა ჩემზე თანამგზავრს, გაიცინა და თავი გიქნია. ალბათ, იფიქრა, რომ მე სიგიჟე მომერია, ან შეიძლება ინტუიციით იგრძნო ჩემი მდგომარეობა... თუმცა, არა მგონია, რომ ეგრძნო: მგონი, ხანში შესულები იყვნენ, პენსიონერები, ამ წლოვანებაში კი ადამიანებს ხშირად ავიწყდებათ, რომ ისინიც ოდესღაც იყვნენ ახალგაზრდები...“

შემდეგ წერილის სტრიქონები აირიენ და ბოლოს სულ გაჭრნენ. ბავშვობა მომაგონდა და გული თითქოს ისრის მახვილივით განიგმირა...

II

მე სოფელში დავიბადე. პატარა ქალაქ გუდაუთის მახლობლად. შავი ზღვის პირას (უფრო სწორი იქნებოდა — ძალიან ლურჯი ზღვის პირას). სოფელი ახლა უკვე ქალაქის განაპირა რაიონია. აქ აღმართულია ახალი შენობები. აგურისა და ქვის სახლები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან სიმდიდრეს და უგემოვნობაში: დიდი აივნებით, ჩუქურთმიანი ლავგარდანებით, ცემენტის უცნაური, დიდი კიბეებით. ეზოები? რა შესანიშნავი ეზოებია — ფართო, მწვანე მოლით ან კოინდარით მოხავერდებული! შუა ეზოში, სახლის წინ კი აუცილებლად დიდი კაკლის ხე ან მარადწმენინე მაგნოლია დგას. სახლებს უკან აუცილებლად ვენახებია გაშენებული, ალმები ხარობენ, კეკიანოსები, ეკვალიპტები... ახლა ხომ ყველგან ასეა, მთელ დასავლეთ საქართველოში... მაშინ კი, ჩემს ბავშვობაში... ღმერთო რა საცოდავი და უბადრუკი იყო აქაურობა, ღატაკი! ჩვენს ერთ ციცქნა ეზოში იდგა ერთი პატარა, მოგრეხილი, წნული ფაცხა, გარეგან თიხით შეთითხნილი, რომლის კედლებზეც ისე გამოისახებოდნენ ხმელი ტო-

ნიკოლოზ მიქავა

ბარიერებზე მოფრინდება თეთრი ფერცხალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტები და შტოები. როგორც შიმშილისგან მოძაკვდავი ადამიანის ტანზე ძვლები, ნეკნები. ფაცმა ჭვარტლით გაშავებული ისლით იყო გადახურული. ფანჯრები, რახაკვარველია, არ გაჰქონდა ჩვენს ფაცმას. მხოლოდ მუდამ ღია კარებიდან შემოდიოდა დღის სინათ
ე. ფაცმის შუაგულში, თიხის იატაკზე, დღისით და ღამით ენთო ცეცა. გრძელ და მსხვილ ჯაკვზე, რომელიც გაჭვარტლულ ხსენზზე გადებული კოკიდან ეშვებოდა, ეკიდა თუჯის ქვაბი. ამ ქვაბში თითქმის გამუდმებით დუღდა ღომისთვის წყალი. ის დღეები, როდესაც ქვაბში ცხელი ღომი შიშინებდა, ბედნიერ დღეებად ითვლებოდა ჩვენთვის. კერიის თავზე ჩამოკიდებული იყო ბალში გამოუვანილი დიდრონი სულგუნები. უფრო ხშირად ჩვენ მხოლოდ ამ ოკროსფერი სულგუნების ყურებით და სუნით ვკმაყოფილდებოდით. ჩვეულებრივად კი ეშმაფთი მაწონს ან ღომს ჭიკეთი. ჩვენ, ბავშვებს (ოთხ პატარა ბიჭს შორის უყველზე უფროსი მე ვიყავი) ძალიან ჭკეკვის ჭკიკის სქელი ფენით დაფარული ცივი ღომი, ანდა იგივე ღომი მაწონში ჩაფშნილი. ეს კერძი თუ გვკმნდა, არნენად ვიყავით, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად მოკლეული ვიყავით ასეთ უღიმღამო კერძისგ. მარილი ძნელი საშოვნელი იყო, რძე კი... მამას მიჰქონდა ყველი ქალაქში გასაყიდად და ეს თითქმის ერთადერთი წყარო იყო ჩვენი შემოსავლისა... და მაინც ზოგჯერ ჩვენს ოჯახშიც ხდებოდა სასწაული: გავიდოდნებდით თუ არა დილით, მოვიფშვნეტდით თვალებს და რას ვხედავთ! კერიის ზემოთ კოკზე ჩამოკიდებულ თაკნის დაშაშხულ ფეხს! ჩვენ საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდით და დიდხანს ვტაბნებდით ამ სასწაულის ცქერით.

ყველაზე უფრო შობის დღესასწაულთა გვიყვარდა. საღამოს მამას მოჰქონდა ჩიჩილაკი, დიდი ჩიჩილაკს გაიწოდა ტაბილეულობით და ვაშლებით. შემდეგ გვაძინებდნენ ჩვეულებრივზე უფრო ადრე — ხვალ ხომ გარიჟრაჟზე უნდა ავმდგარიყავით, თეთრი მერცხლისთვის რომ მოგვესწროო, მას ხომ საჩუქრები უნდა მოეტანა ჩვენთვის! უთენია ვილვიძებდით, მაგრამ ვაი, რომ თეთრი მერცხალი უკვე გაფრენილიყო... სამაგიეროდ, უმალ ეპოუოლბდით მის მიერ დატოვებული საჩუქრებს: მბიარული კერასთან ველეოდა ტაბაკი — გრძელი ხის დაფა, ოთხ მოკლე ფეხზე შედგმული, რომელიც ჭვარტლისგან სულ ერთიანად შინდისფერი იყო, თითქოს-და ძვირფასი. ნოიალი ხისაგან ყოფილიყო გამოთალილი, მისი ზეიდაპირი კი ისე პრიალებდა სარკესავით, ისეთი სწრაფი და სუფთა იყო, რომ სულ ადვილად შეიძლებოდა საკუთარი სახის დანახვა. ტაბაკზე ოგაჩინი აგებიდნენ ღომს, რომელსაც სასიამოვნო სურნელოვანი ოხშივარი ასდიოდა. დედა ამასთან-ავე ხის ჯამებით გვირგებდა ტკბენილის საწებელს — მაგრად ჩაალესილებულს, ხმელი სუნელითა და ნიორჩინძით შეზავებულს — ზაფხულად მაყიფილ ბაყითაც კი გვიმასპინძლდებოდა.

დღესაც კი, რაც წითელი ხის გაპრიალებულ, ლიმოფის ფაიფურისა და ბომეფური ბროლის ეუბრეველი გაწყობილ სუფრას ვეუზავარ, მუდამ სიამოვნებით ვიგონებ ამ უბადრუკ ხის ტაბაკს და, არ ვიცი, დამიჯერეთ თუ არა, მე მაინც იმას ვარჩევდი ამ ფუფუნებით, მდიდრულად გაწყობილ სუფრას.

ბაზუნაზორდ, დღესასწაულები მაინც იშვიათი იყო ჩვენს დუხვინ ცხოვრებაში — ერთი ან ორი მთელი წლის განმავლობაში, დანარჩენი დრო კი... ძალიან ღარიბად ვცხოვრობდი, თოქმის ღატაკად.

მოუხდავად ამისა, მოწყენასა და უიმედობას ახლოსაც არ ვიკარებდით, არც მშობლები მიეცემოდნენ ხოლმე სასოწარკეკეთილებას. ჩვენ ბავშვები, ვმწუემსადგით მეზობლების ძროხებს, თხებს, ვიპარავდით ხილეულობას მდიდრების ეზოებში, ვკრეფდით მარწყვს, ვუსმენდით ჩიტების ფიციდ-ხიკილს და შაშვების გალობას, ვეძებდით ჩიტის ბუდეებს, მაგრამ არასოდეს არ დაგვინგრევია ისინი. არც ბარტყები ამოგვიყვანია. ვკუბსოდა დედის შეგონება, რომ ბუდეების დანგრევა-განადგურება შეუწყნარებელი ცოდვა იყო და რომ ამისათვის ღმერთი საშინლად დაგვსჯიდა „ოჭ“ (მხოლოდ სად იყო ეს „ოჭ“, ამის ჩარჩოდგენით ჩვენ არც თუ ძალიან ვიმტკვრევდით თავს). ჩვენი წარმოდგენით, ღმერთი იყო ძალზე ბებერი, უბებრესი, როგორც ჩვენი კუმ ქეცმაია, რომელმაც, როგორც ამბობენ, ასოც წელს მიაღწია თურმე, მრისხანე და მუდამ გულმოსული თეთრწვერა ღმერთი, ჩვენი წარმოდგენით, იჯდა თეთრ ღრუბლებზე და იჭიდან თუ ვალთვალებდა ყოველ ჩვენს საქციელს. სიმართლე რომ გითხრათ, ჩვენ არც თუ ისე გვეშინოდა ამ ღმერთის, უფრო სწორად, გვეცოდებოდა უმწეო ბატაგები.

ყოველთვის საყდრის ეზოში ვიხვენებდით, ამლი მოვრეკადით საქონელს, თვითონ გადავჭრებოდით ჭვის მაღალ ლალავნზე (ტაძარი გარეკაზე იყო გაშენებული) და იქიდან გადავყურებდით ჩვენი სოფლის პანორამას. ვცდილობდით გამოვგვერკვია, რა იყო იმ საიდუმლეობათა ბავსე შორეთში, იქ, სადაც გადაშლილიყო უსაზღვრო ლურჯი ზღვა. ზოგჯერ გავრბოდით უძველესი ტაძრის ნანგრევებზე და ვასრულებდით ჩვენს „საღმრთო საქმეს“: მე ვუკრავდი სალამურზე, რომელსაც თვითონვე ვთლიდი ლერწმისაგან. ჩემ გარშემო მოიკალთებოდნენ ჩემი ძმა-ბიჭები და სულგანაბულნი უსმენდნენ მუსიკას.

ასე უზრუნველად გადიოდა ჩვენი ბავშვობის დღეები. ცხრა წელი რომ შემოხრულდა, მწუხარებამ პირველად დაეკაკუნა ჩემი ცხოვრების კარზე. დღევანდელ დღესავით მახსოვს ის დილა, რომელიც დაიწყო მზის მბიარული სხივებით. ნიავისაგან აშრიალებული ბალახი ბიყუჩებულ

ზღვასა ჰგავდა: ოდნავ შრიალებდნენ კაკლის ხის ფოთლები და ჩვენი ეზო მოგაგონებდათ მწვანე ატლასის ხაბანს, სამზეთვოდ რომ ატანენ ახლადგათხოვილ ქალიშვილს.

მზემ ვერც კი მოახერო ვრცლად მოეფინა თავისი ხხივები, როცა ჩვენი ფაცხიდან წვიოლ-კივილით გამოვარდნენ მეზობლის ქალები. (ჩვენ, ბავშვები, დედის ავადმყოფობის გამო თითქმის ერთი კვირის განმავლობაში მეზობელთან ვათევდით ღამეს).

— უიმე, უიმე დაობლდით შვილებო! დაობლდით — მოთქვამდნენ, ვვეხვეოდნენ მეზობლის ქალები და ოდნავ შესამჩნევად იკაწრავდნენ ლოყებს.

მათი კივილისაგან ქანაკალი ამიტყდა, მაგრამ ვერაფერი გავიგე, ჩემი პატარა ძმები კი შიშისაგან აბარდნენ. მამა განზე იდგა ნირწამხდარი, მეუბარებისაგან წელში მოხრილი და ცრემლები ჩამოსდიოდა ლაწვებზე. პირველად ვხედავდი მამაჩემს ატირებულს. მამის მწუხარება მეც გადმომედო. ავტირდი ინიტრამ, რომ მიეხვდი: მამაზე რაღაც საშინელება, მაგრამ ცრემლები მალე შემაშრა თვალებზე და თანდათან დავშოშინდი. შემდეგ ჩვენს ფაცხაში შევიხედე და გავკვირდი: ბავშვბში ჩაცმული, თმაგაშლილი ქალები ბუზებივით ირეოდნენ დედაჩემის საწოლთან, ოხრავდნენ და გმინავდნენ, უმეძრაოდ და მდუმარედ იწვა დედაჩემი. მე შემაშინა მისმა დუმილმა. მაშინ ჯერ კიდევ ვერ ვერკვევოდი, თუ რა იყო სიკვდილი, მაგრამ გუშანით ვიგრძენი, მიეხედი, რომ მოხდა რაღაც საშინელება, რაღაც გამოუსწორებელი საშინელება...

ჩვენი ეზო ხალხით გაიავსო...

შუადღისას გუდაუთიდან ჭრძელი, ღია ეტლით ჩამოვიდა მარო დეიდა, დედაჩემის ერთადერთი და.

III

... დავინახე თუ არა დეიდა მარო, მომაგონდა ჩვენი შარშანდელი მოგზაურობა. ეს იყო ჩემი პირველი მოგზაურობა დეიდაჩემთან, ჩვენს ნათესავებთან სოხუმში. ჩვენთან ერთად ეტლში, ან როგორც მაშინ ეძახდნენ „ლინეიკაზე", ორავე მზარეს ჩამომწკრივად ათიოდე ქალი. მათ შორის ერთადერთი მამაკაცი მე ვიყავი (ცოტა არ იყოს, ირონიულად კი ეძერს „მამაკაცი"). დილის ხრულ ცხრა საათზე გავედით გუდაუთიდან. მთელი დღე გზაში მივზოზინობდით. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა „ლინეიკამ" ოთხჯერ დაიხეთქა ამ ორმოცკილომეტრიან გზაზე. დახვენება სჯირდებოდა ჩვენს საცოდავ, როსინანტის შნგავს ჯალკა ცხენს. უმეტესად ვჩერდებოდით დუქნებთან...

დღის ხუთ საათზე, როგორც ოქნა, მივაღწიეთ „ახალ ათონამდე". ასე ეწოდება მონასტრის ქალაქს, რომელიც მოთავსებულია გუდაუთასა და სოხუმს შორის. ეს მონასტერი კი მართლა მოაგონებდა ადამიანს მიწიერ ხამოხეს. (მოწაფეობისას, როცა სოხუმის მუსიკალურ ტექნიკუმში ვსწავლობდი, თითქმის ყოველ კვირა დღეს ფეხით მივდიოდი ან „ხამოხეში" და ვეტანებოდი ცადაზდაფთ მთების ზღაპრული ხედიო, ივერიის ტაძრის ნანგრეველებით, ხელოვნური ტბის სილამაზით და ჩანჩქერებით, ზეთისხილის მწვანე ხეებით და მონასტრის ახალი შენობებით, თუმცა ბუროთმოძღვრების თვალსაზრისით ისინი მეტად უგემოვნოდ იყვნენ ნაშენი).

იმხანად ახალ ათონში მხოლოდ ბერები ცხოვრობდნენ. აქ ყველანაირ ეპობი სისუფთავე იყო გამეფებული და ისეთი სიწყვნე, როგორიც მხოლოდ ტაძარშია ხოლმე. ტბაზე ყელმოღერებით დაცურავდნენ თეთრი და შავი გედები. რაღაც უცნაური ხატები მეგონა...

— მოგწონს გედები? — მკითხა დეიდა მარომ.

— ძალიან! განა შეიძლება არ მომწონდეს ასეთი ლამაზი ფრინველები?

ტბის შუაგულს ამშვენებდა პაწაწინა კუნძული, ალპათ, ხელოვნური. კუნძულზე ლამაზი, ტოტებჩამოყრილი მტირალი ტირიფი იდგა. ისე გამიტაცა ამ კუნძულმა, რომ ვერც კი შევამჩნიე, როგორ მომიახლოვდა მაღალი, წითურიწვერებიანი ახალგაზრდა ბერი, გამოიცმა, ალპათ, მიხვდა კიდეც ჩემი გატაცების მიზეზს და რაღაც ჩკითხა დეიდაჩემს მაშინ ჩემთვის გაუგებარ რუსულ ენაზე. დეიდასაგან თანმხმობის მიღების შემდეგ მომკიდა ხელი და ვიწრო ბინდის ხიდით მიმიყვანა კუნძულზე. ხიბარულით მეშვიდე ცაზე მეგონა თავი. მე და ახალგაზრდა ბერი გვაროან ხანს ვუდგიმდით ერთმანეთს — ეს იყო ჩვენი მუზეი ხავარი. შემდეგ თითქოს რაღაც მოაგონდაო, ჩაიყო ხელი შავი ანაფორის ჯიბეში, ამოიღო წითელი ვაფი, შავ კალთაზე გაწმინდა და გამომიწოდა. მე ოდნავი ყოყმანით გამოვართვი და მორცხვად მოვახსენე მადლობა.

ახალ ათონში ოლიამ ეტლი ზღვის ნანაპიროზე გაიჩერა პატარა ნავმისადგომთან „წმინდა" მაღაზიის პირდაპირ. ამ გაკრილებულ მაღაზიაში ბერები ვაჭრობენ ნაკუთხი წმინდა ხაკნებით და ხწორედ ამიტომ ეძახდნენ „წმინდანთა მაღაზიას". ვაჭრობდნენ პატარა ფერადფერადი ხატებით, სტამბაში დაბეჭდილი ხუთანთებით, რომლებზეც წმინდანთა ცხოვრება იყო ალბეჭდილი: ღვთისმშობელი და მისი ფუნთუშა ბიუნა, თეთრ ღრუბლებზე მობინაურე ბერი ღმერთი, იესო ქრისტე, რომელიც უზარმაზარ ხის ჯვარს მიათრევდა გოლგოთაზე რომალი ცენტურიონების თანმხლებით. თარიებზე ჩამწკრივებულად ელაგა პაწაწინტელა, პატარა, მოზრდილი ხი, ბოლოს დიდი ხატები. ბრეკვალებდნენ ოჭროსა და ვერცხლის ჯვრები, მათ

ნიკოლოზ მიქაკა

ბარიქრაპზე მოფრინდება თეთრი მერცხალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდით იატაკიდან აღმართულიყვნენ ბრინჯაოსა და ხის უზარმაზარი ჯვრები; აქვე ელაგა ყოველგვარი საეკლესიო ჭურჭელი, სხვადასხვა ზომის თაფლის სანთლები, საცეცხლურები, საგუნდრუკეები, ბაზმა და კანდელი და კიდევ რა ვინდა სულო და გულო, რომ აქ არ ყოფილიყო! „ლეონის თავსაფრებში" გამოხეული ჩვენი თანამგზავრი ქალები მოუსვენრად ფუსფუსებდნენ და არჩევდნენ საჭიროსს. ახლა არავის ახსოვს „ლეონის შარფი ან მანდილი", ერთ დროს კი ის ჩვენი ქალების ტუალეტის აუცილებელ ჯესტურას წარმოადგენდა, რითაც დიდად ახარებდნენ ჩვენი მანდილოსნები თურქ კონტრაბანდისტებს. ისინიც, რაც შეეძლოთ, ცდილობდნენ, დიდი რაოდენობით შემოტანანთ მარსელიდან ეს შარფები „ორიგან კოტის" ნელსაცხებელთან და ინგლისურ „ინდიგოსთან" ერთად. როცა საჭირნმნელად ჭამოვზარდე, მიეხვედი, რომ მეეტლეებს შორის არსებობდა საიდუმლო შეთანხმება აბ პირობა, რომლის თანახმად მეეტლეები ეჩერებდნენ ეტლებს ზოგჯერ ყოველგვარი საჭიროების გარეშე სამიკიტოესა და „ზმინდა დუქანთან" არა მარტო იმიტომ, რომ მოეკლთ ცხენების წყურვილი და დიესვენებინათ პირუტყვი: მათ მიმეადათ მუშტარი თვით დუქნის კარებთან, დუქნების პატრონები კი მეეტლეებს უხდიდნენ ნაღდ ანგარიშს.

ეი უკანასკნელი დუქანიც სოფელ ეზრაშია: „Стоп! — ეზერა ამ დუქანის აბრაზე. — Куда спешишь дарагой! Ти ни хочеш паслушат каманчу Иорика? Захади умалаю, папробуй наш хамса, пей кофе (скажу секрет — такой кафе нет даже Истамбуле...).

ქამანჩიმით, რომლებსაც გამაყრუებლად აწრიალებენდნენ ბერძენები და ხან კიდევ ლაზები, მაშინ ძნელად თუ ვინმეს გააკვირვებდი. ყავას კი მარადაც და დიდებულ ხარშავდნენ! ყავა იყო არაჩვეულებრივი!... თუმცა ყავას (თითქმის ახეთს!) დღესაც შეხვდებინ ბათუმისა და სოხუმის სანაპიროებზე ყავახანებში და ჭურჭებში, კიოსკებში.

მე და დეიდაჩემს, რა თქმა უნდა, არც კი გვიფიქრია, გაგვიხსნა ბახსა ან შეგვიეხა ყავა. ამის არც სურვილი და არც საშუალება არ გაგვაჩნდა, მაგრამ მაინც შევედით ხალხით სავსე ყავახანაში და კუთხეში პატარა მრგვალ მაგიდას მივუსხედით...

როგორც იქნა, ღამით ჩაგვაჯიგლიგა ჩვენმა ბედაურმა სოხუმში. არავინ შეეგზვედრია და არც არავინ გველოდა. საშინლად ბნელოდა და ამ ჯურღმულში ჩვენ შიშისაგან არც კი გვიფიქრია ადგილიდან დაძვრა და სიარული ცარიელ, ბნელ ქუჩებში. გაზის მბეჯეავი ფანრები ვარსკვლავებივით ბუუტავდენ და არაფრის მაჭნისი არ იყვნენ. ბუუტავდენენ ისე, თავისთვის, უსინათლო ადამიანის თვალებივით.

ჩამოვსხედით ერძელ სკამზე სამიკიტნოს წინ და ახე მოკუუფულები ვიყავით ალოფენზიდან მოკიტნაში მოელი ღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა ხმაური, ლოთების ღრიალი და მათი ყურისწამღები სიმღერები...

...ხმორედ ახეთი ლინეიკი ჩამოვიდა ქალაქიდან დეიდა მარო უცნობი, შავებში ჩაცმული ქალების თანხლებით. როგორც კი ეტლი ჩვენს ეზოს მოუახლოვდა და წნელის დაწნულ ჭიშკარში შემოვიდა, ქალები იმწამსვე გარს შემოეხვიენენ დეიდა მაროს, ხელი სტაცეს და გაიკვეს, მაგრამ დაიგვიანეს! დეიდამ მოახერხო შეუბრალებლად დაეკაწრა თავისი ლოყები...

— შე უსირცხვილო, ო, შე ქვეყნის გლახა, საცოდავო, რა ჭკენი ეს! არა გრცხვენია, ვის დაუტოვე ბავშვები?! ვის?! როგორ გბედე, შე უღმერთო, შენა!.. — თითქოს კიდევით გაიძახოდა დეიდაჩემი.

მერე შევარდა ფაცხაში, მუხლებზე დაეცა და მუშტები დაუშინა ხის ტახტს, რომელზედაც დედა ესვენა.

— ადექი ახლავე! — უყვიროდა დეიდაჩემი, — ახლავე, გესმის, ნუ გვაჩენენ თავს მძინარედ! ა, შე ზარმაცო, შენა! უსირცხვილო! ქვა ხომ არ გიდევს მაგ მკერდზე გულის მაგიერად?

შემდეგ მან მოდარითა და სინაშინი ხავსე ხმით დაიწყო ალერსი დედიკოს, ეხვეოდა, ეშუდარებოდა გაიღო თვალები. გაეღიმა, ეწამდგარიყო, მაგრამ ყოველი მისი ცდა უშედეგო იყო... და ატირებულმა დეიდამ ჩვენ მოგვხვია ხელები:

— ჩემო უბედურო, უბედურო ობლებო! დედიკო მეტი ალარ გეყოლებათ, ჩემო მტრედებო, დედინაცვალი მოგივეთ, დედინაცვალი — თვალში ნაცარი.

ცრემლებად იღვრებოდა დეიდაჩემი. მამაჩემი ისედაც ძლივსღა იდგა ფეხზე ჭაჭისაგან და დეიდას სიტყვებმა გაგრნენის შემდეგ სულ მთლად მოიღეშა, უმალ დატოვა ფაცხა და. შეერია მამაკაცებს.

ოთხი დღე-ღამის განმავლობაში იწვა ჩემი დედა ყვავილებით მორთულ კუბაში. მეხუთე დღეს კი ყველაფერი ერთმანეთში აირია, ატედა ერთი ატრ-ზარი და ფაცი-ფუცი, დავდგარობა. წინა დღეს ჩვენს ეზოში მეზობლებმა გააშენეს მსუბუქი ხეფა. ამ ხეფაში უმასპინძლდებოდნენ დედის დასაფლავებაზე მოსულ სტუმრებს. უშველებელი ქვაბებით მოიტანეს ცხელი ღომი და ამალლესილი ლობიო; „იზაბელას" ღვინო ჩამოასხეს დოქებში. ეს იყო და ეს მეფილ პურმარილი.

დადგა შუადღე. ჩვენი ეზო ახალმოსულთა ურმებით ავიწყეს და ყოველი ახალი ურმის გამოჩენისას მივიწყვეტილი წივილ-კივი და ტირილი მეორდებოდა. მამაჩემის სოფლიდანაც ჩამოვიდნენ ნათესავები. ზოგიერთებმა ფერადფერადი, შეღებილი რკინის გვირგვინები მოიტანეს.

...უცბად ყველანი წამოიშალნენ სუფრიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხს მოუხვევრობა და ცნობისმოყვარეობა დაეუფლა. გაიხმა ხმამაღალი მისალმებები და არც იყო გასაკვირი: ჩამოვიდა მამამ ივანე, ყველასათვის პატივსაცემი და სათაყვანო ადამიანი.

... ცხოვრობდა ჩვენს მიყრუებულ ზღვისპირა პატარა ქალაქში მდედელი — ივანე ლატარია. ხშირადდა ერთ უთავადადო, ხის მოკრეჭჩხულ ეკლესიაში, რომელიც უშნოდ იყო წამოჭიმული ქალაქის მიიდნის ხშირიდან შუა ადგილას და თავის მბინავი გარეგნობით ხასაათს უფუებედა გამველულ-გამომველეულს. მაგრამ სამოლოდ ქალაქის მცხოვრებლებმა (რას არ შეეჩვევა ადამიანი!) გამოიმეშვეს ერთგვარი იმუნიტეტი მის მიმართ და არც კი ამჩნევდნენ მის არსებობას, არავის აინტერესებდა, იყო თუ არა ის ამ ქალაქში, მით უმეტეს როცა ორასთოდე ნაბიჯის დაშორებით არხებობდა ქალაქის თვალი, მისი ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა — ზღვისპირა პარკი და „ესკუზალი" ანუ ჩვენებურად — საკურორტო დარბაზი, კლუბის მსგავსი რაღაც. ზოგჯერ ამ პატარა დარბაზის სცენაზე წარმოდგენებიც კი იმართებოდა და ბედიანად დაჩაგრული თითო-ოროლა მსახობი ჩამოდიოდა „ცენტრიდან" საგასტროლოდ.

ეკლესია არც თუ ისე დიდი ხნის ეშენებული იყო, დიდი-დიდი, ახე ოცი-ოცდახუთი წლის წინათ იყო აგებული, თუმცა გამოიყურებოდა საცოდავად, დაბერებულ-დაჩაჩაკებულად.

სიმართლე რომ ვთქვათ, ჩვენი ქალაქის მცხოვრებლები მაინცა და მაინც არ გამოირჩეოდნენ ღვთისმოსრწმენელობით და არ იკლავდნენ თავს რწმენისათვის. ღმერთი მათ ფაფრ ჩვეულებით, ტრადიციულად სწამდათ და არა სულითა და გულით. ავიღოთ თუნდაც ჩემი დედა მარო — თითქოს ძალზე ღვთისმოსავი იყო, მაგრამ ეკლესიაში არ დადიოდა... თუმცა მაგონდება ერთი შემთხვევა: მე ავად გავხდი ტრაპიკული ციცხლით. მაშინ დედა ხასწრაფოდ გაიქცა ღვთის ხახლში, მაგრამ რატომღაც არა ჩვენს ეკლესიაში, არამედ ბერძნების, — და აღლმა მისცა ღვთისმშობლის ხატს, დიენთო მისთვის ჩემი ხანგრძლივ სანთელი, თუკი მოამარჩენდა ამ ავადმყოფობისაგან. დაპირდა, რომ სანთელს ხასლიან ამ ეკლესიამდე მოიტანდა ფეხშუნველი, თმაგაშლილი: სანთელი უნდა წამიღო მე.

საბედნიეროდ, გამოკეკეფილ, მაგრამ სირცხვილი რომელიც მე მელოდებოდა, სიკვდილზე უარესი შეიქმნა ჩემთვის. ჩემი საუკეთესო დეიდა მართლა გამოვიდა ხასლიან ფეხშუნველი და თმაგაშლილი. მე წინ მივდიოდი ჩემი სიგრძე სანთლით ხელში. ახე გავიარეთ ჩვენ მთელი ქალაქი. ვერ აგიწერთ იმ სიხარულსა და ალტაცებას, რომელიც ჩვენმა გამოჩენამ გამოიწვია ფეხშიველ გოგო-ბიჭებში. უკან მოგვდევდნენ, გვინატენდნენ, ეკვირიდნენ, ეკიცინებდნენ. მხოლოდ ეკლესიის ეზოში, როგორც იქნა, მოვიოქვი ხელი. ღვთის ხახლი ხავხე იყო ხხვადასხვა წლოვანების ბერძნის ქალებით, და მათ შორის არ იყო არც ერთი მამაკაცი, გარდა თვითონ მდედელისა, რომელიც ხაოცრად მაგონებდა ოედას. ქალები დაფუსფუსებდნენ კანდელებთან, ანთებდნენ სანთლებს, ეცემოდნენ მუხლებზე და გამუპარებით ირტყამდნენ მუშტებს მკერდზე. ერთი ხიტკვით, მალლობა ღმერთს, რომ ჩემთვის ეკ არავის არ ეცალა. ჩვენი ბედი არავის აინტერესებდა.

დიდი, უზნოდ დაბატული ღვთისმშობლის ხატის წინაშე დეიდამ ანთო სანთელი და მაიძულა მუხლებზე დავჩოქებულიყავი. ვიდექი ახე მუხლებზე, სანამ ეს წუეული სანთელი არ დაიწვა... მთელი თვე ამის შემდეგ ქუჩაში არ გამოვსულვარ, მეშინოდა თვალში არ მოვხვედროდი ბიკებს, ჩემს ამხანაგებს (რაც შეეხება ჩემს გამოკეხნრთელებას, ეს სახნეული მოაზღინა ქონაქინამ, რომელიც დიდი ამბით იშოვა მამამ ივანეს და გადასცა დეიდას ჩემთვის)... დღესაც კი, როცა მაგონდება ის შემთხვევა, ვცახცახებ და სირცხვილისაგან ვიწვი!..

ჰო, მართლა, ამ ამბავმა მთლად გადამავიწყა მამამ ივანე. ღვთისმსახურება და წირვა-ლოცვა იყო მისი ძირითადი პროფესია, შემოსავალი წყარო. რელიგიასთან სხვა არაფერი აკავშირებდა ამ ღირსეულ ეპიკურელს და ბატონის თავანსმცემელს. ლატარია იყო ერთი უზვედრელი ვოკაცი, მაღალი, მხარბეჭიანი, შავი გრძელი ხუმუა თმებით, ლუჩკი მოელვარე თვალებით, ვოკაცური ეერით, ხპორტსმენივით ჩამოსახმული. მას კიდეე უფრო ამშვენებდა ღიმილი, რომლის დრახაც თოვლივით თეთრ კბილებს ანჩენდა. რაც მთავარია, ხმა ჭკონდა ხავერდოვანი, გრგვინვის ხადარი და ვინ იცის, მას რომ ხერიოზულად მოეკიდა ხელი სიმღერებისათვის და ხაზოგადოდ მუსიკისათვის, შეიძლება მეორე შალიაპინი გამხდარიყო. რამდენი კაცი ადამიანი ცხოვრობს ქვეყნად და ამ კარგებში ერთ-ერთი უსათუოდ მამამ ივანე უნდა ყოფილიყო! მას უყვარდა სიცოცხლე, იყო შუხანშუხვი მონადინე, დაუფლავი მზრმელი, ყველას ეზმარებოდა. სამკაეიროდ, ბეერი მისი მრეკლიდან თავის ადამიანურ ვალდებულებად ხთვლიდა მხარში ამოდგომოდა მამამ ივანეს, რიცა ის თავის ეზოში ან ბაღში მუშაობდა. ხუმრობით ამბობდა ხოლმე: მე, როგორც სრულფეფლებიანი წარმომადგენელი მამა ღმერთისა ამ ჩვენს მიყრუებულ ქალაქში, ვიუენებ თქვენს დაბმარებას და ხამგიერად მეც გამომიუენეთ, ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთო. ნადს მამამ ივანე ჩინებულად უმასპინძლდებოდა, მათთან ერთად ხვამდა და

ნიკოლოზ მიქაკაა
ბარბარაშეს მოფარინდება თეთრი მერცხალი

თამადობდა კიდეც. მისი „ოზაბელა“ და ცრემლიანი წმინდა ჯაჭის არაყი ხომ საკვეთნოდ იყო ცნობილი.

...ცხადია, რომ მამაოს ჩამოსვლა დედაჩემის გასვეტნებაზე დიდი ამბავი იყო ყველასათვის. როგორც სხვა მამაკაცებმა, ისანაც პირველად მიცვალებული დიასტრა, შემდეგ მიუსამძიმრა მამაჩემს და დეიდას და შეერია მამაკაცთა ჯგუფს...

უკვე შუადღეს გადაცილებული იყო, როცა ისევ განაახლა ნოვილ-კიკელი. ფაცხიდან ხალხმა დაიწყო გამოსვლა, მამაკაცებმა გამოიტანეს თავლია კუბო, რომელშიც გაუნძრევლად იწვა დედაჩემი. კუბოს გამოაკეთეს ზოოსანი ქალები. ისინი ძლივს აკავებდნენ დეიდაჩემს, რომელიც ხმამაღლა მოთქვამდა და ქალების ძლიერი მკლავებისაგან განთავისუფლებას ლამობდა. კიკილი და მოთქმა, ბავშვების ტირილი, ძალლების ყეფა — ყველაფერი ეს გამაყურებელ ხმაურად იქცა. მომაგონდა ჯოკოხეთი, რომელიც ეკლესიის კედელზე ეხატა. ქალები შემოესხენენ კუბოს და არ ანებებდნენ მას ჭიშაში გასატანად. მამაკაცები ძალით იშორებდნენ მათ. ქალები ყვირიდნენ: „ო, თქვე უგულოებო, ურჯულნო! სად მიგაყვნო, სად, ეგ საცოდავი: ვის უტოვებთ მის ბავშვებს და სახლ-კარს?“.

ამ დროს გაიხმა გამაყურებელი შეძახილები: „შეჩერდით, გააჩერეთ მსალლოხა! პელაგო მოვიდა, გადელიას ქვრივნ!.. შეჩერდით!“

ხამგლოვიარო პროცესია შეჩერდა, კუბო ტაბურეტზე დადგეს. ნოვილ-კიკელი და მოთქმით მივარდა კუბოსთან ძაძებში ჩაცმული პელაგო და უბიდან ამოიღო ხაკმაოდ დაჭმუჭნილი ცისფერი კონვერტი. (ახე დადიოდა ეს გაპრავებული თავიან-ფეხიანად ჩაფლული ცოდ გაზუნებულ ძაძებში ყოველ მიცვალებულთან, მოჰკონდა წერილი და დებდა კუბოში, რომ ოქ, „ხაკეთოს“ გადაეცა იგი ახალ მიცვალებულს დიდი ხნის მიცვალებული მისი ქმრისათვის).

— ჩემო საყვარელო ამეხალომ, — დაიწყო მან მოთქმა და თან წერილი მკერდზე დაფდო დედაჩემს, — გიგზავნი წერილს შენგან გაუგზავნერებული პელაგო მიიღებდი, ალბათ, ჩემს ამას წინათ გამოგზავნილ ბარათს, რომელიც საცოდავი ლუკას ხელით გამოგიგზავნე... ოოტა კი შემეშინდა, შეეფოქრიანდი, ეგეც დაავიწყდეს ახსოვნებები წლის კაცს წერილის გადაცემამეთქი, მარა ღვთის წყალობით, აგერ ქე მომეცა ახალი შემთხვევა. დარწმუნებული ვარ, რომ მიიღეს ამ წერილს...

...და ეტყობოდა კიდევ დიდხანს აპირებდა „ხაუბარს“ თავის ქმართან პელაგო, მაგრამ ამ დროს მასთან მივიდა ხუმრობით და ენამაცვლობით განთქმული სპირიდონი და ჩაუურჩულა:

— გეყოფა, პელაგო, თვარა ქე დაავგვიანდება შენს წერილს და დღეს შეიძლება ვერც მიიღოს ახესლოლმმა. იგი, ხომ იცი, როგორ ელის?.. მან ალბათ უკვე იცის, რომ წერილს ელოდები — და ორი ქეელის დამბარებით სპირიდონმა მოაშორა პელაგო კუბოს.

ნოვილ-კიკელი მხლოდ კუჭაში შეწყდა და ორმწკრივად მიმავალმა თმაგაშლილმა მოზარე ქალებმა დაიწყეს მოთქმა: „აოუ, აოუ!“ (შეხანიშნავია ეს მოთქმა, ეფრო სწორად „ხამგლოვიარო“. მე გამოვიყენე იგი ჩემს „მთის ხიმფონიაში“).

დაცარიელდა ჩვენი ეზო.

შევიხედე ფაცხაში. დედა აღარ იწვა ტახტზე და შემეშინდა ამ ჯურღმულისებრი ხიცარილისა, რომელიც გამეფებულიყო ჩვენს სახლში. თანდათან აღწევდა ჩემს გონებამდე, რომ მოხდა რაღაც საშინელი, გამოუსწორებელი.

მამა, დეიდა და მეზობლები გვიან, ხალამხანს დაბრუნდნენ სასაფლაოდან. ყველანი მოუსხდნენ გრძელ ტაბაკს და დაიწყო რაღაც ქელების მაგვარი. მამა თითქოს დამუნჯდა, ხმას არ იღებდა. დეიდა კიდევ ოხრავდა, იცრემლებოდა, გვეალერსებოდა ჩვენ და თან ჩუმჩუმად იშმარალდა ცრემლთან თვალებს. სტუმრები კი არხეინად მიირთმევდნენ. სჭამდნენ და სვამდნენ...

თვე თვეს მისდევდა. ზამთარიც მიიწურა, გაზაფხულიც გავდა და დრომ მოაშუშა დედის სიკვდილით გამოწვეული ტკივილი.

დილაობით მამა მიეშურებოდა ყანაში, გვიტოვებდა წინადღით ჩაზღილი ცივ ღომს, მაწონს. ჩვენ ძველებურად ვმწყემსავდით საქონელს, ვეძებდით ჩიტების ბუდეებს, ვიცავდით მათ შემთხვევითი მტრებისაგან, ვაშენებდით ღარებზე წყლის წისქვილებს და ძველებურად ვიპარავდით ხილს ძუნწი და ფდადარი მეზობლების ბაღებში.

ახე გადიოდა ჩემი ბავშობა. მუსიკით გატაცება კი დღითი-დღე უფრო ძლიერდებოდა — ეს იყო ჩემი „მტკვნეული მხარე“. მუსიკა! სიმღერა, სალამური, ჩონგური! ჩემი გატაცება წლების განმავლობაში იზრდებოდა. როგორც კი სადმე გაგიგონებდი ჩონგურის ხმას, გამალებით მივრბოდი იქითკენ და მზად ვიყავი მესმინა მთელი ღამის განმავლობაში. არ მახსოვდა არც საჭმელი, არც ძილი, არც ჩვენი თამაშობანი.

...ძალზე მფიქრებდა მამაჩემის გამოდებული ნეკვეტა-კრუეტა. მამა წეველიდან თავისი გაჩენის დღეს, თავის სიღატაკეს. ჩვენ არ გვეხმოდა მისი უკმაყოფილების მიზეზი, მაგრამ ხადღაც ხულის სილრმეში მძიმე ტკივილებსა და მწუხარებას იწვევდა ჩვენში.

პო, კინაღამ არ დამავიწყდა! ხკივრის ზემოთ ჩვენი ფაცხის კედელს ამშვენებდა კვაძლისაგან გაკვარტლული დიდი ფერადი ხუთაფი მეფისა და მისი ოჯახის. ჩვენ, ბავშვებს, ძალიან გვიყვარდა ეს ფერადი ოლეოგრაფია. ყველაფერი მოგვწონდა ამ პლაკატის მბგავს ხუთაფზე: მისი ფერები, მეფისა და დედოფლის სილამაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე და კეთილშობილი კდემამოსილება, ყველაზე უფრო კი ძვირფას, ახალთახალ ტანსაცმოსში მორთული პატარა მეფისწული და მისი დები, თეთრი პიკალუნის მსგავსი გოგონები. ჩვენ ხშირად ჩავცუცქ�ნდოდით თიხის იატაკზე და ვტკბებოდით ამ სურათის ცქერით...

ერთხელ საღამოს მამა ძალზე გაჯავრებული დაბრუნდა ყანიდან, ჩამოგლიჯა კედლიდან ეს ძვირფასი ნახატი და ნაკუწ-ნაკუწად აქცია. ძალიან შეგვაშფოთა ამ ამბავმა: ახა როგორ შეიძლებოდა ასეთი განძის განადგურება?.. და მერე მეფისა და მისი ოჯახის?.. ჩვენ მოვაგონოვეთ ნაგლეჯები და შევეცადეთ მის გამთელებას, მაგრამ ამაოდ...

არ გასულა ერთი კვირა და მამაჩემი ომში გაიწვიეს... მას დიდხანს არავინ არ აწუხებდა, როგორც ამდენი შვილების ერთადერთ მარჩენალს... მაგრამ ახლა, როცა იმპერია დალუპვის პირას იდგა, მეფემ მამაჩვენიც არ დაიფარა. ისიც გაიწვიეს ჯარში... ომიდან კი ის საცოდავი აღარ დაბრუნებულა ცოცხალი. ჩვენ დიდი ბოროტ ანაბარა დავრჩით. ერთ შშვენიერ დღეს დედიდამ მოგვხვია ხელი და გუდაფუთში თავის პატარა ბინა ოდაში ჩაგვიყვანა. სწორედ ამ დროს დიდი დახმარება გაგვიწია ჩვენმა კეთილმა მამამ ივანემ. მე შინამოსმასხურეულ მომიწყო გადამდგარ გენერალ ლუბრსის ოჯახში, რომლის ქალიშვილთან, ოლღასთან მას მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. ყველაზე უმცროსი ძმა მან თავის სახლში წაიყვანა, ორი შუათანა ძმა კი მეწყალე ამბად რიგა ლაზთან — ალისთან მოაწყო შეგირდად.

ახე დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება. ერთ საღამოს დედა მარომ მითხრა, რომ ხვალ წამიყვანდა, აი იქ — გენერლის სასახლეში (ენერალ ლუბრსის სამსახურეთანაი ვილა მართლაც თეთრი მარმარილოს სასახლეს მოგონებდა ადამიანს), რომელიც გორაკზე იყო წამოგიდგამული, ხუთასოოდე მეტრით ჩვენგან დაშორებით. მე ისე ვიღელავდი, რომ მოელი ღამე არ მომეხუჭავს თვალი.

დილით უფენია თავზე წამომადგა დედა და შემეკითხა: — მიხა, შენ ხომ გიყვარს მუსიკა?

ცოტა არ იყოს, დეიდაჩემისგან მეწყინა ასეთი შეკითხვა, მან ხომ ძალიან კარგად იცოდა, რომ მუსიკა ღმერთი იყო ჩემი!

— ჰოდა, ძალიან კარგი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ლუბრსისას დილიდან საღამომდე გამოგაყურეებენ მუსიკით. ეგეც ღმერთი შეგვეწეოს და შენმა პატრონებმა შენიშონ ნიჭი, მუსიკით გატაცება, — შემდეგ ამოიოხრა და დასძინა:

— ოლღა ნამდვილი კეთილი სულია, მისი ძმის კი რა მოგახსენო... სვიატოზართან ფრთხილად იყავი, თავაზიანად. ისედაც დაჩაგრულია ღვთისა და ბედისაგან, ასეთი ადამიანები უმეტეს შემთხვევაში გაბოროტებულნი არიან...

არა, სრულიადაც არ ვემდური დეიდაჩემს, რომ მოსამსახურედ მიმიყვანა გადამდგარ გენერალ ლუბრსის ოჯახში. თვითონ დიდი გაპირვებულად ცხოვრობდა და იმედოვნებდა, რომ კეთილი ხალხი დამეხმარებოდა, ძნელმდინის ყამს. ახა, მეტი რა უნდა ეკნა ჩემთვის? გარდა ამისა, მას ხშირად ეძახდენ გენერლის ოჯახში ქართული ეკრძენის მოსახარშავად. რომლებიც ახე შეუფავრად თვითონ ლუბრსის, მის ოჯახს და სტუმრებს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მე მუდამ თვალწინ ვეყოლებოდი დეიდაჩემს.

მოხუც ლუბრსის მობეზრდა ცივი და ხმაურით სავსე დიდი ქალაკი, ქალიშვილთან და კოკეტ ვაჟიშვილთან ერთად ჩვენს ქალაქს მოაშურა, ერთი სიტყვით, გადმოსახლდა მზის ქვეყანაში. როგორც უკვე მოგახსენეთ მისი ლამაზი, თოვლივით თეთრი ვილა ტერიტორიული ნეკნით გარშემორტყმული, გორაკზე იდგა. აქედან შესანიშნავი ხედი იშლებოდა: ზღვა, პატარა ნავსადგური და ვრცელი, მუდამ მწვანე პარკი.

აგვისტოს ერთ მშვენიერ დღეს ამ დიდ, თეთრ სახლში გამომიყვეს პაწაწკინტელა ოთახი... თუმცა სინამდვილეში ეს იყო სარდაფი. მაგრამ ჩემთვის მაინც შესანიშნავი. იმ ხანაში ლუბრსის სახლი სავსე იყო სტუმრებით პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, კიევიდან, — ნათესავებითა და ნაცნობ-მეგობრებით. ყველაფერს აღტაცებაში მოჰყავდა სტუმრები ჩვენს მხარეში. კეთილრსები, ქალმები, ბანაკის ხეები, თითქოს გალაქეული ფოთლებიანი მაგნოლია, ოლეანდრები და კამელიები, სურნელოვანი ვარდები, კაკტუსები, ლრაცენა, ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის ბუჩქები, მუშმული, ატამი და სამოთხის ვაშლები — რომელი ერთი ჩამოვთვალო! მათი ცნობისმოყვარეობა ჩემზედაც ვრცელდებოდა, ამ ქვეყნის პატარა მკვიდრზე.

მე კიდევ მოაცებდა მათი უქნარობა: დილას ზღვაზე აბარებდნენ, — დღისით ბამაკებში ნებივრობდნენ, საღამო ხანს კი სეირნობდნენ ბალში ან კიდევ ერთობოდნენ ცხენებზე ჯირითით, ხან კიდევ გროვდებოდნენ დიდ დარბაზში, სვამდნენ ჩაის და უსმენდნენ მუსიკას. თითქმის ყოველი მთვანი უკრავდა ფორტეპიანოზე. უკრავდა კარგად, პროფესიონალურად. მაგრამ მაინც ყველაზე უკეთესად უკრავდა სვიატოზარი.

მოუთმენლად მოველოდი ასეთ საღამოებს, როცა მაღლადან ჩემამდე აღწევდა უცნაური ხმები, მელოდიები. მაშინ მეძალებოდა გამბედაობა, ჩუმად, ცერებზე ავიბრეხილი მაღლა, ავეტუზებოდი კარებთან და სულგანაბული ვუსმენდი. ზოგჯერ შუადამემდე ვიდექი ასე ქანდაკად ქცეული.

თანდათანობით შევეჩვიე ამ მუსიკას. ბევრი

ნიკოლოზ მიქაძა
ბარიერაძეზე მოფრინდება თეთრი მერცხალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ, რასაც ისინი უკრავდნენ, სამუდამოდ ჩამრჩა ჩემს გონებაში, ბევრი რამ ზეპირად დავიმახსოვრე და როდესაც რომელიმე მათგანი შეცდებოდა, კარებს უკან მდგარს ნერვები მეშლებოდა. მინდოდა კარები გამეღო, შეეკერილიყავი და ხმამაღლა მეთქვა: „ეშულებათ-მეთქი, მაგრამ დროზე ვიკავებდი თავს.

ერთმა სტუმართაგანმა გაიგო, რომ მე სალამურზე ვუკრავდი და დაიჩემა: გინდა თუ არა, დიდ დარბაზში უნდა გამოხვიდე „შენი მუსიკით“ და მოგვასმენინო.

ჩემს სიცოცხლეში პირველად გამოვედი ჩემი პრიმატიული, მწყემსური მელოდიებით მუსიკის ნამდვილი მცოდნეებისა და დამფასებლების წინაშე. საოცარია, მაგრამ არ შეეშინებოდეს, არც ავდელებულვარ. სულგანაბულნი მისმენდნენ. ტაშიც კი დამიკრეს, მომიწონეს. ბოლოს ოლღა მომიახლოვდა, გადამკოცნა. იმავე წუთს შეეშინა ამახასხურველი ირონიული გაელვება სვეიკოზარის თვალებში.

იმ დღიდან მოყოლებული ოლღამ დაიწყო ჩემთან მეცადინეობა. მასწავლიდა წერა-კითხვას, არითმეტიკას, გეოგრაფიას, ისტორიას. ცოტა ხნის შემდეგ კი ნოტებიც გამაცნო...

გავიდა ერთი წელი, მას მოპყვა მეორეც... ისევ ბლომად ჩამოგვივიდნენ სტუმრები. ამჟამად ეს სტუმრები გამოქცეულებს უფრო მგავდნენ, როგორც შემდეგ გამოირკვა, მარილეს გამოქცეულები აღმოჩნდნენ. მათ ჩამოიტანეს ახალი სიტყვა — „ბოლშევიკი“, მაგრამ იტყოდნენ თუ არა ამ სიტყვას, მაშინვე წყევლა-კრულვას მიაყოლებდნენ. ერთ მშვენიერ დღეს გამსკდარ ბომბასავით გავარდა ხმა“ „ნიკოთა მეფე ტახტიდან ჩამოგადებსო!“ ყველანი იმერიებდნენ მაშინ ჩემთვის უცნობ და გაუგებარ სიტყვებს: „რევოლუციაო“, „ეკონტსკი“, „წითელი საბჭოები“... ახლა კი მოუხმარენ სიტყვებს „ბოლშევიკი“ და „ლენინი“... მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ ჩემმა უფროსმა ძმამ, რომელიც ცხოვრობდა და სწავლობდა ლატარიასთან, გვიამბო, რომ თურმე რუსეთში მუშების ტახტიდან ჩამოუარეწიალებიათ მეფე და ხელში ჩაუგდიათ ! ხელისუფლება, რომ „მეფედ ახლა ქარხნის მუშები იქნებიანთ“ — ჩურჩულით გაგვანდო ჩემმა პატარა ძმამ, თითქოს ეს საიდუმლო ყოფილიყო. მას ჩუმად მოუხმენია ეს ამბავი მღვდლისა და მისი ცოლისაგან და კიდევ თურმე მამამ დახმინა: „მადლობა უფალს, ახლა კარგად წავა ჭვეყანის საქმეო“... რა საქმეზე იყო საუბარი, არც ჩემს ძმას და არც მე არ გაგვეგებოდა. საზოგადოდ, მე ბუნდოვანად, მეტად ბუნდოვანად ვიღებდი მიხეეულისი, თუ რა ხდებოდა! ირგვლივ, მაგრამ გუშანინა ვარძნობდი, რომ მოსდა რაღაც ძალიან კარგი, ძალიან დიდი და საგნო საქმე...

...და სწორედ ამ დროს თავს დაგვიტაეა საშინელი უბედურება, რომელმაც თავზარი დაგვცა მე და დედიდაჩემს. დაიღუპა ოლღა, ივანე ლატარია. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ მამამ არ მომკვდარა თავისი სიკვდილით. ნაღირობის ღამს დაიღუპა.

— არა გვეკვის ჩვენი მფარველი და მოამაგე — ჩუმად, თითქმის უსმოდ ოხრავდა დედა მარო, — ვაი ჩვენს თავს უბედურს, ჩვენ ვიკითხოთ, თორემ იმ უბედურმა ქე მოისვენა!..

ძალიან კარგად მესმოდა დედიდაჩემის მწუხარება, ჩვენ მოგვაკლდა გულწრფელი მეგობარი და გულშემატკივარი...

IV

...შეოთიანი, მღელვარე, მოუსვენარი დრო იყო. როგორც გამიგონია, ახეთი დრო ეამიანობის წინ იცის თურმე, კარიშმული წინამორბედად. ვსწავლობდი, ვმუშაობდი, თუმცა ჩემი სამუშაო არც თუ ისე იოლი იყო. მაგზავნიდნენ ხან სად და ხან სად. თავქუდმოგლეჯილი დავრბოდი და მონდომებით ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. მოწყენა და დაღონება არ შეკარებოდა, არც დრო მრჩებოდა ამისათვის. ოლღა ანაგრძობდა ჩემთან მეცადინეობას, მკაცრი იყო და მომთხოვნი, მაგრამ მე ვიცოდი მისი კეთილი გულის ამბავი: მკაცრი მოთხოვნა მხოლოდ მისი ჩემდამი კეთილი დამოკიდებულების შედეგი იყო და სხვა არაფერი. არც წინააღმდეგობას ვუწევდი მის ჯარს მოთხოვნებს, რადგან ძალიან კარგად მესმოდა, რომ იგი ყოველივე ამას ჩემივე სასარგებლოდ ჩადიოდა. თვითონ ოლღა ციბრუტივით ტრიალებდა დიდ-ღამის განმავლობაში: ხელმძღვანელობდა სადილის დამზადებას, მუშაობდა ბალში, წერა-კითხვას ასწავლიდა ლარი მეზობლების ბავშვებს.

— ვიცი, რომ გიჭირს ამდენი ტვირთის ატანა, — მანუგეშებდა ხოლმე ზოგჯერ, — არაფერია, შრომამ ადამიანი არ მოუკლავს... სამაგიეროდ, კარგ ნაყოფს გამოიხსამს შენი შრომა.

მაგრამ ახლოვდებოდა საღამო ხანი და ყველაფერი მაფიწყებლებოდა: დაალილოა, სიდუხჭირე, მომჭანვეცელი შრომა, რადგან ამ დროს გაჯაზუფლის მაუწყებლებივით შემოდიოდნენ ჩემს სარდაფში მუსიკის ხმები — ფეხაკრებით ავდიოდი კიბეებზე, დავდგებოდი დაკეტილ კარს უკან და ვუსმენდი. ერთხელ ჰანგები უცაბედად შეწყდნენ რომელიღაც აკორდზე და მე აშკარად გავიგონე ხვიაკზარის ხმა:

— შენ სერიოზულად ფიქრობ, რომ იმ ველური ბიგისაკენ გამოვა რამე?

— კი არ ვფიქრობ, მე მჯერა... და, თუ დმერთი გწამს, ნუ მაყოფ ცხენის ჩემს საქმეებში.

— მკვანედ მოუგო მას ოლღამ.

— ჰო, მართლა, შენ ხომ მუდამ ხალხსახანი იყავი! — ირონიულად უპასუხა სვეტა-

ზარმა — Pardon!.. მაგრამ შემიძლია დაგეწაძლო, რომ შენი ცდებისგან არაფერი გამოვა... ველფრები არ არიან ამის ღირსნი... გინდა დავწაძლევდეთ, ა?..

— ხმა ჩაიკმიდე!.. შენგე ერთხელ და სამუდამოდ, რომ ისინი ნიჭიერნი ხალხია. მაგრამ ისეთები, როგორიც შენ ხარ, არ აძლევდენ მათ ადამიანური ცხოვრების უფლებას, უხშობდენ გზას მათ ნიჭს...

— ოო, დაიწყო, დაიწყო ბოლშევიკური პროპაგანდა... — ლაპარაკი შეწყდა და ისევ ფორტეპიანოს ხმები მოისმა. ახლა უფრო ნერვიულად და ხასოწარკვეთილ უკრავდა სვიატოზარი.

ერთ მოწმენდილ შემოდგომის საღამოს, როცა ხეებიდან ცვიოდნენ ყვითელი ფოთლები, ლუბრსკის ბიშკარს სამი ეტლი მოადგა. სტუმრები აწრიალდნენ, ახმაურდნენ, გამოცვივდნენ სახლიდან, ეტლებში ჩასხდნენ და ნავსადგურისენ მოკაკრცხლეს. უკან ორი „ლინეიეთი“ მიჰქონდათ მათი ავლა-დიდება: ჩემოდნები, დახურული კალათები, ქუდების მრგვალი კოლოფები, და ვინ იცის, კიდევ რა. უკან ეპარა დაბრუნებულან რუსეთიდან გამოხიზნულები, თურმე ნავსადგურში უცხოეთის რომელიღაც პატარა გემს თუ იახტას სტამბოლში წაუყვანონ ისინი.

სტუმრების წასვლამ ცუდად იმოქმედა მოხუც ლუბრსკიზე და მის ვაჟიშვილზე. არც თუ ისე ძნელი მისახვედრი იყო მათი წუხილი: ეშინოდათ, რომ წითელი არმიის ნაწილები ჩვენს ქალაქამდეც მოაწევენენ. ბოლშევიკებსადმი სიძულვილს ჩვენც, მასამსახურეებსაც ენერგიულად გვინერგავდენენ ისინი. ზზრაიდ მესმოდა ჩვენი მზარეულის ლუსიას ოხვრა:

— Эех, погибла Расия!

ეროთდერთი ოლღა არაფერს არ აქცევდა ყურადღებას, ჩაფლული იყო საქმეებში, შიშობა და ჯორანთაგან აღარ ეცალა. მხოლოდ ერთი, ხურეული არ აძლევდა მას მოსვენებას: უნდოდა როგორმე ათწლიანი სკოლა გიეხსნა ადგილობრივი ღარბი ბავშვებისათვის.

ზამთარმაც მოაწია. გვეწვია პირველი თოვლი, გვიწვია და დადნა ზღვის ტალღებში. თოვლით დამძიმებული ხის მწვანე ტოტები მიწამდის დაიხარნენ. ლუბრსკის თეთრი სახლი თოვლის თეთრ ფონზე უფრო ლამაზი და მომხიბვლელი იყო. დროდადრო ზღვიდან დაუბერავდა ნიავკარი, ან როგორც ჩვენ ვუწოდებდით, ზღვაური და მაგნოლიის გაპრალებული ფოთლები შრიალით ყრიდნენ მიწაზე თოვლის ფიფქებს. ქუჩაში, ჩვენი სახლის წინ, ბავშვებმა თოვლის გზა გიოყვანეს და ფიცრის ნაგრებით სრიალებდნენ დაქანებულ ფერდობზე. როცა პურის საყიდლად ან კიდევ ბაზარში მგზავნიდნენ, ვიდგებოდი თუ ვერ ვიდგებოდი, შეეჩერებოდი და გულდაწყვეტილი შეავქროდი ჩემს ტოლ ბიჭებს, სანამ ლუსიას გამეყინავი ძახილი არ გამომიყვანდა ამ მდგომარეობიდან.

მხოლოდ ღამით ვგრძნობდი სრულ ბედნიერებას. მთვარის სხივები ზღაპრულად აშუქებდა ზღვას და ირეკლვივ ყველაფერი იდუმალებით ივსებოდა. ამ მშვენიერების ერთ-ერთ პატარა ნაწილად ჩრამომედგინა ჩემი თავი. თვალს არ ვაშორებდი ზღვას, მთვარეს, უზარმაზარ მთებს, ვარსკვლავებს და ვცდილობდი ამეხსნა, რა იმალებოდა მათ მიღმა, სად იყო ბოლო სამყაროსი, რა იყო იქ, შორეულის მიღმა, სად თავდებოდა ეს უსაზღვროება?!.. ასე, თანდათან, ნელ-ნელა ვეჩვეოდი აზროვნებას...

ერთ საღამოს, როცა ფანჯრის გაორთქლილ მინაზე გამომსყავდა რაღაც უცნაური ნახატები, ვიღაცამ შემოაღო ჩემი ოთახის კარი. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სვიატოზარი დავინახე: პირველად სიზმარში მეგონა თავი, რადგან იგი არასოდეს არ შემოსულა ჩემთან.

— მიხა, ერთი ამოდი ზემოთ, ჩემთან.

ჩვენ აუჩქარებლად (ფეხის ტკივილისა და კოჭლობის გამო მას არც შეეძლო უფრო სწრაფად ასვლა) ავედით მესამე სართულზე და შევედით საშუალო სიდიდის, წოგნებითა და ნოტებით სავსე ოთახის კარი. მე უკვე კარგა ხანი იყო რაც სწრაფად, სხაპა-სხეპით ვკითხულობდი, უკვე მიეკარგა წოგნები დავერეკ კი წარმომედგინა არსებობა წოგნების გარეშე. გაოცებული დავრჩი, როცა ამდენი წოგნი ერთად დავინახე. ნება რომ მოეცა, დილიდან-საღამომდე არ მოვშორდებოდი იქაურობას, გადავფურცლავდი ყოველ წოგნს, ახე ვათვალიერებდი, ალბათ, ცისკრის ამოსვლამდე. ადვილი ამბავია — ამდენი წოგნი!

თეთრი მარმარილოს ბუხრის თავზე, როგორც მომეჩვენა, ბორტატად და ეშმაკურად იღიმებოდა ბრინჯაოს მეფისტოფელი. თუ არ ვცდები, ეს უნდა ყოფილიყო ანტოკოლსკის ცნობილი ხელოვნტურის ასლი. კუთხეში კი იდგა პატარა, კაკლის ხის პიანინო. თვითონ სვიატოზარი უკრავდა ხოლმე მეორე სართულზე მისაღებ დარბაზში ბეზტეინის შავ როიალზე. აჭ, ამ ოთახში იყო მისი სამყარო — კარჩაკეტილი სამყარო, სრულიად მიუწვდომელი და აკრძალული სხვებისათვის. ჩემი გაკვირვება თანდათან ღრმავდებოდა: ჩვეულებრივად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ მიქაძე

ბარიერაზე მოფრინდება თეთრი მერცხალი

ის არავის უშვებდა თავის ოთახში, გარდა დამლაგებელი ქალისა.

— მიხა, დღეიდან ჩემთან ივლი. მე გამეცალდინებ მუხიკაში, ვნახოთ, რით დამთავრებება ჩვენი ექსპერიმენტი, — ბოლო სიტყვები მან ჩასლაპარაკა ჩუმად, თითქოს თავისთვის:— დაკეკლის..

მაგრამ მე ისევ იმ ადგილას ვიდექი, ვერ შევძელი დაძვრა. სვიატოზარმა ახადა სახურავი პიანინის და თვთონ კლავიშებს ფაქიზად გადაუსვა თავის ყვითელი, გამხდარი თითები. შემდეგ დაუკრა. აშკარად ვიგრძენი, რომ ჩემთვის უკრავდა, ყოველ შემთხვევაში, ახე მეგონა, რომ უკრავდა ჩემთვის.

შუსანიშნავად, ვირტუოზულად უკრავდა სვიატოზარის.. ახლაც კი, როცა მუხიკის საიდუმლოებას ჩავწვდი, გავხდი დირიჟორი, კომპოზიტორი და პიანისტი, — ახლაც კი თითქოს მესმის სვიატოზარის დაკვრა — უბადლო და შესანიშნავი... სვიატოზარი უკრავდა. პირველი აკორდი მაგონებდა ტყის შრიალს ზაფხულში, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. იზრდებოდა, გადადოდა გუგუნში და ხმაურში... და თანდათან ნელდებოდა. თითქოს ორი ოფეხშე მწუემსი ებრძოდა ერთმანეთს და ამ ბრძოლაში იღუპებოდნენ ნათელი ადამიანები. რეკვიემივით ყღერდა მუხიკა.

ისე ვიყავი მოხიბლული, რომ ვერ შევამჩნიე, როგორ მომიახლოვდა სვიატოზარი.

— მოგწონს?

მე ხმა არ ამომიღია.

— რაო, სტირი?

მან მხრები აიჩეჩა, დაფიქრდა, ბოლოთას ცემა დაიწყო. შემდეგ პატარა ანტიკვარულ ხანჯარ მაგიდას მოუჯდა და რაღაცა დაწერა ღიად დარჩენილ რვეულში. მხლილდ ათი წელის შემდეგ მომეცა საშუალება მენახა და წამეკითხა სვიატოზარის დღიურები. მე მოვიტანე იმ დღის ჩანაწერები (წელი, თვე და რიცხვი კარგად დავიხსომე და, ალბათ, არ დამავიწყდება სიკვდილამდე):

„ხოცრებაა ცხოვრება, უცნაური რამ ხდება ამ ქვეყნად! მე უკვე არაფერი არ მესმის. დღეს, დილით ისევ ბენდერებაზე და ბედზე ფფიქრობდი. განა არსებობს ბედნიერება მოაზროვნე ადამიანისათვის? ბედნიერების მაძიებელი ადამიანი ახალგაზრდა ბუდას მაგონებს, რომელიც ცხრაკლატუფში ჩაყვდათ გამოკეტილი, რომ მას არ გაეგო სიკვდილის არსებობა... ეი, ნამდვილად ბედნერია ჩვენი. მოკამაგარე, ეს ველური ბიჭი... და მაინც მე არ მესმის მისი ახეთი მიხწრაფება მუხიკისადმი. მართლაც რომ ხაოცარია!.. მაგრამ მე უნდა ვიმეცადინო მასთან, არა მარტო ქველმოქმედებისათვის... მთავარია, მე თავდავიწყება მჭირდება, გართობა რაიმეთი, თორემ შეშინია არ გავგიჟდე... გარდა ამისა, თვით ექსპერიმენტიც საყურადღებოა — რა გამოვა?!.. ჩემს მორეულ ეფექტურ დას რომ ჰკითხო, თურმე მათ ... ... მომავალი! ჩვენ თურმე ვჩაგრავდით მათ... დალახვრის ეშმაკმა, კიდევ რაებს არ ჩმახავს ჩემი ერთადერთი საყვარელი დაიკოს.. ვაითუ ჩემი დაიკო მართალი გამოდგა... და მე სასტიკად ვცდები? მაშინ?.. მაშინ... აი, ვნახოთ, რას მიპასუხებ მიხა. ჰო, ეს უბედურება — ბედნერნი არიან თავიანთ ჩლუნგ უვიცობაში... მაგრამ ვაი თუ მე გამოვდგე ჩლუნგი ახალი დროის გამოცნობაში! მაშინ?

არაფერი მესმის, არაფერი გამეგებას!.. ღმერთო, როგორ მეზიზღება ყველა და ყველაფერი! ჩემი „კარგი“ დედ-მამის მიზეზით მე გავჩნდი ამ ქვეყნად ავადმყოფი, განწირული, მხოლოდ მუხიკოთა და მიზანტრიკითო შეიარაღებული. ვაი ჩემს ბედს, ესენი მე რიდი გამომდგება ბრძოლის იარაღად... დღეს მერამდენეჯერ გადავკოთხე ინსენის „ოიჩენებები“. მზე, სწორედ მზე არ მყოფნის მე ამ მზეში ჩამბჯარჩალ მხარეში. ღმერთო, ღმერთო, რა უნიათო, რა უნუგეშო ტანჯვა მკლავს! სწორედ ამიტომ გამოვიგონე ჩემთვის ეს ილიი გასართობი, ან მეცადინეობა, როგორც ჩემი ძვირფასი დიკო იტყვის ხოლმე. გამოვიგონე, რომ თავი შევაფარო მას და გავიქცე ამ მომაკვდინებელ მარტოობას.

საღამო ხანაა... ვუკრავდი ბეთჰოვენის მეთოთხმეტე სონატას. მე თვითნ არ მიეკარს ეს ნაწარმოები, მაგრამ იგი მისაწვდომია პრიმიტიული სმენისათვის. სწორედ ამიტომ შევაჩერე ჩემი არჩევანი ამ პიესაზე. მიხა კი იხმენდა და იცრემლებოდა. რასაკვირველია? ეს ველურიც მოხიბლა ბეთჰოვენის ეკნიან. არაფერი მესმის! აკ რაღაც არის, ჩვენთვის გაუგებარი და მიუწვდომელი. შეიძლება ჩვენს ოჯახში შეეჩვია ახე ძლიერ ნამდვილ მუსიკას... ცხოველებიც ხომ ეჩვევიან მუსიკას! მაგალითად, ძაღლი ფსმენს მუსიკას და ყმუის! ალბათ, ეს ბუნების სიიდუმლოებაა. მიდი, ნუ ავხდით ფარდას ამ სოიცრებას...“

სვიატოზარმა დაამთავრა წერა და დიდხანს იჯდა უძრავად, ხმაამოუღებლად, რაღაცაზე ფიქრობდა. შემდეგ ოდნავ შესამჩნევი წყალობით შემომხედა.

— მიხა, გამბადე ფეხსაცმელი და წადი დასაძინებლად. ხვალ დაგიძახებ!..

დრო დნებოდა, როგორც გაზაფხულის სითბისაგან გამთბარი თოვლი. გაზაფხულის დამფრთხალი სუნთქვა ჩუმად დასრულებედა გვიმრის ბუჩქებში. ზღვა გალურჯდა და ვერცხლისფერი გადაიფარა მზის სხივებქვეშ. ძალიან ძნელი გასარკვევია დროის ცვალებადობის შეგრძნება დასაფლეთ საქართველოში — მარადიულად გაზაფხულისა და ზაფხულის ქვეყანაში.

შიში სულ უფრო და უფრო მეტიდროდ ედე-

ᲣᲩᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ













ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლორეტა შენგელია-აბაშიძე





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოდა ლუბრსკების ოჯახის ყოველ კუნჭულს. მამა და ვაჟიშვილი რამდენიმე შემორჩენილი ნათესავითრი ზაფრა დაცემულიყვნი ელოდნენ ბოლშევიკების შემოსვლას. იკვირიბოდნენ და ფიორიაკობდნენ. მზოლოდ ოლღას ეეჩინა თავი დინჯად, შეურყეველად. ეს ხაკითხი მისთვის დიდინანია გადაწყვეტელი იყო. ბოლშევიკებთან თუ უბოლშევიკებოდ, მისთვის მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ხაშუალო სკოლის გახსნა. სხვაზე ის არაფერზე ფიქრობდა და არც არაფრისა ეშინოდა.

— თუ რუსები ცოცხლად შეგამენ რუს ქალს — რაც, რასაკვირველია, არ მჯერა,— დე, შეგამონ! სხვათა შორის, სწორიც იქნებიან, იმდენი ბიროტება ჩაგვიდენია ჩვენ მაო მიმართ! — იმეორებდა იგი.

ცხოვრება კი დღითი დღე იოცლებოდა. ვარდისფერ ბუშლატებში (ასე ეძახდნენ მათ— „ვარდისფერბუშლატიანებს") გახვეულმა შენშევიკის გვარდიელებმა ავსხეს არე-მარე. არ ბევდნენ სოფლებს, ჯარს იყრიდნენ მთაზე, ვისშიც კი ეჭვი შეჰქონდათ, რომ ისინი არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრები იყვნენ. მოხუცები და ქალები კანკალებდნენ, ხალხი ელესავდა.

ელესავდნენ ლუბრსკის ოჯახშიც. მზოლოდ სვიატაზარი უყურებდა ყველაფერს გულცივად, რაც მის გვერდით ხდებოდა. ჩემი აზრით კი, მისი გულგარილობა მზოლოდ მოჩვენებითი იყო. ერთ დილას შიშმა და ელესვამ იმატა და კულმინაციურ წერტილს მიაღწია. კუთხე-კუთხე ჩერჩულებდნენ და ფრთხილდაფ, უკანმოხედვით იმეორებდნენ: „ბოლშევიკები, მენშევიკები, ვარდისფერბუშლატიანები". ისეთი დიმბალი ტრიალებდა, თითქოს მეორედ-მოსვლა ყოფილიყო. ქალაქელები მოელოდნენლად აფაცურდნენ. ბავშვის სათამაშოების მაგვარი გემები „ჯორობი" და „ტავრიდა" მგზავრებით გატენილები გაშორდნენ ნავსადგურს და ბათუმისაკენ აიღეს გეზი. იცლებოდა ქალაქი. ერთიერთმანეთზე უარესი ახალ-ახალი ამბები მოსისინებდნენ გაგრიდან, სოხუმიდან: „ხამოკლაკო ომი!". ჯორი დაწრიალებდა ქალაქში და ილეკებოდა ყველგან, როგორც მოშხამული ღრუბლების წვეთები. ბოლშევიკების „მხეცობის" ამბები სულ უფრო ვრცელდებოდა. სანამ ეს გაიზარდნენ და არ შეარყიეს მივარდნილი, ყრუ მაზრა. ყველაზე უფრო მარჯვობდნენ „ხახალო გვარდიის" ავიტატები.

ხაღამის მღელვარებამ ყოველგვარ ხაზღვარს გადაკვეთა. წითლები სულ ახლოს იყვნენ. მენშევიკები გარბოდნენ. ამ ხაერთო არეულობის ეკმს ლუბრსკის ოჯახსაც დაატყდა თავს უბედურება. კვდებოდა ძმიმე ავადმყოფი მოხუცი ლუბრსკი — მას ორმხრივი ფილტვების ანთება და გულის მანკი აღმოაჩნდა. ოლღა არ შორდებოდა მამის საწოლს. მოხუცს დროგამოშვებით აკითხავდნენ ნათესავები — რუსეთის [illegible] ინანი ყოველ წუთს ელოდნენ ნიშნას და გემებს საზღვარგარეთ გახაკცევდ.

უმთავარი ღამე იყო. უკუნეთს ზოგჯერ პროტესტერორის ხმიანი არდვევდ. უპატრონოდ დარჩენილ ფიტენზნი და ხაწერილმანეთებნი, დაცლილ ბინებზნ „შრომობდნენ" ქურდები. ჩარჩენი და გადამყოფვდენები, ყოველი ჯერის ხეპეულიანაწილნი ხაიდუმლო ადგილებში მალავდნენ ოქროს. პანიკი გარბოდა ნაკაზარი ბინიდან ბინაში, „ხახალო გვარდია". აწრიალდნენ ლუბრსკის ოჯახშიც ხიზანი ნაცნობ-ნათესავები. ეშზადებოდნენ ნანგრევებად და უნდოდათ თან წაეყვანათ ლუბრსკიც. მაგრამ მოხუცი ძალზე ცუდად გაზდა. უკარნბობდად იწვა. შეიოლები კი არსად არ აპირებდნენ წასვლას — მარტო ხომ არ დატოვებდნენ მომაკვდავ მამას?

ქალაქში ეს-ეს არის უნდა შემოჭარილიყვნენ ბოლშევიკები — ამაზე ნათლად ღაღადებდა არტილერიის მოაზლოებული ბათქები.

„რა ვიღონოთ!" — ეს კითხვა არავის არ ასვენებდა. სიკვდილი არ ჩქარობდა, შეწყვეტილი ცხოვრება კი სიცოცხლისაკენ მიისწრაფოდა. სწორედ ამ დროს მოსამსახურე გოგომ დაიძახა, ეტლები მოვიდნენო.

— იჩქარეთ ბატონებო, თქვენთვის ჰქ დარჩენა სახიფათოა, ჩვენ როგორმე გავიტანთ თავსო...

უცებ თვალში მომხვდა მეფისტოფელის პატარა ქანდაკება; თურმე მოხუცის თხოვნით ჩამოეტანათ სვიატოზარის ოთახიდან, რაკიმეცა სიკვდილის წინ მონდომებია მოხუცს მისი ნახვა. ალბათ, რაღაც დიდი ხაიდუმლო მოგონებები თუ იყო მოხუცის გონება მასთან დაკავშირებული.

ხიზანი ნაცნობ-ნათესავები გამოემშვიდობნენ ოლღას, შეხედეს ავადმყოფ გენერალს და აჩქარებენ გავიდნენ ოთახიდან. ათი წუთის შემდეგ ხოხუმისაკენ მიიჩქაროდნენ მათი ეტლები.

ღამე არ აპირებდა წასვლას. სიბნელეში დროგამოშვებით ზარბაზნების ყრუ ქუხილი, ტაკვიმურქვეშის კაკანი ავრუებდა მიდამოს და პროტესტერთა სხვიები გამოთანთქმდნენ ზღვის ზედაპირზე.

მე გაკვეთებულივით ვიდექი კუთხეში.

სვიატოზარისა მოუხვენრად დაწრიალებდა გაპარული ოთახში. დროგამოშვებით შემოხედავდა მამის საწოლს, ნერვიულად აიღებდა აკორდს ზოლენის მაზურკიდან, შემდეგ ფეხაკრეფით მოუახლოვდებოდა ავადმყოფს და იმეორებდა ერთსა და იმავე შეკითხვას: „როგორ არის, ცოცხალია?".

უცებად შეჩერდა, თითქოს ადგილზე გაიყი-

ნიკოლოზ ფიქავა
ბაღიერაკაზე მოფრინდება თეთრი
მერცხალი

ნაო. შემდეგ მივიდა პატარა მაგიდასთან, აიღო შარიები და მორფეი ავაცო.

— რას აპირებ, სვიატოზარ? — შიშნარევი ხმით ჰკითხა ოლღამ.

— მინდა ოდნავ მაინც დავაწყნარო...

— დიზ ძალიან დიდია, შეიძლება ვერც კი გადაიტანოს!

— აბა, რა მნიშვნელობა აქვს ერთი საათით ადრე თუ გვიან? ...მეტი აღარ შემიძლია ვუცქერო მის ტანჯვას.

— ეს ხომ მკვლელობაა!..

— სცადეთ, ჩემო კარგო, მხოლოდ ხსნაა და სხვა არაფერი... ხსნა აუტანელი ტკივილისგან...

სვიატოზარს ყურადღება არ მოუქცევია გაფიორიტების დისათვის, არც მიუხედავს მისკენ, რომ ხელი არ შეშლოდა განზრახვის შესრულებაში. მივიდა ავადმყოფთან და გარეგნული სიმშვიდით გაუკეთა ნემსი მოხუცს. შემდეგ ასევე აუჩქარებლად გავიდა ოთახიდან, აპკეკა კიბეს თავისი კბილებისაკენ. ოლღამ ხელები აიფარა სახეზე და სავარძელში დაეშვა.

არ გასულა ხუთი წუთი და მაღლიდან შოპენის მომხიბვლელმა ხმამ დაფარა ჩქარობა. ხმები ტკვიამფრქვევის კაკანს და ტკვიების ზუზუნს შეერია. (ეს უცნაური, საწინააღმდეგო შენაერთი ხმების და რიტმისა შეგიძლიაო იპოვოთ ჩემს მესამე სიმფონიაში).

ისევ ზარბაზნების გრიალი. ტკვიამფრქვევის კბანი და... მუსიკა, ჯადოსნური მუსიკა.

კვდებოდა გენერალი ლუბრსკი.

— სადა ხარ, სვიატოზარ! რად ბნელა ასე? სინათლე... გემდურვებით ანათეთ სანთელი... ეტლები მოვიდნენ? ჩვენი წას...

— ვერ დამთავრა ფრაზა მომაკვდავმა.

შემდეგ უცბად წამოიჭრა ლოგინიდან, გადადგა ორი თუ სამი ნაბიჯი და ზღარბანი მოადინა იატაკზე.

მუსიკა შეწყდა. სირბილით ჩამოვიდა მესამე სართულიდან სვიატოზარი. ვიღაც ბატრდა. გულწასული ოლღა თავის ოთახში გაიყვანეს. მოიცხა ვიღაცის აჩქარებული ნაბიჯების... შემდეგ ყველაფერი მიეუნჯდა და სამარისებური სიჩუმე გამეფდა ირგვლივ. სწორედ ამ დროს გაისმა თოფის ერთადერთი გასროლა. ტკეიან ზუზუნით გახვრიტა ფანჯრის მინა და მეფისტოფელის ბრინჯაოს ჭანდაკებას ეცა. ბრინჯაოს ნამეცეცები იატაკზე გაიბნა. ჩვენთვის მარადიულ საიდუმლოდ დარჩა იმ გასროლის ავტორის ვინაობა და მიზეზი. შეიძლება, ეს მოხდა შემთხვევით, უნებურად. ვინ იცის!

— მოკვდა! — ოდნავ გასაგონად თქვა ლუსიამ.

სვიატოზარმა მიცვალებულთან მიირბინა.

— მამა... მამა!... — ის ბავშვივით ბღოდა და დროგამოშვებით გაიძახოდა: „მამა, მამა"-ს, მოხუცი კი დუმდა. აჩქერად სამუდამოდ. ეს იყო გრძელი და რთული გზის დასასრული. ამ ბედნიერად წოდებული სახლში გამოიითქმა ერთი სიცოცხლე — მთავარი ძარღვი.

— რა საშინელი სიკვდილია... — ძლივს გაბედნიერად, თითქოს თავისთვის წარმოთქვა სვიატოზარმა, შემდეგ ჩემკენ გამოაპარა ხედვა:

— არა, ჩვენ ვერ შევძლებთ, მიხა, მის ადგილიდან დაძვრას და, მით უმეტეს, დამარხვას... — და ცოტა ხნის პაუზის შემდეგ დაუმატა, — ბოლშევიკებს მოუხდებათ მისი ბრწყინვალების დამარხვა. საცოდაო მოხუცო!..

სვიატოზარმა ჩაარქო სინათლე, ოთახში ჩაკეტა მიცვალებული და გასალები ჭიბეში ჩაიდო.

დილით ადრე კი ჩვენს ქალაქს ეწვია წითელი არმიის ნაწილები.

ჩემს გაკვირვებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაფრწყინდნი, რომ ისინი არავის არ ხოცავდნენ, არავის ხელს არ აკარებდნენ, არაფერს არ წვავდნენ, არ ძარცვავდნენ. მოდიოდნენ მშვიდად, მწყობრი ნაბიჯებით, ვაეკაცური, მხედრული სიმღერით.

დიდი მარო სიხარულისგან, მგონი, მეშვიდე ცაზე იმყოფებოდა. მან თავისი ოროთახიანი ფიცარული სახლის ერთი ოთახი წითელარმიელებს დაუთმო — ოთხ ახალგაზრდ მეგობარს და ისე ეპერობოდა მათ, როგორც საკუთარ შვილებს. ისინიც ნამდვილი შვილებივით შეეთვისნენ და სიყვარულით უხდიდნენ მას სამაგიეროს.

●

სვიატოზარი თავისი ოთახიდან დიდხანს უყურებდა მწყობრად მიმავალ წითელ მეომრებს. შემდეგ დახარა ფანჯრები, ჩაიკეტა ოთახში, ხალამიმდე ცხენიც არ გამოუუვია იქიდან და არც არავის უშვებდა თავისთან.

საღამოთი კი ახალგაზრდ, მეთაური ვეგეშვა, რამდენიმე წითელარმიელის თანხლებით. მეთაური მაღალი, სპორტული, მიმზიდველი გარეგნობის ახალგაზრდი იყო. დღესაც კი სითბოს გრძნობს გული, როდესაც მაგონდება პირველი შეხვედრა. ეს არც არის გასაკვირი — სწორედ ამ ადამიანმა ითამაშა გადამწყვეტი როლი ჩემს ცხოვრებაში: ბევრ რამეში დამეხმარა და, რაც მთავარია, ადამიანად გამომიყვანა.

ალეკსეი ერმილოვი — ახე ერქვა მას.

— ბიჭიკო, არის ვინმე სახლში? — შემეკითხა ალეკსეი, რომელსაც გაზფენილიყო, მაგრამ სუფთა ახლად გაუთოებული გიმნასტერკა და მუხლებზე ტკივებდაკერებული გალიფე ეცვა.

ამ წამში მივხედი, რომ ჩემს წინ იდგა არა რიგიანთ წითელარმიელი, არამედ მეთაური. შეიძლება საკელი ჩანთამ, ცალ მხარეზე რომ ჰკონდა ჩამოკიდებული ტკაცის გრძელ ზონარზე და მუხლებამდე რომ წწვდებოდა, ან მისმა გარეგნობამ მიმიყვანა ამ დასკვნამდე. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. რის შემდეგაც მან თავის წითელარმიელებს მიმართა სიტყვებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჰ დამიცადეთ, ამხანაგებო, ახლავე დავბრუნდები. აბა, გამიძახი, ბიჭიკო, — და ჩემი თანხლებით მესამე სართულზე ავედით, როცა გაიგო ჩემგან, რომ ხახლის პატრონი სწორედ იქ იმყოფებოდა. სვიატოზარმა გაგვიღო კარი, მაგრამ მის გაშვებულ სახეს არავითარი რეაქცია არ ემჩნეოდა.

— თქვენ ბრძანდებით სახლის პატრონი? — შეეკითხა მეთაური სვიატოზარს.

— მგონი, მე უნდა ვიყო, ყოველ შემთხვევაში ასე ვიყავი დღემდე! — უპასუხა სვიატოზარმა და თან თვალებს არ აშორებდა გადაფურცლულ წიგნს.

— თქვენი სახლის პირველ სართულზე ჩემი წითელარმიელები უნდა მოვათავსო, — უთხრა მეთაურმა.

— ამ! საკვირველია, მე რად მითანხმებიან ამ საკითხს?

მეთაურზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ახალგაზრდა ლუბრსკის სიტყვებს, არც მის ირონიულ, დამცინავ გამოხედვას.

მაგრამ სწორედ ამ დროს ოთახში შემოვიდა ოლღა. ახალგაზრდა, ლამაზი, აღელვებული ქალის ჭკვანი თვალები და ვაჟის თვალები შეხვდნენ ერთმანეთს, ჩაიყინენ ერთმანეთში და მოხდა რაღაც აუხსნელი, გაუგებარი, მხოლოდ მათთვის, ორთათვის გასაგები და გადამწყვეტი. ეს იყო წამი, მყისი, რომლის ღრმა აზრით მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გახდა ჩემთვის გასაგები.

— ბოდიში, თქვენ... — დაბნეულად ჩაიბურტყუნა მეთაურმა.

— მე მისი და გახლავარო, — მან თვალებით მიუთითა სვიატოზარზე — გენერალ ლუბრსკის ქალიშვილი. ჩემი სახელია ოლღა.

— ოლღა...

— უბრალოდ ოლღა... ჩემი ძმისაგან კი ნუ-რაფერი გეწყინებაო, ავადმყოფია... წავიდეთ ამხანაგო... მგონი ასეა, ხომ? — ღიმილით მიმართა მეთაურს ოლღამ.

— დიახ, ასეა, ამხანაგო ოლღა...

— წავიდეთ, ნახეთ ოთახები.

— სვიატოზარი მორიელის ნაკბენივით იდგა, სკამიდანაც კი წამოვარდა, როცა გაიგონა ოლღასგან ნათქვამი „ამხანაგი".

ათმა წითელარმიელმა მბიარული ხმაურით და ბუმრობით „ითვისეს" (როგორც თვითონ ამბობდენ) სახლის პირველი სართული. მე კი ვეხმარებოდი მათ, რითაც შემეძლო.

VI

ღამდებოდა. ქალაქი თითქოს დუმილისა და სიბნელისაგან იყო შეკრული. მე კვლავინდებურად ვმეცადინეობდი სვიატოზართან იმ საღამოს, როდესაც მოისმა კაკუნი კარებზე და სვიატოზარის ხმა:

— კარი ღიაა, შემოდით!

მეთაური შემოვიდა.

— ბოდიში, მოსაწევი ხომ არაფერი გაგაჩენ ბაო? — იკითხა მან.

მაგრამ დაინახა თუ არა, რომ ჩვენ ვმეცადინეობდით, ეუხერხულა თავისი თხოვნა და კარიკაცენ მიბრუნდა.

— არა, არ წახვიდეთ!.. თავაზიანად მიმართა სვიატოზარმა წასასვლელად გამზადებულ მეთაურს, — დაბრძანდით... მიხა, მიაწოდე ძვირფას სტუმარს პაპიროსის კოლოფი! — სიტყვა „ძვირფასი" განსაკუთრებული ხაზგასმით იყო ნათქვამი.

მე მაგიდის უუთიდან ამოვიღე პაპიროსის კოლოფი და გავუწოდე მეთაურს. მიხდოდა გაოცებულიყავი ასანთის მოსაკანად. მაგრამ მეთაურმა შემაჩერა:

— გმადლობთ, ასანთი მაქვს.

იმის შემდეგ, რაც სვიატოზარმა ერთგვარი ზეიმით წარმოთქვა სიტყვები: „აჰ ეწვეიან, მეთაურო!" ერმილოვმა შარვლის ჯიბიდან ამოიღო ასანთი და სვიატოზარს მიაწოდა პაპიროსის მოსაკიდებლად. მაგრამ ამ უკანასკნელმა თამბაქოზე უარი განაცხადა. სვიატოზარი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს სტუმრის ყოველ სიტყვასა და მოქმედებას.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. სავარძელში მოკალთებული მეთაური თამბაქოს ეწეოდა და თან ფურცლავდა იქვე დასული, მოგრძო მაგიდაზე დაგდებული წიგნს. ეს იყო ფლობერის „ეროდიადა".

— „თქვენნი საყვარელი მწერალია? — ირონიულად იკითხა სვიატოზარმა.

— წარმოიდგინეთ, ამ შემთხვევაში თქვენ სწორი აღმოჩნდიხთ, დიახ, ფლობერი ჩემი საყვარელი მწერალია.

სვიატოზარი უკმაყოფილოდ გაიფიზუკა.

— მაგრამ, — განაგრძო მეთაურმა, — ფლობერი, რასაკვირველია, უნდა წაიკითხო დედაში, რაც უნდა ბრწყინვალე თარგმანი იყოს, ის მაინც ვერ გადმოსცემს ამ შესანიშნავი მწერლის არაჩვეულებრივი სტილის სიდიადეს.

—ფრანგული ენაც იცით?!

— ისე, საშუალად.

— თუ ფლობერს კითხულობთ დედაში და სტატებით მისი სტილით, ძალიან კარგად გცოდნიათ ენა.

ჩამოვარდა პაუზა.

— საოცარია!

— რა არის საოცარი?

— ის, რომ თქვენ ბოლშევიკი ბრძანდებით და წითელი მეთაური.

ერმილოვმა თავი ასწია და გაიღიმა, მაგრამ არაფერი უთქვამს. სვიატოზარი კი განაგრძობდა:

ნიკოლოზ მიქავა
ბარიერებზე მიეფრინდება თეთრი მერცხალი

ეროვნული ბიბლიოთეკა
eparuli.ge

— ბოლშევიზმი და კულტურა, ჩემი აზრით, ეს ორი შეუთავსებელი მცნებაა...

— არ დავიწყებ თქვენთან კამათს და არც ავტაკიას გაგიწევთ, ვამჩნევ, ეს არც არის საჭირო.

და ცოტახნის შემდეგ დასძინა: — კაცობრიობის საუკეთესო ადამიანებმა უკვე შეიგნეს ჩვენი რევოლუციის სიდიადე.

— რევოლუცია ჯერ კიდევ როდი ნიშნავს გამარჯვებას!

— მომავალი ყველაფერს დაგვიმტკიცებს... დარწმუნებული ვარ — დაამტკიცებს არა თქვენს სასარგებლოდ... თქვენი კი მე ზედმიწევნით კარგად ვსმენს...

სვეტოზარი, ცოტა არ იყოს, შეცბა და თითქოს სხვათა შორის დაუმატა:

— „ჰო, შეიძლება სწორიც იყოს თქვენი ბელადი... მაგრამ განა კი ღირს სიცოცხლის, სიამოვნების განწირვა ხვალინდელი დღისათვის?

— რატომ გგონიათ, რომ ჩვენ ვიბრძვით ხვალინდელი ხვალინდელი დღისათვის? ვის ეკუთვნის, თქვენი აზრით, დღევანდელი დღე?

— Camogjiade Au... — ფილოსოფიური სიდინჯით წარმოთქვა სვეტოზარამ.

ამ რეპლიკაზე არ უპასუხა მას მეთაურმა, თვალებგაბრწყინებულმა მიიხედა სვეტოზარისკენ და მოულოდნელად ჰკითხა მას:

— ერთი რამ მაინტერესებს: ვისთან იქნებოდით ახლა თქვენ, ავადმყოფობა რომ არ გიშლიდეთ ხელს?

— ვისთან ვიქნებოდი? ამ! უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებდი რუსეთისათვის... ერთი სიტყვით, თქვენ წინააღმდეგ! — უპასუხა სვეტოზარამ და გამარჯვებული ჯარისკაცივით გაიცინა.

— მიუხედავად თქვენი სახუმარო კილოსი, დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ახე მოიქცეოდით. მხოლოდ ტყუილად ფიქრობთ, რომ ჩვენ არ ვიბრძვით რუსეთისათვის... ახალი რუსეთისათვის...

სვეტოზარი დუმდა, ნერვიულად ფურცლავდა რომელიღაც წიგნს. მეთაური პიანინოს მიუახლოვდა, იკითხა „შეიძლებაო" და როცა მიიღო დასტური, დაჯდა ინსტრუმენტის წინ მრგვალ სკამზე და აიღო რამდენიმე აკორდი.

— კარგია... — წარმოთქვა სვეტოზარამ, — თქვენ კი უკრავთ და ვამჩნევ, არც თუ ისე უარეყოფ... მაგრამ, სინტერესოა, თქვენი ნოთელარმიელები თუ დაუკრავენ ოდესმე ასეთ ინსტრუმენტზე.

— არაფერია, ჩვენ შევეცდებით შევასწავლოთ მათ მუსიკა და საზოგადოდ შევაყვანოთ ხელოვნება.

— რომელი ხელოვნება?

— ისინი ახლა თვითონ არიან თავიანთი ბედის ბატონ-პატრონი, თქვენთვის ეს გასაგებია? დარწმუნებულიი ვარ, შექმნიან ახალ, შესანიშნავ ხელოვნებას.

— ბოდიში, მეთაურო, მაგრამ ეს „რწმენას" დასაბუთება აკლია თუმცა ჩვენ ნახულნენი ახალი ხელოვნება. ამასთან დაკავშირებით მინდა გიამბო ერთი საინტერესო ანეკდოტი: ერთ ქვეყანაში კვდებოდა გენიალური მუსიკოსი, ეთქვათ, ისეთი, როგორიც იყო პაგანინი. ამავე დროს იმ ქვეყანაში გამოჩნდა ახალგაზრდა, უაღრესად ნიჭიერი მეკვინტერე, რომელსაც თავისი იმპროვიზაციები ალტაცებაში მოჰყავდა მსმენელები და მსოფლიოს საუკეთესო აუდიტორიები. ალაპარაკდა პრესა, ალაპარაკდა ხალხი, განსაკუთრებით კი ხელოვნებისმესეფურნენ. ახალგაზრდას მუსიკის მეხი უწოდეს, ახალი მუსიკის წინასწარმეტყველი. მომაკვდავმდისაც მიაღწია ახალგაზრდის ქება და, მანაც მოისურვა ამ წინასწარმეტყველის მოსმენა. მოიყვანეს ახალგაზრდა მუსიკოსი და მან ავადმყოფისათვის დაუკრა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები. როცა დაამთავრა დაკვრა, ავადმყოფმა წამოიწია, მწარედ გაიღიმა და თქვა: „ღმერთო ჩემო! ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ გამა დემაკორიაო!" და მოკვდა. ერმიელოვის გრძელმა თითებმა მსუბუქად გადაირბინეს. თეთრ კლავიშებზე.

— თქვენი აზრით, ხელოვნებაში ახალის შექმნა არ შეიძლება... ახე გამოდის!

— სწორად გამოგეთ ხელოვნების ყველა ფორმა დიდი ხანია მიგნებულია და აღმოჩენილი. ეთქვათ, ლიტერატურაში არსებობს რაღაც სამასი სიუჟეტი — ყველა ისინი უკვე გამოუყენებელია. როგორც ნათქვამია, ახალი — კარგად დავიწყებული ძველია.

— მესმის თქვენი, გაგიგეთ. რასაკვირველია, ხელოვნების საფუძვლები დიდი ხანია ჩაყრილია და ზოგ რამეში ურაკვეც. ამაშია მისი თანამიდევრულობა. მისი მარადიულობის საიდუმლოება. მაგრამ ამ საფუძველზე ყოველი ახალი ეპოქა, ყოველი ახალი გენიალური მხტეარი აშენებს, ქმნის თავის ყველახაგან განსხვავებულ შენობას სრულიად ახლებურად. აი, რას წარმოადგენს ხელოვნების ნამდვილი არსი.

— თქვენ ახე ფიქრობთ?

— ვფიქრობ და მწამს... — მეთაურმა ხაოს დაბედა. — ო, გვიანაა უკვე, ჩემი წასვლის დროა. იმედი მაქვს, კელავ განვაგრძობთ ჩვენს დისკუსიას!... ჰო, მართლა, ლეიბები არ მყოფნის ჩემი არმიელებისთვის, ხომ არ დაგვხმარებოდით ამ საქმეში?

სვეტოზარმა დახარა წიგნი და ისე შეხედა ალეკსეის, თითქოს რაღაც დიდმნიშვნელოვანი რამ მოაგონდაო. ამ გამოხედვაში იყო ყველაფერი: სიძულვილი, ჯავრი, ზიზღი, გაკვირვება... და რაღაც პატივისცემის მაგვარიც კი... დუმდა სვეტოზარი, ვერ მოეხსნა ნათქვეული თუ ვერ გადაეწყვიტა თქმა...

ერმილოვმა ახლა უფრო მტკიცედ გაუმეორა:

— ლოგინები არ მყოფნის ჩემი ბიჭებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასპინძელმა ჯიბიდან ამოიღო გასაღები:

— წაიღეთ, გააღეთ ოთახი, — მიხა გიჩვენებთ, — იქიდან შეგიძლიათ გაიტანოთ ლოგინები.

მე ყურებს არ დავუჯერე. იმ ოთახში ხომ გენერალ ლუბრსკის ნუშები ეხვენა.

მეთაური ჩემთან ერთად ჩამოვიდა მეორე სართულზე. გააღო კარი და შეკრთა. უკან დაიხია და თითქოს ოდნავ დაიბნა. შემდეგ შეიყვანა ოთახში და დაუძახა ერთ თავის ჯარისკაცს.

— ვოლკოვ! წადი, დაუძახე ადგილობრივ ექიმს, უთხარი ხაჩკარო საქმეა-თქო. ჩვენს ფერშალსაც დამიძახე!

— რა მოხდა, ამხანაგო მეთაურო?

— ისეთი არაფერი. მტრის პირველი შურისგებაა...

ვოლკოვი ვერაფერს მიხვდა, გაკვირვებით შეაჩერდა მეთაურს. შემდეგ თითქოს რაღაც მოაგონდაო, მოკუტრსტა ბრძანების შესასრულებლად.

ექიმის დამოწმების შემდეგ, რომ მოხუცი გარდაცვალა თავის საკეთილით, რაც მოხდა ოლღასა და მეთაურის თანდასწრებით, — ლუბრსკი დაასაფლავეს. მისი ნუშები ხაფლავამდე მიაცილეს ოლღამ, ერმილოვამ, მე და რამდენიმე ჯარისკაცმა, დარწმუნებული ვარ, რომ სვიატოზარი იდგა, ალბათ, თავის ოთახში და მმიზე ფარდას ამოფარებული უცქეროდა პროცესიის მსვლელობას.

VII

პატარა ქალაქის ცხოვრება თანდათან დგებოდა თავის ჩვეულებრივ კალაპოტში. დროც ანელებდა თავის ხვლას. ქალაქის გახრწნული მცხოვრებლები თავიანთ ბარგი-ბარხანით უბრუნდებოდნენ ქალაქს და მათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ბინები დაუხვდათ მთელი და ხელუხლებელი.

მე დავუმეკაცადი წითელ მეომრებს, მიხაროდა მათთან ყოფნა, რაღაც ექვსი-შვიდი წლით თუ იქნებოდნენ ჩემზე უფროსები. ისინიც ცდილობდნენ როგორც კი შეეძლოთ, დახმარება გაეწიათ ჩემთვის. პირველად ამათგან გავიგოქნენ ლენინზე, კომკავშორზე. თავიხუფალ დროს მასწავლიდნენ ბალალაიკაზე და გარმონზე დაკვრასაც. ერთი სიტყვით, კარგად ვატარებდით დროს.

სვიატოზარი კი სულმთლად გამოიცვალა. ნერვიულობდა, იშვიათად მეძახოდა ხოლმე თავის ოთახში და დიდი ხანია არ შეცადნენობდა მუსიკაში ჩემთან. მისი ოთახის კარები ახლა დაკტალი იყო დღე-ღამის განმავლობაში.

განსაკუთრებით იმის შემდეგ გამოიცვალა, რაც ოლღა გათხოვდა ალეკსეი ერმილოვზე. მაათი შეუღლება მოულოდნელი ამბავი იყო ჩვენთვისაც. რასაკვირველია, ეს იყო ხასიათშოვნა მოულოდნელობა. ყველაზე უფრო მე გამჯარა ამ ამბავმა. ამასობაში სკოლაც გაიხსნა— ოლღას დიდიხნის ოცნება! ახლა ის [illegible] ლად მუშაობდა ამ სკოლაში. ამასობაში ოლღას და მის მეუღლეს ახალი ბეგმები დაუხანთ: ორივენი დიდძალ ენერგიას ხარჯავდნენ ინმისთვის, რომ გაეხსნათ საკალაქო მუსიკალური ხაშუალებო სკოლა ვლუბრსკის სახლშეი. მე ხომ ხერიოზულად მამაცადინებდნენ — მამზადებდნენ პეტროგრადის კონსერვატორიაში შესახვედლად. ხალრიდათ, რომ ჩემგან კარგი, ნამდვილი მუსიკოსი გამოვიდოდა და მათი რწმენა მეც მაკენზებდა, ჩემშიც აძლიერებდა სწავლის წყურვილს, მახარებდა და მმატებდა ენერგიას.

მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, ზოგჯერ მენატრებოდა, მინდოდა მომესმინა სვიატოზარის დაკვრა, რატომდაც მეეჭვებოდა, რომ მის მუსიკას უკვე ვერასოდეს ეკრ მოვისმენდი.

ჩვენი ლუხაც წითელარმიელ ვოლკოვს მიხთოოდა. მაგონდება, როგორ მოიგალიჯა ლუხამ წინსაფარი, დაადგრატეკ იატაკზე და დაუწყო მას ქნელვა. მისი თქმით, ის თელავდა თავის უბადრუკ, მოხარ წარსულს. შემდეგ მიაფურთხა ხამზარეულოს და გაბეკვა თავის ეროგაულს.

ოლღას დაკრძალვიანებდან ერთი წლის შემდეგ ერთ დილით სვიატოზარი ტუკეიით განგმირული იპოვეს თავის ოთახში. თავი მოეკლა საცოდავს. სიკეთილის წინ დატოვებულ ქაღალდზე ეწერა: „ძნელია, სიცოცხლე, როცა არ გიგაჩნია რწმენა".

რა დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ! მაგრამ დავხუჭავ თუ არა თვალებს, ისევ ვხედავ ყველას: ოლღას, ალეკსეის, დეიდა მაროს, მამაო ივანეს... პირველად ამათ ჩამინერგეს სიკეთისადმი სიყვარული. შეამჩნიეს ჩემი ნიჭი, დამეხმარნენ მომეღო განათლება.

ჰო, მართლა, ახლა მომაგონდა: ერთხელ ერმილოვმა, მკერდზე მისახვეი ნიშანი — ლირა მაჩუქა და ღიმილით მითხრა:

— მიხა, აი ეს ლირა იყოს შენი თილისმა. ატარე. მხოლოდ იცოდე, არ დაკარგო, მას არჩეულებრივი თვისება აქვს, ფერს იცვლის ხოლმე და როცა შენი ხელოვნება, შენი დაკვრა მიაღწევს ვირტუოზობის უმაღლეს ნერტილს, ლირა გაწითლდება.

ამ ლირას დღესაც ვატარებ, როგორც ჰალსტუხის ქინძისთავს და, თუმცა შეიძლება ხასაცილოდაც მოგეჩვენოთ ეს ამბავი, მაგრამ ზზირად დავხედავ ხოლმე: ხომ არ გაწითლდა-მეთქი ლირა? მაგრამ არა... ჩემთვის გასაგებია ამ ხაჩუქრის მნიშვნელობა...

დამტკრეული კლავიშის ხმებს თანდათან ცვლის სიმფონიური ორკესტრის ძლევამაი ბანგები და ამ მუსიკის გაძლიერებულ ხმაში შემოს დროის ხმები ძნელი, მაგრამ ხიბარულითა და იმედით სავსე. იქნებ დღეს ამ სიყვარულით სავსე დარბაზში მაინც შეშოფრინდეს დედაჩემის შეპირებული ხაშობაო თეთრი მერცხალი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედა

ჯიუტ მოლოდინს გაიდებ ტივად,
გჯერა, ჩვენამდე მოაღწევ თითქოს,
უკვე რამდენი წელია გტკივა
შვილების გზა და ქალაქზე ფიქრობ.
ქარი აწეწავს ჩრდილსა და მზვარეს,
მოიტანს შორი ქარიშხლის ამბავს
და მოიგონებ შფოთიან გზაზე
ცხვარს ადევნებულ მდუმარე მამას,
შენ უნებურად მიაგდებ წინდას,
აჩქარებული გამოხვალ გარეთ,
გაჰყურებ ზეცას ძალიან დიდხანს
თბილისისა და შირაქის მხარეს.
მერე, როდესაც დაღლილს იჭვებით,
შემოირიგებ ცასა და მინდორს,
ისევ ძველებურ თავდავიწყებით
აგროვებ ჩვენთვის გასატან სითბოს.

●

ჩემი ცისკარი წყვდიადით მოღლილ,
ნამიან თვალებს ღრუბლებით ისრესს,
ამოკაწრული მზითა და ოფლით
უნდა მოვძებნო საჩემო სივრცე.
და თუ მინაზე ჯაჭვით მიმაბეს,
იმასაც ავწევ შიშველი მხრებით,
რომ მერე ყველა ლოდის ჯინაზე
ალავერდივით გავშალო ფრთები,
მაგრამ გადამთვრალს ლაჟვარდის
ლოცვით,
აკეკლუცებულ ნატვრისფერ სიზმარს,
ჩემი ოცნების ფერით და ხორცით
შეეწირავ ისევ მარჩენალ მიწას.
მე მტკივა ჩემი წარო და გრემი,
მე მტკივა ჩემი სიტყვა და ბნკარი,
მოყვება ჩემს გზას ტანჯვით და
გვემით
ქედდალოცვილი იმედის ხარი.
მტკივა კლარჯეთის ზვიადი მთები,
ფერეიდანის ლოდინი მსეტყვავს,
ვინ მოიგონა სივრცე და ფრთები,
როცა არ არის მამული შენთან.
მტკივა დაცლილი თუშეთის ტანი,
კრწანისის ველზე გახსნილი მაჯა, —
რაა სამშობლოს სიგრძე და განი,
თუკი სისხლს მარტო შენს ქოხში
ხარჯავ.
ვზრდიდი ჟანგისფერ მარილის
ლოკვით
დღეებს და ახლა თავისი მიზღან,
ამოკაწრული მზითა და ოფლით
ტკივილი სანამ არ იქცა ზიზღად.
მინდა, ვიდრე ამ ტკივილზე ვკრთები
და ამ ტკივილის სამოსელს ვიცვამ,
ალავერდივით გავშალო ფრთები,
მერე გადამხნან, ვითარცა მიწა.

ია

მყვირალობისას ნატვრისფერად
მოხვალ,
როცა აიწყვეტს ჭალა საკინძეს,
მოგყვება ზამთრის უენო ოხვრა
და გაზაფხული თვალებს აგინთებს.
ნკერდზე დაგიბნევს გამთბარი მიწა,
ვით სიყვარულის ნანატრ თილისმას,
პატარა გოგო გიწამებს ფიცად
და გულისსწორთან კრძალვით
მიგიტანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩასაფრებულა ღამე ავაზა,
ძველმა ეჭვებმაც ახლა იდროვეს,
გადააბოტებს ბებერ ალაჩანს
მთვარე და ღრუბელს უფრთხის
თვითონვე.

ცას ვარსკვლავების ართობს
ქორწილი,
ხევი მდინარის ხელებზე ფეთქავს,
კოცონთან მიზის ფიქრი მოღლილი
და გავათენებთ როგორმე ერთად.

იმედი ჯაჯუა

წვიმიანი დღეები

წვიმები ისევ წვიმებს უხმობენ,
ფანჯრიდან ცივი ჟონავს სისველე,
მსხალს ხავსიანი ტოტი უხმება,
მე შენს ცრემლიან თვალებს
ვიხსენებ...

ფანჯრიდან ჟონავს ცის სინოტივე,
ფრთებგალუმპულებს სცივათ
იმედებს...
სცივა სინანულს...
სცივა მოლოდინს...
და მოგონებებს... —
„რად გაგვიმეტეს?..“
წვიმები ისევ წვიმებს იწვევენ,
ღრუბელი ღრუბელს მისდევს
კანკალით...
მსხლის ხავსიანი ტოტი ირწევა —
ჩემი პაწია სევდის აკვანი...

ხარ უშურველი
და გულუხვი
ვით მზე მკათათვის
და მოიმედე სუნთქვა შენი
მკერდზე გადამდის
და რადგან ერთხელ
ყოველივე
უნდა გათავდეს...
მე მინდა მწამდეს,
მწამდეს,
ცათამდის!..

ხელის კანკალით
თუ რომ ვწერდი,
ან თუ ვხატავდი,
ბედნიერებას განვიცდიდი
რასმე, გადამდებს,
რომ არ იქნება
ყოველივე ისე გათავდეს,
რომ არ დაღვინდეს,
არ დამწიფდეს,
არ დათავთავდეს...
რომ არ მოიმკას მოსამკალი
თვემან მკათათვის,
რომ არ დავიდეს
მოქნეული ხმალი ვადამდის...

არ შეიძლება
ყოველივე ისე გათავდეს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვედრება

დაბრუნდი ჩემთან —
სიხარულის ლურჯო ფრთოსანო,
იმედის ჩიტო,
მოჟღურტულევ ჩემი სიობლის
კარლია ქოხში...
შენ, რომელიც შუქით მოსავდი
ჩემს მომლოდინე თვალთა ღიობებს...

დაბრუნდი!..
ასე ნაადრევად და ხელაღებით
ძნელი ყოფილა ყოვლის დათმობა...
როცა ვარსკვლავნი
ცის უთვალავ სარკმელს აღებენ,
მე მთოშავს შიში უსინათლობის...

ჩემი თვალები გამოაშრეს მრეშმა
ქარებმა
და უკაცრიელ გზებზე ცეცებამ...
და ცრემლთა ჩემთა მივიწყებულ
ნასახლარებად
ქცეულნი
ისევ შენ დაგეძებენ...

დაბრუნდი ჩემთან,
სიხარულის ლურჯო ფრინველო,
იმედის ჩიტო
მოჟღურტულევ ჩემი ბალღობის
ლამაზ სიზმრებში...
დამიბრუნე ის სახილველი —
ამ ხრიოკს მიღმა გაფოთლილი
მწვანე მაღლობი!..

დაბრუნდი...
ჩემი დაკარგული სიზმრების
ფრთებით
გადმოსცდი ჩემი გაძარცვული ღამის
გალავანს,
რომლის სარდაფშიც
მეათასედ უგონოდ ვთვრები
ჩემსავ თვალთაგან ჩემივ სახის
დასაფარავად...

შემომეძარცვა ცეცხლ და
ყინვაგამძლე პერანგი
სიჭაბუკის და
ცველ ძონძებში თბილად ვეხვევი...
ყველა ოცნებას, როგორც ბუმერანგს
უკან მიბრუნებს დღე ყოველი
პირგამეხებით.

არ შეიწყნარა ლოცვა ჩემი ამ
ცისქვეშეთმა,
რადგან გამჩენმა
ნიჭი ლიქნის არ მიწყალობა
და უნდო ქართა მძვინვარებას
ათარეშებენ
დღემდე ჩემს გზებზე
ვარდობისთვეც, ფერიცვალობაც...

დაბრუნდი, გვედრი...
მარქვი —
ვისი ნება განაგებს
საწუთროს ჩემსას —
გადასილულს მღვრიე დილებით...
სიცოცხლე ჩემი —
მხარქცეული, როგორც არაგვი,
სხვადასხვა მხარეს რა მიზეზით
მიედინება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არჩილ დავითიანი

„ჭედნიერეგის გზას შენ თვითონ უნდა მიაკვლიო...“

ისინი აეროპორტში შეხვდნენ. ერთი მოსკოვში მიფრინავდა, მეორე თბილისში.

მოსკოვს მომავალი დროული კაცი იყო და ამის კვალობაზე გვარიანად ჰქონდა ხახე დაღარული, მეორე კი ახალგაზრდა იყო; ტუჩის კიდეებთან რკალივით მოხრილი ახალაზლილი ულვაშები შვენოდა.

ერთი სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, მიწაზე ფეხმოკიდებული ადამიანის კილო-ყაიდაზე, გეგონებოდათ, ყოველ სიტყვას ფერს, გემოსა და წონას უსინჯავსო, მეორე კი — ისე, ახალგაზრდულად, თითქოს ფეხქვეშ რაღაც ბრალი უფიქიაო.

და მაინც, ისინი საუბრობდნენ, — უნებურად შეახვედრა აეროპორტის გაჯარვარდინნზე ცხოვრებამ და დრო რომ მოეკლათ, თავს იკლავდნენ.

წინ სიგნალიზაციის შუქნათურებით დასერილი საფრენი მინდორი იყო გაშლილი, სადაც დროდადრო თვითმფრინავების ზეკეკარი შინნგგუგუნი აზანზარებდა ბაერს.

— მიკვირს და გამკვირვებია — ხმა გაიღო დროულმა კაცმა, — გადარეული ბუღეებივით არა ღმეიან, ეგ დალოცვლილი! — თქვა და ხელით მოხაზულ რკალში მოაქცია მოასფალტებული გზა-ბილიკებიანი მინდორი.

— რაო, ძია კაცო, ხომ არ გეშინია? — შეეხმიანა ახალგაზრდა.

„ძია კაცმა“ ჩაიცინა, ღრმად ჩაიხუნთქა სიგარეტის ბოლი და მშვიდად მიუგო:

— რაღა დროს ჩემი შიშია, იმდენ ქარცეცხლში გამომვლია, რო... სიტყვაზე ვთქვი, ძალიან დიდი ტექნიკა უჭირავს ადამიანს ხელში, წამით რო წაუყრაფოს...

და დაწუეებული წინადადება არ დაასრულა.

— ვაითუ, ხელიდან დაუსხლტეს! ეს გინდოდათ ვეთქვათ, არა? — შეეშველა ახალგაზრდა.

— ჰო, სწორედ ეგრეა, — დაეთანხმა „ძია კაცი“ და დაუმატა: — დიდი სიფრთხილე მართებს ყველასა, მილეთის ხალხი სახლობს დედამიწის ზურგზე...

ახალგაზრდას მზით შემთბარი ღილით ტკბობა და წინ ავლილ-ჩავლილ მგზავრებზე თვალის შევლება უფრო სიამოვნებდა, ამიტომ, ცოტა არ იყოს, უდარდელად დასძინა:

— ეჰ, ძიაკაცო, ადრე თუ გვიან, რაც მოსახდენია, მაინც მოხდება.

ღრუბელივით გადაეფარა სახეზე „ძიაკაცს“ მწვავე დარდი და უეცრად დამბლადაკეცმული ადამიანივით მოტეხდა, მაგრამ წუთის შემდეგ ქირქილი დაიწყო.

ახალგაზრდამ გაოცებით შეხედა, არ მოელოდა ამგვარ რეაქციას, შეცდა, თავი დაბარა და გულიანად ჰკრიჭილებულ მოხუცს თვალი მოარიდა; ძალიან ეუცხოვა მისი გამხიარულება, მზად იყო პირში მიეხალა, — პირველად ვხედავ ბი შენნაირ ადამიანს, თავისი შვილებისა და შვილიშვილების მომავალი სასაცილოდ გაეხადოსო. მეტიც, — უნდოდა უხეში სიტყვები ეკადრებინა: მკრეხელობაა ხვალინდელ დღეზე ეგრე ჭიზვინო, მაგრამ თავი შეიკავა, უფროს-უმცროსობის მიჭნამ ენაზე ბოქლომი დაადო, „ძიაკაცი“ კი ისევ განაგრძობდა ქირქილს და ცეცხლზე ნავთს ასხამდა.

საფრენ მინდორზე უცებ მიწედა „გადარეული ბუღეების ღრეული“ და აეროდრომი უჩვეულმა სიჩუმემ მოიცვა თუ არა, ქირქილიც თანდათან მინელდა.

— ბოდიში, ძიაკაცო, მაგრამ ძალიან უადგილო იყო თქვენი სიცილი, — ცოტა ხნის შემდეგ მოგუდული ხმით უსაყვედურა ახალგაზრდამ.

— მართალი ბრძანებაა, უადგილო იყო! — მაშინვე შეეხიტყვა მოხუცი და კოპები შეკრა, — მაგრამ აკ დადექ, — შენი როგორიაც იყო: რაც მოსახდენია, მაინც მოხდებაო, ჰა?

— მე ვიხუმრე, — სინანულით აღიარა ახალგაზრდამ.

— ჰმ, — ჩაიცინა ძიაკაცმა, — იხუმრა,

მთელი ხალხის ბედზე იხუმრა, თითქოს სხვა არაფერი იყო საკბილი („ხალაზღანდარო" უნდოდა ეთქვა, მაგრამ ახლა მოხუცმა შეიკავა თავი) ეგრე იცით ჯელენმა თავის მარილებს!— გაცხარდა, — ჰოდა, მეც ვიხუმრე, ჩემმა მზემ, ეგრე იყო, და იცი რადა?

— აბა, საიდან მეცოდინება, თქვენ გულში როდი ვზიხარ.

— ვიფიქრე, მე ჯანდაბას, ჩემი წუთისოფელი ავად თუ კარგად მოვკვდე, ამ დალოცვილნაშვილს მთელი ცხოვრება წინ აქვს, რა უდარდოდ ჩამოფეკა, — რაც მოსახდენია, მაინც მოხდებაო.

ახალგაზრდას ალმურმა გადაჰკრა.

„ძიაკაცმა" ცას ახედა, მზის ნათელით გაცისკროვნებულ ლაჟვარდზე ერთგან შავი საკერებელივით მიწებებულ ღრუბელზე შეურტყა მზერა, და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ზოგი კაცი იმ ღრუბელსა ბგავს.

ახალგაზრდა უხერხულად შეიშმუშნა:

— ალბათ მეც იმ ზოგიერთებში ვარ.

ყურთასმენა არ ღალატობდა მოხუცს, თვალი თვალში გაუყარა ჭაბუკს.

— გონიერი თვალები გიჩანს შენა, ჭკვიანი ბიჭი ჩანხარ, მაგრამ, ახალდაყენებული მაჭარივითა შუშხუნებ...

ახალგაზრდას გაეცინა.

— ცოლიანი ხარ? — შეეკითხა „ძიაკაცი" და სიგარეტს მოუკიდა.

— რა დროს ჩემი ცოლია, ჯერ ოცდაოთხი წლისა ვარ.

ახლა „ძიაკაცმა" ჩაიცინა.

— შენი ხნისას უკვე ორი შვილი მყავდა.

— მაშინ სხვა დრო იყო...

— ვითომ რა დრო იყო! — შეიცხადა მოხუცმა. — ჰო, მართლა, სიძე-ბატონის სკამზე სატანის შავი ხალათით ვიყავი დასუფებული, ჩემ დედაკაცს კი ჩითის კაბა ეცვა, სხვა არაფერი გიგვანია. შენ კი, რო გიყურებ, ეგრე სასიძოდ გამოპრანჭული მგონიხარ გადმომხტარი დედის მუცლიდან.

ახალგაზრდამ გადაიხარხარა.

— მაშინ სხვა დრო იყო, ძიაკაცო, სხვა დრო!

— ჰო, დასტურ, სხვა დრო იყო, — ყასიდად დაეთანხმა მოხუცი ხმაში გამორეული დაცინვით, — მაშინ ვიცოდით სატანის ხალათსა და კოსტუმს შორის მანძილის ფასი, ეხლა კი გულმავიწყობა დაჩემდათ, ყველას თუ არა, ზოგიერთებს მაინც, — და მზერა რატომღაც მახლოხელი კაბინეტის კარს მიაპყრო, რომელზედაც მოოქრული ასოებით ეწერა: „აეროპორტის უფროსი".

— რამე გაწყენინათ ამ უფროსმა? — შეეკითხა ახალგაზრდა.

— არა, მაგას რას ვერჩი, სხვებზე მოგახსენებ.

— მე, რა თქმა უნდა, ამ სხვებზე ვიქნები.

— ისევ თავისთვის ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ.

მოხუცმა ისევ ცას გახედა, პორიზონტის დასალიერში გამოჩენილ თვითმფრინავზე მოციმციმე წითელ შუქნათურას მიაჩერდა, რომელიც აერոდრომისენ მიპკროდა, და თანამოსაუბრის გასაგონად თქვა: — შენ იმ ნათურას ბგავხარ.

ახალგაზრდას სახე გაუბრწყინდა, „რაღაც ენიშნა.

— ეგ კი მართალი თქვით, ეს-ეს არის წითელ ატესტატზე დავამთავრე ახალგაზრდა მუშაკთა გადასაბზაღებელი ერთწლიანი კურსები, — და უბიდან ორად დაკეცილი წითელ-ყდიანი ატესტატი ამოიღო.

მზის შუქი ჩაუდგა თვალებში „ძიაკაცს", ოდნავ აცახცახებული ხელით ჩამორთვა ატესტატი, შეატრიალ-შემოატრიალა, გაზგებ დამარცვლით ამოიკითხა: — ზურაბ ახალშენიშვილი, პატრონს დაუბრუნა და თან დაამოწმა:

— აბა, ჰე, შენ იცი და შენმა კოკეკობამ. ამ დროს მათ წინ ქალიშვილი გამოჩნდა, ქერა თმა მოალეწილ შეეკრა, მომწვანო თვალების ზემოდან მოშვილდულები წარბები გადარკალოდა. მოდიოდა და მოხდენილ ტუჩებს ისე აცმაცუნებდა, იტყოდით, რადიოდან გადმოღვრილ მელოდიას ჰანგს უწყობსო. თვალების ფერის კვალობაზე მწვანე ჩანთა ეჭირა, მწვანე კაბა და მაღალქუსლიანი მწვანე ფეხსაცმელი ეცვა. ამათ რომ გაუსწორდა, უეცრად ცხვირი აიბზნიკა და ისე გაიარა.

მოხუცმა თვალი გააყოლა.

— გაზაფხულის ფერმა არ გაცთუნოს, ეგ გოგო ეგრეთვე დარჩება, მშობლების შემხედვარე.

— რაზე შეატყვევთ?

— წუნია ჩანს, შენ რო გადმოგხედა, ცხვირი აბზნია.

— ალბათ არ ეუბნა.

— რაო, რაო? — შეიცხადა მოხუცმა.

— არ მოვეწონე, ალბათ, — დააზუსტა ზურაბ.

— ეგრე თქვი, შე კაიდედმამიშვილო, „ეეეაა!" რა ღვთის წყალობაა, საიდან ჩამიჩხირე ჩვენ დალოცვილ ქართულში!

ზურაბმა სინანულით გაიქნია თავი.

— კეთილი და პატიოსანი, ეთქვათ, არ მოეწონე, ცხვრის აბზნეა რაღა ოხრობაა? ისე გაეკვლო, ვითომ არც შეგაჩნია.

— კაცია და გუნება, — დასძინა ზურაბმა.

— მაგდ დადექ! იცი, რა გითხრა, არ მომწონს შენი „კაცია და გუნება!". უკეღნართი ნოეკვამია. მაგას რო გავფეთი, ნერონიც მართალი ყოფილა, მაკარონისეგამია იტალიელებს რომი რო დაუწვა. კაცია და გუნება!

— ეჰ, ძია კაცო, შორს წასულიხარ, ნერონთან რა გვინდა, — შეესიტყვა ზურაბი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი, ახლოს მოვიდეთ. მე რო ამ ჯარ-ჯამაათში მაიმუნივით ვიცუნდრუკო, რას იფიქრებ, კაცია და გუნებაო? — შეეკითხა „ძიაკაცი“.

— გიფიჭ-მეთქი.

—მანდ დადექ! რაც გიფს მიეტყვება, ის გონიერს არ ეკუთვნება, — თქვა და ბაჭარიფი წაადა: — ცხოვრება, ძმობილო, ძალიან დიდი ზოლია. ჭალაკში გაზზიდილი ჩანხარ, არ გეცოდინება, როგორ იწმინდება წყალი ქვეშ-ზე გადარბენის დროს. მთელ დუნიაზე მდინარეს ვერ ნახავ, ფსკერზე ქვები არ ეკარის. ქვეში მდინარის განსაზმენდელია, ცხოვრება კი — კაცისა. ადამიანს ადამიანობა რო ემჩნეოდეს, თავი და ბოლო ეს არის, მიმდინარე წყალი უნდა იყოს და არა დამდგარი. ჯაობში ყველ-ბაყაყები ბუდობენ.

ჭაბუმმა ცოტა აცალა და ცალი ყბით შეეკითხა:

— ძია კაცო, მე რას მატყობთ, მიმდინარე წყალი ვარ თუ დამდგარი?

„ძიაკაცმა“ ერთი შეხედა, თითქოს თვალების ჭრილში გაატარა თანამოსაუბრე და ხელებსვენებით მოუგო:

— შენა არც ერთი ხარ და არც მეორე. ჯერ წენგაზში გაბეკილ კაკალსა ჰგავხარ, წენგო რო შემოგეხსნება, მერე გეტყვიან, ვინაა ხარ.

რადგომ მოხკოვის თვითმფრინავში ჩახსდომა გამოაცხადა.

ბოლოცა წამოდგა, და ახალგაზრდას მხარზე ხელი დაადო.

— აქ რო მუუდროდ ვიხსენდით და ღობე-ყორეს ვედებინდით, გულისყურით ჩაგხედე ხელ-ში, მთლად ისეთი თავანკარა არა ხარ, მაგრამეს რო ღვინო ეყენა ხოლმე ქვევრში, მაგრამ მაინც არა გიშავს რა, ივარგებ, ჰოდა, პაპაჩენის ერთი ნაამბობი უნდა დაგიბოვო ახსხოვრად, გამოგადგება...

იმ ძველ დროში ჩვენი სოფელი ორი ბატონისა ყოფილა. მიჯნას დიდი ღობე გასდევდა, იმიტომაც დაურქმეიათ სოფლისათვის ღობისკარი. ერთგან ღობეში დიდი კაკლის ხე მდგარა, იმ ხეს ორივე ბატონი ეპატრონებოდა თურმე. დავა სამეფიატრო გამხდარა. ერთ ბატონს მეწისქვილედ ღრმად მოხუცებულები ყმაწვილი ჰყოლია. ოღონდაც მედიატორებთან თქვი, ჩემ ყმაწვილაცობაში ეგ კაკალი ღობეს აქეთ იდგაო და გავაჯანატებო, — უთქვამს ბატონს იმ მოხუცისათვის. მეწისქვილეს ქვა შეუგდია და თავი შეუშვერია: სახარებაზე უნდა დამაფიცონ (მაშინ მოწმეებს ეგრე აფიცებდნენ თურმე) წმინდა ჯვაროს ხელს რო დავდებ, ტუუილს ვერ ვიტყვიო და ეგეც არ იყოს, ჩემ ჩამომავლობას ტუუილს ცოდვად ვერ ვიდებო... სხვა შენ იცოდე და შენმა საქმემ. — თქვა მოხუცმა და თავისი ბარგი-ბარხანიანი თვითმფრინავისკენ გაეშურა. ახალგაზრდამ მხოლოდ იმის გაგებაღა მოახწრო, რომ „ძიაკაცი“ მოსკოვში, ჩაიკოვსკის კონსერვატორიაში შვილიშვილის საფორტეპიანო საჩვენებელ კონცერტზე დასახწრებლად მიფრინავდა.

ცოტა ხნის შემდეგ თვითმფრინავმა ენა ამოიდგა, ნელ-ნელა აშიშნდა, აგუგუნდა, ძმიმედ გაგრძა ასაფრენ ბილიკზე, სიჩქარე უმატა, ანაზღადე მოწუცდა მიწას, ცის ლაჟვარდში შეიჭრა და ჩრდილოეთისაკენ აიღო გეზი.

ახალგაზრდა იდგა და თვალს არ აშორებდა თვითმფრინავს, ხოლო როდესაც ფორტეპიანოს აკორდებივით მოესმა შორიდან მისი ძმაკაცების ბუბუნი და ცოცხლად წარმოიდგინა დარბაზის ერთ კუთხეში მიყუჟული „ძიაკაცი“ ნაოჭებში ჩაჭყლაფი მოღლილი თვალებით რომ შეპხედაროდა თავის შვილიშვილს, — მაშინღა გაახსენდა, იმ უცნაურ მოხუცს, რატომ არა ვკითხე, შვილიშვილი ვაჟი იყო თუ ქალიშვილო, და სინანულით გაკენა თავი.

თბილისისკენ მიმავალი თვითმფრინავის გასვლამდე კიდევ ორი საათი იყო დარჩენილი, დრო ბევრი ჰქონდა, მოხუცის სიტყვებზე ფიქრობდა, „მთლად ისეთი თავანკარა არა ხარ, მაგრამეს რო ღვინო ეყენა ხოლმე ქვევრში, მაგრამ მაინც არა გიშავს რა, ივარგებ“. ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული ბავშვის ხვედრი არგუნა ბედმა ზურგს, არც დედის ალერსი აკლდა, არც მამისა, მშვიდად უფრტენველად მიჰქროდნენ წლები მშობლიური სახლის ჭერქვეშ, სადაც დაიარა მისი აკვანი, სადაც აიდგა ფეხი და დაიყვანეთ მისმა ბავშვობამ. დედა ხაშუალო სკოლის დირექტორი იყო, მამა რკინიულობის პატარა მაღაზიას განაგებდა. იმდენი სითბო იყო ოჯახში, რომ უმაწვილს ეგონა მზე მათ ჭერქვეშ ამოდიოდა, სიყვარულის მზე, სიხარულის მზე. შვილს უურადღება და მოვლა-პატრონობა არ აკლდა, ზედმეტად არ ანებივრებდნენ, მახსოვ ადინ-დელ ახაკში რაიმე ცუდი მიდრეკილება არ გამოუჩენია, ნიშიერი იყო და კარგადაც სწავლობდა. რაც უფრო ზრდადი შედიოდა, მით უფრო გრძნობდა ნაკაფარი მშობლების ხელით შემოტანილი პურის გემოს და ამის კვალობაზე მით უფრო იმსჭვალებოდა დედ-მამისადმი სიყვარულით.

ეგონა, ასე უშფოთველად დაამთავრებდა ხაშუალო სკოლას, მერე უმაღლესში ჩააბარებდა გამოცდებს, უოუოდ კარგად ჩააბარებდა, მშობლებს ამაგს დაუფასებდა, მაგრამ მეოთხმეტე წელში რომ გადადგა, უეცრად დაიწყო მკვიდრი ოჯახის ბურკების რეკვა. დღეს კარგად იცის იმ რეკვის მიზეზები, მაგრამ მაშინ ძმმე

არჩილ დავითიანი

„ბედნიერების გზას შენ თვითონ უნდა მიაკვლიო...“

ამოცანის წინაშე დადგა, ის ამოცანა ორიგინალობაან განტოლებაზე გაცილებით რთული ეჩვენა: მამა დაჭრილიყო, იგი იმ დღიდან „შემომტანად“ ითვლება ოჯახ, როგორც ერთხელ უკარი მოიკრა მეზობლების სიბრაზს, ოჯახი თანდათან გამოფენას ფიქრობდა; სამოთხეანი ბინა უცხოური ნივთებითა და საგნებით იფსებოდა, რა ავეკრა, რა კალეი და შანდლები, რა ნობები და ნიორ-ნიორი ძვირფასი ჩაჩუკრები დედისთვის თუ მისთვის... რომელი ერთი ჩამთვალოს, ოჯახი კი მაინც ირდვიდა, მისი ბურჯები სულ უფრო ირყეოდა, მიწისქვეშა საყრდენგამოცელილი სახლივით.

იმ დროს იყო, მის უმნიფარ გონებას წარამარა ეკვეთებოდა ხოლმე ერთი თავსატეხი კითხვა: „სადან აქვს ამ ბიოლი ხანებში მამაჩემს ამდენი ფული?“ ქვეეცნობიერად იმასაც ხვდებოდა ბუნდოვნად, მამა, დღეკანდელი სიტყვებით თუ ვიტყვით, მაშინ ცრუ, ნაყალბევ და გამოგონებულ ბედნიერებას ფფუნებდა ოჯახში, რომელიც მათი თბილი კერიიდან ხდებოდა სამშვიდეს, ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს, მაგრამ მისი მიზეზდრილობის ძაფი ოქ წყდებოდა, ძაფს მამაშვილური სიყვარულის გრძნობა სწუვდება, იგი უფრო ძლიერი იყო, განსკან უზშობდა და ემაწყვილის მთელ არხებს გულის კარნახს უმორჩილებდა. ერთი სიტყვით, იგი საღი ბანსკიანა და მამაშვილური სიყვარულის ტყვეობაში მოექცა და პირველს მეორე ხკანნდა.

დედას ითვალთვე არ სიამოვნებდა მეუღლის ფერიხცალებება, ზურას თანდასწრებით არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ ბიჭი გუმანით გრძნობდა ამშოლეს შორის გაჩენილ უფსკრულს, რომელიც დღითი დღე იზრდებოდა და ოჯახის ბურჯებს ერთმანეთს აშორებდა. განსაკუთრებით მაშინ ღელავდა დედა, როცა მეუღლე შინ მთვრალი ბრუნდებოდა. შვილის გულის მოგებას ცდილობდა, მალულად ფულს სჩიუნდა, თანაც ცალუხად, დედას რომ არ გაეგო, ეტყოდა ხოლმე: ჩვენი გვარი ეამორჩეული გვარია, შენც უნდა ივარგოო.

ის დღეებიც ახსოვს, დედა ცალკე ოთახში რომ დასვამდა ხოლმე, ეტყოდა, იმეცადინეო, თვითონ კი კარს გიიბურავდა და საკვებურებით ავსებდა მეუღლეს. ბიჭი სწავლას გულს ვერ ეფლდებოდა, ცალი ყური მშობლებისკენ ჰქონდა. ოქ კი კოცონი ხან ამუბრდულდებოდა, ხანაც მინელდებოდა.

ან იმ საბედისწერო დღეს რა დაავიწყეს, დედა შეშფოთებული რომ დაბრუნდა სკოლიდან, ხახის ნაკვთები უცახცახებდა. პირველად ნახა ასე აღელვებული. მამა მთვრალი იყო, ტახტზე იწვა და ღიღინებდა.

— რაო, ნატო ქალო, კიდევ აგრირეს უწესო ბავშვებმა?

ნატომ ხმა არ გასცა, ტანსაცმელი გამოიცვალა, სამზარეულოში გავიდა და ბრინჯის კერძის მომზადებას შეუდგა. ახე ოცდა, ოცდა ფინა დღეს ამზადებდა ხვალის სადილს.

— ხომ გითხარი, მოეშვი-მეთქი მაგ სკოლას, რა თავში ვიხლი შენს შემოტანილ ფარშეებს, მე და ზურას გვიაბერენ, უფრო უპრიანია, — ისევ შეეხმიანა ნიშრეკანი, ტახტზე წამოჯდა და განაგრძო: — მალე საკუთარი მანქანაც გვეყოლება, ჩასხედით დედა-შვილი, ისეირნეთ ჩვენი დედაქალაქის ქუჩებში ადმადადმა, კოოპერატიული სახლის მშენებლობაც აგერ-აგერ დამთავრდება, სხვა რა აკლია ოჯახს ბედნიერებისათვის?...

მაშინ კი ვეღარ მოითმინა დედამ, სახელეწელი გამოენთო სამზარეულოდან. შვილსაც ალარ მოერიდა, პირში მიაბალა მეუღლეს: — ის აკლია, რაც შენ უკვე დაკკარგეი, და მერე ქვეთინანთ მოპყვა, რაც იმ დღეს სკოლაში წყენა შეხვედროდა.

მუსიკის მახვალელებლს გაკვეთილზე დაეგვიანა, დირეკტორს შენიშვნა მიეცა, ოფას კი ეპაუხუნა: — ქალბატონო ნატო, მეც რომ ქმარი მყავდეს და დღეში ბოთასი ბანეული შემოპქონდეს ოჯახში, დაგვიანება რას მიქვია, ხათიფეზე არ გავეკარებოდი შენს სკოლასო.

რამდენიმე წუთს ორივე დუმდა, მაგრამ დედა სამზარეულოში გავიდა თუ არა, მამამ ზურა თავისთან იხმო, ხმადაბალად უთხრა:— გაიგონე, ბიჭო, ჭკვიანი ქალი ყოფილი ინ მუშაკანტიო, და გადაიხარხარა.

დედამ ყური მოპკრა მეუღლის სიტყვებს, ისევ გამოვარდა სამზარეულოდან, მამა-შვილს შუა ჩადგა და მეუღლეს შესძახა: — დღეიდან შენ ამასთან არაფერი გეხაკმეპიო, — და ამ სიტყვებით ზურა მეორე ოთახში გაიყვანა, მერე უკან დაბრუნდა, მკაცრად გაიგრთხლეა მეუღლე, ხვალიდან არაფერი არ შემოიტანო ოჯახშიო.

ზაფხულის არდადეგებზე დედამ ზურა გაგზავნა ნეიტვანა, ზღვამ და უცხო ქალაქის წალკოტში გატარებულმა მზიანმა დღეებმა ორივეს დაავიწყა თბილისიდან გამოყოლილი ტკივილები. მაგრამ მესამე კვირა დაიწყო თუ არა, გაწვიმდა, სამი დღე გადაუღებლად ცვრიდა, დახუთულ რთაბში ყოფნა მიბეზრდათ, მეოთხე დღეს გუდა-ნაბადი აიკრეს და დაიკმეულ დროზე ადრე დაბრუნდენ თბილისში. გზაში ავტობუსმა დაიგვიანა, ღამის რა საათზე მოვიდენ შინ. ერთხელ დარეკეს ზარი, მეორეც, მესამეც. როგორც იქნა, გაჩხაკუნდა საკეტი და კარი გაიღო. მამამ მუდარით სთხოვა ცოლს: — თუ ჭალი ხარ, ახლა არ ამეტო რიარიარო. ყველაფერი ნათელი იყო. დედამ ზურა თავის ოთახში გაიყვანა, გაუშალა ლოგინი და თვითონაც მაშინვე დაწვა. მაგრამ არც მას გაეკარა ძილი და არც დედას, თუმცა ორივეს თვალები დახუჭული ჰქონდათ; გვარიანად

ეყენენ დალლილები მგზავრობით; ამ ამბავს არც ერთი არ მოელოდა. ინათა თუ არა, მამის თოახში ჩურჩული გაისმა, მერე გასასვლელი კარი გაიღო, ისევ დაიბერა და სიჩუმე ჩამოვარდა. ორივე ერთდროულად წამოდგა, მამის თოახს მიაშურეს. ლოგინი გასწორებული იყო, მაგიდაზე რვეულიდან ამოხეული ფურცელი იდო: „შვილო ზურა! დედაშენი ისედაც მეშფოთოდა, ვიცი, ამ ნახიჭის არ მაპატიებს, ამიტომ ჩემი ნებით მივდივარ. მე უკან დახევი გზა არა მაქვს. ნუ მიწყენ, ბიჭო, მეტის თქმა არ შემძლია, დანარჩენს გაიწერდები და თვითონ მიხვდები. დედაშენი რობოტია, თუ შენც მოგიძულა, მოდი ჩემთან, ამ ქალისა ნუ მოგერიდება. დედობის ეს გაგიწევს. შენი მამა".

თავზარი დაეკა. გრძნობდა, შავი ღრუბლები გროვდებოდა ოჯახის თავზე, მაერი თანდათან იმუხტებოდა, მაგრამ ახე მალე თუ გავარდებოდა მეხი, ამას არ მოელოდა. ერთი წლის წინათ მამა ცუდი კაცი არ იყო, ყოველ შემთხვევაში, მას არ გაუგონია დედას ეხაკვედენა მისთვის, ბედნიერების მომტანი სიყვარული აკაშრიებდათ ერთმანეთთან, ერთიმეორეს ეფერებოდნენ. ყველაფერი გაკარ, თითქოს უფსკრულმა შთანთქა. გულში თითქოს რაღაც ჩაწყდა, მწვავე ტკივილი იგრძნო. მშობელ მამასთან განშორების ტკივილი იყო, ახლაც შეუბორკავენ ჭრილობახვეთ რომ აჩნევია გულზე; პირველად მაშინ გაჩიკადა ყველაზე ახლობელ ადამიანთან განშორების სიმწარე, ვინ იცის, იქნება სამუდამოდაც. ტკივილი უფრო დამძიმდა, როცა გაახსენდა სტრიქონები, დედას რომ ეხებოდა. დედა რომელიც ბორკეტებისაგან დამცველ პირველქმნილ ხახეს წარმოადგენდა მისთვის, თურმე „რობოტი" ყოფილა, ანუ წინასწარ დაპროგრამებული მანქანა. სულის სიღრმეში სჭერდა დედისა, სჭერდა მისი შინაგანი სიწმინდე, მაგრამ მამის სიტყვებმა „დედაშენი რობოტიაო", მაინც გაბზარა მისი წარმოდგენა.

— ახეა შვილო, ფუფლა აერია გზა-კვალი. ფუფლ ადამიანებს ახრამავებს, ხოლო თუ კაცი უფრო პატარაა, ვიდრე თანამდებობა, ადამიანი მთვრალივითაა.

დინჯად, აუღელვებლად უთხრა „რობოტმა" ეს სიტყვები, მაგრამ ბიჭმა ხმაზე მაინც შეეტყო, რაგორ გაუჭირდა თქმა, ისიც იგრძნო, ხმა დაკროგრამებული მანქანა — ავტომატის ხმას არ გავდა, იგი კიდევ რაღაც იდუმალს უმზერდა, მისთვის ჯერ კიდევ შეუცნობელსა და მიუწვდომელს, მაგრამ რახ? — ამას ვერ ხვდებოდა, და ეს არანაკლებ სტანჯავდა...

ფიქრის „ქარავანი" წამით შეჩერდა. ოცდაათი წლის ახაკში ადვილია გახსენება, არც ის იდუმალი და მიუწვდომელია მისთვის დაფარული დღეს, ეხლა დაბეჭითებით იცის, რომ დედის ხმაში გაცრუებული სიყვარულის ეჭვიანობა ისმოდა, მაგრამ მაშინ სად შეეძლო ადამიანის გულში ჩახედვა და იქ დფარულის ამოკითხვა, გიჟდაც ის გული დედისა ყოფილიყო!..

„ქარავანი" დაიძრა.

იმ დღიდან ისე გრძნობდა თავს, თითქოს მის ხელში ვულკანმა ამოხეიქა. ვულკანი გუგუნებდა, თავბრუს ახვევდა. ხაზინელ ქარაშვილში მოხვედრილ მარტოსულივით აწამებდა. მაშინ იყო, თავიხთავი ტოტებდალეწილ ნერგს შეადარა და ამას პოეტურ შედარებად როი აღიქვამდა, ნამდვილად ახე ეგონა. სწავლას უკლო, გაკვეთილებზე გარინდებული იჯდა, ადრინდელი ხალისი დაკარგა, ყველაფრის ბუნჯად ადგების სურვილი მოეძალა, მწარე ღიმილით უყურებდა თანაკლასელებს, მასწავლებლებს, სკოლის შენობასაც კი, ყველაფერი ჯოსიეთი ალუფუნულიაო და ამაოდ ცდილობდა (ცდილობდა კიაℓ?) იმ ქოსმეი ხაკუთარი ცხოვრებისა და მომავლის აზრის გარკვევას. ხოლო როდესაც გაიგო, მამა დაუპატიმრებიათ იმ ქალთან ერთადო (მაშინ უკვე მეათე კლასში იყო) შინაც ალარ უდგებოდა გული, მიუუხვადად იმისა, რომ დედა გოორკეცებულ მზრუნველობას უწევდა, მეტიც, სოფლიდან ბებია ჩამოიყვანა, რომ ბიჭს ყველაფერი თავის დროზე ჰქონდოდა.

„ქარავანი" შეჩერდა. ზურას მიხუცი გაახსენედა: „მთლად ისეთი თავვაკაა არა ხარ"... ჩაეცმა ყურში. ზურამ წამით იფიქრა, „მართალი ხარ, ძია კაცო, მართალი", — გაიგო გულში, და „ქარავანი" ისევ დაიძრა.

დედას, რა თქმა უნდა, შეეძლო თვალი აეხილა მისთვის, შეეძლო განემარტა მამაშვილური სიყვარულის არსი, მისი მიჯნები, როგორც განემარტა ფულისაგან დაპრმავებული კაცის მდგომარეობა, მაგრამ რაღაზეღაც თავს იკავებდა. ნუთუ არ უნდა ჩამეკლას სათუთი გრძნობა მამაშვილური სიყვარულისა? — ფიქრობდა იგი და გაეზიანებული უყურებდა დედას. ის კი დუმდა. მხოლოდ ერთხელ გადაუკრა ხმადაბალი, სხვათა შორის, თითქოს თავისთვის ელაპარაკებაო, — სიყვარულმა, გიჟდაც იგი მამაშვილური იყოს, ისე არ უნდა შებოჭოს ადამიანი, რომ გონება დაებშოს და თვალი დაეკოს, რადგან ასეთი სიყვარულის-განაც ჩნდება ხანძრებიო. მის დანისნული გონებას გაუკირდა ამ ნართაულის ამოხსნა, თურმე ამ სიტყვებით უთხრა დედამ, რაც ხათკმელი იყო. მაგრამ კარგ მოქმედმა რა იცოდნოს, თუ კარგი გაზარნენ არ ეყოფებაᲐ..

სკოლა სახლთან ახლოს იყო. გაკვეთილები არ გაუცდენია, მაგრამ ისევ გარინდებული

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲐᲜᲘ

„ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲡᲐ ᲨᲔᲜ ᲗᲘᲗᲘᲝᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲐᲕᲚᲘᲗ..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახ ხოლმე კლასში, უსაანისოდ ასრულებდა დავალებებს, ხოლო შესვენებებზე განზე გადგებოდა და მოწყენილი უყურებდა თამაშით გართულ ამხანაგებს.

სკოლიდან დაბრუნებულს შინ გული არ უდგებოდა, აკეთებდული ბნელი ფიქრები ხანლიდან ხდებოდნენ და ისიც გარბოდა, ცხრახარეულიანი სახლის სახურავზე ადიოდა და მეტ დროს იქ ატარებდა, სადაც მამამ პატარა ჯიხური მოუწყო მტრედებისათვის. ავდიოდა თუ არა, ჯიხურიდან გამოუშვებდა მოლიღინე მტრედების თოფლივით თეთრ გუნდს, ადარენდა, თავადერებული გაჩერდებოდა ერთ ადგილზე, გარინდებული უყურებდა ცაში ლაღად მონაკვრულ ფრთოსნებს და, მათი შემყურე, გამოუცნობი სიმხნევითა და სიჩაუქით ივსებოდა, მაგრამ უცებ გაახსენდებოდა თავისი აწყენილი ცხოვრება და მის წამიერ სიმხნევეს და სიჩაუქეს კვლავ ხაშინელი აპათია ენაცვლებოდა.

დედა ზვდებოდა, რა ცეცხლი ენთო შვილის გულში, ინანებდებოდა, მაგრამ თავს იკავებდა, ხერიოზულ საუბარს გაუბარდა, მხოლოდ ეს კია, ერთხელ უთხრა: შენ, შვილო, ფსიქოლოგიურ შოკში ხარო — და დაწერილებით აუწერა ფსიქოლოგიურ შოკში ჩავარდნილი ადამიანის მდგომარეობა. ბოლოს დაუმატა: — გახსოვდეს, შვილო, ნუ ნილი და წუვეტება მხოლოდ იმ ადამიანის დაკარგვის გამო ვვმაროვებს, ვინც ხაკვეყნო რწმენას გვინერგავს, ვინაც კარგი მაგალითის მოცემა შეუძლიო. დედას უნდოდა სიტყვა გაეგრძელებინა, შეატყო მამაზე უნდოდა შეეჩერებინა მისი ეკურადღება, მაგრამ გადაიფიქრა, ვაითუ უფრო გავალიზიანო და თავი შეიკავა... როცა დედის გვერდით იმყოფებოდა და მის ხაუბარს უსმენდა, თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, ეშვიც არ ეპარებოდა დედის სიტყვების სიმართლეში, მხნეებდებოდა, იმედით ივსებოდა, მაგრამ მარტო რომ რჩებოდა, თავისთავად პირისპირ, ისევ ნისლით ეზურებოდა გონება, ხასოწარკვეთილება იპყრობდა, უკიერი ცხოვრების სირთულეში წყდება, უმწიფარ გონებას უანელდებოდა აკკარგის გამიჯვნა, და აკეთებულ მწარე ფიქრებისაგან გატანჯული კვლავ ხახურავზე ანრბოდა, იქ ეძებდა სულის ხიმშვიდეს.

მაგრამ ცხოვრების ბუკუმა იქაც არ მოახვინა, კინაღამ უარესი დამმართა. ხახურავზე ქუჩის ბიჭებიც ამოდიოდნენ, ლაზღანდარობდნენ, ბილწსიტყვაობდნენ და ხმა ითახვარ უმმაგხოებას სრავიოდნენ. ეს ' იცოდნენ ამ ხახლში მობინადრეებმა, ისინი კიდეკ ჩიოდნენ, ქუჩის ბიჭები ჩვენ შვილებს ცუდ მაგალითს აძლევენო, იცოდა ხახლმპრობელმაც, იცოდნენ პირდაპირ მდებარე შენობაშიც, სადაც რაიონის ადმინისტრაციული ორგანები იყო, მაგრამ ყველას ისე ეჭირა თავი, თითქოს მას არაფერი ეხებოდა.

ერთ დღეს ის ბიჭებს შეეფეთა პირისპირ.

— რა გინდა აქ? — გარსშემოერტყნენ ისინი.

— მე ამ ხახლში ვცხოვრობ.

— იცხოვრე, მერე, ვინ დაგიშალა, ხახურაკზე რას დაეთრევი?

— მტრედები მყავს, იმათ ვუვლი.

— მოდი, ბიჭებო, ამას მორფი შეეუშაკუნოთ, უფრო ეიგრანად მოუვლის, — თქვა იმათგან ყველაზე უფროსმა, რომელსაც სხვები „შაკის" ეძახდნენ.

— მორფი რომ მინდოდეს, მამიდაჩემი საავადმყოფოში შუშობს ეკონად, გამოვართმევ დ...

ნამოსდა, არ უნდა ეთქვა, მიხვდა, შეცდა, მაგრამ უკვე გვიან იყო, გაფრენილ სიტყვას ვეღარ დაიბრუნებდა.

წრე უფრო შეიკრა. ეკვნი აღეზნებული თვალი ცეცხლოვანი ისრებით ბურღავდა მას.

— თუ არ გინდა მტრედები დაგიბოცოთ, მამიდაშენს გამოართვი მორფი, ჩვენთვის გამოართვი, ფულს გადავიხდით, — უთხრა „შაკომ".

ხაშინელი მოქმარით უელვარებდათ თვალები, ხასიკეთო პირი არ უჩანდა წინააღმდეგობას, შეჰპირდა, მოგიტანთო და პირობა შეასრულა. დედას არ გაუმხილა, ეგონა, ბიჭები თავისით ჩამოსცილდებოდნენ. მორფის ამბავი მეორედაც გამმეორდა, მესამედაც. რაკი სიმედო წყარის მიაგნეს, არ ეშვებოდნენ, აშინებდნენ, ეშფეკრებოდნენ, თანაც მფაფალობას პირდებოდნენ, შენი ძმაკაცები ვართო, ჩვენი შინშიო ამ უბანში ბუზსაც ვერავინ აგიფრენსო. და ისიც ბრმად ასრულებდა „მომმარაგებლის" მოვალეობას უფრო იმიტომ, რომ ოჯახდან მამის წასვლის შემდეგ ხოცოდად ენატრებოდა მამაკაცის მბრაწი დგომა, მამაკაცის ფფარველობა, გინდაც იგი მორფინისტი ყოფილიყო, მწარე შეურაცხყოფასავით განიცდიდა უმამობას, გული ხავსე ჰკონდა ნაღვეკით და ნიადაგ თავში უტრიალებდა ერთი და იგივე კითხვა: რაკა მას ხვდა წილად ეს შეურაცხყოფა? „მაკაკები" კი თანდათან ისსნიდნენ ნიღაბს, უკვე გაიშინაურეს იგი და ერთ დღეს მასაც დაუპირეს მისივე მოტანილი ავბედითი ნითხის შეშხაპუნება.

უმძიმესი წუთები გამოიარა იმ დღეს, შიგ გულში დაუშაზნეს შხამინი ისარი და აგერ-აგერ მოხვდებოდა. ამასობაში „ძმაკაცები" ჯერ სიტყვებით არწმუნებდნენ დაჰყოლოდა, მაგრამ ნაზს, სიტყვები ამასთან არა სჯრიხო, ხარმა გამოაკერეს, შებოვეს და ის იყო „შაკომ" ნითხთ გაავსო შარიკი. რომ ამ დროს ასფალტზე ქუსლიანი ფეხსაცმლის ბაკაკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი გაიხმა და მედიკო გამოჩნდა, დედამისის მეგობარი ქალი, მათთან მოდიოდა თორმე. იგიც მეცხრე სართულზე ცხოვრობდა მეზობელ სადარბაზოში, ხანდახან სახურავის გადმოვლით იცოდა მათთან მოსვლა, ახე უფრო მარჯვე იყო.

წრე გაიშალა, მედიკო შეჩერდა, მას შეხედა, მიხედა, რასაც უპირებდნენ, ჯიქურ შეავდა წრეში, მის „ძმაკაცებს" აეკიდა, ცეცხლივით სახტაკეი თვალების ბრიალით მოაკლო მზერა ხამოვეს და მშვიდად უთხრა: — ჩემი ძმისშვილია ეს ბიჭი, ხელი არ დაეკაროთ, თორემ მე და ჩემი ძმა ხამიეს გაგაკრობთო.

ხაოკაინი სურათის მოწმე გახდა იგი. „ძმაკაცები" ალერსიანი თვალებიო შეაცქერდნენ მედიკოს, მორფიც დაავწყდათ და მიზანში ამოიღებეს მსხვერპლიც. ლამაზი ქალის უჩანარმა ძალამ დააურეენა მათ ფარ-ხმალი და არა მედიკოს რიბიანმა მუქარამ, მისი ნუშისებური თვალების სილამაზემ გაარინდა ისინი და არა იმ თვალების მრისხანე ბრიალმა, თვითონ მას კი უმალ დაავწყდა წუთის წინ განცდილ საფრთხე, ერთბაშად გაუარა შფოთმა და ზღვლავრებამ და ციდან მოვლენილ ქალღმერთად იწამა მედიკო. „ქალღმერთმა" ტკლავში ჩაავლო ხელი, წრიდან გამოიყვანა და შინ მშვიდობიანად მიიყვანა. მეტიც, „ქალღმერთმა" ერთი სურვილიც შეუსრულა, მისი თხოვნით დედამისთან არ გაამბილა რაც თავს გადახდა.

მაგრამ დამალვა მაინც არ მოხერხდა.

ერთ დღეს (მედიკო მათთან იყო) უეცრად აწკრიალდა ტელეფონი. ყურმილი დედამ აიღო. ჯერ კოპები შეეკრა, მერე ერთიანად გაფითრდა და ყურმილი კინაღამ ხელიდან გაუვარდა.

— დამდუქე ხომ, შვილო?— ამოოლუღლუღა.

— რა მოხდა, დედა?

— არ გადარჩენ ვდა ჩემი სიკვდილი, რომ მოვრჩე და მოვისვენო.

— ვინ იყო, განა რა გითხრა ასეთი? — ჩაერია მედიკო.

— ჩემი მული იყო, შვილი რომ დაინაკუთრე, იმას ყურის გდებაც უნდაო, ზვეწნა-ბუდარით რამდენჯერმე გამომართვა მორფი, სხვებისთვის მინდაო, მიხედე, რა ამბავია მის თავს, შე უბედურო.

სხვა გზა არ ჰქონდა, ყველაფერი უნდა ეღიარებინა და ახეც მოიქცა. მერე მედიკომაც დაუმატა, რაც იცოდა.

დედა ყურადღებით უსმენდა, მაგრამ ვაი იმ მოსმენას, თითქოს მის თვალწინ ბერდებოდა იგი, თითქოს კი არა, სწორედ ახე იყო. არ-ახოდეს არ ენახა დედა ახე სასოწარკვეთილი, უმწეო, დაბეჩავებული. თავშეკავებას ცდილობდა, მაგრამ ძალ-ღონე არ მოსდევდა, უეცრად თავი ჩაჰკიდა, თვალების ბუნებრივ ფერად გადავიდა, ბალიშზე ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შელახვად მიაჩნდათ და მას თვლიდნენ დამნაშავედ.

— მაშ ხაიდან იცოდნენ შენი ხახელი და რაკი შენ მოგკითხეს? — შეეკითხა მილიციის რწმენებიული.

მეტი დუმილი აღარ შეეძლო და დაწვრილებით მოუყვა, რაც ბედახდა. ბოლოს ეს ამბავი ამით დასრულდა, რომ მეორე დღიდანვე შეწყდა ტელეფონების რეკვა, თუმცა გარეწრების კვალს ვერ მიაგნო მილიციამ, მაინც მოთავეებადად ჩათვალა თავისი მოვალეობა და ოპერატუნქტებში ჩაიკეტა, დირექტორმა გადაყლაპა ხახეში გარტყმული მუშების სიმწარე, „ხაგანგებო შემთხვევა“ დავიწყებას მიეცა...

მხოლოდ დედა იყო ისევ მოუსვენრად. გულწრფელი აღიარება მოუწონა, შეაქო: ყველა პატიოსანი ადამიანი აგრე უნდა იქცეოდესო,— უთხრა და სიმართლის დამალვას თუ რა მოსდევს, ამის თაობაზე ერთ ამბავს მოუყვა: რაიონში ცხოვრებ ექიმს თბილისში სტუდენტი შვილი ყოლოდა, შვილი მისთვის დაჯავშნულ საკუთარ სახლში ცხოვრობდა. სტუდენტის ბინა საეკვო გოგო-ბიჭების თავშეყრის ბუდედ გადაქცეულა. ერთ დღეს შვილს თავისი მეგობრის ხელით მამისათვის წერილი გაუგზავნია: „ამ ბარათის მომტანი ჩემი თანაკურსელია, კაი ოჯახის შვილია, ერთად ვმეცადინეობთ ხან ამასთან, ხანაც ჩემთან. ბიძამისი ომის ვეტერანია, ომიდან გამოყოლილი ტკივილები აწუხებს, მორფეთი უყურებენ. რამდენჯერაც მოგკითხოს, უარით ნუ გამოიტუტრებ, საფასურს ორმაგად გადაგიხდის.“ მამისაგან გამოტანებულ მორფს თერმე შვილიც იკეთებდა. ერთ დღეს მოუდღეველ თბილ წყალში გავლებული შპრიცით შეუშხაპუნებიათ მეგობრებს მისთვის მორფი, სისხლი მოწამვლია და მომკვდარა...

ახლაც კარგად ახსოვს, დედა როგორი ხეტიანი ხმით მოუყვა ამ ამბავს. თხრიბა რომ დაამთავრა, სხვათა შორის სწავლაზე ჩამოუვდო სიტყვა, სასწავლო წლის დამთავრებამდე ოთხი თვე დარჩა, ხვალ კვირაა, მინდა სერიოზულად გაგესაუბრო.

— ეხლა ვისაუბროთ, ხვალისთვის რად გადავდოთ?

— არა ხვალ იყოს. ნუ აჩქარდები, მოიფიქრე, რა გაწუხებს, რა დაბმარება გინდა ჩემგან, რას ფიქრობ... ცხოვრებაზე, შენს მომავალზე, გინდაც ჩემზე...

— არ მინდა.

— რატომ?

— ერთფეროვანი საუბარი გამოგვიჯა, ყველნი ამომცოდავდა.

— ვიცოდა, მაგას იტყოდი. სცდები. მინდა მეგობრულად ვისაუბროთ და არა როგორც დედა-შვილმა, ბულახდელად, იმ რწმენით, რომ ტყეში ჩავიხედოთ ცხოვრებაში... ეხლე იცოდე, კითხვებს მეც მოგცემ, ამიტომ შენც მოემზადე პასუხების გასაცემად.

ამ საუბარს მოელოდა, რა ხანია გრძნობდა, დედას სერიოზული გასაუბრება უნდოდა მასთან, მაგრამ თავს იკავებდა.

— თანახმა ვარ, მხოლოდ პირობა პირობაა, ჭეშმარიტ გამოკრული ლოზუნგების გამეორება არ იყოს.

— კიდევ ერთი თხოვნა მაქვს.

— რა თხოვნა?

— საერთო რვეული მოამზადე.

— რად მინდა?

— ჩაიწერე ზოგიერთ წაკითხულ წიგნებიდან აფორიზმები, ფრთიანი სიტყვები, გამოჩენილი მეცნიერების, დიდი მწერლების მოსაზრებული ნაოქვამები... ერთგან არ იქნება თუ იმ რვეულში ზოგიერთი ამბავსაც შეიტან, ღრმა კვალი რომ დაუტოვებია შენს ცხოვრებაში, გონების სავარაშოა, გამოგადგება. ადრე მინდოდა მომეცა ეს რჩევა, მაგრამ გადამავიწყდა.

— კარგი. რვეული მეკნება.

— ბარემ ხვალდანვე დაიწყე ჩანაწერების შეტანა. არაფერი დაშვედება თუ ჩვენი გასაუბრებით დაიწყებ. მაგალითად, ხვალინდელ გასაუბრებას მე „ოჯახურ ინტერვიუს“ დავარქმევდი.

— ურიგო სათაური არ არის. კარგი, აგრე იყოს.

დაძინების წინ დიდხანს ფიქრობდა კითხვებზე, რაკი დედა გულწრფელ საუბარში იწვევდა, უნდოდა ისეთი კითხვები დაესვა, რომლებიც მას აწუხებდა და დედასაც გაუჭირდებოდა პასუხის გაცემა. რაღაც სპორტულმა ენმა გაოლვიძა მასში. კითხვები საგულდაგულოდ მოინაშნა და წინასწარ ტაბებოდა, რომ დედას „რაღაცებში“ გამოიგერდა.

მეორე დღეს „ოჯახური ინტერვიუ“ შეუდგა. ზურაბ სიგარეტი მოსწია, პატარა ჩემოდანს წაეტანა ხელი, გახსნა და საერთო რვეული ამოიღო, იგი გვარიანად იყო გაცვეთილი ბმარებისაგან. ძალიან უყვარდა ეს რვეული, ხუთსა და გულს მიფუნაზლებსო, იტყოდა ხოლმე, შუდამ თან ატარებდა, თავისუფალ დროს თავი შიგ ჰქონდა ჩარგული. გადაშალა, საერთო რვეულის პირველ გვერდს სათაურად ეწერა: „ოჯახური ინტერვიუ“ და კითხვა დაიწყო:

„ბე: ქალბატონო ნატო! (გაეცინა, ეუცხოა მიმართვა) თქვენ ხშირად ჩიკეთ ხოლმე, ამ ბოლო დროს ცხოვრებაში ბევრი ცუდი და მახინჯი გამოგვეტიაო. რას იტყვით ამაზე?

ის: დიახ, ბევრი ცუდი და მახინჯი გამოგვერია. ჩვენი საწუხარი და სადარდებელიც სწორედ ეგ ბრძოს... ომის შემკვიდრეობაა. ომის მძიმე წლებში ზოგიერთ ადამიანს სიხარბემ ხძლია, ოოლად მოითბონ ხელნი ხალხის გასაჯირზე, ბუხანკა პურში ბაკალიო ოჭრის ბეშედს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლეოდნენ თურმე, დიდძალი სიმდიდრე ჩაიგდო და ომის შემდეგ ნებიერი ცოცრება დაიწყო. მათი წაბაძულობით სხვებმაც მოინდომეს გამდიდრება სხვადასხვა ჩაქანაციებით და მიზანს კიდევ მიაღწიეს, ჩვენი წაყოლებისა და სიფხიზლის მოდენების გამო. ამასაც ვავიანი ახსნა აქვს. ომში მოპოვებული დიდი გამარჯვებით იყო გაბრუებული ხალხი, მხედველობიდან გამორჩა დღისით-მზისით ჩვენ თვალწინ მომხვეველთა გაჩენა, რომლებმაც, წარმოიდგინეთ, თავიანთი მახინჯი ზნეობრივ-მორალური ნორმებიდან დანერგვაც მოახწრეს. იმ წლებიდან მოეცო სკოლებს, ცუდი მაგალითების ცალსახაობაზე, ე. წ. „შაარგალელების" ხელი. დღესაც რომ ვერ მოგვიშორებია. და არა მარტო „შაარგალელები", რეპენტატორობა, უმეცლეზმი ქრთამით მოწყობა, მამაპაპური ტრადიციების უარყოფა, მეხანძრეობა კომფორტისა და ავტომანქანების კულტი, უცხოური ჭიანეკობისა და ავეკენბისთვის გადარეკვა, ზღაპრული ეკორწილები, ხალხმრავალი ქელეტები, აგარაკი მთაში, აგარაკი ზღვაზე და ასე შემდეგ.

მე: თქვენ არდაეკვნ ჩვენს პირობას, ზოგადი ფრაზებია, უფრო ახლოს სინამდვილესთან.

ის: ინებეთ, ბატონო ზურაბ (ორივეს გაგვიღიმა), მეშვიდე სადარბაზოდან ნოდარი რომ დაიღუპა, ხომ გახსოვს?

მე: მახსოვს.

ის: როგორ ცხოვრობდა მისი ოჯახი?

მე: კარგადო, ასე გამიგონია.

ის: კარგად კი არა — ბრწყინვალედ. ჩიტის რძე არ აკლდათ. ბენო ტრესტის მმართველი იყო, ნოდარის დედა, პროფესიით ქიმიკოსი, არ მუშაობდა, დიასახლისობა ირჩია. პირთამდე გაგენილი ხუთ ოთახში ნებივრობდნენ, კიკეთშიც ჰქონდათ აგარაკი და ბიკვინთაშიც მოსახელე, ორი საკუთარი მანქანა, რა აკლდათ? — არაფერი. ის თუ იცი, როგორ დაიღუპა ნოდარი?

მე: ავარიაში მოხვდაო.

ის: ტაუეილია. ტროტუარზე მიმავალ ქალიშვილს ასდევნებია მანქანათ, ვეგრძელთ მიმყვებოდა, ქალთანურებს სოავაზობდა, საკე ხელიდან გაკცევია, მანქანა ტროტუარზე შემხტარა და ბავშვი გაუტანია, ნოდარი შეშინებულა, შემთხვევის ადგილი მიუტოვებია, მანქანა მთელი სიჩქარით გაუქანებია და ელექტრობოძს შესცემია. დაღუპული ბავშვის მამას გამოუქვია ბენიამინეს საკმეები და რა გამოიკვა? ტრეტში მოკალთებულ მფლანგველთა თავკი უოფილა ბენო. ციხეში უკრეს თავი, ქონება ჩამორთვეს, ოჯახი განადგურდა. მომხვეკლური ფსიქოლოგიის მჭონე მშობლების ალთანი ბაიზარდა ნოდარი ეგეთი ზარმაცი და უუნარო და მათე იმსუვრალეს...

იქით გეკითხები, ვინ არის დამნაშავე ნოდარის ტრაგედიაში?

მე: ნოდარი გამონაკლისია.

ის: ღმერთმა ნუ ქნას, მაგნაირგზა უფლესთნა იყოს. მაგრამ ეგ გამონაკლისები გვარიანად სწამლავენ ბაერს, სხვებზე მოქმედებენ და მათ ეგოისტ პიროვნებად აქცევენ (პაუზა).

მე: მაგ ეგოისტობისა თქვენშიც ხომ არ არის რაღაც, ქალბატონო ნატო. (პაუზა).

ის: რაზე მატყობთ? (ეწუინა).

მე: თქვენი გამდედბეთოი მეურვეობა მაფილრებინებს ამას: სკოლის დირეკტორი ბართ, რას იტკვის ხალხი, შვილი რომ ზარმაცი და უუნარო გამოგიზიდეს?.. (ხანგრძლივი სიჩუმე).

ის: მომიტევეთ, ეგ ცილისწამებაა. დედაშვილობაში თანამდებობა და ეგოიზმი მოსაბანი არ არის. მართალია, ნაკლები ბორკოტება არ არის, სხვების აღმზრდელმა საკუთარი შვილი ვერ აღზარდოს, მაგრამ ეს როდი მთავარი. არამედ ის, რომ მე დედა ვარ, სხვაგვარად არ შემიძლია მოვიქცე და დედა ვიყავე, ვიდრე დირეკტორი გავხდებოდი... (პაუზა) ჰოდა, დედის უფლებით მინდა ჩაგხედო გულში, გავიგო, რა ხდება იქ.

მე: რას მატყობთ, ძნელი აღსაზრდელი ვარ?

ის: ადრე არ იყავი, ეხლა — კი. ბოლო ხანებში თითქოს გამოიცვალე.

მე: ადრე როგორი ვიყავი?

ის: უფრო ფშიანი, ბონეური, მიხვედრილი. ეხლა გულგრილი გახდი, ბორკლიანი. გატკუბ, გაკვეთილებს იმიტომ სწავლობ, არ გინდა მაწყენინო... წინათ მტრედები მაინც გიუვარდა, ეხლა ეგ საყვარულიც გაგიქრა თითქოს...

მე: მეტისმეტია.

ის: მაგრამ სიმართლეა. (პაუზა) მთლად შენი ბრალი არ არის, უფროსებს მიუძღვით დანაშაული („უფროსებს" ხაზი გაუსვა, მიეხედა მაგრამ გულისხმობს) ისინი ამას არ უნდა ეკდრულიბდნენ... ეგ ღალატია.

მე: ვის მიმართ?

ის: შვილების მიმართ; ოჯახურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამორეულ სიმპანჭეს ისინიც ისევე ფრედ განიცდიან, როგორც ჩვენ, და თუ მაინც განსხვავებაა ჩვენსა და მათ განცდას შორის, ეს ის არის, ისინი თავიანთი ნორჩი ახაკის გამო უფრო ღრმად და მტკივნეულად განიცდიან, როგორც, მაგალითად შენ... (პაუზა).

ის: ისე ლაპარაკობთ, თითქოს თქვენ არ ჭქონდეთ ნაკლი და შეცდომები.

ის: ჩემი ერთადერთი ნაკლი, თუ მას ნაკლი შეიძლება ეწოდოს, ის გამლავთ, არ შემიძლია საკუთარი თავის გაკურდება.

მე: პირველად მესმის, როგორ შეიძლება საკუთარი თავის გაკურდვა?

არჩილ დავითიანი

„ᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘᲡᲗᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ ᲨᲔᲜ ᲗᲘᲗᲘᲗᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲐᲪᲕᲚᲘᲗ..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის: ადამიანი ადამიანურ ღირსებებს სიხარბეზე არ უნდა სცვლიდეს, ეს საკუთარი თავის გაკეთრდვაა. ხოლო რაც შეეხება „შეცდომებს", ერთი შეცდომა მართლაც მაქვს ჩადენილი.

მე: შეიძლება აღიარო?

ის: ნაშრომავან რომ ვანაცვალე ჩემი ყმაწვილ-ქალთა, არ ვიცი, ისე რამ დამაბრმავა, რომ ვერ გამოვიცანი, რა კაცი იყო, რომ იგი არ გა-მომადგებოდა ოჯახის შექმნაში, რომელიც სა-ზოგადოების უმცირესი, მაგრამ ძირითადი რგოლია, სადაც თუ იდეალური წესრიგი და პატიოსნება არ არის, იქ კარგი მოქალაქეები ვერ დაიზრდებიან... (დუმს) ალბათ ჩემი წმინ-და ქალური სისუსტეთ მომივედა, იმიტომაც ამბობენ, სიყვარულმა თვალების ბმეეკა იცი-ხო... ჩვენს ქვეყანას ღვინით ტვინნაღრძობი და მეშჩანური ფუფუნებაზე გადადებული მომბეზეველები როდი სჭირდება ანდა ყალბი პატრიოტები. არამედ — ფხიზელი, გონიერი, გამრჯე ადამიანები, თავისი ხალხის აწმყოსა და მომავალზე მზრუნველი ადამიანები. ისე-თი მამულიშვილები, რომელთაც მუდამ ეხსო-მებათ, რომ ხალხთა ოკეანეში ჩვენ ერთი წვე-თი ვართ, წვეთი კი, რაგინდ გასწი-გამოსწი, მაინც წვეთია, ამას სათუთი მოვლა უნდა ყოველთვის... სხვათა შორის, ერთი ძმიმე შე-ცდომის ჩადენა შენც მოახწარი უკვე.

მე: ბრძანეთ.

ის: ნარკოტიზმის გავრცელებას შეუწყე ხელი.

მე: მაშინ ისინი ჩემსავით გზაკვალრეულ და დაბნეულ ყმაწვილებად შევიცანი, შემე-ცოდნენ, გულის ნუსხილს, ეგ უბედურება, მორფინი იქარვებენ და თუ მცირე სამსახურს გავუწევ, სიკეთედ ჩამითვლიან-მეთქი. ახე ვფიქრობდი მაშინ.

ის: სწორედ გიცვნია. ისინი მორფინისტებად არ დაბადებულან, უფროსებისაგან გარიყული ახალგაზრდები არიან, მაგრამ გულის ნუხი-ლის გახაკრავებლად მორფი არ გამოდგება... სიტყვამ მოიტანა, ბარემ ამასაც გეტყვი, მა-შინ კიდეც შეგიშნიდა.

მე: არა, არ შემშნენია.

ის: მედიკომ რომ მოგიყვანა, ადამიანის ფერი არ გიდო სახეზე.

მე: არ ვიცი, სარკეში არ ჩამიხედავს.

ის: შეგიშნიდა და ისეც ეუფლიოო, — უკვე ფარულად შესული იყავი ინ ბიკეის ჩანაფიქრში, მათ უკვე ალარ აეკვედათ შენი „სიკეთე", იმიტომაც წაუდიდეთ თავს, თავგა-სულები გახდნენ შენს მიმართ. ერთ ქვეიან კაცს, მგონი იგი ფრანგი იყო, გვარი ალარ მახსენდება, უთქვამს: როცა უმდაფრი პი-როვნების მიმართ „კეთილი ხარ", ამით მას ანძლეკ ინის სასაბს, რომ დაგიმონოს... ჩაიწერე, გამოგადგება... დავიდალე, სხვა დროს გა-ვაგრძელოთ...

მე: ერთი შეკითხვალა დამრჩა.

ის: ბარემ ჩკითე და მოგრჩეი.

მე: რა არის თქვენი ბობი? (პაუზა).

ის: არ მომწონს ეგ სიტყვა, უცხოური წარ-მოშობისაა და საეკვო სუნი ასდის. მაგრამ კითხვაზე მაინც გიპასუხებ. ჩემი წვეტტება, ფწრაფვა, ხერვილი და ტრფიალი ბოლომდე დავრჩე ადამიანად, ალვზარდო პატიოსანი, შრომისმოყვარე მოქალაქეები და გზაზე და-გაყენო შენ.... ამას გინდა ბობი დაარქვი და გინდაც სამეგრელოს ხობი (ორივეს გაგვე-ცინა). პირველი — მიგიჩს, ძალიან მიგიჩს, მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული — სკოლა ბავშვების, მასწავლებლების, მშობ-ლების რთული საზოგადოებრივი ორგანიზ-მია, მეორეს კი ვგრძნობ, სულ ვერ შევძ-ლებ (თვალებში ცრემლები გამოუკრთა).

მე: რატომ, დედიკო?

ის: თუ თავად შენ არ ირწმუნებ სიმართ-ლის გზას, თავად შენ არ მოიხდიმებ იმ გზით სიარულს, ცხოვრებაში არის ბედნიე-რება, რომელსაც შენ თვითონ უნდა მიაკვ-ლიო, ჩემო შვილო...

(ტანში ერუანტელმა დამიარა, სულში თი-თქოს შუკი ჩამიდგა, გულში ჩავიხუტე დედა, ორივენი აკვეთინდეთ და სიცილით დაწუე-ბული „ოჯახური ინტერვიუ" ცრემლით და-ვამთავრეთ).

რვიულში ამ ნაწილს ახალი თავი მოსდევდა: „მედიკო". ზურას გადასაფურცლად აწუული ხელი შეუჩერდა, სათაურს დააკვირდა და კი-თხვა განაგრძო:

„ერთმა ქუთაველ გადაწყვიტა ჩემი ბედი. ქართულ წერაში რომ ბუთი არ მიმეღო, უმაღ-ლესის გარეთ დავრჩებოდი. დედა დალლილ-დაკანკალებული ბრუნდებოდა სკოლიდან, მაგ-რამ მაინც საგულდაგულოდ მამეცადინებდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, თუმცა იგი რუსული ენის სპეციალისტია, პუშკინი აქვს დამთავრებული. სტუდენტი რომ გავხ-დი, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ქვეყანას მოსდო, კიდეც გამიკვირდა ასე-თი ამბავება. მედიკოსაც გაუგზავნა დეპე-შა. ხანგრძლივი მილლინების შემდეგ შედიკო სოფაში ისვენებდა. პასუხს არ დაუგვიანია, მედიკომ მზურვალედ მომილოცა უნივერსი-ტეტში ჩარიცხვა.

ძალიან მაკვირვებს დედაჩემისა და მედი-კოს მეგობრობა, ისინი არაფერით არ ჰგვანან ერთმანეთს. დედა ორმოცდაბუთს გადაცი-ლებული ქალია, მედიკო კი ბევრი-ბევრი ოცდათუთმეტიანა იყოს. დედაჩემს არაფერი აქვს გამოორჩეულად ლამაზი, მაგრამ მაინც ძალიან მომხდენილია. ამასთან სიმპათიური სათაოად მეტყველი და მოფიცებე თვალები აქვს, გინდაც დუმდეს, თვალები მაინც გა-ნაგრძობენ საუბარსა და ოცნებას. მედიკოს

ნაწი, თეთრი სახე აქვს, ოდნავ გამობერილი ცხვირის ნესტოები, ნუშისებური თვალები, წვრილი ტანი და ხაოროად წითელი ხელი ტუჩები, თითქოს ეს-ეს არის ბრწყინვლის წვენი შეუხვამსო, ტანის რხევით იცის სიარული. დედაჩემმა ერთხელ ხუმრობით თქვა: — შე დამწვარო, ისეთი სიარული იცი, ვერც ერთი მამაკაცი მშვიდად ვერ ჩაიგლახო (მეორე ოთახიდან მოეკარი ყური ამ სიტყვებს). დედაჩემი დინჯია, თავშეკავებული, მოუწმენელ სიტყვას არ იტყვის, ფიქრი აბლავს მის ყოველ ნაოჭებს, მედიკო ხულსწრაფია, ფიცში, სიტყვებს ისე აფრქვევს, თითქოს წინასწარ ჰქონდეს მომზადებული. ლამაზაკის დროს სიფიცეე ემატება, თბილი თვალები თანდათან ცეცხლივით სასტიკი და ლახვარივით მჭრელი უხდება. დედა შეეპეხის მიმართ უგრძნობელია, მის სულში რაღაც ჯანდება, თუ ეპარფერებიან, მედიკო პირიქით — სიხარულით ცას ეწევა, როცა აკოცენ და საამო ღიტინვით განიცდის ქალთაუნრებს. იმიტომაც უთხრა ერთხელ დედამ: — მედიკო, მლიქვნელებს მოერიდე, ვინც ფეხსაცმელს გილოკავს, ის ფეხზე კბენასაც იკადრებსო.

და მაინც ისინი მეგობრობენ. მგონი მედიკოს უფრო სჯირდება დედაჩემთან ახლოობლობა. იგი კარგად იცნობს თავისთავს. დროდადრო მისთვის აუცილებელია ფსიქოლოგი ური განმუხტვა, ამ როლს შესანიშნავად ასრულებს დედაჩემი თავისი დაფიქრებული სხვა-ნაირი.

ბუნდოვანი და არასრული წარმოდგენა მაქვს მედიკოს წარსულზე. ის ვიცი მხოლოდ, ვიღაც დიდი კაცის მდივანი ყოფილა ერთ დროს. მისგან შვილი შესძენია. ბათუმში მოუშმობიაღია და ჩვილი ბავშვი იქვე დაუტოვებია ძმასთან. გოგოა, ახლაც იქ იზრდება, — უკვე თორმეტი წლისაა. მშობიარობის შემდეგ გოგოს არაფიციალურ მამას მედიკო რომელიღაც ტრესტში განუწესებია სამუშაოდ. იქ არბიტრაჟის ფუნქციებს ასრულებს და ზშირად დაიარება მიელნებებით სხვადასხვა ქალაქებში სადავო საკითხების გადასაწყვეტად. დავაში მეტ წილად მედიკო იმარჯვებს, ასე ამბობს ხოლმე დედასთან საუბარში, და ამაში არც თუ მეორე როლს თამაშობს თურმე მისი გარეგნობა... როგორც ვთქვი, მამაკაცებს შეთავაზებული ქალთანაურები უყვარს, მაგრამ მაინც მათი მოძულე ქალის შობიუდილებას სტოვებს, „ძაღლების ხროვას" უწოდებს მათ, რადგან მასში მხოლოდ ქალს ხედავენ და არა ისეთ ადამიანს, ვისაც ოჯახური სიობოც სწყურია. ხასტერესო ამბების მოყოლა იცის, ვერ ვიტყვი აზვიადებს, ანდა თავისით უმატებს რაიმეს, არა, თავსგადახდილ შემთხვევებს ძალიან გულწრფელად ბუვება და მსმენელში უნებურად აღვიძებს თანაგრძნობას.

ოჯტმბრის დამლეგს დაბრუნდა აგარაკიდან. მაშინვე მოვაჯდა ჩვენსა, დედა სკოლაში იყო, ბებო — ბაზარში. შინ მარტო შე ვიყავი. შემოგიდა თუ არა, დედაჩემისკენ გაეშური — ერეკ იმას უნდა მიეულოცოო. მაგრამ რომ გაგო, შინ არავინ იყო, ფრნ გამიჩერდა, ამხედა, ლამაზი თვალები უცნაურად გაუბრწყინდა, მომვარდა, გადამეხვია და... რამდენიმე წუთს ვყავდი გულში ჩახუტებული.

საბედისწერო აღმოჩნდა ის რამდენიმე წუთი. მე სულ ახლოს ვგრძნობდი მის სუნთქვას, ზღვისპირეთის ზზინი გახურებული ქერდის სიობოს, ტანში საამო ერუანტელი მიელდა და ახლა თავად მე არ მინდოდა მისგან მოწყვეტა.

— ჩემთან წავიდეთ, ოქ! აღვნიშნოთ შენი გამარჯვება!— მითხრა, ფიქრიც არ მაცალა, წავყოლოდით თუ არა, ხელი ჩამიდგა და თითქმის გამიტაცა.

ოროოთახიანი ბინა აქვს, უცხოური ავეჯით გაწყობილი, გემოვნება არ დაეწუნება. ერთი ოთახი სასტუმროა, მეორე— საძინებელი. სასტუმრო ოთახის კედლებზე ოქროსფერი შპალერია აკრული, საძინებელ ოთახში კი ცისფერი. ცისფერ ზღაპარს ბგავს ის ოთახი.

მედიკომ ხუფრა გაშალა, მაგიდაზე დაახვავა ნაირ-ნაირი ხორაგი, თვითონვე გახსნა შამპანური, პირველი სადღეგრძელო თვითონვე „წარმოსთქვა, კიდევ ერთხელ მომილოცა უმაღლესში მიღება, ეელწერწერტა ჭიქა ბოლომდე გამოცალა და მეც ამიყოლია...

მერე რა მოხდა, აღარაფერი მახსოვს, ცისფერ ზღაპარში გამომეღვიძა, ნახეგრად შიშველი მედიკო ჩემს გვერდით იწვა და თბილად ფშვინავდა, ღვთაებრივი ძილით ეძინა, რაღაც უთქმელი და უსახელო საამურობის იერი დაკრავდა მის თეთრად გადატაკეცილ ლამაზ სახეს, გაღეთ ჭარი ჰკრთოდა, ფანჯრის მინებს აზრილალებდა და ცისფერ ზღაპარში იდუმალ კორიანტელს აყენებდა. ეს ჩემი ფიქრების კორიანტელი იყო. წამით გულგარღნილად დამრია ხელი, მკრეხელობად მომეჩვენა ჩვენი ახლოობლობა, მაგრამ გულგარღნილის ნიღაბი ოავიანთ ჩამომეხსნა და მე გულზე მიეიუტე მძინარე მედიკო, რომელიც თავისი არაჩვეულებრივად მხურვალე სხეულის სიახლოვით მდაღვდა...

ახე უსიყვარულოდ დავკარგე ამ ქალის ზიარ საწოლთან პირველი ღამის მამაკაცური უბიწოება.

იმ დღიდან მედიკოზე ფიქრის დროს ნიადაგ ერთი აზრი მიტრიალებდა თავში — საკი-

---

არჩილ დავითიანი

„ბედნიერების ბაზა შენ თვითონ უნდა მიაკვლიო..."

ეროვნული

თეს რომ იწამ, ხაზღაური არ უნდა მოიფიქროს. მაგრამ ამის გაფიქრებაზე მაშინვე შიშიც ამეკვიატებოდა ხოლმე, არ მინდოდა ხაკუთარი ხაქციელის უფუნურობაში გამოვტეხილიყი თავს და დამიცხრებოდა თუ არა მწვავე ფიქრები, შინაგანი იდუმალი ძალიან ფრთებშეხმული ვწუდებოდი ადგილს, თავდავიწუნიანი გავრბოდი მედიკოსთან, რომელიც მაგნიტივით მიზიდავდა, თუმცა, ეხეკი რომ არ ყოფილიყო, მე მაინც მხიბლავნებდა ნადილის დიდი და ძლიერი ბრძანის არხებობა ჩემში, მხიბლავნებდა მედიკოს ხწორაფვაც, თანდათან რომ იზრდებოდა, განუხრელად ვიღებდი მის მოწვევას და ნერვების უჩვეულო მგრძნობელობით აღიზნებული ვეხტეოდრებოდი ხოლმე, ხანდახან მტკივნედ გადავწყვეტდი, დათქმულ პაემანზე აღარ წავალ, დრო ნელ-ნელა ჩამოვშორდეს, სანამ დედას არ გაუგია-მეთქი, მაგრამ მხურვალე შეხვედრის ხაათი რომ დგებოდა, უკან მოუხედავად გავრბოდი ციხეური ზღარბისკენ. ახე გაგრძელდა უნივერსიტეტის დამთავრებამდე.

სახელმწიფო გამოცდები ჩავაბარე თუ არა, კომკავშირის რაიკომში დამიბარეს. ახალგაზრდა მუშაკთა ერთწლიანი კურსები ეწყობა რუსეთში, შენ, როგორც შტატგარეშე აგიტატორებში გამოჩრილული სტუდენტი, გვინდა იმ კურსებზე მოგავლენოთო. ჭკუაში დამიჯდა, ახალი ახპარეში იწლებოდა ჩემს წინაშე. დედასაც ძალიან გაუხარდა, უმალ დამეთანხმა, უფროწუწუნი არ დაუწეია, შვილების მოშორების გამო დედებს რომ სჩვეოდათ. მაშინ კი აზრაზე მოვედი, დედა მიხვედრილი იყო ჩვენს ურთიერთობას, რა გამოეპარებოდა მის თვალს! მაგრამ დუმდა ოურმე. ამაში, ცოტა არ იყოს, მგონი, მედიკოსაც მოეძოდა ბრალი; ჩვენსა ისევ დაიარებოდა, მხოლოდ დიდი ინტერვალებით, სამსახურებრივ მოუცლელობას იმიზეზებდა. დედა მაინც ცდილობდა საკვებეულეობით არ ავსებდა, რატომ უკელი ჩვენთან სტუმრობასო — მას უფრო ტკბილი და ახლოებელი მოსაბარე ყაკვდა ბებიაჩემი.

კურსებზე გამგზავრების წინა ღამე მედიკოსთან გავაღარე (შინ დაბარე ამსახგები ვქეიფობთ-მეთქი). დილით რამდენიმე თბილი სიტყვა მიმდოდა დამტოვებინა სახსოვრად და გამომშვიდობების წინ ეუთხარი:

— წერილებს მოგწერ, ეს ციხეური ზღაპარი არასოდეს არ დამავიწყდება-მეთქი.

თვალებში შუქანთბა ჩაუქრა, მგონი ცრემლი მოეძალა.

— ტყუილია, დაივიწყებ და ახლე ეყოს... გამიგონია, უკმრავ შვილი მხოლოდ ღვთისშობილ მარიამს ჰყოლია. ის ღმერთი იყო, მე-იტმაც მიუტევებ. მე კი ჩვეულებრივი მომაკვდავი ვარ... ალბათ ყური მოკრეთი გეკნეზა, ფეხსუსტი ქალი ვგონივარ ყველას. დაე ახე იფიქრონ, მაგრამ იცოდე, ჩემი შემოცდენილ შემდეგ ეს ერთადერთი ხარ, ვინაც ჩემი თავი ვაკუთვნე.

ამ სიტყვებმა დამსუსხა. დღემდე თითქოს გულის გარეთ მეგულებოდა მედიკო, იმ წუთას ხაოცარი სიხწრაფით ჩამიძვრა ხელში და შემეცილა...

— ჰოდა, აუგად არ ამიმიგონო, წადი, გამარჯვებით იარე, დამივიწეე, წერილებს ნუ მიმწერ, იცოდე, არ გიპასუხებ.

ნუთუ მიყვარს მედიკო?

არ ვიცი.

„შენი ხნისას მე უკვე ორი შვილი მყავდა“, — გაახსენედა ზურაბ მოხუცის სიტყვები, ნეტა მისი შვილიშვილი ვაყია თუ ქალიშვილი? — გაიფიქრა და რეკელი ის იყო უნდა დადგომოდა, მომდევნო გვერდზე ახალი ჩანაწერი შენიშნა, რომელსაც თავსართად „დედა“ ეწერა.

— ბარემ ამასაც ჩავიკითხავ, — გაიღალა გულში, მოხერხებულად ჩაკდა ხავარძელში და მთელი ყურადღებით მიადევნა თვალი სტრიქონებს:

„მართალი უთქვამს ხალხს, უმამოდ დარჩენილი ოჯახი გაიბზარება, უედოდ დარჩენილი კი დაინგრევაო. ედაჩემი რომ არა, ჩვენი ოჯახის ფერფლიც აღარ იქნებოდა დღეს.

უმალელეში რომ ჩავრიცხე, იმ დღეებში აღარ იცოდა რა ექნა. ერთხელ ოავის განუმორებელი ბლოკნოტი დარჩა, ისე იყო სიხარულისაგან არეული.

გადავფურცლე. წითელი ფანქრით შემოხაზული რუსული სტრიქონები მომხვდა თვალში: «Каждый поступок повседенности создает или разрушает личность. Личность подростка разрушается, когда на первый план выступают вещи, а человеческая личность уходит в тен».

(ამ თემაზე უნდა ვესაუბრო მშობლებს).“ ცოტა ქვემოთ ეწერა: „ადამიანის ზნეობა მოლიანი კატეგორიაა. არ შეიძლება შენი მოკმედებით ერთ სფეროში მძარცველი იყო, მეორეში კი წმინდანთან ცდილობდე“.

იმავე დღეებში მამაჩემზე ჩამოაგდო სიტყვა.

— სიხარბეკ გაძარცვა ის უბედური, თავი დაიღუპა. საკეთილო და საშვილიშვილო საქმეს უოსალაღა. ნეტა რა სიმდიერით აიწონება ჩემი სიხარული? იმიტომაც გაიკარა ჩვენი გზები. ადამიანის სიცოცხლე და წყვეტება (ეს სიტყვა ძალიან უყვარს) თუ მარტოოდენ გამდიდრების მოსმარდა, გადაშენდება ქვეყანა, ერი.

ცოტა ხანს იუუნა, მერე დაუმატა:

— ეხლა შენ, შვილო, გვერდში უნდა გედგეს ექვსი წლის ძმა ან და. არ დავიტოვე, არ მინდოდა მეორე შვილი მყოლოდა მისგან.

ამ სიტყვებმა დამცეცხლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქნებ არც მე გიყვარვარ? — შეკუეირე.
— მეც ბოძ,.
— შენ სხვა ხარ, შვილო, შენ სიზმარივით ჩავლილი ჩემი ტკბილი დღეების მოგონება ხარ.
— მაშ გვარი რაღაც შემიცვალე, რა დაშავდებოდა მოძღვრიშვილი ვყოფილიყავი? მგონი ურიგო გვარი არ არის.
— გვარი არ დაიწუნება, მაგრამ მამაშენი ცუდად გამოძღვრებდა და იმიტომ. დიე, ახალშენიშვილების გვარი გაგრძელდეს, უფრო უარიანია, — უმისამართოდ დაიქნია მუშტი, არ ვიცი ვის დაემუქრა და მხარზე მომადო უკვე თმაში ჭაღარაგარეული თავი.
დედა! თუ მან მოინდომა, სასწაულების მოხდება შეუძლია, უმძიმეს ტვირთს ასწევენ მისი სუსტი მხრები, უდაბნოებს ბაღნარად აქცევენ, ოკეანეებს დააშრობენ, მთვარესა და ვენერაზე აფვიხვრიან.
დედა! ამქვეყნად ყველაზე ნაზი, თბილი, ალერსიანი, მზრუნველი, იმედის მომცემი, ნაჯაფი და მოულღელი დედის გულია! მასზე უკეთესი არაფერია დედამიწაზე; სიყვარულით აღსავსე დედის გულიდან იბადება ის, რაც ამაღლებს და აფრთიანებს ადამიანს და ყოველი სიძნელის გადამლახველს ხდის მას!..
ვიი, რომ ყოველთვის არ მიგყვებით დედის გულისთქმას".
რადგომ თბილისისაკენ მიმავალ თვითმფრინავში ჩასხდომა გამოცანდა. ზურა არ განძრეულა, თითქოს მას არ ეხებოდა, ფიქრები დედასთან იყო, მის გულისცემას იყო მიყურადებული. „თუ ვიარგებ, შენით ვიარგებ, ჩემო დედიკო! ვერავინ ვერ გამიწვევდა შენს მაგივრობას, ვერავინ!" — ბოლო სიტყვები კიბიდან ყვირილით აღმოხდა, რეული ჩემოდანში ჩასდო, წამოდგა და თვითმფრინავისაკენ მიმავალი მგზავრების ნაკადს შეერია.
„მთელი ცხოვრება წინა გაქვს!" — ამ სიტყვებს უტრიალებდა უკვე თვითმფრინავში მჯდარი, რომ სათვალიანმა მეზობელმა, რომელიც ჟურნალს კითხულობდა, გადმოულაპარაკა:
— საინტერესო ცნობას გვთავაზობს ჟურნალი, ამას წინათ ტელევიზორში რაღაც ჭკვიანი მანქანა უჩვენებიათ, ხელებს ჭრის და თვითონვე ილაგებს თორმე ისე, რომ ნორჩი ნერგები არ დააზიანოს ეს იგი, მანქანა ხელებს სჭრის და ტყეს უფრთხილდება.
ზურა ფიქრს მიეცა, რაღაც ენიშნა, ჯერ დედა გაახსენდა, მერე მოსკოვში გაფრენილი მოხუცი, ბოლოს იმ მოხუცის მოყოლილი ამბის მეწინაჭვილე და მიუგო:
— ჭკვიანი მანქანა ყოფილა. ასეთი „მანქანები" ძალიან გვჭირდებიან.
თვითმფრინავი კავკასიონის თოვლიანი მწვერვალების თავზე მიფრინავდა, სადღაც შორს ვერცხლის ქმარზე მიმოფანტულ ბრილიანტის თვლებივით მოჩანდა თბილისი ილუმინატორში...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან სანიკიძე

„თუ?!“

მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანანი.

ერეკლე მეფის გონებისა და ხმლის ძალით, ისევ პირველობენ (გინა — „პეგემონობენ“) კავკასიაში ქართლ-კახეთის სახელმწიფონი.

სახსრები მოშლილთ „ხანებს“, „ბეგებს“, „ბაშებს“, „ემირებს“.

ერანსაც აზანზარებს ქართველთა წინსვლა.

ისევ შესხდომია მუსლიმანური სამყაროს ცისკვამს „ქართული შიში“.

აღდგენილი არის აღმოსავლეთ საქართველოში „ქართველობა“.

დაძლეულ არის „ოსმალობა“.

დაძლეულ არის „ყიზილბაშობა“.

მაგრამ დასაძლეელი არის „ლეკიანობა“.

უსაშველოდ ძნელი იყო ლეკთან ბრძოლა, გაცილებით ძნელი, ვიდრე თურქთან, გინა სპარსელთან, გინა არაბთან.

მონღოლის შემდგომ, არავისთან ისე საძნელო არ იყო ბრძოლა, როგორც ლეკთან.

ქართველთან პირისპირ შეხვედრაში ლეკს ყოველთვის სიკვდილი ან მარცხიანი უკუქცევა ელოდა, მაგრამ ლეკისთვის აუცილებელი არ იყო „პირისპირ შეხვედრა“. იგი მოდიოდა ქურდულად, მიპარვით, ჩასაფრებით, ანაზღაითი დაცემით და „მიხდომ-მოხდომით“.

მთავარი ის გახლდათ, რომ ლეკისთვის ყოველივე ეს — ქურდობა, ძარცვა, მიტაცება, ტყვეობა და ალაფობა — მიუცილებელი სასიცოცხლო „სამეურნეო დარგი“ იყო, ძირითადი და მთავარი დარგი, ურომლისოდაც მას, მწირი და ბერწი მიწის შვილს, არსებობაც არ შეეძლო.

ლეკის მთავარი საარსებო წყარო იყო ნაძარცვი, ნაქურდალი და ნატაცები. გამორჩევით — „მსოფლიო ბაზარზე“ ყველაზე დიდი „ლეკური საქონელი“ გახლდათ ტყვე ადამიანი, ხოლო „უმაღლესი ლეკური საქონელი“ — ქართველი ტყვე.

ამიტომ მოდიოდა ლეკი სათარეშოდ გასაოცარი თავგანწირულობით, სიკვდილთან შერიგებული, სიკვდილთან წილნაყარი.

ან სიკვდილი, ან მუდმივი თარეში! ასეთი იყო ტრაგიკული მოწოდება „ლეკური არსებობისა“.

სწორედ რომ ძნელი უნდა ყოფილიყო, უსაშველოდ ძნელი, ისეთ მტერთან ბრძოლა, რო-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ცისკარი, № 1, 2, 3, 4, 5, 8, 9, 10, 11 (ნაწარმოები დაიბეჭდა შემოკლებით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც ყოველდღიურ საარსებო-სამეურნეო ცხოვრების წესად სიკვდილთან წილნაყარი აბრაგობა გაუხდია.

ქართველი კაცის მთავარი საარსებო-სამეურნეო დარგი კი მიწათმოქმედობა იყო. ხოლო ომი მის ცხოვრებაში იძულებით ნაკარნახევი, „ნაძალადევი დარგი“ გახლდათ.

ლეკს სამეურნეო იარაღად ჰქონდა თოფდამბაჩა, ხმალ-ხანჯალი (ზურგიდან დასაკრავად) და თოკი (ტკვინ ხელ-ფეხის გასაკრავად).

ქართველს „სამეურნეო იარაღად“ სამეურნეო იარაღი ჰქონდა — თოხი, ბარი, გუთანი და მისთანანი; მორჩა და გათავდა. ხოლო „სამობარი საბურველი“ მხოლოდ საომარი იყო, ესეც მორჩა და გათავდა. საომარი საბურველი, — რომლის მოპოვებას და მოსარჯვებას მხოლოდ კაცობაწყინარი უბედურება არგუნებდა ქართველ კაცს მთელი მისი სისტემრიო თავგადასავლის განსწვრივ.

მოდიოდა ლეკი, „მეომარი-მეურნე“.

ხვდებოდა ქართველი, „მიწათმოქმედი-მეურნე“.

მაგრამ იცოდა ლეკმა: მისი „საომარი მეურნეობა“ მასე სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა, თუ „სამიწათმოქმედო მეურნეობას“ თავმიცემული ქართველი კაცი გუთნის ხელიდან გაგდებასა და ხმლის მოხელთებას მოასწრებდა.

თუ მოასწრებდა!

თუ!

დიახ, „თუ მოასწრებდას“ იმედად მოდიოდა ლეკი „საომარ-სამეურნეოდ“.

და თანვე იცოდა ლეკმა: ათიდან შვიდჯერ მაინც მოასწრებდა ქართველი კაცი გუთნის დაგდებას და ხმლის აღებას; მაშ, ათიდან შვიდ სიკვდილს ვერ აიცდენდა ლეკი. მაგრამ მაინც მოდიოდა იგი სიკვდილთან წილნაყარი, მოდიოდა ათიდან „სამი იღბლის“ იმედად, მოდიოდა, რამეთუ სხვაგვარად არსებობა არც შეეძლო და აღარც უნდოდა.

ან თარეში ნადავლიანი, ანდა სიკვდილი!

მაგრამ ქართველსაც ათიდან „სამი ვერ მოასწრება“ ძალიან ძვირი უჯდებოდა, რამეთუ განუწყვეტლივ, ცისმარე და დღენიადაგ მოდიოდა ლეკი — ან ნადავლისთვის, ან სიკვდილისთვის!

(თითქოს, რაღაც აუხსნელ, მისტიურ განგებას დაეწყვეტა და დაერისხებინა ლეკისთვის: ან ქართველი მოეტაცებინა, ან ქართულ ხმალს შეკვდომოდა!

ბეშმარიტად — ლეკის ბედისწერა იყო ქართველი!

ბეშმარიტად — ლეკის „პური არსობისა“ იყო „ქართული ლუკმა“.

აქედანვე მისი ბუნებრივი „საარსებო მოწოდება“ — ან უნდა ვიპყრო ქართული ლუკმა, ან უნდა ვიქცე ქართულ ხმლის ლუკმად!).

მაშ, საჭირო იყო ათიდან ათიეკერი მოეგლეჯინა ქართველის უკარქაშო ხმლის აღება!

უნდა მოესწრო, მაგრამ მხოლოდ მაშინ მოასწრებდა, თუ იგი საშუალებად დაგდებდა და დაივიწყებდა გუთანსაც, თოხსაც, ბარსაც, საჭრეთელსაც, კალმასაც, ულაბსაც და ლეკივით მარტო ხმალსა და თოფს გაიხდიდა „სამეურნეო იარაღად“.

ხოლო, თუ ამას იქმოდა, მაშინ ქართველიც აღარ იქნებოდა ქართველი.

ამიტომ იყო ასე:

მოდიოდა ლეკი ლეკად;

ხვდებოდა ქართველი ქართველად.

ლეკისთვის მთავარი იყო — ქართველს არ მოესწრო ხმლის აღება.

ქართველისთვის მთავარი იყო — ყველაფერი მოესწრო: ყანაც, ვენახიც, ბაღიც, ბოსტანიც, შენებაც, წიგნიც, კალმაც, ძერწვაც, ხატვაც და... ხმლის აღებაც!

მთავარი იყო, „თუ მოასწრებდა“!

თუ!

სხვა საშველი არა-რა სჩანდა სპარსულ-თურქული მოწოლისა და შინა-თავადური დაკუდმაცება-დანაკუწების ყამს.

„ᲚᲔᲒᲘᲜᲨᲘᲐ ᲚᲣᲛᲘ ᲔᲠᲗᲘ“

ერანის მბრძანებელი ქერიმ-ხანი ბანალაშლილი იყო ქართველ მეფეზე. როგორ მოხდა, რომ აქამდე ჩემი „დოსტობის“ მფიცარობა და „ჩემმა საფიცარმა ერეკლე-ხანმა“ რუსები შემოუშვა საქართველოშიო.

ერეკლე სწერდა მაშინ ქერიმ-ხანს: რუსეთის ჯარი იმიტომ შემოვუშვი, რომ ჩვენი საერთო მოსიხლნის, თურქეთის წინააღმდეგ ერთად ვიომოთო; ის კი არა და, შენც ჩვენთან ერთად უნდა ებრძოდე ახლა ერანის მარადიულ მტერს, ოსმალეთსო.

რუსეთის მთავრობაც ამშვიდებდა ერანის ხელმწიფეს: საქართველოში ჩვენი ყოფნა დროებითია და, როგორც კი თურქეთთან ომს მოვრჩებთო, ჯარსაც მაშინვე გავიყვანთ ქართული მიწიდანო.

ეს აღარქმა კიდევაც შეასრულეს რუსებმა, მაგრამ შეასრულეს ქართველთა საუბედურად. ქერიმ-ხანი, აზერბაიჯანის ხანებისგან წაქეზებული, მაინც არ დასცხრა და თავრიზში ეშზადებოდა „წამოსასვლელად და ბრძოლად ირაკლისად“.

ერეკლემ თავრიზს ელჩები გაგზავნა — ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი და ზაზა თარხნიშვილი. ამათ, „მრავლითა ლაპარაკითა და ღონის-ძიებით“, როგორც იქნა „მოამშვიდეს“ ქერიმ-ხანი, დაარწმუნეს ერეკლეს ერთგულებაში და თან აგრძნობინეს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეკლეს შეუძლია ერანისათვის არასასურველი ზავი ჩამოაგდოს ოსმალეთთან და ისევ მოიხმოს რუსეთი...

რასხვა დაიცხრო და „ეუნენიქა თავრიზით“ ქერიმ-ხანი, რამეთუ ანე „ერრიენნა“ დაერსულებინა მაშინ ერეკლეს „ავ ხმალთან“ თამაში.

ხოლო ოსმალეთი, რუსეთთან ომში განადგურებული და განშიფლებული, ქართლ-კახეთის მეფეზე აპირებდა შურისგების ცეცხლის დაგზნებას. ხონთქარმა ბაბლულ-ჰამიდმა სულეიმან ფაშა ჯაყეცის დიდამალი „ეზეკ“ გამოუგზავნა, „რათა განამრავლოს ჯარები და ემტეროს მეფე ირაკლისა და ქართლსა“.

სულეიმან ჯაყეცმა ლეკთა ჯარები დაიქირავა, თურქები გამაამადლიანებული მესხები შეურია და „იყო მარადის ტკვეცნა-ოხრებსა შინ: ავაზაკებრ“.

მოერთვა ერეკლე მეფეს ამბავი, ტფილისს უანლოდგებიან ლეკ-ოსმალთა დასტებიო.

გამოვარდა ერეკლე, ამხედრდა, ჯარი აამხედრა და გაუეზტა.

გაუზტა, „შეეხა და მრავალი ოსმალ-ლეკნი მოსწყვიტნა და ალტა“.

მაინც არ დაშინდნენ ქართულ ლუკმას და სისხლს დახარბებულნი. მეორედ „მოვიდნენ უგრძნეულად და ქრცხინვალი წაახდინეს; რაც ციხეს გარეთ ხალხი იყო, სულ დაატყვევეს, ვიდრე ექვსას სულამდე და ოსიაურის ციხეც აღიღეს“...

ისევ გამოედევნა ერეკლე, ისევ ადინეს ქართველებმა ეწრაფდ სისხლი მძარცველებს.

ახლა დაღესტანდან წამოვიდა ჯარი, ფ ი რ უ დ ა ღ ბ ე ლ ა დ ი ს სარდლობით. სამგორთან, ღამით დაუხვდა ერეკლე მეფე; დაუხვდა, „დიდად დაამარცხა“ და გააქცია დაღესტნელები.

ამას ჭარელთა შემოსევა მოჰყვა ქიზიყს.

ისევ გაფრინდა მეფე ერეკლე ამალით და მცირე მდევარით. დაეტაკა და ისე ასწყვიტა, მოამბეც ალარ გაუშვია ფეხადმავალი.

თითქოს ჩაწყნარდა ჭარი და დაღესტანი.

ისევ წამოვიდა მაჰმადიანი მხედრობანი ახალციხიდან.

ისევ დაუხვდა ერეკლე. დაუხვდა, შეეხა, ასწყვიტა, დაედევნა, ახალციხემდე სდია, იქაურობა დაარბია, აიკლო, აადოესა თვითონ გულადღელებულმა.

დაფრთხა ხონთქარი ამბულ-ჰამიდ პირველი. დაფრთხა და ერანის ხელმწიფეს, ქერიმ-ხანს მისწერა ეს ეგზომ უცნაური და თავისდამამცირებელი წერილი:

„თუმცა ჩვენსა და თქვენს შორის არს მშვიდობა, რამეთუ ზავ გვიყოფიეს. გარნა ეგრეეცა აღვიშვნა ერთი ლმი (რომელ-არს საქართველოს ვალი), რომელიც აოხრებს მარადის სამფლობელოსა ჩემსა; და ამის გამო იხარ-ჯვის ჩემგან არამცირედი ხაზინანი, რომლისათვის მაქვს განცხადება მეგობრობისადმი თქვენისა და გთხოვთ, რათა დაიკენოთ ... თანრისა მძლავრობისგან“.

იმ დღეს, როცა ეს წერილი თურქეთის ელჩმა ერანის სატახტოში მიიტანა, იქ საქართველოს მეზობელი ხანებიც ესწრებოდნენ, ერეკლე მეფის მარად მბაგზღარნი. მაშინაც ერეკლეს ძვირში ყოფილიენენ, და მაშინვე ენა მოიკლატეს, როცა თურქმა ელჩმა ხელმწიფეს ხელმწიფის წერილი მიართვა.

ქერიმ-ხანმა წაიკითხა. წაიკითხა და ლამის ბკუაზე შეიჩეა ჯერ გაოცებისგან, მერე აღტაცებისგან.

„შეხედეთ მეფეს ირაკლის, — იყვირა ერანის ბატონმა — ახლა მე ის როგორ არ უნდა მიყვარდეს, რაც ჩემთვის უმსახურია, ისა გარდა, ეს უმეტესი ჩემი დიდება არის, რომ ხონთქარი ჩემს წინაშე დაუჩოქებია და ჩემთან ჰრავლებს. სწორედ რომ ამისთანა კაცი ერანის ხელმწიფისაგან დიდად პატიცემულ არს!“

ბრძანა და ერეკლის ხახელზე გაამზადა „ხიყვარულითან აღსავსე“ წერილი, ოქროს ხმალი, ოქროთი დარაბტული და ოქროს სხვა იარაღით დაგვირთული ბედაური და ყველაფერი ერთად აფრინა საქართველოში.

ერეკლემ ძღვენი მიიღო, წერილი განიხილა და სტამბოლის ელჩი გაგზავნა „დაჩოქილ ხონთქართან“ შესარიგებლად.

თურქეთის სატახტომ დიდის პატივით და საჩოქრებით მიიღო ქართველი მეფის ელჩი — გურგენი ენაკოლოფაშვილი, „ხომეხი ვინმე უარაბალი მოსრული, ერანს, ბრა მრავალთ ენათა მეცნიერი და ცნობით გონიერი“.

შერიგებაც შესდგა. ხონთქარის ბრძანებით თავისუფლება მიანიეს და სამშობლოში გამოუშვეს ქართლ-კახეთიდან გატაცებული ტყვეები; ახალციხის ფაშამ ლეკთა ჯარიც დაითხოვა და ქართლის მახდინარ ლაშქრობებზეც ხელი აიღო. ხონთქარმა ერეკლე მეფეს დიდძალი სარეკლები გამოუგზავნა გურგენი ენაკოლოფაშვილის ხელით.

ლეკან გატონიშვილი

მაგრამ ლეკები ისევ „ლეკიანობდნენ“.

მარტო ქართული მლავანია და ხმლის უპირატესობა არ კმაროდა ქართველისა და ლეკის შეხვედრაში.

საჭირო იყო „სხვა ახალი“ ხერხისა და ღონის გამონახვა სისხლიან-ქავილიანი „ეგზემის“ მოსაშორებლად.

და ერეკლე მეფემ გამოსცა „გაჩინება მორიგის ჯარისა“.

ეს იყო ერთდროულად დიდი სამხედრო და საზოგადოებრივი რეფორმა. ქართველი მეფე შუდმივ, გინა „რეგულარულ“ ჯარს აყალიბებდა. ეს თავისთავად გულისხმობდა ძველი ფეოდალურ-წოდებრივი ლაშქრის დაშლას. ამიერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გლეხი-ჯარისკაცი მის მებატონისგან უფრო „დამოუკიდებელიც“ ხდებოდა.

ერეკლეს ბრძანებით, ქართულ-კახეთის მამრობითი მოსახლეობა მკაცრად აღწერეს. ასლები აღწერის დავთრებისა ადგილობრივ მებატონეებსა და მოვდლუნს დაურიგეს, „გაწვევის“ საწარმოებლად.

ყოველი მამაკაცი, განურჩევლად წოდებრივი წარმომავლობისა და სარწმუნოებრივი სინდისისა, ვალდებული იყო ერთი თვით გასულიყო „მორიგე ჯარში“. იგი სამხედრო ბეგარაში მიდიოდა საკუთარი ხარჯითა და საომარი აღჭურვილობით. უკეთუ გასაწვევი უკონელი იყო. მის ბატონს უნდა მიეცა იარაღიც, ტანსაცმელიცა და საჭმელ-სასმელიც — ხუთი თუნგი ღვინო, ერთი კოდი პური და ერთი თვის სამყოფი მარილი.

ვაჭრებს, მედუქნეებს, ეწყემსებს, მებაღეებს, მეკუთრეებს და მზარეულებს უფლება ჰქონდათ სამხედრო ბეგარაზე პირადად არ წასულიყვნენ, მაგრამ სამაგიერო, „ბადალი“ უნდა გაეგზავნათ. იგივე უფლება ჰქონდა გუთნისდედას ხენა-თესვის ეამს.

მკაცრად ისჯებოდა, ვინც მორიგე ჯარში გაწვევაზე უარჩობას გასწვევდა, დაიმალებოდა, ან ავადმყოფობას ნოიგონებდა. ასეთი საქციელისთვის თავადი ჯარიმას იხდიდა ოქ თუმანს, აზნაური ათ თუმანს, სოფლის მოხელე ექვს თუმანს. თუ თავადი ჯარიმის გადახდას ვერ შესძლებდა, საკუთარი ხარჯით ერთი თვე სატუსაღოში ჩაჯდებოდა, ხოლო აზნაურს ას ჯოხს დაკრავდნენ და მას უკან ჩაგდებდნენ საპატიმროში. ორი ხარის გადახდით ჯარიმდებოდა სოფლის მღვდელი, რომელიც გასაწვევთა სიებს ვერ ზოგულობდა.

გლეხი სამხედრო ბეგარაში დაგვიანებისათვის, რუსული წესით, წკეპლების ცემას ქვეშ („შპიცრუტენნი“) უნდა გიეტარებინაო, იმდენ ჯერ, რამდენ დღესაც გაიცდენდა. საპატიმროზეზად ჩითვლებოდა ავადმყოფობა, ახლობლის სიკვდილი და ლეკების მდევრობა. ოღონდ ყველა ეს მიზეზი დამტკიცებული უნდა ყოფილიყო სოფლის მესვეურთაგან გაცემული მოწმობით.

ბრძოლისუნარიანი და შრომისუნარიანი მამაკაცის ერთთვიური გასვლა ოჯახიდან ერთის სამძიმო უნდა ყოფილიყო გლეხის ოჯახისათვის. ამიტომ ერეკლემ ქართულ-კახეთის გლეხობა სულ გაათავისუფლა სასურსათო გადასახადისგან.

სამხედრო ბეგარისაგან თავისუფალი იყო თუშ-ფშავ-ხევსურეთი, სადაც საჭიროების შემთხვევაში ისევ ხევსურები შეურიდნენ ლაშქარს.

მორიგე ჯარში მორიგეობა დაიკისრა თვითონ მეფემ და დაიკისრა ოჯახის წევრ უფლისწულებსაც („თვითონ მეფე ძეებითურთ თვისით დაიწერა მორიგედ და იხდიდა თვითონ ბეგასა“).

აღწერის შედეგად გამოირკვა, რომ, თუშ-ფშავ-ხევსურთა გარდა, ქართულ-კახეთს იმყამად ჰყოლია 60000 მრძოლის უნარიანი მამაკაცი. აქედან ყოველ თვეში მორიგედ იდგა 5000 მეომარი.

ხოლო, ხუთიათასიანი ქართული ჯარი დიდი, ზარდამცემი ძალა იყო მაშინდელი საქართველოს ყოველი რჯულისა და ყოველი „მოცულობის“ მტრებისათვის.

დიდი ძალა იყო ასეთი ჯარი მით უფრო, რომ მისი სარდალი გახდდამ ლევან ბატონიშვილი, ერეკლის მრავალრიცხოვან შვილთაგან უმამაცესი და უნიჭიერესი, გულითა, სულით, მკლავით და გონებით მამის ბეჭმარიტი ორეული.

ჩაბარა ერეკლემ მუდმივი ჯარი რჩეულ შვილს, ლევთა მძვინვარე შემმუსვრელს, დაგული სგულეს დაიგულა. თვითონ სხვა სამარ წამოწყებათა აღსრულებას შეუფდა მეფე. უცხოთა ხელის შემუერე რომ არ გამდგარიყო, მიწის წიადში ძვირფასი ლითონენის ძეხნაა და დამფშავებას მიჰყო ხელი. ტფილისში თოფხანა გახსნა თოფ-ზარბაზანთა ჩამოსასხმელად და ტყვია-წამლის დასაბზადებლად. ამ საქმეთა სახელმძღვანელად რუხეთსა და ევროპაში განსწავლული არტილერისტი, პაატა ანდრონიკაშვილი დანიშნა (ეს ის პაატა გახლავთ, ლეკებმა რომ ცოლი მოსტაცეს ბოდბეში). აშენებდა ციხეებს, კოშკებს, ბასტიონებს, — „მეფობასა ამისა აშენდნენ სიმაგრენი ქართულ-კახეთისანი ვიდრე ას სამოცამდე, გალავანნი და ბურჯნი მტერთათვისნ“. ამათგან უსაჩინოესნი — სიღნაღი, ბოგორნა, ეოფთი, გრეში, წირქოლი, პატარძეული, ნორიო.

მხოლოდ სამი საათი იყო მეფე ერეკლეს საღღეღამისა ძილის ულუფა.

. . . . . .

არ ეძინა არც ლევან ბატონიშვილს.

დღე-ღამ სწორებით მიმოჭრილა ჯარით, ხან ერთიანად, ხან გუნდ-გუნდად, დაწილადებით, და იდგა ყველგან, „სადაც იყო ლეკთაგან საფიქრო ადგილი“.

არ ეძინა არც დაღესტანს და ბარ-ბელ-ჯანს, ლევან ბატონიშვილის უკარჯაშო ხმლითა შეძრწუნებულთა.

საბურველს არ იშორებდა ლევან ბატონიშვილი, არც დღით, არც ღამით. ამბარაუზდელი სადილობდა, საბურველაუურეი მილულავდა თვალს. ამბარო უკვარდა და ტანშიშველს და წუალში ჩაძირული თვალი ისევ ხელმისაწვდომზე დალაგებული იარაღისაკენ ეჭირა.

ერთხელ სწორედ ტფილისის ამბანში ჩასვენებულს აცნობეს ლეკთა შემოჭრის ამბავი. ამბა-

ლევან სანიძიძე
უპარკაუზო ბალეები

ნოდან ამოფრინდა, გაფრენილმა ჩაიცვა და შეიარაღდა, ცხენს დააფრინდა, კუკიასთან მდევარი შემოიყარა და გამოედევნა. გლდანთან დაეწია ლეკებს.

დაეწია და ექვსასი ლეკიდან ექვსასივე ამოწყვიტა.

ლეკის დამარცხება და განდევნა არ კმარაო, — ამბობდა ლევანი — მძარცველად მოსული ყოველი ლეკი დაუნდობლად უნდა მოისრასო.

ორი წელიწადი ასე წყვეტდა და ფლეტდა „უკანასკნელ ლეკამდე" ლევან ბატონიშვილი და მასი „მორიგე-მეომრები" საბბაგაოდ ფეხწამოცდენილნ ლეკთა ჯარებს.

მერე, იორთან და მისაკციელთან ზედიზედ ამოლეტა სავსებით ლეკები ლევანმა, შემდგომ კიდევ, „ქიზიყსა შეიმოსა ფრიადი ძლევა ლეკთა ზედა".

იმ წელს ერეკლემაც „რაოდენმე-გზის აოტნა ლეკნი".

არც გიორგი ბატონიშვილი დამდგარა უმმად. მან ღართისკართან ახწყვეტა ლეკნი.

ორ წელიწადში მოშალეს და მოსპეს ქართველებმა ქართულ მიწაზე ტკიბასავით ჩაფრენილ ლეკთა ყველა საბუდარი.

ქვეყანამ ამოისუნთქა.

ადრე რომ „ღართის კარსა შინა დედაკაცნი თვინიერ მამაკაცისა ვერ გავიდოდნენ", ახლა ვაჟაცის თავდგომის გარეშე შეეძლო ქართულ მიწაზე უშიშრად სიარული ქალსაც და ბალღსაც...

მაგრამ, ღმერთო დიდებულო, დიდხანს კი დაიხვენებდა საქართველოს ცისკვამი ქართულ მიწას მოწყვეტილი ქალისა და ბალღის შემზარავი კვიცილისა და გოდებისგან?!

. . . . . .

1781 წელს ერეკლე მეფის დიდი უბედურება ეწვია.

ეს ეროვნული უბედურებაც იყო.

დაიღუპა ლევან ბატონიშვილი, 28 წლისა.

საკორწინო სუფრას უსხდნენ კახეთში, სოფელ ვეჯინში, თავად ი ო ა ნ ე ა ბ ა შ ი ძ ი ს ოჯახში.

ლევან ბატონიშვილის გარდა, იყვნენ — თავადი შ ერ მ ა ზ ა ნ ა ფეხაზი და თავადი ა ს ა თ ვ ა ნ ა ძ ე.

ასათ ვანაძეს მეუღლეც ახლდა, გასაოცრად ლამაზი ქალი.

ღვინომ იმძლავრა.

ლევან ბატონიშვილი ისეთი იყო — ღვინოც უყვარდა, ხმალიც, ქალიც...

და შეზარხოშებულს ვანაძის ცოლზე თვალი დაუხარბდა.

ქალმა შენაშნა და ქმარს უთხრა, დავიღალე და გთხოვ სახლში წასვლის ნება მომცეო. ასათ ვანაძემ თანხმობა მისცა. ქალმა თავისი შემოვნარები აიყოლია და გზას გაუდგა კარდანახისკენ.

ლხინი გრძელდებოდა.

შერმაზან აფხაზი ბატონიშვილს მიუჯდა და რამდენიმე სასმური თავისი ხელით შეუსვამ.

ღვინო თავის გზით მიდიოდა და ადამიანებს მიითრევდა.

უეცრად ლევან ბატონიშვილმა თავი ცუდად იგრძნო.

ძლივს გაიყვანეს სუფრიდან.

ძლივს მიაბარა სული მაცხოვარს — ტანჯვით, წამებით, გმნვით, ვაებით...

ერეკლეს რომ უთხრეს, ლევანი მოკვდაო, მეფე დიდხანს ვერ გაერკვა რაც მომხდარიყო, ხოლო როცა გონებაზე მოუბრუნდა, მოწყდა, დაეცა და მოკვდა.

დიახ, იწვა „მკვდარმდებარე".

და ის იყო, ყველამ ირწმუნა მეფის სიკვდილი, რომ საგლოველი სატყვესა და ცრემლის წაცდენა არვის აკადა, ისე წამოაწია ერეკლე მეფემ და ამოიხრიალა: რამ მომიკლა ჩემი უსაჩინოესი შვილიო?!

პასუხი ვერ გასცეს.

„რამ მოჰკლა-მეთქი ლევან ბატონიშვილი?!" — სიკვდილმა ჩამორისხა ზარი ერეკლეს პირით.

წამოდგა რომელილაც „ერთგული კარისკაცი" და „ასიამოვნა" უსაყვარლესი შვილის სიკვდილით გაშეთებულ მამას: თურმე ლევან ბატონიშვილს ვაჩნაძის ცოლისთვის დაუდგამს თვალი. ქალი სუფრიდან ამდგარა და წასულა. ლევანიც წამოვარდნილა და კარდანახის გზაზე წამოსწეკია ქალს. წასოსწეკია და ხელი წაუწვდენია. ქალსაც დანა წაუძვრია და შიგ გულში უძგერებია უფლისწულისთვის.

სულ ათშალი ერეკლე.

„თუ ეს მართალი აღმოჩნდება, მე ჩემს შვილს აღარ ვიტირებ!" — ამბობდა მეფემ.

ცხენზე შესვეს და მიიყვანეს მიცვალებულთან.

არც დანის დანაკრავი აღმოაჩნდა, არც ოდნავი რაღე ნაკაწრი ლევანის მშვენიერ სხეულს.

მკვდარ შვილთან ჩაიკეტა მეფე.

არ უნდოდა ვისმეს ენახა მისი წუხილი, შვილმკვდარი მამის წუხილი.

ისე მოულოდნელმა ამბავმა გამოიყვანა მეფე საგლოველიდან.

მოახსენეს: შერმაზან აფხაზი მოჰკლეს მისმა ყმა-ვლეხებმაო.

რისთვისო?!

ლევან ბატონიშვილი შერმაზან აფხაზმა მოწამლა და ამიტომ მოგკალითო უფლისწულის მკვლელი, — ამბობდნენ ვლეხები.

ყოველივე გულმოდგინედ გამოიძიეთ და განაჩენი ისე განაჩინეთო, — ბრძანა მეფემ და შვილის ცრემლსაფხეველად შებრუნდა.

რვა მდივანბეგი დაჯდა სასამართლოს საწარმოებლად.

სასამართლომ დაადგინა: ლევან ბატონიშვ-

ლი თავისი სიკვდილით მოკვდა, იგი შერმაზან ადუაზს არ მოიწამლავს. უფლისწულის სიკვდილის შერმაზანზე დაბრალება გლეხებს ასათ ვაჩნაძეს ჩააგონა, სასჯელისგან და გაბასებისგან რომ დაეხსნა თავისი ოჯახი. გლეხებიც ასეთი „აღიარებით“ ხომ თავს გამამართლებენენ. სინამდვილეში კი შერმაზან ადუაზი მისი სისასტიკის გამო მოჰკლეს შურისძიებით აღვსილმა ყმებმამ.

ასე დაადგინეს და გადაწყვიტეს.

ინნეს მართლა ასე იყო.

ან ინნეს „ასე სჯობდა“ და იმიტომ?!

ან ინნეს...

მაგრამ რა ბედენა იყო, — მთავარი ის გახლდათ, რომ სამუდამოდ გაშორდა წუთისოფელს ოდდარავ წლის ბატონიშვილი, უზმიოესი სამამულოშვილო თვისებებით შემკული ქართველი მოღვაწე. დიდი ერეკლე მეფის ბეშმარიტი „მეორე მე“, საქართველოს მტერთა მზაკვრული მხედარი, მორიგი ჯარის მთავარსარდალი, ქართველთა უტყუარი სასოება და იმედი.

ახალციხის ფაშას, სულიმან ჯაყეულს, ლევან ბატონიშვილის სიკვდილი რომ შეეტყო, ეს სიტყვა უთქვამს: ერეკლე მეფის სიბერის ჟამს საქართველოს ერთი ფარდა ჰქონდა, ოთხიე კერძო ირგვლივ რომ იფარავდა, ახლა ფარდა იგი და შემწე იგი მოეშალა საქართველოს და მეფე ერეკლესო.

გლოვობდა საქართველო.

ზეიმობდა მუსლიმანური გარემოცვა — ლეკობა, ოსმალობა, ყიზილბაშობა.

და ზეიმობდა აღსრულებული რჩეული ქართველის თანამემამულე თავადობაც.

თავადები ვერ ზეირგებოდნენ „მორიგე ჯარის“ გამოსიზობით საბატონყმო უფლებების შეკვეცას. „მორიგეში“ გასული გლეხი ჩვენი აღარ არისო. ჩვენნე აკამდე ლაშქარში ჩვენნის ნებით ისე მივდიოდით, როგორც ნადირობაშიო და ახლა ეს „მორიგეობა“ სავალდებულოდ რაღომ გადაგვექცაო, — დრტვინავდნენ ფეოდალნი. ახლა ლევან ბატონიშვილი რომ მოკვდა, ფაროვეს და ნელ-ნელა დაფუძვრნენ „მორიგეობას“, ხოლო ამ „ნელ-ნელობამ“ დაადარება, დაწრატა და ბოლოს სულ დაშალა მორიგე ჯარი.

. . . . . .

ეის იცის, ინნეს ლევან ბატონიშვილის სიკვდილმა დიდი სამომავლო საისტორიო ნიშანსეტეტიც დააკარგვინა მის სვეგამწარებულ სამშობლოს?!

გეორგიევსკის წინარე წუთისოფელი

ლევან ბატონიშვილი მოკვდა!

ერეკლე მეფე უმძიმესი მგლოვიარობის გამო „ომებისგან დამცხრალ“ არისო, მკლავი მოეშალაო, გული გაუტყდაო...

და წამოიშალნენ იარაღის ძგრიალით საქართველოს მარად მოსისხლენი.

ტუსელად კი უფიქრიათ: სალლოველი სენაკიდან გამოვარდა გამძვინვარებული ერეკლე მეფე, ისევ აღაჭდა სალაშქრო უნაგირზე და გაუტაკა ტკრესს ხმალით და თოფით, რომელთა ზედა იყო წარწერა:

„მე ვარ ავი მუსაიფი კაბთ ბატონის ირაკლისა“.

. . . . . .

არავის არ სთხოვდა მეფე ერეკლე შერიგებას — არც ერანს, არც ოსმალეთს, არც დაღესტანს, არც ჭარ-ბელაჭანს.

აღარც შემწეობას სთხოვდა ვისმეს — არც იმერეთს, არც რუსეთს...

ხოლო, რუსეთს ყველაზე მეტად ხწორედ იმჟამად დასჭირდა განაწყენებული ქართველი მეფის გული მობრუნებაც და სრული მიმხრობაც.

ეს არის ოთხმოციანი წლები ქრისტეს აქეთ მეთვრამეტე საუკუნისა.

არასოდეს ისე მძაფრად არ დახლართულა მსოფლიო საპოლიტიკო კვანძი ამიერკავკასიის გზაკვანძზე, როგორც იმჟამად.

სამი მსოფლიო მონარქია — რუსეთი, ოსმალეთი და ერანი — არასოდეს ისე მძაფრად არ დასტაკებიან ერთმანეთს ამიერკავკასიისთვის, როგორც იმჟამად.

საქართველოს ისღა დარჩენოდა, არჩევანი გაეკეთებინა.

ერანს მაშინ საქართველოს დაპყრობაზე ფიქრიც არ შეეძლო, რადგან თვითონ იყო დაპყრობილი საშინელი შინააშლილობაო, თვითდაკვლიან, თვითდამარცხებით და თვითდანარცხებით.

არც ოსმალეთს შეეძლო საქართველოს „გადაულაპავა“, რადგან არასოდეს ოსმალეთი ისე დაკნინებული და დამცირებული არა ყოფილა, როგორც იმჟამად, რუსეთ-თურქეთის საბედისწერო ომების შემდგომ. ოსმალეთმა, არამცოდ ახლა, არამედ თავისი უზმიოესი ამალლებისა და საქართველოს უქვემოესი დასუსტების ხანაშიც — XV-XVII საუკუნეებშიც — ვერ მოახერხა ქართველი მიწა-წყლის გადაყლაპვა.

ხოლო, რუსეთი?!

რუსეთს არ სჭირდებოდა საქართველოს დაპყრობა.

არ სჭირდებოდა, რადგან საქართველო თვითონ მივიდოდა რუსეთთან.

საკმარისი იყო მხოლოდ ნეკა თითის დაკნენვა და, მივიდოდა, საკუთარი ფეხით მივიდოდა ერთმორწმუნე და ერთმოაზრე ქვეყანასთან.

. . . . . .

რუსეთის იმპერიის „სამხრეთეულ საქმეებს“

ლევან სანიკიძე
უმაღრესი ტომები

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაგებდა ეკატერინე მეორის პირველი ფავორიტი, რუსეთ-თურქეთის ომის გმირი, მთავარსარდალი, ბრწყინვალე თავადი ფელდმარშალი გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინი. სწორედ მან დაიკავა იმყამად ამიერკავკასიის „უკეთესზე მნიშვნელოვან საქმეთა“ გარიგება და გადაწყვეტა.

„ბრწყინვალე პოტიომკინს“ თანაშეწევდ დაუნიშნეს ახლო ნათესავი, ჩრდილოეთ კავკასიის ხაანური ძალების („კავკასიის ლინიის“) მთავარსარდალი, გენერალ-ცარიელი პავლე სერგის ძე პოტიომკინი.

ავალე პოტიომკინის შვაბ-ბინა ქალაქ გეორგიევსკში იყო...

აქედან შეუდგა იგი კავკასიის საქმეთაგან უმნიშვნელოვანესის — საქართველოს საკითხის შესწავლასა და „მოგვარებას“.

ბევრი რამ რუსეთის სიმბრალი ეკლესიის მეთაურის, იოსებ არღუთინიანისგან შეიტყო ავალე პოტიომკინმა ქართველებისა და მათი მეფის, ერეკლე მეორის შესახებ.

სიძლიერით, ნიჭით, სიმამაცით ვერცერთი ირანელი მბრძანებელი ვერ შეედრება ერეკლე მეორესო. — მოახსენებდა სიმეფის რუსს — მუსლიმანი ხანები, თავიანზედან დარუბანდამდე, ქართველი მეფეს, მუდამ ძეიერას ძლევის უფაზენიან, პატივისცემასა და მორჩილების ნიშნადო; ერეკლე მეფეს სულ ცოტა ორმოცდაათი ათასი მეომრის გამოყვანა შეუძლიაო; მისი მიწნმრბანთი, რუსეთის მთელს აზერბაიჯანში და ამიერკავკასიაში მოწონაადმდეგე და მომტერე აღარ ეყოლებაო.

გრიგოლ პოტიომკინმა ერეკლესთან ურთიერთობის გაბმა 1779 წელს სცადა პირველად. ამისთვის მან საქართველოში წარავლინა იაკობ რაინეგანი, უნგრეთში გაზრდილი გერმანელი ექიმი. რაინეგასი ორი წლის წინად სტამბოლში შეხვედროდა ერეკლის ელჩს, გურგენ ეფაკოლოფაშვილს. და ბევრი რამ მაშინ შეეტყო საქართველოსა და მისი მეფის შესახებ.

იაკობ რაინეგასი ქართველი მეფის კარის „ლუსტორი“ შეიქნა. მაგრამ ერეკლეს უცტოელის უოფაქცევა ჯაშუშობად იაზრა და რაინეგასი 1781 წელს იძულებული გახდა რუსეთის დაბრუნებულიყო.

მომდევნო 1782 წელს ხელახლა წარმოგზავნა გრიგოლ პოტიომკინმა რაინეგასი საქართველოში. ამჯერად რაინეგასი, პოტიომკინის სახელით, ერეკლეს წინადადებას აძლევდა, დაიწყეთ მოლაპარაკება რუსეთთან, მისგან „მფარველობის ქვეშ“ შენი ჯვეანის მისაღებად.

მაშ, აუცილებლად ერეკლემ უნდა სთხოვის რუს ხელმწიფეს მფარველობაში აყვანა. ასე ერჩინეს რუსეთის ხელისუფლებას და ასე „ერჩივნა“ ერეკლესაც, რადგან რუსეთის იმპერატორს „სათხოვარი“ არაფერი ჰქონდა... ის კი არა და, თუ ერეკლე თხოვნით თავს ვერ მიუნუნებდა, მაშინ მოიძებნებიმდა კაცი, რომელიც ყოველ დიდსა და მცირე მბრძანებელს ქართული ტახტისათვის სრულ მონობას; და ვედავრდომელობას ეფიცებდაო. ეს კაცი ალექსანდრე ბაკარის ძე იყო, რომელიც ჯერ იხეკ ფათალი-ხანის კარზე ბრძანდებოდა სამათხოვროდ ჩამოსულნალი.

და თუ „საბერო გახდებოდა“, რუსეთის ხელისუფლება მოახერხებდა „იმ მათხოვრის“ გამოყენებასაც.

მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილის „საკითხი“ მაინც არ იყო დიდი მაძიებელი გზა, რაიც ერეკლე მეორეს ეგზომ სამომავლო-სასაუხოსიგებმო გადაწყვეტილებას მიაღებინებდა. არამედ მთავარი იყო სამარადჟამოდ თავის დახსნა მარადიულად მოსისხლე, ნივთიერად და სულიერად ჩამორჩენილი მუსლიმანური ალმოსავლეთისაგან და მის ნაცვლად მაღალტექნიკურად და მაღალტექნიკური ევროპის გზაზე ჭვეშის შეეენება...

გრიგოლ პოტიომკინმა, რაინეგასის გარდა, კიდევ პოლკოვნიკი ბურნაშოვი და ფონ ვიტენბურგი გაგზავნა ერეკლესთან.

ურჩიეთ ქართველ მეფეს, დაწეროს თხოვნა რუსეთის მფარველობაში შესულისა, — არიგებდა მათ პოტიომკინი — ოღონდ ისე ურჩიეთ, ჭკუის მასწავლელად ნუ მოაჩვენებთ თავს ეგზომ ღირსეულად ხელმწიფესო.

გეორგიევსკი

1782 წლის 21 დეკემბერს მეფე ერეკლე მეორეს წერილობითი თხოვნა გაუგზავნა პეტერბურგის სიმპერატორო კარს — მიიღეთო ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში.

ქართველი მეფე აჭვე აყენებდა „მფარველობის“ ზოგად პირობებს:

რუსეთს საქართველო უნდა უვნებელეყო ოსმალეთისა და ირანის მპრივ მოსალოდნელი მტრობისაგან;

ოსმალეთთან და ირანთან რუსეთის მოსალოდნელი ომის შემთხვევაში ერეკლე მეფე კისრულობდა რუსეთის მხარეზე შეიარაღებული ძალებით გამოსვლას;

რუსეთის უნდა ეზრუნა, საქართველოსთვის დაებრუნებინა ოსმალეთისა და ლეკებისაგან მოტაცებული ქართული მიწები;

რუსეთის „მფარველობაში“ შესული ქართველებეთი სამეფო-სამეფოდრეოდ უნდა დარჩენოდ ერეკელეს შვილებსა და შთამომავლობას, და არა ალექსანდრე ბაკარის ძის მსგავს „მაძიებლებს“;

საქართველოში მუდმივად უნდა მდგარიყო რუსული ჯარის ორი პოლკი.

სანკტ-პეტერბურგის სიმპერატორო ხელისუფლებამ გულდასმით განიხილა ერეკლე მე-

ფის წარდგინება. საგარეო კოლეგიის წევრმა, ა. ბეზბოროდკომ, ეკატერინე მეოთხეს სამოელო ტექსტი შეუთანხმა და საქართველოში გამოგზავნა.

ერეკლემ რუსეთ-მოელი ტექსტი საგანგებოდ შეურილ დარბაზს გააცნო და მოიგონა კიდეც.

1783 წელი, 24 ივლისი — დიდი სიხარტრინო სამანი საქართველოს ისტორიაში.

ამ დღეს ქალაქ გეორგიევსკში „მეგობრობის პირობას" ხელს აწერენ რუსები და ქართველები.

რუსეთის მხრივ — გენერალი პავლე პოტომკინი და პოდპოლკოვნიკი ტამარა. საქართველოს მხრივ — მემარცხენე ჯარის სარდალი ირაკლი მეფის ოარანბატონი და მანდატურთუხუცესი გაბისეკან ჭავჭავაძე. ეხე იწერების არსებობას „გეორგიევსკის ტრაქტატი", ეინა „მეგობრობის პირობა".

ბოლო შინაარსი მისი ესე არის:

ქართლ-კახეთის მეფე ოარს ამობს ერანის ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს ქვეშეგდრომობაზე და სამუდამოდ შედის რუსეთის მფარველობაში;

ამიერიდან სამეფო რეგალიებს (გვირგვინი, ხმალი, კვერთხი, მანტია. საგელი და დროშა) რუსული და ქართული გერბებით) ქართველი ეეფე მიიღებს რუსეთის იმპერატორისაგან; თავის მხრივ ქართველი მეფე ერთგულების ფიცს აძლევს რუსეთის ხელმწიფეს;

ქართლ-კახეთის მეფეს უფლება აღარ აქვს, რუსეთთან შეთანხმების გარეშე აწარმოოს რაიმე საგარეო პოლიტიკა;

ქართლ-კახეთის მეფე ვალდებულებას კისრულობს, საგარეოების შემთხვევაში, რუსეთის სამსახურში გამოვიდეს მთელი თავისი საომარი ძალებით;

რუსეთი კისრულობს ქართლ-კახეთის დაცვას; ზრუნვა დაცვისა გავრცელდება იმ ქვეყნებზეც, რომლებსაც დროთა მანძილზე შემოუერთდებიან ქართლსა და კახეთს;

რუსეთი კისრულობს ერეკლესა და მისი შთამომავლობის დაცვას ქართლ-კახეთის ტახტზე;

შინაურ გამგებლობაში ქართლ-კახეთის მეფე დამოუკიდებელია; რუსეთის სამხედრო და საოჯახლაქო მოხელენი ქართლ-კახეთის შინაურ საქმეებში ვერ ჩაერევიან;

ერეკლე მეფე კისრულობს სოლომონ იმერეთის მეფესთან თანხმობით ყოფნაში, ხოლო რაიმე უთანხმოების შემთხვევაში შუამავლობა ეკუთვნის რუსეთის ხელმწიფეს;

ქართველთა ჯარის სიმტკიცედ და საქართველოს დასაცავად მოსალოდნელი გარეშე შემოსევისაგან, რუსეთის ხელმწიფე საქართველოში მუდმივ სამყოფად აგზავნის ორ ბატალიონ ქვეთ ჯარს;

ომის შემთხვევაში, რუსეთის მენაპირე ჯარის სარდალი, რუსეთის ხელისუფლების რწმენით, ქართლ-კახეთის მეფეთან ერთად გამოდის საერთოდ მტერთან საომრად:

ქართველი თავად-აზნაურობა უფლებრივად უნაწორდება რუს თავად-აზნაურობას; ასევე, ქართველი ვაჭრები რუსეთში ღებულობენ რუსი ვაჭრებისათვის დადგენილ შეღავათებს;

რუსეთის ხელმწიფე კისრულობს, ომისა თუ ზავის პირობებში, ყოველნაირად იღონოს, დაუბრუნდეს ქართლ-კახეთს მტრებისაგან მიტაცებული მიწები.

. . . . . .

1784 წლის 22 ივნვარს „ტრაქტატს" ხელს აწერს რუსეთის ხელმწიფე ეკატერინე მეორე.

1784 წლის 24 ივნვარს ხელს აწერს — „კეთილნებამობთა მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე-მფლობელი სიმეცნე-სათანაგონი, მთავარი ეუბარბისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კახისა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და ბრძანებელი განჯისა და ერევნისა.

ერეკლე".

(ხმლებივით იყო ჩარიგებული ასონიშანნი ქართველი მეფის ხელისწერისა, უქარქაშო ქართული ხმლებივით).

გეორგიევსკის შემდგომ

ტფილისი ზეიმით შეხვდა რუსეთთან მარადიული მეგობრობის გამოცხადებას.

რუსეთის მთავრობამ ეარი სოქვა ერეკლესგან აღთქმული ყოველგვარი ხარკის აღებაზე და მძევლების აყვანაზე.

მერე, რუსებმა ფათალ-ხანს მოსთხოვეს: მანდრომ ერეკლეს მეტოქე, ალექსანდრე ბაგრატიონი შეგიფარავს, — ან ჩაგვაბარე თავის ხმლებლებით და სამაგიეროდ ხუთასი ჩერეზნელი და ოქროს სათუთუნე მიირთვი, ან რუსულმა ზარბაზნებმა რაც დაგმართოს, შენ თავს დაეაბრალეო.

ფათალი-ხანი რა ჩიტი იყო, არჩევანი „შეშლოდა".

რუსებმა ალექსანდრე ბაგრატიონი სმოლენსკის ციხეში ჩაგდეს. ქართლის უკანასკნელი ტახტის მაძიებელი, ვახტანგ მეექვსის ოჯახიდან, ციხეში ჩაკეს. ხოლო ალექსანდრე ამილახორს თვრამეტი წელიოდან ციხეში აუყვანეს ბაღლინჯოები...

ერეკლემ პოტომკინთან მდივანბეგი სულხან თუმანიშვილი გაგზავნა. ქართველმა რუსეთის უმაღლესი გვამი განაცვიფრა მაღალი

ლევან სანიკიძე
უქარქაშო ხმლები

ნიკით, დაკვირვებულობით, განათლებით და სიდარბაისლით.

რუსეთის მთავრობამ უხვად დაჯილდოდა ქართველი მეფის წარგზავნილები.

(სპარსული საჩუქრების „ხანა“ დასრულდა ქართველთა ცხოვრებაში; რუსული საჩუქრების „ხანა“ იწყებოდა).

ერეკლემ ორი ძე ახლა რუსეთის საიმპერატორო კარს — თეიმურაზი (ანტონი) და მირიანი. ანტონი უმაღლესი სასულიერო საჭეთმპყრობელობისათვის ემზადებოდა. ჩვიდმეტი წლის მირიან ბატონიშვილს პოლკის მეთაურობა უბოძეს.

პეტერბურგის სასახლის კარზე საქართველოს სრულფლებიანნი დესპანი, გნო რეზიდენტი, დასვეს — გარხეევნ ბეგეზოძე.

ეკატერინემ ერეკლეს საჩუქრად ოცდაოთხი ქვეყნისა გამოუგზავნა (თუმცა ტფილისამდე მხლელად ათმა ჩამოაღწია).

გაასწორეს და გაწმინდეს დარიალ-თერგის გზა.

დაიწყო ვლადიკავკაზის ციხესიმაგრის აღმშენებლობა.

ტფილისში მოვიდა ორი ბატალიონი რუსის ჯარი, პოლკოვნიკ ბურნაშოვის სარდლობით.

სიონში დიდი სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადეს.

ანტონ კათალიკოსმა ხოტბა შეასხა ქართველ მეფეს და რუს იმპერატორს.

ნადიმი ნადიმს გადაჰყვა.

გრიალებდა ქართული „ბრავალუამირი“ და რუსული „ბუზუკა“.

გრიალებდნენ ზარბაზნები.

მაშხალები ერეკლიზოდნენ ღამეულ წყვდიადს ტფილისის ცისკვამიდან.

ტფილისს ეწვია თვითონ გენერალ-პორუჩიკი პაველ პოტიომკინი, „კავკასიის ლინიის“ მთავარსარდალი. ქართველები დიდის ამბით შეხვდნენ მათ უზენაეს „მფარველს“ და „პატრონს“.

პოტიომკინმა დიდის გულისაყურით დაათვალიერა საქართველოს სატახტო. ყველაზე და ყველაფერზე მეტად მაინც ერეკლე მეფე მოეწონა და დაწერა კიდეც: „მეფე ირაკლი შუა ტანისაა, ფიცხი ხასიათი აქვს. ლაპარაკის დროს ქვემოდან შუბლშემეზნეული იცქირება, შესაძლოა, იმიტომ რომ თანამოსაუბრის სახის მოძრაობა დაიჭიროს. მეცირედად წელში მოდრეკილია, ვინაიდან უკვე სამოცდაორი წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც მხნედ არის. ირაკლი მეფე ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც ისე შეუძლიათ პასუხის მოცემა, რომ ჩოკ გამოდიოდეს ხე არაც. ეს არის არაჩვეულებრივი ჭკუის ადამიანი, იშვიათად მომთმენი და გასაოცრად მომჭმელი. მთელი ღამეები ფიზიზლობს, ვინაიდან თვითონ პირადად ხელმძღვანელობს თავისი სახელმწიფოს საქმეებს; ძალიან ცოტა ძინავს. აზიური პოლიტიკურად და ადამიანს გამოცდილებით. ცდილობს, თავისი ერი ევროპულად მოაწყოს, დიდად ღვთისმოსავი არის“...

1784 წლის 22 იანვარს ტფილისს მოვიდა დიდძალი საჩუქრებით დატვირთული პოლკოვნიკი ტამარა, რეკლესაც ერეკლე მეფესთან ერთად, ერთხელ კიდევ დაედასტურებია ეკიროგიევსკის ხელშეკრულების უფლებამოვალეობანი.

ეს ერთჯერ გავარდა იმ დღეს ზარბაზანი ტფილისში.

მეორე დღეს ტამარამ ერეკლე მეფეს, ეკატერინე ხელმწიფის სახელით, გადასცა სამეფო რეგალიები, მფარველობის სიგელი და საჩუქრები. იქვე რუსმა პოლკოვნიკმა დაასაჩუქრა მეფის ახლლინენი და დარბაზნისენი.

კვლავ ეს ერთჯერ ბიგირიალეს ზარბაზნებმა.

საზეიმოდ გაჩახჩახებულ სიონის ტაძარში რუსმა პოლკოვნიკმა და ქართველმა მეფემ ორივე მხრიდან ხელმოწერილი ტრაქტატის ტექსტები გაცვალეს და მისი ალსრულების ფიცით დაიფიცეს.

. . . . .

საქართველოს სატახტო ქალაქში რუსთა შემოსვლამ, რუსული ზარბაზნების გრიალმა და რუსული მაშხალების ელვა-ბეჟეთ თავზარი დასცა კავკასიისა და წინა აზიის ყოველ დიდსა და მცირე მაჰმადიან მბრძანებელს.

რუსეთის მთავრობა, ქარლულ-ყახეთის შემდგომ, იმერეთთანაც აპირებდა მფარველობითი ტრაქტატის დადებას. მაგრამ ოსმალეთმა აგრძნობინა, რომ ასეთი ნაბიჯს უეჭველად ოსმალეთ უპასუხებდა. რუსეთის მთავრობამ ხელი აიღო, ჯერჯერობით.

ვათამამდნა ოსმალეთი. აღმოსავლეთ საქართველოს წარმოეფიცა დაუპირა რუსეთს. ამ განზრახვის ალსრულება ერეკლე მეფის დასჯით და ქარლულ-ყახეთის სრული აოხრება-გაქალაქურებით უნდა დაწყებულიყო. ისევ ყოველის მხრიდან, საიდანაც მოუსვრიდეს ოსმალეთ — განუწყვეტელ გამანადგურებელ ცეცხლში უნდა მოექციათ ქართლი და კახეთი. მთავარ სახიკედლო კერებად ისევ ახალციხე და ქარბელაქანი გადაიქცნენ. ახალციხე ლეკებით აავსო სულიმანმ ჯაყელმა. აავსო და გადმოანთხია ქართლის მიწებზე სიკედილის ღვარცოფად. ქარ-ბელაქანიც აკოთქოოდა, სრულიად დაღეტანიც. ქართველი მეფის ქვეშევრდომი და „მე გობარი“ ხანებიც დრტვინავდენენ. ყველი ამას ინაზზებდა — ჩვენნა დოსდამ და მფარველმა ერეკლე მეფემ როგორ ვვიალაკა, რუსეთში გაგვცვალა და რუსული ჩექმა ყველას გასასრესად გადმოატარა კავკასიონზეო.

ლეკთა შემოსევებს აღარე თავი უჩანდა და: აღარც ბოლო საქართველოში.

ერეკლეც იბრძოდა, რამეთუ იყო ერეკლე და ედგა პირში „ერეკლის სული“.

რუსებიც იბრძოდნენ ქართველთა მხარეთ-მხარ, მაგრამ ძალზე მცირე იყო და უკმარისი მხოლოდ ორი რუსული ბატალიონი...

1784 წელს ჭარ-ბელჰანს შეუტიეს ქართველებმა და რუსებმა.

ბრძოლა მოხდა მეფეანლოსთან, გაგრძელდა ხუთი საათი და გაათვალა რუს-ქართველთა გამარჯვებით. დამარცხებულებმა ხუთასი მკვდარი დატოვეს ბრძოლის ველზე, გამარჯვებულებმა — ორმოცი.

1785 წლის 23 მარტს, სოფელ დერნუკს, ტფილისთან ახლოს, ახალციხიდან წამოსული ლეკთა ჯარი შემოიკრა, ოცი კაცი მოკლეს, ორასი ტყვედ წაიყვანეს.

ამის შესახებ გარსევან ჭავჭავაძემ მისწერა გრიგოლ პოტიომკინს: თურქეთის სამფლობელო ახალციხიდან წამოსული ლეკები რომ ახე გვაოხრებენ, ერეკლე მეფე ხელს არ უბრუნებს, რამეთუ არ სურს ტრაქტატი დაარღვიოს და თურქეთ-რუსეთის მშვიდობიან ურთიერთობას რაიმე ზიანი მიაყენოსო.

ამ წერილს უნდა დაეფიქრებია საქართველოს „მფარველი ქვეყნის“ უსარველესს სახელმწიფო მოხელე და იქნებ რაიმე ეღონა ქართული მიწების დასაცავად, მაგრამ პოტიომკინმა ოდნავ ყურიც არ გაიხედნა ქართველთა უბედურების მოსმენისთვის და შესჩენინთ.

ხოლო, დერნუკის აოხრებიდან ხუთი დღის თავზე, 28 მარტს, ტაბასზელს, „მოუხდა ჯარი ლეკი და თითარი ცხენოსანი 1000“.

გაუხტა „ერეკლე მეფე ქართველთა გუნდით. სასტიკად დამარცხდნენ ლეკნი. სანაბეუროდ შეაწყალეს ქართული ხმლეს. დანარჩენები გაიქნენ და გაიფანტნენ.

16 აპრილს ისევ გამოუშვა სულეიმან ფაშამ „ქართლის წასახდენად“ ათას ხუთასი ლეკი და ხუთასი ოსმალი. სოფელ საკაშეთამდე ამოვიდნენ ძარცვით და ტყვეებით. საკაშეთს „ტყვეჰყვეს სახლეკენი დიასპიძისა“. ოკან გაბოუნდნენ დიდი ნადავლით და ექვსასამდე დატყვეებულთ ქართველით.

სურამადან გაგზავნა ქართველთა და რუსთა მდევარი. სოფელ ჯალასთან, მტკვრის ნაპრას შეაზე მოიქცეს მტერი. ერთის მხრიდან ერეკლე დაეძგერა თავის გუნდით, მეორეს მხრიდან რუსების როტა, მაიორ სენენბერგის წინამძღოლობით.

ბრძოლა ოთხ საათს გაგრძელდა და ისევ რუს-ქართველთა გამარჯვებით გათავდა. არცერთი ლეკი და ოსმალი აღარ გასულა ცოცხალი ბრძოლის ველიდან. ზოგი მიწას დაეკლეს ქართველებმა და რუსებმა, დანარჩენები, შიშით შეაყრიალილნი, მტკვარში გადაცვივდნენ და შეგჩაიბრჩვნენ.

ერთმა რუსმა სერჟანტმა, ხახელად [illegible] ტრიმ, თორმეტი ლეკი ააყო ბიშტაზე.

ერთმა დატყვევებულმა ქართველმა ქალმა თვითონ დაიხსნა თავი, მისი დამბატყვეველები ლეკი თვითონ შეიპყრო, მხარ-მკლავი შეუკრა და ისე მიართვა ერეკლე მეფეს...

სულეიმან ახალციხელმა მაისში ახალი ჯარი წარმოგზავნა წინა მარცხის შურისსაგებლად. ფხვენისის ოფიცერები ლეკ-ოსმალნი, მაგრამ „ვერა რა ჰყეეს“ და „უკუნ-იქცენნ“.

ისევ დაედევნენ ქართველები და რუსები. სოფელ მოხისთან წამოეწიენენ და „ლეკევ-შეიმოსნეს ფრიადი“. ლეკ-ოსმალთაგან ისევ ამოწყდა უმრავლესი, დანარჩენები კი „უკუნ-იქცენნ სირცხვილეულნი“.

დასასრული უძარძაშო ხმლებისა

1795 წლის 11 სექტემბერი — კრწანისის ტრაგედია.

. . . . .

1798 წლის 11 იანვარი — სიკვდილი მეფე ერეკლე მეორისა.

. . . . .

გონებას სააზროვნო ფესვები მოერყა და მოეშალა.

მკლავი მოდუნდა.

კალამი გაეელმდა და გაჩერდა...

„მერე? მერე რა მოხდა და როგორ წარემართა საქართველოს სიისტორიო წუთისოფელი შემდგომად მეფე ერეკლეს აღსრულებისა?“ — არლვევს მწუხარებით ავსებულ დუმილს ყანანაში კითხვა მკითხველისა.

დიახ, — სწორედ რომ პასუხი სჭირდეა ამნაირ „საკითხავს“.

ხოლო, მოპასუხე გახლავთ თვითონ ისტორია. გინა — „სიისტორიო გამოცდილება“, თუნდაც, სრულიად საკაცობრიო თავგადასავალისა. აკი ყოველი ხალხის სიისტორიო წიაღში ვიეთნიმე დიდი სახელმწიფო საკუთმპყრობელის სიკვდილს უმტკივნეული წილად თან ზოსდევს დროებაში დაკვეთიებისა, დაწვრილმანებისა, დაკნინებისა და დაკვეხულნელებისა. და არც საქართველო აღმოჩნდა „ბედნიერი გამონაკლისი“: დიდი ერეკლე მეფის სიკვდილის შემდგომ საქართველოში დადგა წლები უფერულნი, უსახურნი, უმფრანი და ულიმდამონი — სამი წელიწადი გიორგი მეთორმეტის „მეფობისა და დავით მეთორმეტის „გამგებლობისა“.

. . . . .

და აი, უცად — 1801 წელი.

დასაწყისი ქრისტეს დაბადებიდან მეცხრამეტე საუკუნისა.

დასაწყისი საქართველოს „ახალი ისტორიისა“.

ლევან სანიკიძე
უძარძაშო ხმლები

დასაწყისი დიდი, „ჩრდილოური ნათელია“.

აღსრულება ვიტანგ მეექვსისა და ერეკლე მეორის დღენადაგი ოცნებისა: საქართველოს საკანტაცმნი რუსული ლეგიონები შემოდიოდნენ, — შემოდიოდნენ „საბოლოოდ“ და სამარადჟამოდ.

ეს იყო დიდი „ფერისცვალება“ ერეკლე მეფისაგან საძირკველჩაგდებული „მფარველობითი ტრაქტატისა“.

ქართლ-კახეთი ერთმორწმუნე რუსეთს ერთვოდა.

რუსეთის ახალი იმპერატორი, ალექსანდრე პირველი, საგანგებო მანიფესტით იუწყებდა: „არა ძალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა მსოფლიოში ისედაც უდიდესი იმპერიის გაფართოებისათვის ვღებულობთ ჩვენს საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს, არამედ მხოლოდ ღირსება, პატიოსნება და ადამიანობა გვიკარნახებს ჩვენ საღმრთო მოვალეობას, რათა ყური მივაპყრათ ტანჯულთა ვედრებას და მათი ბედნიერ გასაკვირველად დავამყაროთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელსაც შეეძლება განამტკიცოს მართლმსაჯულება, უზრუნველმყოს პირადი და ქონებრივი უშიშროება და პიროვნების კანონსაზღვრი დაცვა“.

სიტყვადი ალთქმა სწორედ რომ დიდებული იყო.

მაგრამ შეეძლო კი რუსეთის ახალ იმპერატორს მართლა აღსრულებინა ქართველი ხალხისათვის ის სიკეთენი, რაიც მთელი ათასი წლის მანძილზე საკუთარი რუსი ხალხისთვისაც ვერ შეუსრულებიათ ვერცერთ მის წინაშე „იმპერატორებს“, „ცარებს“, თუ „ანიზაზებს“?!

. . . . .

ქართულ-კახეთის მალე იმერეთიც მიჰყვა.

დაფხრეწილი დროშებით, დალეწილი ხმლებით, გალეწილი სხეულით, მაგრამ გაუტეხელი გულითა და გაბრაზებული სულით — საქართველო ახალი ალიტაციონი სამნაზიდან იწყებდა ცხოვრებას.

ამბერიდან საქართველოს ვეღარ შეაწუხებდა ვერავითარი „ალია და ოსმანა“, ვერავითარი „ეზზელმაშობა“, „ოსმალობა“, „ლეკიანობა“.

ვეებერთელი რუსეთი ადგა თავზე ჭკვაცმულ ქართველთა ჭკეყანას.

. . . .

და უცებ, ახლა, კეთილო მკითხველო, ისევ გახმიანდა სიტყვა ლაზი ალტისა, გუბაზ მეფის მკვლელობის გამო რომ წარმოთქვა ხოსიბულების პირას, ბობოკრეული თანამემამულეთა საკრებულოს წინაშე.

„მე ვინაგრიდი, ჩვენს ჭკეყანას დაბპრუნებოდეს მისი ძველთაძველი სახელოვანი ძალმოსილება და უძლეველობა, — რამეთუ არასოდეს დასჭირვებოდეს შემწეობა უცხოთაგან და გარეშეთაგან, — რამეთუ ყოველ ჟამს და ყოველ საკმეწილი, ომის დროსაც და მშვიდობიანობის დროსაც, მხოლოდ საკუთარ თავს დასჭირვებოდეს, მხოლოდ საკუთარ თავს ეკუთვნოდეს!.. მაგრამ რაკი ეამთათბრუნვით და ბედისწერის უკუღმართობით, ანდა ორივე უბედურების წყალობით ისეთნაირ უძლურებაში ჩავვარდნილვართ, რომ უცხოთა ჭკეშეკრდომის ალარას-გზით ალარ ალვეცდება, მაშინ ისა სჯობს, ერთთან ვიყოთ, ვინც ჩვენს მიმართ უფრო კეთილსასურველად მოგვეცილნება...“

. . . . .

და მაინც იყო 1801 წელი — აღსარული ქართული უკანაკნელ ნიახურის ვეღზე ეღლეგის ქართულმა „დავითფერულებმა“ და „ბეგელისძირულებმა“. მაშინ ომარ-ხანს გაუშვეს წუთისოფელი და ამით გათავდეს...

დიახ, — ქართულმა უკანაკნელ ხმლებმაც განსრულეს თავისი „წუთისოფელი“ — წუთისოფელი რამდენიმე ათასწლოვანი.

აქამდე მოვიდნენ ისინი დღენიადაგი ელვა-ცრიალმა, ცემამ, მსხვრევამ, ავეხებამ, ჩახეჩუნამ, ლაწალეწუნამ, სისხლის ცრემლით და ოხშივარით.

მოვიდნენ ისე, — ათასეული წელასარბაელზე ერთი ღამეც რომ ქარკაშში არ გაუთენეთ.

მოვიდნენ შეუტაცხვენელნი — მცველნი, ბმსნელნი, და ნიშანსვეტნი:

ქართული კერია,
ქართული ფუთნისა,
ქართული შემოქმედებისა,
ქართული სიტყველისა,
ქართული რწმენისა,
ქართული მაწა-წყლისა,
ქართული სინდისისა.

უკანაკნელ ხმლათა მამულიშვილური სიკეთის სანიშანსვეტოდ მარტო ბოლო ზვიდი საუკუნის (XII-XVIII) ბრძოლების გახსენებაც კმარა. ამ დროის მანძილზე ქართველებმა გარეშე მტრებთან გადაიხადეს ბრძოლები:

XII საუკუნეში — 128 (მოიგეს 124, წააგეს 4);

XIII საუკუნეში — 34 (მოიგეს 17, წააგეს 17);

XIV საუკუნეში — 23 (მოიგეს 14, წააგეს 9);

XV საუკუნეში — 28 (მოიგეს 18, წააგეს 10);

XVI საუკუნეში — 70 (მოიგეს 49, წააგეს 21);

XVII საუკუნეში — 28 (მოიგეს 21, წააგეს 7);

XVIII საუკუნეში — 260 (მოიგეს 202, წააგეს 58);

სულ ზვიდანი წლის მანძილზე — 571 (მოიგეს 445, წააგეს 126).

ახლა კი დამდგარიყო მეცხრამეტე საუკუნე და ქართულ უკარაქაშო ხმლებს ყველი გასვლოდათ, დრო-ამბიდან გასულ ანაქრონიზმად ქცეულიყვნენ.

ამიერიდან ქართულ კერას, ქართულ ყოფას ქართულ არსებობას მაღალგანვითარებული ევროპულ-რუსული საკუთარი მოუვლიდა და უკაბრონებდა...

და სამარადჟამოდ ჩაეხვენენ ქარაქაშებში ათასწლოვანი ქარაქშადავიწყებული ქართული ხმლები.

სამუდამოდ გავიდნენ ათასარი ასპარეზიდან ათასწლოვანი სამამულო ბრძოლათა უკეთილშობილესი გმირები.

ამიერიდან ისინი მხოლოდ სამუზეუმო და საალლაფო სამკაულებად გვეკლინებიან.

საკართველოს ისტორიო სახელიც — „უქარაქაშო ხმლები“ — მეთვრამეტე საუკუნის დასასრულთანვე დასრულდა.

ახალი, მეცხრამეტე ასწლეულის დამდეგიდან, რუსეთის მხარდამხარ მომავალ ქართველთა ისტორიას ახალ, შესატყვის, და შესაფერის სახელს მოუძებნის მემატიანე.

. . . . . .

ხოლო, ბანამდე...

მანამდე ქართული მთიდან აღიმართება ქართველი მთაკაცი და ეერიკონის საყვირის ხმით დაამკუხარეს:

„ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის-ტყრაზე შადგომა?!“

და მაშინვე პასუხად დგება ქართული ჯიშის მთაც და ბარიც, ზეცაც და მიწაც, წყალიც და მყარიც:

„ეღირსება!!!“

მინაწერი „უქარქაშო ხმლებისა“

აწ სული ჩემი შეძრწუნებულ არს და რაი-მე ვთქუა?

იოანე, 12, 27

დაბერდა ღამე, უმთვარო და უვარსკვლავო, მრუმოვანი, წყვდიადი.

მაგრამ მაინც კი იმედეული, რამეთუ ისევ შემოვა დილა — მოზვერი თეთრი, შუქმოსილი, ვერცხლისმფრქვეველი, მაძგერებელი და მაშქერებელი შავი მოზვრისა.

მესამედ არისხებენ ღამის მათევარ ზარებს მამლები.

გიხარობენ, კეთილო მკითხველო, რამეთუ ზარნაშო აღარ ჰკივის, ტლოვის კიჟილით, მამლის ნათევარზე!

ძალლებიც ჰყეფენ, ღამეული ფანტასმებით აბორგებულნი.

გიხარობენ, მკითხველო ჩემო, რამეთუ მგელი აღარ ჰყმუის, ხაკვდილის მაცნე ვაებით, ძალლის ნათევარზე!

. . . . . .

ისევ ვუზივარ საწერანს, ვუზივარ ბინდ-ბაგერებული, კალამ-გაეღმეკუული და მოფთმენელად ველი ზენაარ ყმაწვილს, სულის ქერეზიმს, ისევ რომ წასული ჩემთვის ქართულ ანბანთა და სიტყვათა დასაკერფავად.

სადაც არის დაბრუნდება, მომეახლება და მომესხეულება, ქართული ასონიშნებით კალთადატვირთული.

მან უნდა მიკარნახოს უკანასკნელი სტრიქონი ამ წიგნებისა.

მის მოსლამდე კი ვფიქრობ, მხოლოდ ფიქრთმეტყველების უნარით დაკნინებული და დარეცილი.

ვფიქრობ სულის ჭუბილით და მშფოთვარებით — რაები არიან წიგნები ეს, „უქარქაშო ხმლებისა“ სახელით რომ შეერივნენ ქართულ საწერანოებლს?

ჰქვს კი უფლება ავტორს, იკითხოს — იცოცხლებენ თუ უდღეურნი იქნებიან მისი წიგნები (მსგავსად წიგნთა უმრავლესთა), ანუ რამდენ ხანს იცოცხლენენ, ან კიდეკე რად ელირება მათი სიცოცხლე დრო-ამთა გასწვრივ მაღალგონიერ მკითხველთა თვალში?!

მაგრამ „უქარქაშო ხმალთა“ დამწერელს მაინც გულით ამხნევებს და რწმენით განამტიცებს ნაკადი მკითხველთა წერილებისა და ზეპირად ბეგობადებული სიტყვისა, რომელთა სიწრფოებისა და მართლგანსჯის საპირისპირად ოკეანეურსად გაუსწორებელი ნიჰილისტიც (რომელსაც ეს წიგნები შეიძლება მხოლოდ „გადარბენით“ გადაეკითხოს) ვერ მოახერხებს ეტვისა და შურის მატლთა „აყვავილებას“...

უსაზღვროდ მადლობელი ვარ, ჩემი მკითხველო, მადლობელი — იმ უნაპირო სიყვარულისთვის, მშობელი ხალხისა და ქვეყნისადმი რომ ინატება სიხარულით და სინანულით დაკერთოული შენი წერილის ყოველ სტრიქონში!

ეს წიგნები შენთან ერთნო შეზვედრებში, რთულაზროვან საუბრებში, მკაცრ პაექრობასა და მსჯელობაში იწერებოდა.

განუზომელი და აუწონელი სიყვარულით ვწერდით ჩვენი სამშობლოს თავგადასავალს.

ვწერდით უსაზღვრო აღტაცებით და სიხარულით.

ვწერდით უმძიმესი ცრემლით და სინანულით.

მაგრამ არასდროს არც სიყვარულს, არც სიხარულსა და არც სინანულს არ დაუშლია ჩვეულება ყოველი ეამთაადწერილისთვის სავალდებულო „ჩაენის ხელით“ და „ეინვის გონებით“.

ჩვენ ეკვაცებდა და აღტაცების ერუანტელს გვგვრიდა ღირსებანი, სიკეკლენი და სიეაკეცენი ჩვენი წინაპრებისა, მაგრამ არასდროს

ლევან სანიკიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მათი ღირსებანი არ გაგვიზვიადებია, მათი სიმაღლენი განგებისად არ აგვიმაღლებია, მათი სინათლე საგულდაგულოდ არ „გაგვიბრწყინებია“.

ჩვენ გეტანჯავდა სისუსტენი ჩვენი წინაპრებისა, ზოგჯერ, „უცხო თესლთა“ წინაშე ჩოქვით მუხლებგადაღაბაული რენეგატებისა; ან — ქართველი ქართველის თვალებს რომ ეშტერებოდა; ან — სისასტიკე, რამაც დაჰბადა ეს მწარე განსჯა — „ხემ სოქვა, ნაჯახი რას დამაკლეს“, ტარად რომ ჩემი სხეული არ ეგოსო“... მაგრამ წინაპართა არც ეს სისუსტენი მიგვიჩქმალია, არც გაგვიზვიადებია, მათი ჩრდილები განგებისად არ გაგვიწყვდიადებია.“

ჩვენ აღვასრულეთ ფიცი იგი, ხუთი წლის წინათ, ამ წიგნთა პირველი სტრიქონების დაბადების ჟამს რომ დავიფიცეთ, „ვეფხისტყაოსანზე“ ხელის დადებით:

სინათლე — სიმთალედ;
ჩრდილი — ჩრდილად;
ღირსება — ღირსებად;
ულირსობა — ულირსობად;
სიმაღლე — სიმაღლედ;
სიმდაბლე — სიმდაბლედ;
სიკეთე — სიკეთედ
უკეთურობა — უკეთურობად;
მადლი — მადლად;
ცოდვა — ცოდვად:

ყოველივე — „ბარეშე გარისხებისა და მიკერძოებისაა“ — «sine irae et studio».

რა გიეწყობა, თუ „უკარეშო ხმელის“ ყოველი ნაკვეთი ერთნაირი სიძლიერით არ დაწერილა. „კი ამბობდა პორაციესი: ხანდახან დიადი პომეროსიც კი ჩათვლემსო (ანდა, ვის არ „ჩაუთვლემია“?..).

არც პილატეს სიტყვები აგვიჩემებია „ვინმეს“ ხასასუბოდ: „რომელი დავწერე, დავწერე!“.

თუ მაინც და მაინც, ისევ რომაელი კოსუელის აღიარება მომიჩნევია უმჯობესად:

«feci, quod potui, faciant meliore potentes»—
„მე გავაკეთე რაც შემეძლო, დე გააკეთონ უკეთესთა შემძლებელთან“!

. . . . .

ჩემგან ხუთ ნაბიჯზე, პირდაპირ, კედელზე მიბმული უკარეშო ხმალი იზმორება (დროებამდან განდევნილი, მაგრამ სივრცეში მაინც მისი საკუთარი სივრცის მჭერილი).

ჩემგან ასოც ნაბიჯზე ბუბუნეს ჩრონი, საქართველოს დედა-მდინარე (ქართულ მიწაზე რომ იბადება და ქართული მიწის დასახარულთანვე თავდება).

გაუცნობიერებელ ერეოლას მანიკებს დაუქმებული ფოლადის ცივი, ლურჯი ზმორები.

„ცხენთა და აბჯართა მაშქერებელ და მაძგერებელ“ ჩემ წინაპართა ბღავილი ისმის დედა-მდინარის ტალღებიდან — ეერიკონის საყვირებივით მტერთა მზარავი, შემოსვრელი და დამანგრეველი...

უცებ სინათლე გამოირთო და სრულმა წყვდიადმა დაივანა კაბის კოშტი.

მაინც ელავს მკრთალად უკარეშო ეული ხმალი.

და უცებ ფიქრი თავზარდამცემი: ვაი თუ, ისევ გაცოცხლდეს ორიათას ხუთასწლოვანი ხილვა მონადმე ბალთასარ ბაბილონელისა, იდუმალმა ცეცხლოვანმა ხელმა რომ სამად სამი საბედისწერო სიტყვა დაუწერა წყვდიადით მოცულ კედელზე...

მაგრამ დაასწრო ძრწოლამორეულმა სულმა:

„იქმენინ ნათელი!“

და იქმნა ნათელი: შემოსულიყო სული ყმაწვილისა, ვისაც ვეღოდა სულდალეული.

შემოსულიყო ისევ საარაკო სიმშვენიერით და სახიერებით.

ემოსა ისევ ის პერანგი, პირველშობილი თოვლის ფერი და დაწინწკლული წვეთითა მეწამულითა, ხოლო კალთა პერანგისა — პირთამდე სავსე ქართული ასონიშნებით.

ყმაწვილი ესე — განუყრელი ქერუბიმი ჩემი სულისა;

პერანგი ესე — სვეტიცხოვლის საძირკველში დაკრძალული ქვაროი უფლისა;

წვეთები ესე — სისხლი საქართველოსთვის წამებულთ მამულიშვილთა;

ანბანები ესე — მარადიული არსობა და არსებობა საქართველოსი.

მომეახლა დაკ მომეხსეულა.

გაეღმებული კალამი გამისწორა.

კალთა გაშალა და ამოკრიფა ასონიშნები.

ამოკრიფა, კალმის წინარე განალაგა და ზეწარი გალოსის ხმით მიჩურჩულა:

„ამინ, ამინ, გეტყვი შენ, ესე არს უკარეშო ქართველ ხმალთა უკანასკნელი ამოძახილი — იქმენინ ნათელი, იქმენინ ქართველი, იქმენინ საქართველო!!!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲞᲝᲔᲢᲘ

ᲡᲐᲛᲣᲔᲚ ᲢᲔᲘᲚᲝᲠ ᲙᲝᲚᲠᲘᲯᲘ

ᲑᲝᲙᲐᲩᲝᲡ ᲑᲐᲦᲘ

მე ერთხელ, გვიან, როცა გტოვებს ხალისი წყნარად,
როცა გერთმევა შემოქმედის უებრო ძალა,
ვიჯექი ჩემთვის დაქანცული და ღამის ყუჩში
მეძალებოდა ზმანებები ჩუტე და ფუჭი,
ვცადე როგორმე დამერღვია სიბლანტის ხიბლი
და თვალი ჩემი მოვატარე ირგვლივ და შიგნი,
მაგრამ ამაოდ — ვერ წავაწყდი ვერაფერს წამლად
ვერც მაღლა სულში და ვერც სულის სადგურში დაბლა.
და როს ველოდი გულში ჩემი ყვავილის გვერდით
რა უქმად უნდა დარგულიყო ტკივილის ნერგიც,
ო, მეგობარო! თვალი მოვკარ ეგოდენ ნანატრს
და მიწყივ ფარულს ჩემს ბიწიერ თვალთაგან, ოანაც
მხოლოდ ფიქრებში ნაფერებ და დუმილში გაზრდილ
შენს ხელს, თუ როგორ გადაფინე, ვით ზუსტი ასლი,
ჩემს წინ ბოკაჩოს ბაღის დიდი, ფერადი ხატი:
ტრფობა, თავაზი გალანტური, თამაში, ფანტი —
ფეერიული იდილია — ბოკაჩოს სულის
გზნებით ნაშობი პოეტური შვენება სრული! —
თითქოსდა მთების ბურუსიდან გამოჩნდა ბარად
ნელინელ თეთრად დამავალი კრავების ფარა,
ანდა მთვლემარე კაცის სულში დაცვრილმა ჰანგმა
ფერადი სირმაც შეაქსოვა სიზმრების მაქმანს —
ასე მსუბუქად შემოცურდა უცებ ბრწყინვალე
ხატება ჩემი შინაგანი თვალის წინარე —
ზედ გულზე ჩვილის ნაზი თითი შემეხო თითქოს,
ეგოდენ ტკბილად განმეფინა სხეულში სიმბო,
ერთიან აღდგა ჩემი სულის ყოველი ძალა
და წლობით უქმი ის სიმებიც შეირხა წყნარად,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვობაში რომ მოგუგუნე ზარივით, რეკდა —
მაშინ ხომ ქვეყნის საოცრებებს, ვითარცა ნექტარს,
ვსვამდი და თვითონ სიყვარულსაც მე მარტო ვთხზავდი,
ვიღრე მოწიფულს ყრუდ მაქცევდა ნამდვილი ზავი
და ისე სწრაფად ვივსებოდი, თითქოსდა ოდით
დაფარულ სიბრძნეს ვკითხულობდი ადამის მოდგმის.
ო, ეს სიმები სკალდებისა! ნიადაგ მწარედ
რომ ახელებენ ომის ჟინით ტალღებს და ქარებს,
ჰიმნებს ისინი უკიდებენ ღვთაებრივ ჭრჭოლას,
ოდენ მისანი ქალწულების ბაგით რომ ჟონავს,
ო, მენესტრელის კუპლეტებო, რამეთუ ნამდვილ
ხალისს და შვებას თქვენ ჰმატებდით ბარონთა ნადიმს,
ანდა წმინდანთა უქმეებზე ქუჩებში ეგზომ
მგზნებარედ თქმულო ქალაქურო ცინცხალო ლექსო,
ბერის, ვიკარის, ამქრის თავის, ქალაქის მერის
სიტყვავ, ღაღადით რომ ითქმები, რომ მხოლოდ მღერი,
ანდა სიყრმეში განდობილო თილისმავ ჰანგის,
დღესაც რომ მპარავ ობოლ ცრემლს და ნაღველსაც
წამგვრი,
და ბოლოს დიდი დედოფალი მჭმუნვარე სახით,
მუდამ ფხიზელი და თავისი სიფხიზლით ლაღი,
ბავშვობიდანვე რომ მიყვარდა ვით სხივი ცისკრის —
ფილოსოფია, ანუ სიბრძნე სახელი მისი,
პოეზიასაც რომ უწოდებს მავანი ხშირად,
როცა მას სახე ებინდება, ან თვლემს და ფშვინავს;
ის სიზმრებში და ზმანებებში შემორბის მაშინ,
გამოეპარა თითქოს დედას შიშველი ბავშვი
და ყვავილებში დასდევს პეპლებს და ფერად ჩიტებს,
ელფებთან ერთად ზოგჯერ კენჭებს მოისვრის კიდეც.
— მადლი შენ, დიდო ხელოვანო! ახლა ხომ ძალმიძს
ავაღორძინო შენეული ყოველი წამიც,
მეც შემოვიდე შენი ხელით ნახარებ ბაღში
და მეც ჩამოვჯდე თქვენთან ერთად ვითარცა პატი,
თვალი შევავლო მწვანე თაღებს სარკეში ტბორის,
გადავიმსხვრიო თქვენებრ პეშვზე შადრევნის ბროლი,
მეც შევარხიო გაზონებზე ჩრდილები ზანტი
და მეც დავაფრთხო მეყსეულად ვიღაცის ლანდი.

მე არ ვოცნებობ, მე თქვენთან ვარ — ბალახზე ვაფენ
სუფთა ტილოს და ვინაწილებ მეც თქვენთან ტრაპეზს,
ეს მე ვარ, ბარბითს რომ ჩამოვკარ თიოეში სიმზე
და ეს მე მიმღერს ბანოვანი, მიმღერს და მიმზერს,
კოშკს გადავხედავ მონანავეს ცის ლურჯი ბოლით —
ჩვენი სტუმარი ქალბატონი იქ ცხოვრობს, მგონი
და ჰაერივით ჩავისუნთქავ ბოკაჩოს ზღაპარს,
დავეწაფები მისი სულის წყაროსთვალს ხარბად.

ჰოი, სამყაროს მარგალიტო, ოდითგან ლაღო,
აშიკობის და სიყვარულის ნანატრო ბაღო,
ო, ფლორენციავ, ტოსკანიის ცისფერო მთებო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყალუხვო არნოვ, ყვავილებად ქცეულო ზხეფო,
ზვრებით, ბაჩლებით დაფარჩული პერანგო მიწის,
ღვინით და ხორბლით, ზეთისხილით მდიდარო მიწყივ...
მწვანე ტყეები, უამრავი ირემი, ტახი,
ულამაზესი ქალაქები, ციხე და თაღი,
სენაკები და პალატები, ვიტრაჟი ჭრელი.
გუმბათები და წახნაგებით შეკრული ჭერი,
რუსწყალზე ბაღში ხიდი მჩატედ გადადის თვითონ,
ბუნებაც ცხოვრობს კაცთან ერთად პალატში თითქოს
და შინ შემოაქვს ათასფერი ყვავილი თურმე,
ჩუქურთმა ამკობს ამფორებს და მარმარის ურნებს,
მწუხრის ვუალში გახვეული აუზის ფსკერი
ცინცხალი ჭიქის და მინანქრის ფერებით მღერის —
შენეულია ეს ყოველი, მუზაა შენი,
ა'ე რომ გავსებს სიხარულით, ასე რომ გშველის
ჩაანნა ერთურთს, ჩაახლართო საგანი საგანს —
ყველაფერს ერთად ერთი ხედავ, და ერთი სახავ!
ელინელ ღმერთთა და რომაელ მეომართ შორის,
ბურუსი რომ ჩანს ბინდისფერი თუ ნისლის თქორი,
ზის ბოკაჩო და მუხლზე გაშლილ, დაცრეცილ გრაგნილს
ძველებერძნულიდან თავის ლამაზ ენაზე თარგმნის,
ხოლო უბეში, მკერდს მიკრული, პერანგის შიგნით
მოჩანს ნაზონის სიყვარულის უბადლო წიგნი.
ო, ყოვლადბრძენო, მე მოწაფის თვალებით ვუცქერ
და ვიზეპირებ შენი წიგნის ჯადოსნურ ფურცლებს,
სადაც იმ ძველ და მარადიულ ხვაშიადს ავლენ,
ასე რომ ჰკლავდა ხოლმე ღმერთებს, ნიმფებს და ფავნებს.
მსურს კვლავ ვუჭვრიტო შენი ბაღის ჩეროდან იპათ
ოინს და ხრიკებს, ცბიერებას, ფიცილს და გრიმასს,
ვუცქირო ტოტზე დაკიდებულ ქალღმერთის ქიტონს,
ვესტალთა კოცონს, ქალწულებად რომ დარჩნენ ვითომ
და შიშველ ნიმფებს გამოსულებს მდინარის პირას
და ცუღლუტ სატირს სუროს ხშირი ფოთლიდან მზირალს.

უილიამ კლოვერი

RIDING-RUMIS SAMKITHVELOS MUDMIVI AGONENTI

მელნით მოსვრილი ბერი სწავლული,
სახეზე რაღაც უცნო ტრიუმფით,
ავადმყოფური და მხიარული
აჩაჩული და სიმპატიური

მისდევს რასელის ქუჩის ქვაფენილს
გლადსტონის ქურქში გამოხვეული,
მიდის, მიარღვევს ხალხს იდაყვებით
და ბუმბულივით მიაქვს სხეული.

არც პოლიტიკა არსებობს მისთვის,
არც ქალი ვინმე — თავის კანტურით
მიჰყვება ქუჩას სუსტი და ხისტი,
ზუდამ იდეა ფიქსით გართული.

ჩაუვლის კაფეს ქუჩის კუთხეში,
მატროსებით და ბუზებით სავსეს,
ოფიციანტებს აქ უმწუთხესი
სიტყვა ბოლივით ეფშვნებათ თავზე.

გვერდით ჩაუარს დარბაზს ტენისის,
სად თითო კორტზე უკვდავ მამა-
შვილს,
ბანკეტზე კუჭის ამოტენის წინ,
დრო გაჰყავთ ხოლმე მსუბუქ
თამაშში.

უხმოდ გაჰყვება ფარდულს
ბუკლეტის,
გემოროიდის წამლის ვიტრინას,
აქეთ რძისა და ლუდის დუქნები
კლიენტს და მუშტარს ველარ
ითვლიან.

იქით ღვთის ენით მოლაპარაკე,
ან გაკრეჭილი მღვდელი ჯუმარდი
ტლუთა და ბრიყვთა ბედს რომ
განაგებს
როგორც მკითხავი და ქირომანტი.

მერე გადაჭრის მყუდრო მოედანს —
სად ქვრივი ქალი მჯდარი ინახად,
„სულის სიმშვიდის“ მოსაპოვებლად
ბრიჯის და ბანქოს კლუბებს ინახავს.

მიბაკუნობს და გზაზე ურთულეს
ფორმულებს, რიცხვებს, უცხო
გამოთქმებს
და სიგიჟეებს ჩუმად ბურტყუნებს,
არვის სმენია რაც აქამომდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევა დარბაზში, როგორც წინადღეს,
და მაგიდასთან პენსნეს მოირგებს
კითხულობს, ჯღაბნის, ვიდრე
სინათლეს
არ გამოთიშავს გვიან მორიგე.

დაუბრუნდება შინ სიღატაკეს,
შებოლილ თევზს და სავსე ჩაიდანს,
დღე კვლავ ფიქრებში უნდა
გათავდეს,
ბინძურ ლოგინში უნდა ჩაინთქას.

რას აკეთებდა იგი მთელი დღე?
რატომ გავიდა დილით სახლიდან?
— ის ესპერანტოს ძირებს ნელინელ
თავის ზიზღსა და ბოლმას აღვრიდა —

ქმნიდა ხალისით დაუცხრომელით
უნივერსალურ ენას იოლად,
გამოადგება ერთ დროს რომელიც
უფრო ბედნიერ კაცობრიობას.

ამ რუდუნებით ჩვენი სწავლული
რაღაცით მოჰგავს იმ იდეალისტს,
ვინც ჰარმონიის და სიყვარულის
კანონს ამკვიდრებს მუშტის
ტრიალით.

ედუარდ ტომასი

შენსავით არვინ

ჩემს ტანს არავინ ეტრფის
შენსავით ასე მძაფრად,
ჩემი სიბერეც თეთრი
ასე არავის ზაფრავს.

თითქოს ჩამხედავ შიგნით
და მე რომ არსად მითქვამს,
შენ უკვე იცი ფიქრიც,
ვით გულთმისანმა დიდმა.

ბევრი მოგაგე ხოტბა,
შეუძლებელი შევძელ,
მე ვერ ვიტანდი ოდნავ
ქათინაურსაც შენზე.

მცირედ მიგაჩნდა მაინც
ჩემი ლამაზი სიტყვა
ყველა იმასთან, რაიც
შენთვის აროდეს მითქვამს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე თვალს გარიდებ მუდამ,
ვინძლო არ გავთქვა ბოლოს,
რომ არ მიყვარხარ თუნდაც,
რომ გითანგრძნობ მხოლოდ.

ერთურთს უსიტყვოდ ვუგებთ —
მაშინ თუ ვიტყვით სათქმელს,
როცა არა ღირს უკვე,
როცა მივდივართ სადმე.

მე შენი გრძნობა მესმის
და გულზე მადევს ტვირთად
ჩემი ცხოვრების წესი,
ჩემი ბუნების ქირდვა,

რომ შენებრ მეც არ ძალმიძს
სულის გაღება მსხვერპლად,
რომ ჩემი ყველა წამი
მეც დამავიწყოს კერპმა,

ჩემი დღეების ზაფრა
იქამდე მივა ბოლოს,
რომ თვალს დავითხრი ალბათ,
რომ ჩუმად გიგრძნობ მხოლოდ,

რომ სიყვარულის ნაცვლად
ვზიდო მადლობა დიდი,
ვით უდაბნოში ნაძვმა
ბუდე სამოთხის ჩიტის.

ინგლისურიდან თარგმნა
გიორგი ნიშნიანიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ნოდია

სიმართლის წილი სუნთქვა

საზოგადოების კანონზომიერი განვითარება, წინააღმდეგობრივი შინაარსითა და დრამატიზმით აღსავსე თანამედროვეობა, ადამიანის ფიზიკური და სულიერი ყოფა, ბუნებრივია, დღის წესრიგში აყენებს ადამიანის აღზრდის პრაქტიკულ-პატრიას. ჩვენს ქვეყანაში არცთუ იშვიათად ქვეყნდება მხატვრული, პუბლიცისტურ-კრიტიკული ნაწარმოებები და სამეცნიერო გამოკვლევები, მიძღვნილი ახალი ადამიანის ფორმირების, პიროვნების აღზრდის საკითხებისადმი. და მაინც, უკმარობის გრძნობას იწვევს ის, რომ შედარებით ცოტა ითქმის და ცოტა იწერება იმ უპირველეს საკითხზე, რომელიც აუცილებელი და მთავარი წინაამდეგარია თანამედროვე პიროვნების ჰარმონიული აღზრდისა, მისი სულიერი სამყაროს გამდიდრებისა. ეს — ადამიანის სულის აღზრდის, ადამიანისათვის ბრძოლის საკითხია.

საზოგადოებრივი ყოფის ეს სფერო, თავისთავად, ჩვენი პლანტების მოწინავე პროგრესულ მოდგაწეთა დიდ ყურადღებას იპყრობს და, რა თქმა უნდა, მათი ინტერესები სხვადასხვა კუთხითა და ასპექტით ვლინდება. გასაგებია: შეუძლებელია ადამიანის აღზრდაზე ილაპარაკო და თავიდანვე, საკითხის დაყენებისთანავე, არ გაითვალისწინო ის უდავო ჭეშმარიტება, რომ ეს თემა მეტად რთულია და მრავალი განზომილების დამტევი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხომ აუცილებელია შევეხოთ დროის, სივრცისა და ადგილის ასპექტებს. განა შეიძლება პიროვნების აღზრდაზე, საერთოდ — პიროვნულობაზე ვიმსჯელოთ და მხედველობაში არ მივიყვანთ ადამიანის წარმომავლობა, ეროვნება, განვითარება — ცივილიზაციის ეტაპი, მისი წარსული, აწმყო და მომავლის პერსპექტივები? რამდენ საიდუმლოს, რამდენ თავისებურებას და სულიერ ხიდრმეებს, ადამიანური ბუნების რაოდენ და რაგვარ „ლაბირინთებს“ არ გულისხმობს ეს ყოველივე.

ერთა თვითშეგნების, თვითშეცნობის განსაკუთრებული ადამიანების პირობებში ადამიანის პრობლემაზე მსჯელობა ან ადამიანური ცხოვრების, საზოგადოებრივი ნინამდელის მხატვრული გაანრება თავისებურად დიდი სეგდთა და ტკივილითაა შეფერილი — რაციონალური და რომანტიკული საწყისების ურთიერთდაპირისპირებით, იმ დიდი ცვლილებებისა და სიახლეთა სიმძაფრითაა შეჯერებული, რასაც დღეს დედამიწის ბინადარი ყოველი ერი და ეროვნება მწვავედ განიცდის.

ვგრძნობ, თუ რაოდენ სახიფათოა მორალურ-ეთიკური საკითხებზე საუბრის წამოწყება: ჭერ ერთი, იმის გამო, რომ საუბრის ავტორს ხშირად უნდება მკითხველის ყურადღების მიპყრობა ცნობილ ჭეშმარიტებებზე. საგულისხმო მომენტია ისიც, რომ ცხოვრებაში არცთუ იშვიათად მორალურ-ეთიკური, ზნეობრივი საკითხებით ინტერესდებიან პირები, რომლებიც მორალურად უფლებამოსილნი არ არიან საზოგადოებას ეთიკური შინაარსის რეკომენდაციები შესთავაზონ. ამ რიგის საკითხებზე მსჯელობა თავისთავად დიდ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს: სულიერი სიწმინდის მქმედგებელს თვით მართების დიდი მორალური სიწმინდე. ადამიანის მორალური სიწმინდე კი, მისი მაღალი თვისებები აუცილებლად და თავისთავად განუყოფელია, ორგანულადაა დაკავშირებული პიროვნების მაღალ ჰუმანისტურ პოზიციასთან. აქ შეიძლება შეგვდავნონ, შეგვახსენონ, „დეალური, „სტერილური“, „ცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენისაგან განმშენდილი“ ადამიანი რომ ძნელი მოსაძებნია!. და იქნებ სინანულრეხილ არ იყოს მისი არსებობა. თუკი მაინც მოიძებნება ასეთი ვინმე, იგი მაინც არ იქნება ჩვენი ცხოვრების დადგენი გმირი, ვინაიდან სქემატურობა და ხელოვნურობა თავისთავად უსიცოცხლოა და უსარგებლო. ეს ცნობილი ჭეშმარიტებაა.

რაც შეეხება წინამდებარე წერილს, მე მაინც ვბედავ ამ თემაზე მსჯელობას თუნდაც იმიტომ, რომ ღრმად მწყმს ასეთი საფრთხის აკუტილობა და აუცილებლობა. საზოგადოების წინაშე წამებრალი საკითხების, ცხოვრებაში არსებულ საგულისხმო კონკრეტულ მოვლენათა საერთო თვე ზოგადის თვალთახედვით განხილვა დღეისათვის უფრო საჭიროდ და სასარგებლოდ მინაჩნია, ვიდრე გარკვეულ პრობლემასთან დაკავშირებით ადრე გამოთქმულ მოსაზრებათა ანალიზი. ცხადია, ეს არ ნიშნავს უარის თქმას მეცნიერებაზე, მეცნიერულ კვლევის მეთოდებზე. ადამიანის ცოდნა, ერუდიცია, ნიჭი, თეორიული დონე თუ კვლევის შემოქმედებითი უნარი, თვით პიროვნება მთლიანობაში. თავისი შთაბეჭდილებებით, საკუთარი სტილით, შეხედულებებითა და რწმენით ისედაც ელინდება ცხოვრებისეული ფაქტის თუ მოვლენის თაობაზე მსჯელობისას, გარკვეული მეცნიერული თუ ლიტერატურული კონცეფციის ჩამოყალიბებაში.

ზოგჯერ, ადამიანის სულიერი სამყაროს სიმდიდრეზე, მისი სულის აღზრდაზე მსჯელობისას გადამეტებულად დიდ ყურადღებას უთმობენ ადამიანის ქცევის წესებისა და ეტიკეტის ცოდნას, ინფორმაციის შეძენას და სხვა. თუმცა შეიძლება თქვას, რომ ადამიანმა კარგა ხანი შეითვისა დანა-ჩანგლის ხმარების წესები, მისალმების გარკვეული ფორმა აღიარა და ბევრი რამ სხვა „ადამიანური“ ჩვევებიც შეიძინა. ჩვენს დროში გაკვრებებს ვერც საუბრის წარმართვაში გაწაფულობა გამოიწვევს. მაგრამ, განა ნაკლებ საჭიროებს აღზრდას ის ადამიანი, ტაქტიანი ქცევა მხლოდ გარეგნულად, მექანიკურად რომ აქვს შეთვისებული? წარმოიდგინეთ, პიროვნება ზრდილობიანი ტონით, ღიმილით რომ გეკითხებათ: „როგორ ბრძანდებით, თავს როგორ გრძნობთ, ხომ კარგად არიან თქვენი ოჯახის წევრები?..“ ოქვენ პასუხობთ... და მოულოდნელად ამჩნევთ, რომ თქვენი მოსაუბრე ყურს არ გიგდებთ... თქვენს შორის სიცივე დგება. როგორღაც მოტყუებულად გრძნობთ თავს... თითქოს უბრალოა ეს ურთიერთობა. მაგრამ ეს ადამიანები ან „გულთათვლიანი“ თავის უსულგულობას ფარავენ და იმ კეთილ თვისებას ისაკუთრებენ, რაზედაც არავითარი მორალური უფლება არ აქვთ.

* გავიხსენოთ თუნდაც ასეთი „უბრალო“ დეტალი ჩვენი ყოფიერი გარემოდან, ზოგ არაერთხელ გვინახავს, ყოველდღიურ ბინებში ყოველი ნივთი, დგამი თუ ავეკი რომ კრიალებს სისუფთავით, ზოლი საერთო სარეველობის ადგილები, მათ შორის — სადარბაზო, ლიფტი, ბაკანი, და სხვა ჩახერგილია გარეთ გამოყრილი ოჯახისათვის უსარგებლო ნივთებით, ძველი ავეკითა და ჯართით. რა თქმა უნდა, მაცხოვრებელთა მასობრივი, ყოფითი კულტურა უპირატესად ამ საერთო ადგილების წესრიგიანობით განისაზღვრება. ეს გარემოება მოკალაკეთა ურთიერთუპატივცემულობაზე მეტყველებს და, ცხადია, ჩვენი ყოფითი კულტურის თვალსაზრისით სულაც არ არის წერილმანი და უმნიშვნელელი; სპობილო ჯამში, ეხეკი ადამიანის აღზრდის ამოცანაზე მიუთითებს.

შესაძლოა, წარმოვიდგინოთ ასეთი სურათიც: ორი ცხენი, ორი ჯაგლაგი, თავის ბედაურობაში რომ დარწმუნებულან, მანქანების გვერდით, ჩერობი დგანან და ბედელად უყურებენ მაჯალელფერად და მრავალხმოვან ქვეყანას; „ჩართულები“ არიან, მაბიტუსები უსრიალებენ (ქერის პრალია?), მეკდარი მზნისგა გამოსაკვეთის მათი თვალებიდან (ზავი თუ ცისფერი თვალებიდან), დგანან „ბაკენბარდებანი“ ცხენები და, ეტყოთ, სწორედ მათ უტვირთიათ რომელიღაც საჭირო საქმის აღსრულება... შესაძლოა, სულიერ სფეროშიც კი... სწორედ ეს იწვევს გაკვრებას.

და მაინც, ყველა ამ შემთხვევაში ყოველივე ნათელია თითქოს — რაც ადამიანის ბუნებიდან, მისი არსებიდან არ გამომდინარეობს, განსხვისებულია მისგან. ყოველ გარეგნულ ბრწყინვალეს უმალ ეკარგება ფასი და სილამაზე, რა წუთშიაც მედავნდება, რომ ქცევის წესების ცოდნისა და მიხრა-მოხრის, ოჯახში დადგენილი სისუფთავისა და მოიჩვენებათ ბედაურობის მიღმა იმალება უდიდესი ცოდვა — ადამიანისადმი უპატივცემულობა, გულგრილობა, ტატიფრობა..

ეკვს გარეშეა, ადამიანის შინაგან კულტურას ჯარა პრინციპალად და იდეოლოგიურად მასობრივი კულტურა არ უნდა დავუპირისპირო. მართალია, გარკვეული აზრით, ამ მხრივ, ერთგვარ დაპირისპირებას ცხოვრებაში აქვს ადგილი, მაგრამ ეს უფრო სოციალური საკითხია, რომელიც მოწესრიგებას მოითხოვს და, ობი-

---

[1] გავიხსენოთ სახარების ტექსტი: „...და ვიღაარ მყოვარ დგეს და ჭკოსხვიდეს მას, აღემარეთა ზე და ჰრქუა მათ: ვინ უცოდველ არს თქუენგანნი, პირველად მან დაუტე

ექტურად, თავისი არსითა და ბუნებით ლაპარაკობენ მოვლენათა ანტაგონიზმით არ ხასიათდება. ამასთანავე, მასობრივი მოზმარობის ნიუთების მაღალპროფესიულ დონეზე, გეოგენებით დამზადება თუ ფართო მასების სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ყოველი ჰუმანური საზოგადოების ზრდვეის საგანია. ცნობილია, რომ მასობრივი კულტურის ნიუთების მაღალი ხარისხი და ესთეტიკური გაჯერება ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია წარმოების ნაყოფიერებისა და ადამიანთა განვითარებისა; ცივილიზაციის საფეხურის მიმნიშვნელელობაა. მაგრამ განვითარების ეს სარეთო ნიშან-თვისება დღეს მისი კულტურის დონის მაჩვენებლად ვერ ჩაითვლება. ადამიანი, ინდივიდი უშუალოდ ნაკლებად მონაწილეობს მასობრივი კულტურის სტანდარტების შექმნაში. ამდენადაც, მასობრივი კულტურის საშუალებებით სარგებლობაში ნაკლებად ვლინდება ინდივიდის შემოქმედებითი აქტივობა და გეოგენებაც. იმ შემთხვევაში, მასობრივი კულტურის შექმნაში ინდივიდის მონაწილეობას, მის შემოქმედებით აქტივობას თუ შევხებით, შეიძლება ითქვას, რომ ეს მონაწილეობა — პიროვნების ინდივიდუალობა აქ ვლინდება არა უშუალოდ, არამედ ადამიანური მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში მიღწეული შრომის კულტურით, პროფესიონალიზმით: ამ მონაწილეობის ზომას და კოეფიციენტს განსაზღვრავს მოცემული ცივილიზაციის, პროგრესის საერთო დონის ზრდა.

ეს საკითხი ცალკე თემაა, დამოუკიდებელ მსჯელობასა და ანალიზს საჭიროებს. ამ შემთხვევაში საინტერესო ისაა, რომ ადამიანის, პიროვნების აღზრდის დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში გარკვეული როლი მასობრივი კულტურის პრობლემათა მოგვარება-მოწესრიგებასაც აკისრია.

●

ადამიანის აღზრდის ინტერესები საზოგადოების წინაშე რეალურად აყენებს მთელი აღმზრდელობითი პრობლემატიკის მრავალმხრივად, სხვადასხვა ასპექტით გაჯერების ამოცანას. ერთ-ერთი მთავარი ასპექტი პიროვნების, ადამიანში პიროვნულობის აღზრდა, რაც, პირველ რიგში, ადამიანის მოქალაქეობრივი შეგნებულობისა და პასუხისმგებლობის აღზრდას გულისხმობს. ეს ზომ საკმად რთული პრობლემაა, და მას თავის მხრივ, აგრეთვე, მრავალი ასპექტი და კუთხე გააჩნია.

ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ საზოგადოებრივთან დაკავშირებთან პიროვნება და პიროვნულობის ცნება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. შეუძლებელია მთელი სიღრმითა და სისავსით გავიცნობიეროთ და გავაანალიზოთ საზოგადოების სოციალური, ეფექტურობელიტიკური საკითხები, ეთნიკურად ერიანი თეორიული ასპექტებზე, თუკი არ შევეხებით პიროვნებას, პიროვნულობას. ასევე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ საზოგადოების დემოკრატიული ბუნება თუ სახელმწიფოს დემოკრატიული პრინციპების საწყისებზე მართვა-გამგეობლობა ადამიანური ბუნების, საზოგადოებრივ, საერთო-ეროვნულ საქმიანობაში პიროვნების მონაწილეობის გარეშე. ტოტალურად დემოკრატიულ საწყისებზე საზოგადოება ფუნქციონირებს მაშინ, როდესაც არსებობს პიროვნულობის გამოსაყენებელად საჭირო პირობები და რეალური საშუალებები. პიროვნების გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივის ცნების მოხმობით, საზოგადოებრივის შესახებ ხსჯელობით, ასევე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ნამდვილობა ოფიციალური საზოგადოებრივი აზრისა და ა. შ.

3. ი. ლენინი არა ერთხელ, განსაკუთრებით აღნიშნავდა, თუ რაოდენ დიდი შინაარსის შემცველია მარქსისტული დებულება, რომელიც სახელმწიფოს მართვა-გამგეობლობაში, საერთო-ეროვნულ აღმშენებლობით პროცესში მშრომელთა ფართო ფენების მიზანდასახულად და თანმიმდევრულად ჩაბმას ეხება. მარქსიზმის კლასიკოსებს ნააზრეს მშრომელთა ფართო ფენების სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობის შესახებ ადამიანის სულიერი სამყაროს გამდიდრების, პიროვნების აღზრდის, საზოგადოების ჰარმონიული განვითარების პრინციპები უდევს საფუძვლად.

თავის მხრივ, ადამიანის აღზრდა, პიროვნების ფორმირება რეალურად არსებულ გარემოპირობებთან, გარკვეულ საზოგადოებასთანაა დაკავშირებული. ადამიანის ხასიათში, ჩვეულებაში, თვისებებში ჩვენ თითქმის მუდამ გვაკვს შესაძლებლობა მივაკვლიოთ, გამოვარჩიოთ მისი სულიერი თუ საქმიანი წარმმავლობის საგულისხმო ზტრიხები. როგორია ადამიანი? ეს არის მთავარი, თუმცა მეტად ზოგადი კითხვა. გულწრფელი და „ღია“ პიროვნება, და ასევე გულწრფელი და ჰუმანისტური შეხედულებების ქმნილ მოდვაწეა იგი, თუ პირად ცხოვრებაშიც და საზოგადოებრივი საქმის სამსახურშიც არანამდვილია—„ქაღალდის ლომი“? არის თუ არა შესაძლებელი, რომ გულწრფელი და, სახალოო ჯამში — დადებითი პიროვნება არაგულწრფელი და დემაგოგი საზოგადო მოღვაწე იყოს, ანდა ისეთი ადამიანი, გარკვეული შეხედულებები, საკუთარი მრწამსი რომ არ გააჩნია, საზოგადოებრივი მოღვაწის როლში გვევლინებოდეს? სამწუხაროდ, შესაძლებელია და არცთუ ისე იშვიათია. მოზმარზმე პარადოქსობის და კიდევ სხვა ხრიკებსა თუ მედელობის წყალობით, უსახურმა ცინიკოსმა შესაძლოა მიაღწიოს

საზოგადოებრივ მდგომარეობას. რა თქმა უნდა, ასეთი, მსგავსი თუ რიგით ობივატელისათვის სულ ერთია, რა ბედი ეწევა ნებისმიერ საერთო-სასაბამო საქმეს, პირიქით — რაც უფრო მეტია გაურკვევლობა და გაუგებრობა ამ საქმეში, მისთვის უკეთესია. აქ უკვე ფიქრს საკითხი ადამიანის, ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთფორმირების, ურთიერთზეგავლენის შესახებ. რის საფუძველზე, რა გარემოში წარმოიქმნა, გაიზარდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ინდივიდი: შემოქმედებითი აღმშენებლობითი შრომის აბამოფერიში, თუ მისი ჩვეულები, გამოცდილება, პრაქტიკული ხედვა ბიურორატიული საქმისწინის შედეგია და, ცხადია, ხალხისათვის საკრო საქმიანობისაგან გამოთიშულია, სამართლიანობისა და სიკეთის უარყოფის შედეგადაა, მასში ჩანერგული და კუდმეფირებული?

გასაგებია, რომ მეტად საუურადღებო და საგანგაშოა ყოველი შემთხვევა, როცა ხსარგებლი საზოგადოებრივი შრომისათვის მოწოდებული ადამიანის ნაცვლად მეტად თუ ნაკლებ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თანამდებობაზე ფარის მოუვარულ პირს ვხედავთ. ასეთები გვაკვირვებენ თავიანთი დაუნდობელი ფორმალისტობით და გუულგრილობით; მაი ცოცხალი ადამიანური მეტყველებაც კი არ ეამთ; გართულებულად და ბუნდოვანდ ეჩვენები.ი სრულიად მარტივი და გასაგები ფაქტები ი ეუ სიტყვაცივები. ხაიდან მოდიან ამ ყალიბის ადამიანები, საიდან იღებენ ასეთ უხვ შევსებას: ბიუროკრატთა „ეოპორტები", სად და როგორ ეზადდება ეს „სათადარიგო" ძალები — ამის გამოკვლევას და გაცნობიერებას გადაწყვეტები მნიშვნელოვანა აქვს ადამიანის სულიერი სამყაროს დაწმენდისათვის, მის გაადამიანებისათვის.

ყოველი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის მაღალი პოზიციებიდან გაანრება, ყოველ საქმრმორეტო საკითხზე შემოქმედებითად მსჯელობა და მათ გადასაწყვეტად რეალური გზების გამონახვა ისეთ უძველეს დ., ამავე დროს, უახლოეს მანკიერებათა დაძლევას საკიროებს, როგორიცაა ადამიანის შეზღუდულობა და უმეცრება, ცალმხრივობა და საუკუნეებით გამომშავებული, რაფინირებული ვიწრო პრაქტიკიზმი, მეშჩანური ყოფის მოელი კოდექსით შეიარაღებული; როგორიცაა „ეკოფაშეიენელი" თუ ბიოლოგიური კარიერიზმის, თვითმყოფადელების, ამპარტავნობის თუ სხვა ადამიანური სისუსტისა და „ავადმყოფობის" დაძლევა...

სასცენო მეტყველების დაუფლებაში — ეს ელ, კომპლექსური მეთოდი ავტორმა შეიმუშავა და წარმოაჯილება საკუთარი ექსპერიმენტებით 1971-75 წლებში საქართველოს სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში. ამ მეთოდის მთავარი და ძირითადი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამოაზნულია მეტყველების ისეთი ჩვეულების გამოსამუშავებლად, რომელიც მსახიობს გამოადგება სცენაზე ქმედებისა და მხატვრული კითხვის ხელოვნებაში დოსტატებისათვის, ვინაიდან იგი ძირითადად დაფუძნებულია სტანისლავსკის სისტემაზე, რაც ერთგვარად აახლოებს სასცენო მეტყველებას, როგორც დისციპლინას ისეთ მონათესავე დარგთან, როგორიც არის მსახიობის ოსტატობა.

ბ. ნიკოლაიშვილმა გარისკა და სამეტყველო სუფთქვის სავარჯიშოებში შეიტანა ინდოელი იოგების სავარჯიშოებიდან რამდენიმე ნომერი. რომელსაც საკუთარი პედაგოგიური ალღოთი და გამოცდილებით გარკვეული კორექცია გაუკეთა, რაც გამოიხატება შესუნთქვის დროს არა მხრების აწევაში როგორც ამას ინდოელი იოგების მეთოდი ითვალისწინებს, არამედ მხრების კუნთების პასიურ მოქმედებაში, ღრმა დიაფრაგმული სუნთქვის გამომუშავებაში, რაც ითვალისწინებს შუალისა და ნეკნთაშორის კუნთების აქტიურ მოქმედებას.

წიგნს დართული აქვს სამეცნიერო აპარატურა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დასკვნას. რომელიც ნაშრომს არ გაჰნია. უნდა აღინიშნოს, რომ სუპერი, ანოტაცია და შინაარსის სარჩევი გაკეთებულია სამ ენაზე — ქართულად, რუსულად და ინგლისურად, რაც საუკეთესოს მისცემს ფართო მკითხველს წარმოდგენა იქონიოს წიგნის მნიშვნელობაზე. წიგნს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

საწყენია, რომ ასეთი, ფრიად საჭირო და საინტერესო წიგნი, რომელიც თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტების გარდა დიდ დახმარებას გაუწევს მეტყველების საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებსაც, გამოცემულია ძალზე მცირე (1000 ცალი) ტირაჟით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება

ვახტანგ ბერიძე

უჩა ჯაფარიძე

ჩვენი საუკუნის ოციან წლებში თბილისში გამოდიოდა ოსების იმედაშვილის მიერ ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაარსებული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება". მისი ნომრების დათვალიერება დღეს განსაკუთრებულ სიამოვნებას გვრის ადამიანს: ყოველ ნომერში, გარდა წერილებისა, საინტერესო ინფორმაციაა კულტურული ცხოვრების შესახებ, ქართული ხელოვნების მოღვაწეთა, მათ შორის, დღეს ნაკლებად ცნობილთა და დავიწყებულთა, ფოტო-სურათები, ბიოგრაფიები. ჟურნალს ჰქონდა მუდმივი რუბრიკები: „დაბა-სოფლის მოღვაწენი", „ჩვენი მხატვრები", „ჩვენი მსახიობები". აქ შეიძლება აღმოაჩინოთ ისეთი ცნობები ეროვნული კულტურის ეტიკეტად და მოკრძალებულ მუშაკთა შესახებ, რომელთაც სხვაგან ვერსად ეკრა იპოვნთ; დღეევანდელი მკითხველი იმასაც აღმოაჩენს, რომ ბევრმა ქართველმა ლიტერატორმა და მხატვარმა, რომელთაც შემდეგ დიდი სახელი მოიხვეჭეს, სწორედ „თეატრისა და ცხოვრების" ფურცლებზე აიდგეს ფეხი. ჟურნალი მოკლებული იყო ოფიციალურ ხასიათს, თითქოს ერთგვარად „შინაურულიც", ინტიმურიც კი იყო, მაგრამ სწორედ ამის გამო, დღეს იგი ცოცხლად გვაგრძნობინებს მაშინდელი მხატვრული ცხოვრების მაჯისცემას, იმ ატმოსფეროს, რომელშიაც იბადებოდა და ყალიბდებოდა ახალი ქართული ხელოვნება.

აი ამ ჟურნალთანაა დაკავშირებული ჩემი პირველი, ბავშვობისდროინდელი. მოგონება უჩა ჯაფარიძეზე, რომელიც პირადად ბევრად უფრო გვიან გავიცანი. ახლაც კარგად მახსოვს 1924 წლის დეკემბრის ნომერი „თეატრისა და ცხოვრებისა", რომლის ყდაზეც სამი პორტრეტი იყო მოთავსებული; შუაში მსახიობის იუზა ზარდაშვილის ფოტოგრაფია, მარცხნივ ოვანეს თუმანიანის ნახატი პორტრეტი, მარჯვნივ კი: „დავით კლდიაშვილი. ნახ. ილ. ჯაფარიძისა" (ილია უჩას ნათლობის სახელია). პატარა, უბრალო, ფანქრით შესრულებული ნახატი — მხოლოდ პროფილით ნაჩვენები თავი მწერლისა.

ამ ნახატისადმი ყურადღება მამაჩემმა მიმპაყრობინა. საამისოდ მას ორი მიზეზი ჰქონდა: განსაკუთრებით უყვარდა დავით კლდიაშვილი, როგორც მწერალი, და პირადადაც მეგობრობდა მას; განსაკუთრებული სიმპათიით იყო განწყობილი უჩას მამისა და მთელი მისი ოჯახისადმი. და ეს განწყობილება იმთავითვე, „დაუსწრებლად" გადმომედო მეც.

ოჯახსა და სიყრმისდროინდელ გარემოს კი არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა უჩა ჯაფარიძის, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის, ჩამოყალიბებისათვის. უჩა რაჭაში დაიბადა, ონის მახლობლად, სოფელ ღარში, მამამისი მალაქია ცნობილი პედაგოგი იყო, სახალხო მასწავლებელი. ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ადამიანი, რომელიც მუდამ სიკეთეს თესდა და დიდი სიყვარულიც მოიმკო. მას ექვსი ვაჟი ჰყავდა (უჩა ყველაზე უმცროსი იყო); უფროსებში იყვნენ ლადო და გრიშა, განუურელი ტკუპები, რომელთაც ოჯახ ოჯახურობაში გამოიჩინეს თავი უანგარო კულტურული მოღვაწეობით; მარტო ის რად ღირდა, რომ მათ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს რუსულად თარგმნეს ილიას, აკაკისა და ალექსანდრე უჯიზბეგის რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც

დაბეგვდა მოსკოვის გამომცემლობა „პოლზამ". იმავე დროს, ორივენი მხატვრობის ნიჭითაც იყვნენ დაჯილდოებულნი. ოციან წლებში მათ შეეძლოს ზოლო რუსთაველის პორტრეტი, რომელიც მაშინ ძალიან პოპულარული იყო. ალეკსანდრე ყაზბეგის პორტრეტი და სხვ. ერთიც და მეორეც გამოქვეყნდა „თეატრისა და ცხოვრების" იმავე წლის ნომრებში და კვლავ ამავე ჟურნალში, 1924 წლის მე-19 ნომერში, დაიბეჭდა პატარა წერილი მალაქია ჯაფარიძის შესახებ და ფოტო სურათი, რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: მალაქია თავისი ექვსი ვაჟით.

აი რა ეწერა იმ პატარა შენიშვნაში: „რაჟაში მალაქიას ოჯახი შეიქნა ნამდვილ განათლების კერად, მეთ უფრო, რომ მას უკვე მხარში ამოუდგნენ თავისი ვაჟები. სახალხო წარმოდგენებში, მოხსენებებში, ლექციები უკვე ზშირი მოგლენა შეიქნა ჯერ მაშინ კიდევ ამის უწესეულო რაჟაში; ნელ-ნელა იზრდებოდა საუკეთესო ტრადიციები იქაურ მოზარდ თაობისათვის". როდესაც რაჟან ზეიმით გადაუხადა იუბილე აკაკი წერეთელს, მალაქიამ მას სიტყვით მიმართა და თქვა: რაჟა ღარბინა ქონებრივად, მაგრამ მდიდარია ზნეობითო (გადმოეცემის თანახმად აკაკიმ უპასუხა: ღარიბად ვერ ჩაითვლება ის ხალხი, რომლის წარმომადგენელსაც უნარი შესწევს ასეთი ოჯახი შექმნაო, და „ფიქლით მიუთითა მალაქიას ბიჭს ეკვსს ვაჟზე, რომელნიც მას გვერდს ახლდნენ").

აი ამ „მდიდარი ზნეობის" ატმოსფეროში აიდგა ფეხი უჩამ, ამ ატმოსფეროში ყალიბდებოდა მისი ადამიანური თვისებები და სოციალური ინტერესები, მისი ურთიერთობა გარე სამყაროსთან, ადამიანებთან, ბუნებასთან. ეს იყო სიკეთის, კაცცმოყვარეობის ატმოსფერო, შეგნება ხალხის სამსახურის აუცილებლობისა, რომელიც ოჯახში სუფევდა; ის ატმოსფერო, რომელსაც ქმნიდნენ პატიოსანი, გამრჯე, დინჯი და თავდაჭერილი რაჟეული გლეხები. უჩა კი სწორედ მათ შორის იზრდებოდა; ეს იყო უფროსი ძმების ცხოვლმყოფელი გავლენა, დასაბერულ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და არსებითი გავლენა ზემო რაჟის ულამაზესი ბუნებისა, რომელიც მონუმენტურიც არის, დიდებულიც და იმავე დროს, პოეტური და ლირიკულიც.

უჩა ჯაფარიძე იმ მხატვართა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა შემოქმედებაც სამუდამოდ არის აღბეჭდილი საყრმის მოგონებებით, მშობლიური კუთხის ნოსტალგიით — ეს არის საფუძველი იმ შინაგანი სითბოსი, იმ ლირიზმისა, რომელთაც განმსჭვალულია ნათი სურათები.

უჩა თექვსმეტი წლისა იყო, როდესაც 1922 წელს თბილისს ჩამოვიდა სწავლის გასაგრძელებლად. შევიდა ჰუმანიტარულ ტექნიკუმში და იმავე დროს. მოსე თოიძის სტუდიაშიც, რაკი მხატვრობის სურვილი ადრეეე გაეღვიძა. მისი ბიჩვეული გამოქვეყნებული ნახატი ჩვენი უჩა მოვიხსენეთ. ოისებ იმედაშვილი არც შემდეგში ტოვებდა მას უყურადღებოდ — თავის ფურნალში მან მოათავსა უჩას ილუსტრაციები როდიოინ ქოჩკინის ალეგორიული მოთხრობისა „სიმართლის ამბავი" (1926 წელს) და საკუთარი პოემის „ბზუთა-მზისა", აგრეთვე შალვა დადიანის პორტრეტი. 1924 წელს უჩა უკვე სამხატვრო ჯაფარიძის სტუდენტია (აკადემია 1922 წელს დაარსდა), მაგრამ ერთი წლის შემდეგ იძულებულია თავი დანებოს სწავლას: მამა გარდაეცვალა, აუცილებელი იყო სოფელში დაბრუნება. დაიწყო მუშაობა ხატვის მასწავლებლად ონში, იმავე დროს, ბევრს ხატავდა. ეს ახალი ზეხედვა მშობლიურ კუთხესთან, რომელსაც იგი ახალი თვალით ხედავდა—უკვე როგორც მხატვარი — განსაკუთრებით ცხოველმყოფელი იყო. სამხატვრო აკადემიაზე, რომელსაც უჩა 1928 წელს დაუბრუნდა (დაამთავრა 1931-ში), მას ბედმა გაუღიმა: მისი მასწავლებელი იყო ევგენი ლანსერე, ძალიან მაღალი კულტურის ადამიანი, დიდი მხატვარი, რომლის შემოქმედებაც განსაკუთრებული ატმოსფეროთი გამოირჩეოდა. ლანსერეს დამსახურებაც არის, რომ უჩამ იმთავითვე მტკიცე პროფესიული ჩვევები მიიღო, როგორც ფერმწერმა და ნახატის ოსტატმა.

შემდეგ: მუშაობა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, სადაც მას საშუალება ჰქონდა გაცნობოდა ქართველი გლეხაცის ცხოვრების ამსახველ მდიდარ კოლექციებს. 1933_36 წლები მან მოსკოვში გაატარა: იქ საბჭოთა კავშირის ხალხთა მუზეუმის მხატვრად მიიწვიეს და რამდენიმე თემატიკური სურათი შეასრულა. 1936 წელს უჩა თბილისს დაბრუნდა და ერთბაშად „ჩაერთო" ინტენსიურ მხატვრულ ცხოვრებაში, როგორც შემოქმედი, პედაგოგი ან საზოგადო მოღვაწე.

მისი თაობის მხატვართაგან უჩა ჯაფარიძეს ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიიპყრო საყოველთაო ყურადღება, ჯერ კიდევ ომამდე. ხუთი წელი 1936-დან 1941-მდე დაძაბული შემოქმედების წლებია, როდესაც უჩა სავსებით ყალიბდება, როგორც საკუთარი სახის მქონე მხატვარი.

თემატიკურად იმ წლების ნამუშევრები რამდენიმე ჯგუფად იყოფა. მაშინ ქართული ფერწერაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ისტორიულ რეკონსტეიციურ თემებს. არსებითად, ეს მხოლოდ ი. სტალინის მოღვაწეობის ამსახველი სურათები იყო. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ქართველი მხატვარი, რომ ამ თემისადმი არ მიეძღვნა რაიმე ნაწარმოები. რა დასამალავია, რომ ამ სურათების მეტი ნაწილი მოკლებული იყო მხატვრულ ღირებულებას, მით უფრო, რომ მათ შესასრულებლად მხოლოდ ფოტო-მასალას იყენებდნენ. მხატვართა უმრავლესობა იოლად გადიოდა თვით თემის,

სიუჟეტის ხარჯზე. უჩა ჯაფარიძემ კი შექმნა სერიოზული ნაწარმოები (შეიძლება ერთადერთიც). მიძღვნილი საქართველოს რევოლუციური წარსულისადმი, რომელიც მხატვრული ოსტატობის დონეზე იდგა და დღემდე შეინახავს კიდევ თავისი ღირსებები. ეს არის „1901 წლის საპარეკლესიო დემონსტრაცია თბილისში", მარკსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის კონფერენც-დარბაზის კედელზე. შესრულებული 1939-1941 წლებში, როდესაც ავტორი ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა იყო, 33-35 წლისა. იმავე დროს, ეს იყო მაშინ (და მკონი, დღემდეც, თუ არ ჩავთვლით დეკორაციულ პანოებს) ყველაზე დიდი სიუჟეტური კომპოზიცია ქართულ მხატვრობაში. მონუმენტური მხატვრობის განვითარება უფრო გვიან საქართველოში სხვადასხვა წარიმართა — ერთგვარი პირობითობის, ბაზგასმული დეკორაციულობის გზით. მაშინ ასეთი ამოცანები არ ისახებოდა და თვით უჩა ჯაფარიძისთვისაც პირობითობა და დეკორაციულობა უცხო იყო. ამოცანისადმი ამგვარი მიდგომა დარბაზის არქიტექტურისთვისაც შეუფერებელი იქნებოდა. უჩა ჯაფარიძის ნაწარმოება ოსტატურად შესრულებული მრავალფიგურიანი რეალისტური სურათია, მშვენიერად გაზარდული კომპოზიციით. სიინტერესო ცოცხალი ტიპაჟით, დასამახსოვრებელი სახეებით, მშვიდად ჰარმონიზებული კოლორატით, სურათი, რომელიც თავისი მასშტაბითაც ბუნებრივად მოერგო ხუროთმოძღვრულ გარემოს. შეიძლება გადაუკარებელად ითქვას, რომ ეს ქართული საბჭოთა ფერწერის პირველი პერიოდის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, კაპიტალური ნაწარმოებთაგანია.

მეორე სფერო უჩა ჯაფარიძის მოღვაწეობისა — პორტრეტია. პორტრეტები ახლოდებისა, თანამედროვეებისა (ხელოვნების, მწერლობის, მეცნიერების წარმომადგენელთა), აგრეთვე წარსულთა მოღვაწეებისაც — დავით აღმაშენებლისა, თამარისა, რუსთაველისა, ნაბა-სულთანისა, ილიასი, აკაკისა და სხვათა. 1937 წელს, როდესაც პირველად აღინაშნა რუსთაველის საიუბილეო თარიღი, არა ერთმა ქართველმა მხატვარმა სცადა შეექმნა პოეტის ხატი. არც იკონოგრაფიულად. არც ინტერპრეტაციის მხრივ თითქმის არც ერთ ფერწერულ არ უოქვამს რაიმე ახალი. ყველაზე უფრო პოეტური, ფიქრიანი, „შინაგანი" უჩანელი რუსთაველი იყო. მისმა ბევრმა გრაფიკულმა და ფერწერულმა პორტრეტმა მოიპოვა ფართო პოპულარობა (არ შეიძლება არ გავიხსენოთ, თუნდაც აკაკის, ილიას, იოსებ იმედაშვილის. ზაქარია ფალიაშვილის, უშანგი ჩხეიძის, ვერიკო ანჯაფარიძის პორტრეტები). მე მაინც საგანგებოდ მინდა მოვიხსენიო დედის (1942, გრაფიკა) და მეუღლის — მარგარიტას პორტრეტები. აქ მოხდა იგივე, რაც ადრეეგ არა ერთხელ მომხდარა მხატვრობის ისტორიაში (რუბენსი, რემბრანდტი). სწორედ ახლობელ ადამიანთა პორტრეტებში, რომლებშიაც ავტორი [illegible] ულ განცდას აქსოვს, უფრო მკაფიოდ გამოკლინდ მისი არსებითი თვისებები: სითბო, ლირიზმი, კეთილი ხელვა, მშვიდი. გაწოსნაწერილი. ული, მაგრამ თითქოს ოდნავ ელეგიური განწყობილებაც.

სწორედ ეს თვისებები გამოარჩევს და დიდ მომხიბვლელობას ანიჭებს ეჩა ჯაფარიძის ნაწარმოებთა მესამე ჯგუფს, რომელშიაც. ჩემი აზრით, ყველაზე უშუალოდ მეღვაწეობს მხატვრის ინდივიდუალობა. ეს არის სოფლისადმი მიძღვნილი სურათები: ბუნება, საყოფაცხოვრებო სცენები, რომელთა ასპარეზი თითქმის ყოველთვის რაჭაა. ყველა ეს სურათი — ადრინდელიც, გვიანდელიც — განმსჭვალულია იმ განსაკუთრებული გრძნობით რომელსაც ადამიანში იწვევს ყველაზე ძვირფასისა და ღვიძლის მოგონება, იწვევს ის, რაც მან ფეხის დგმამდე, თანავე შეითვისა და რამაც სამუდამო კვალი დაამჩნია მის პიროვნებას.

სურათები ალატაკი, თითქმის უსიუჟეტო ან უმარტივესი სიუჟეტით. მხოლოდ ერთი მათგანი — „პირველი თვითმფრინავი რაჭაში" — შეიცავს დროის მინიშნებას. სხვებში არაფერი არ ხდება, მოსათხრობი არაფერია. მოკმედი პირი შეიძლება ერთადერთი იყოს, ან ორი, ან მხრივ დამახასიათებელია „სიყრმის მეგობრები": ბუნების წიაღში პირისპირ მდგომი ორი ხანდაზმული კაცი — ქალი და მამაკაცი. ისინი საუბრობენ, წარსულს იგონებენ, ან იქნებ არც კი საუბრობდნენ, მხოლოდ ფიქრებში იყვნენ წასულნი; მაგრამ ეს საერთო ფიქრებია, საერთო, სწორედ ამ ორისთვის, ძვირფასი მოგონებები. ეს უხლაკი შინაგანი განცდა, რომელიც მათ აკავშირებს, წარმოადგენს სურათის ნამდვილ შინაარსს. მის საფუძველს. დაწნული ჩვენებური კალათი წინა ალანგზე. ძველი აივნიანი სახლი, მთების ოდნავ მინიშნებული. თითქოს ბურუსნი გაბვეული. სილუეტი. თავისებური „სფუმატო", რომელიც კონტურების სიმკვეთრეს ანელებს. თბილი — მომწვანო-მოყავისფრო-მოყვითალო კოლორატი. ყველაფერი ხელს უწყობს ინტიმურობის, ინტროსპექციის განწყობილებას. აქაც სულიერი სიმშვიდე და წონასწორობაა. შინაგანი სილამაზე თავისი ფესვებით მიწასთან დაკავშირებული ბუნების შვილებისა. ასეთი მოტივი — საუბარი, მოგონებების, რაც გარეგნულად ძნელად გამოიხატება, კვლავ არაერთხელ განმეორდება უჩა ჯაფარიძის სურათებში. და ყველგან: იგივე უბრალოება, ლირიზმი, არავითარი ბაზგასმა არც განცდისა და არც ფორმისა, არასოდეს არავითარი სურვილი დრამატიზებისა, ექსპრესიის გაძლიერებისა. ეს მთლიანად შინაგანი განწყო-

ბაბანინ ბერიძე
უჩა ჯაფარიძე

ბილების სურათებია. უჩა ჯაფარიძეს არასოდეს არ მიუმართავს ინდუსტრიული ან „ჭალაჭური“ თემისთვის: ხატავდა იმას, რაც მის გულს ხვდებოდა.

ამ პატარა წერილის მიზანი სრულიად არ არის უჩა ჯაფარიძის შემოქმედების მიმოხილვა. ამიტომ მე ალარ შევეხები, მხოლოდ მოვიხსენიებ მის ილუსტრაციებს „ყაკო უაჩაღლისათვის“, მის დიდ კომპოზიციებს სოფლისავე თემაზე, რომლებშიაც განზოგადებულია მისი ცოდნა ამ თემისა, მისი დამოკიდებულება მშობლიური კუთხისადმი.

მაგრამ საგანგებოდ მინდა გავიხსენო უჩას ორი შეხვედრა რაჭასთან. ერთი იყო მაშინ, როდესაც ფარფოდ აღინიშნა მისი დაბადების სამოცი წელი, იუბილე მას რაჭაშიაც გადაუხადეს. მე იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ ყველა მონაწილე აღფრთოვანებული და გაოცებული ყვაიმბობდა თბილისში დარჩენილთ, რომ ეს ნამდვილი სახალხო ზეიმი იყო, რომ მთელი რაჭა ფეხზე იდგა, რომ უჩას იუბილე ყველამ თავის საკუთარ დღესასწაულად მიიჩნია. ყველა ერთმანეთს ეკიბრებოდა, რომ უფრო მეტად ეგრძნობინებინათ მისთვის სიყვარული, პატივისცემა, და ყველა სიამაყის გრძნობით იყო ავსებული.

მეორედ ჩვენ უკვე ერთად ვიმოგზაურეთ: ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა (რომლის სამეცნიერო საბჭოს უცვლელი წევრია უჩა ჯაფარიძე) 1966 წლის მაისში გამსვლელი სესია მოაწყო ამბროლაურსა და ონში ერთ-ერთი მოხსენების თემა უჩას შემოქმედება იყო, მოხსენების ტექსტს მე ადრევე ვიცნობდი და ამიტომ იმდენად მას კი არ ვისმენდი, რამდენადაც აუდიტორიის რეაქციას ვადევნებდი თვალს. როგორი უშუალო და მღელვარე რეაქცია იყო, როგორ უხაროდათ, როდესაც ნაცნობ ბუნებას, ნაცნობ პერსონაჟებს დინახავდნენ ეკრანზე! (მომხსენებელს ფერადი სლაიდები ჰქონდა), როგორი გასაგები და ახლობელი იყო უჩას ხელოვნება ხალხისათვის!

უჩა ჯაფარიძემ ადრევე, სულ ახალგაზრდამ, მოიხვეჭა სახელიც, სახალხო დაფასებაც და ოფიციალურიც. მას არც მაღალი ტიტულები დაჰკლებია (სსრკ სახალხო მხატვარი, სსრკ სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი), არც მაღალი თანამდებობები (სამხატვრო აკადემიის დირექტორი, მხატვართა კავშირის თავმჯდომარე) არც მაღალი ჯილდოები (პრემიები, ორდენები), არა ერთხელ აურჩევიათ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ბევრს ასეთი მოზღვავებული წარმატება თავბრუს დაახვევდა. უჩას კი მან „ვერაფერი დააკლო“. უბრალო, კეთილის მოსურნე, კაცთმოყვარე ადამიანი იყო და არის დღესაც. არასოდეს არ დაშრეტია საამშობლო მიწის სიყვარული და მშობლიური კულტურის გულწრფელ მუშაკად დარჩა დღემდის. უკვე სამოცდაათს გადაბიჯა, მაგრამ ჭაბუკური სიახალისე დღესაც არ დაუკარგავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირინე მელაბიშვილი

ლორმტა შენგელია-აბაშიძე

პოეტური და ღრმად ემოციურია მხატვარ ლორტა შენგელია-აბაშიძის შემოქმედებითი სამყარო.

1973 წელს მან პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა. შექმნა 17 ილუსტრაცია სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცოცხლისათვის". ილუსტრაციები მხატვარმა ლაკობრივი პრინციპით გააკეთა. მომხიბლავია თითოეული მათგანის დეკორატიული მონახაზი. გუაშის მუქ ტონებში შესრულებული ფიგურები მოზაიკურადაა წარმოჩენილი ფურცლის თეთრ ფონზე, რითაც ძლიერი და სახიათმოვნო კონტრასტი იქმნება. სტილიზებული ფიგურები აღმოსავლურ მინიატურებს მოგვაგონებენ და ზღაპრულ-იდეიურ შტრიხებს მატებენ ილუსტრაციებს.

შთამბეჭდავი მიზანსწრაფვით, მონუმენტური აზროვნებით გამოირჩევა ლ. შენგელია-აბაშიძის ილუსტრაციები იაკობ ხუციესი „შუშანიკის წამებისათვის". მხატვარმა შექმნა 8 მონოტიპი ფერადი გუაშით შესრულებული და ოსტატურად შეერული, დახვეწილი კომპოზიციები ნაწარმოების შინაარსობრივი და ფსიქოლოგიურ-ემოციური მხარეების გახსნას ეშსახურებიან. ეს არაა პასიური მკვრეტელის, მოვლენათა მშრალი აღმნუსხველის ხელწერა. ლ. შენგელია-აბაშიძე ემოციური აქცენტებით ფორმათა დინამიკით, გრაფიკული ხაზის თავისთავადი და თავისუფალი მონასმით, ახერხებს დღევანდელობიდან დაგვანახოს ლიტერატურული პირველწყაროს ადექვატი.

თითოეული ილუსტრაცია კომპოზიციურად მყარადაა შეკრული და დაპირისპირებული ელემენტებისაგან შედგება, რომლებიც ერთი მთავარი ლერის გარშემო ვითარდებიან; ხშირ შემთხვევაში მთავარი აქცენტი ავტორს ცენტრზე აქვს გადმოტანილი და სასურათო სიბრტყის ორივე მხარეს ოსტატურად განალაგებს შესატყვის დრამატულ სცენა-სიტყვიერებას.

მხატვარი კომპოზიციას ირიბ ხაზზე აგებს. ძაძმოვანის ნეიტრალური სილუეტი შუაზე ჰყოფს კომპოზიციას. შესაბამისად ორივე მხარეს მდგარი მორჩილი ფიგურები ნაზი. პლასტიური მოძრაობებით ელეგიურ სილამაზეს აძლევენ ნახატს და მოძღვარის მკაცრად სიმეტრიულ ფიგურასთან შესაბრწყინ კონტრასტს ჰქმნიან კონტრასტულია ფერთა დაპირისპირებაც. მოვერცხლისფრო ცივი ტონები ლამაზად იკითხება თმილი ნარინჯისფერის და მოყვითალო ხორბლისფერის გვერდით. ჯტენერირებული კედლის მონაკვეთი, რომელსაც მხატვარი ფონად იყენებს, რელიეფურ ხიმყარეს აძლევს ოსტატობით შესრულებულ ფიგურებს და ორნამენტულად კრავს მთელ კომპოზიციას.

ახლე შეიდან იშლება კომპოზიცია, რომელშიც ეკალბარდნი ამაყად მდგარი შუშანიკი სინანციფის, მშვენიერების და ამავე დროს გაუტეხელი ნებისყოფის სიმბოლოა. მხატვარი შუშანიკს წიგნით ხელში წარმოგვიდგენს. მის ჰაეროვან ტანსაცმელს ორნამენტულად აწონასწორებს ჯაჭვის მძიმე. მკაფიოდ გამოხატული რგოლები. ასევე გაწონასწორებულია ფურცლის მარჯვენა და მარცხენა მხარეები, რომლებზეც შესაბამისად განრისხებული ვარსკვლნის სრული ანტინომია შეშფოთებული ადამიანთა ფიგურები. უკან გთამაშებენთ დრამატულ სცენასთან დაპირისპირებით, დეკორატულად ლამაზად იკითხება შუშანიკის წინა პლანზე ნაპოწეულთ ფიგურა.

სიინტერესოა ილუსტრაციების ფერითი გადაწყვეტა. მხატვარი მსუბუქ ლაქებად ალაგებს გრაფიკულ საფუძველზე ორ, იშვიათად სამ ფერს და მრავალი თავშეკავებული ნახევარტონებით ლაკონურად ძერწავს ფიგურათა დინამიურ სილუეტებს, ცალკე აღსანიშნავია ნატიფი, ზუსტი და ემოციური ხაზი. ლ. შენგელია-აბაშიძე არ ცდილობს დაწვრილმანდეს. იგი ფართო, თავისუფალი შტრიხებით აზროვნებს, მკარი ხაზი, რომელიც ზუსტად რკალავს ფორმას, თანდათან ძლიერდება. ჩაცმულობის პირობითობა გვეხმარება მთავარი აქცენტი ფსიქოლოგიური მოძენტისაკენ კაკვიკანოთ. ეს ნამუშევრები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძე-

ნია დღევანდელი ქართული მხატვრული ილუსტრაციის ეპოქაში.

სრულიად განსხვავებული აზროვნების ხელოვნად წარმოგვიდგება ლორეტა შენგელია-აბაშიძე პოლონელი მწერლის იაროსლავ ივაშკევიჩის მოთხრობებისათვის შექმნილ ილუსტრაციებში. მკაფიოდ გამოვლინდა მხატვრის პიროადი დამოკიდებულება სალუსტრაციო მასალისადმი, ესაა ხაკუთარი ძიებების, შინაგანი განცდების გაზიარება, რაც თვით მხატვარს აღელვებს ნაწარმოებში. ილუსტრაციები თავისებურ განწყობილებებს ჰქმნიან, იდილიოზურ-პოეტური ხაწყისია მათი ამოსავალი წერტილი. შენგელია-აბაშიძე ცდილობს დაგვანახოს ის იდეა-მალი, წამიერი განწყობილებები, რომელიც ივაშკევიჩის შემოქმედებასთან შეხებისას გვეუფლება.

შენგელია-აბაშიძე თითოეული მოთხრობისათვის თითო ნახატს ასრულებს. ილუსტრაციებში გამოვლენილია ინტონაციური კავშირი მოთხრობის შინაარსობრივ ქარგასთან, მაგრამ მთავარი ყურადღება გადაკვანილია გრძნობათ-ემოციური განწყობილების გახსნისაკენ. „არეს ქალისათვის“ შექმნილ ილუსტრაციაში მხატვარი წარმოგვიდგენს ორივე მთავარ გმირს ხეების დაშვებული რტოების მიღმა, რითაც ხაზს უსვამს მათ სიახლოვეს ბუნებასთან, მიწიერ ვნებებთან. ნაწარმოებში მოთხრობილი სტაშეკის და ბალენას სიყვარულის ისტორია, სტაშეკის ტრაგიკული ბედი, მალენას წრფელი გრძნობები, სახეიერად და ორიგინალურადაა გაზრებული. მამაკაცის უსიცოცხლო ფიგურა ტრაგიკულ ეფექტს იწვევს, ხოლო ჩამოცვენილი ფოთლები და ქალის მოწყენილი გამომეტყველება ემოციებს ამძაფრებენ. შენგელია-აბაშიძე თავისებურად განალგაგებს ფიგურებს სასურათო სიბრტყეზე. შესრულების მანერაც განსხვავებულია, თუ ხეები და ფოთლები დიდი გულისყურითია და დაკვირვებითაა გამოხატული, რაც შეეხება ფიგურებს მხატვარი მათ მასიური ფორმებით ძერწავს...

სეფიანი განწყობილებები იგრძნობა ილუსტრაციაში მოთხრობისათვის „ფრენა“, სადაც მთავარი პერსონაჟის რომეკის ალსარება მოთხრობილი. საინტერესოა რომეკის გარეგნული დახასიათება. მხატვარი ხურთკის ცენტრში მრგვალ მაგიდასთან, მეტად თავისებურ პოზაში წარმოგვიდგენს მთავარ გმირს, მისი შებრუნებული თავი და უსიცოცხლო იერი უკვე მიგვანიშნებს განვლილი ცხოვრების ამოუბაზე. მასიური ხეზე, რომლის ფონზეცაა ასახული ეს სცენა, ყველა ტოტი დადაბერილია. ეს ღრმა სიმბოლური ჩანაფიქრი უკეთ გვეხმარება ჩავწვდეთ ნაწარმოებში ჩაკსოვილ მძიმე მოგონებების ბურუსს. აჭაც მხატვარი ხაზობრივი გადაწყვეტით, წმინდა გრაფიკული ხერხებით. ლაკონურად და დამაჯერებლად ხსნის „ნაწარმოების ფაბულას. ხუთივე მოთხრობის ილუსტრაცია იდეის გახსნის ერთიანი პრინციპით ხასიათდება. შენგელია-აბაშიძე კი ილუსტრაციებში თავისუფალი, მისთვის დამახასიათებელი მანერით, თავისებური აზროვნების ხელოვნად წარმოგვიდგება.

შესრულების მანერით თითქმის იგივე ხაზს აგრძელებს ბოლო ხანებში ლადო ასათიანის ნაწარმოებთა ერთგზისეულისათვის შექმნილი ილუსტრაციები. შენგელია-აბაშიძე დიდი სიყვარულით და სიფაქიზით გადმოგვაცქმს ლადო ასათიანის პოეზიის მომხიბლაობას. მან შმეენერად მოსძებნა სადა, მაოროული ხმოვანება, რაც ასე ეხატკვანება ასათიანს შემოქმედებას, რომელიც ბჟიდრიდ იყო დაკავშირებული ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან.

აი პატარა ბიჭუნა სალამურს უკრავს. ბიჭის მუხლებზე დასკუპებული ლამპარ ჩიტი ბედნიერების და ნათელი მომავლის სიმბოლოდ აღიქმება. მხატვარი არ ცდილობს კონკრეტული შინაარსობრივი ადექვატი შექმნას. იგი ფართოდ, მეტაფორულად აზროვნების, მთელანობაში განიხილავს ასათიანის პოეზიის ამა თუ იმ ასპექტს. ეს ილუსტრაციები სხვა და სხვა განწყობილებებს აღგვიძოვენ. საინტერესო მხატვრული დატვირთვა აქვთ აგრეთვე შეუცტიტულებსაც, რომლებიც ახეკე მხატვრულადაა წარმოსახული. თუ ზოგ შემთხვევაში იგი გულდასმით ხატავს ვარდების ნატიფ, პაეროვან ფურცლებს ან კოერიან ხეთა ორნამენტულ ქერქს, სხვაგან იგი ერთი ზუსტი არტიკულეთ და მგრძნობიარე ხაზით მიგვანიშნებს მთავარ ლამპასხათვის მოძრაობას. ორივე შემთხვევაში გვიზიდავს შესრულების მაღალი გემოვნება და მხატვრის ზუსტი ალღო.

გარდა ილუსტრაციებისა ლორეტა შენგელია-აბაშიძე ავტორია ორა ერთი პორტრეტის, ნატურმორტის თუ კომპოზიციისა.

ყურადღებას იპყრობს მისი „სტუდენტის პორტრეტი“, „ახალგაზრდა მამაკაცის პორტრეტი“ (1978 წ.), რომლებიც უშუალობით გვხიბლავენ. ალსანიშნავი „ქეთევან ლობაძის პორტრეტი“ (1977 წ.) — ახალგაზრდა ქალის მშვიდი იერი, ნათელი გაწყობილება. შინაგან ბუნებას წარმოაჩენს. მიუხედავად ამისა, რომ მხატვარი ყოველგვარი გალამაზების გარეშე ცდილობს წარმოგვიდგინოს მოდელი, ფერთა ნაზი შეხამება, თავისებური მიმიკა, რომელიც ხაზის და ფორმის მთლიანობითაა მიღწეული, პორტრეტს მიმზიდველსა და ხასიათოვნს ხდის.

ლორეტა შენგელია-აბაშიძე საინტერესო ხელწერის შემოქმედია. მისი სახით ქართველ გრაფიკოსთა ოჯახს უდაოდ ნიჭიერი და მოწინავე მხატვარი შემეატა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი კილასონია

სიმღერის სიყვარული

ეთერ ჭელიძეზე წერა მიადვილდება კიდეც და მძიმედ ხდება კიდეც: მიზეზი კი ერთიდაგივეა.

მიადვილდება, რადგან ეს ოცდაბუთი წელი, საუკეთესო ოცდაბუთი წელი, ჩემი ცხოვრების თანამგზავრია მელოდია მისი, ხმა მისი, შეიდსმიანი საკრავი მისეული.

სწორედ ამის გამო მიძნელდება: ვაითუ ის შეღავათი წამიდეს, მეგობრობას რომ სჩვევია ზოგჯერ. მაგრამ, ერთიც და მეორეც ერთიმეორეს ათანასწორებს, აწონასწორებს და გულიდან ამოაქვს პირფთვნელობა.

ეთერ ჭელიძეს სწორედ ამ ოცდაბუთი წლის წინ მოვუსმინე. მოვუსმინე თბილისის ერთ-ერთი კულტურის სახლის სცენაზე, სადაც ჩვენ, ქართველი ახალგაზრდა პოეტები ვიყავით მოწვეულნი. ეს იყო მღელვარე საღამო, კეთილი პაექრობა და გულუბრყვილო თვლა ტაშისა და დარბაზსაც გადაედო ჩვენი მღელვარება.

მწერლობაში ახლად ფეხშედგმულნი ვიყავით, ამიტომ, (და შეიძლება სწორედ ამიტომაც) სცენასა და აუდიტორიას შორის თითქმის წაიშალა ოქროს ზღვარი, სარიერი: ვის ვინ მოწონდა, ვის ვინ აქებდა ხმამაღლა, ვინ ვისზე იცინოდა, ვინ ვისთვის ტირიდა, ვინ ვისთვის ღელავდა. აკი მოგახსენეთ, ბევრნი ვიყავით-მეთქი. თითქმის მთელი თაობა. და უცვე სცენაზე ცისფერკაბიანი ქალიშვილი გამოჩნდა, მხარიღლიე გიტარა ჰკონდა დაკიდული, და ეს საკრავი ჰაერივით მსუბუქად შემოიტანა ესტრადაზე. ჩამოჰკრა შვიდ ხიმს და რაღაც დაამღერა, სიყვარულზე, სიჭაბუკეზე. დარბაზი გაინაბა, დაწყნარდა. გამოგიტყდებით, შემშორდა ის შვიდი სიმოსა.

ახე დაემგზავრა ეთერ ჭელიძის სიმღერა ქართულ ლექსს. დაემგზავრა როგორც კეთილი მეგობარი და თაყვანისმცემელი, როგორც მომღერალი და მელოდიათა მთხზველი. მელოდიებით ქართულ სმენას ვერ გაიკვირვებ. იმგვარად უზვია იგი, რომ ბევრი სიმღერა, წლობით რომ გვსმენია, ზოგჯერ უსამართლოდ მივივიწყეთ. მაგრამ, ეთერ ჭელიძის სიმღერები „ლურჯი აპრილი", „ვენაცვალე მაგ შავ თვალებს", „იას ხურნელი მოსტაცე", „სიყვარულო რა ხარო", „ყვავილების სიყვარული ვიცი", „თევზები", „რა ვიხილე" და სხვანი და სხვანი, არასდროს ჩაკარგავენ ხურნელს, ყოველთვის გვიხდება შეხვედრა ამათთან, ცისფერი ეკრანიდან, რადიოდან, გრამფირფფიტებიდან, და რაც მთავარია სცენიდან, ავტორისავე შესრულებით. ეთერ ჭელიძეს, როგორც მომღერალს, როგორც მოჭალაქეს აქვს ერთი საუკეთესო თვისება: იგი ყოველთვის მზადაა ეახლოს ამა თუ იმ პოეტს შემოქმედებით საღამოზე, დაამშვენოს ეს საღამოები თავისი მონაწილეობით, იმღეროს მის ლექსებზე დაწერილი საკუთარი სიმღერა, და, რაც მთავარია... არ გადაჰაქციოს პოეტის საღამო საკუთარი სიმღერების საღამოდ. აი, ეს ზომიერება, ტაქტი, ახლავს თან მუდამ. ამას საკუთარი გამოცდილებიდან მოგახსენებთ.

კიდევ ერთი ძვირფასი თვისება მინდა ავღნიშნო: ეთერ ჭელიძისათვის მელოდია და ლექსი განუყრელია. წლების მანძილზე არ მახსოვს შემთხვევა, რომ ეთერ ჭელიძეს ლექსიდან განუყრელად შექმნილ სიმღერა.

ლექსი უნდა იყოს მელოდიის თანაზიარი. მსმენელი უნდა უსმენდეს ორ მარტო მელოდიას, არამედ ლექსს. საჭიროა მჭიდრო კავშირი თანამეგობრობა კომპოზიტორსა და პოეტს შორის.

ეთერ ჭელიძეც ერთი იმათთაგანია, რომელიც ცდილობს ეძიოს კონტაქტი პოეტთან. მათ ლექსთან. ეს ნიშნავს ლექსს, რომელიც მას მოეწონება, განაწყობს მას მელოდიისაკენ... მელოდიისკენ მელოდიისთვის. მას საკრავის გვერდით უდევს მისი საყვარელი პოეტების წიგნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი: გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ირაკლი აბაშიძე, მორის ფოცხიშვილი და სხვები.

ამ 25 წლის მანძილზე ჩემს თაობას ასევე ანეიბივრებდა სანდრო მირიანაშვილი, გიორგი ცაბაძე, ლილი იაშვილი, გურამ ბზვანელი, მანაც სიმღერა „ნიურჩა" ისე შექმნა, რომ ამის შესახებ მე, ავტორმა, არც კი ვიცოდი.

მთელი საქართველო ალტაცებით ისმენს დიდებული „ცისფერი ტრიოს" შესრულებით მის სიმღერას „ლურჯი აპრილი", „ჭაღარა", და „შენ დაგტოვებ", ყველას უყვარს, სამღერად, საღიღინოდ უყვარს „ვენაცვალე მაგ შავ თვალებს", ლექსი თურმე გიგო ხერხუაშვილს ეკუთვნის, მუშა პოეტს, — იმ გიგო ხერხუაშვილს, თავისი ზღაპრით „ოცი ძმა" ჩემი თაობის ბავშვობა რომ გაალამაზა. და ეთერ ჭელიძეც ალამაზებს ჩვენს ცხოვრებას. ალამაზებს თავისი ხმით, საკუთარი მელოდიით, არტისტიზმით, როგორც გიტარისტი, პიანინოზე საუკეთესო აკომპანიატორი, ისე რომ ჭირდება ყველას, ვინც სცენაზე ავა. ამ ოცდახუთი წლის მანძილზე ეგი საუკეთესო პროპაგანდას უწევს ჭარბულ სიმღერას ჩვენს ქვეყანაში, და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. მარტო „ხულიკო" და „ცოცინა-თელა" ვინ იცის რამდენჯერ დაამღერა უცხო მსმენელთა წინაშე, რამდენი აღაფრთოვანა. ამ ოცდახუთი წლის მანძილზე რომელ ცნობილ სიესტრადო ორკესტრთან ერთად არ მმიანობდა მისი სიმღერით გამთბარი გული, დაწყებული „რეროდან" და გათავებული კეტერანთა წინაშე ნამღერი ომისდროინდელი სიმღერებით.

ეთერ ჭელიძე უყვართ. უყვართ მაშინაც კი, როდესაც უბრალოდ მოჰკიდებენ ხელს შვიდსიმიან ხაკრავს და თავისთვის დაიმღერებენ: „ვენაცვალე მაგ შავ თვალებს", შეიძლება არც კი იციან, ვინ შექმნა ეს სიმღერა, როგორ დაიწერა იგი. მე კი ვიცი: ავადმყოფ დედას შავთვალება გოგონამ პირობა მისცა — შენ რომ ლექსი გიყვარს, მე იმ ლექსზე ისეთ სიმღერას ვდგავწერ, ყველამ იმღეროსო.

და ღიღინებს ხაკართველო

„ვენაცვალე მაგ შავ თვალებს"!.

ამაზე მეტი ჯილდო წარმოუდგენელია!.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკრის ფოსტა

წერილი რედაქციას

ჟურნალ „ცისკრისადგან“ იშვიათად რგებია წიგნს ისეთი „პატივი“ და „დიდება“, როგორც ეს ჩემს გამოკვლევას ხვდა წილად (მხედველობაში მაქვს „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები“, თბ., გამომც. განათლება, 1977). ჯერ ერთი, ეს ნაშრომი ოთხი წლის წინათ გამოქვეყნდა და მას რედაქცია ახე დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოუხმაურა; მეორეც, ჟურნალმა დაბეჭდა რეცენზია ამ ნაშრომის (გამოუქვეყნებელ) დედანზეც. ეს კი, ვფიქრობთ, ძალიან იშვიათი შემთხვევაა. ჯერ იყო-და, 1980 წლის „ცისკრის“ მარტის ნომერში მასზე დაიხმაბა ვ. პაიკიძის საკმაოდ მწვავე რეცენზია... მე მაინც არ მიპასუხნია. მაგრამ სამი თვის შემდეგ „ცისკრის ფოსტის“ რუბრიკით ჟურნალის მეექვსე ნომერში გამოქვეყნდა ალ. ჭინქარაულის ახსნა-განმარტება, თუ თავისებური რეცენზია.

ჩემს მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების ერთი ნაწილი მართებულია და მადლობის გრნმობთ გავიზიარე, მაგრამ თავს ნებას ვაძლევ წარმოვადგინო რამდენიმე განმარტება 1980 წლის „ცისკრის“ ივნისის ნომერში ალ. ჭინქარაულის გამოსვლასთან დაკავშირებით.

ალ. ჭინქარაულს ჩემი შრომის გამოუქვეყნებელი დედნიდან (იგი ჩემს ხელნაწერზე დაწერილ თავის რეცენზიას ეყრდნობა) მოპოვეს ორი ადგილი, რომელთაგანაც ერთს კუთონზს უწოდებს, მეორეს — სუპერკურიოზს, მაგრამ ამოავითვე უნდა შევნიშნო, რომ რეცენზენტის მიერ მოყვანილი ციტატები ჩემს დაბეჭდილ წიგნში არაა შეტანილი. რეცენზენტი წერს: „ამავე გვერდზე მომყავდა რ. შამელაშვილის სიტყვები (ხაზი ჩემია — რ. შ.): აღსანიშნავია, რომ გუდამაყარში ცხენს ვ ე რ ა ნ ი ეწოდება (გამიგონია, როცა ბუღმოსული არიან ცხენზე. ეტყვიან, შე ვერანა, შენა), რომლის ფონეტიკურ სახესხვაობასაც „ვეფხისტყაოსანში“ ფიქსირებული მერანი წარმოადგენს“. ეს კი უკვე ს უ პ ე რ კ უ რ ი ო ზ ი ა“. ის ციტატა, რომელიც ეს-ეს არის მოვიყვანე (გარდა ფრჩხილებში მოთავსებული წინადადებისა), ჩემი არ არის (ნეტამც კი იყოს!). მას ჰყავს თავისი ავტორი, ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ციტატა, რომელიც შეცდომით პატივცემულმა ჭინქარაულმა მე მომაწერა, ამოღებული მქონდა ივ. ჯავახიშვილის ეპოქალური ნაშრომიდან „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (ტფ., 1937), გადაშალეთ ამ წიგნის 208-ე გვერდი და წაიკითხავთ: „გუდამაყარში ცხენს ვ ე რ ა ნ ი ეწოდება... რომლის ფონეტიკური სახესხვაობასაც უნდა ვეფხისტყაოსანში ნახმარი მერანი წარმოადგენდეს“.

შრომის დედანში, რომელიც სარეცენზიოდ ჰქონდა ალ. ჭინქარაულს, ამ მოსაზრების წყაროც იყო აღნიშნული სქოლიოში.

ალ. ჭინქარაული ცდება როცა აღნიშნავს, თითქოს ვ. პაიკიძის რეცენზიიდან გაიგო, რომ „წიგნის სამყაროში“ ალ. ჭინქარაული შემეკოს. მარგამ, ვინც წაიკითხა ვ. პაიკიძის რეცენზია, დამეთანხმება, რომ იქ არსად არ არის ნახსენები ალ. ჭინქარაული და ზემოაღნიშნულს იქედან როგორ „გაიგებდა?!“.

ალ. ჭინქარაულის „აღშფოთება“ იმასთან დაკავშირებით, რომ წიგნის წინასიტყვაობაში მადლობით მოვიხსენიე და ნაშრომი გამოქვეყნების შემდეგ წარწერით ვიჩუქე, ადვილი ახ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახსნელია: ალ. ჭინჭარაულმა დაწერა რეცენზია ჩემი შრომის ხელნაწერზე (დედანზე), საიდანაც გამოვიყენე ის, რაც მართებულად მივიჩნიე. ამის შემდეგ მორალური, ეთიკური უფლება არ მქონდა, წიგნის წინათქმაში ეს არ აღმენიშნა და როცა გამოქვეყნდა, იგი არ მიმეფრთმია. თუ ეს უტაქტობაა, ან ამით მან შეურაცხყოფა მივაყენე, დე, პირუთვნელმა მკითხველმა განსაჯოს! რა ეთიკურ ნორმებში ჩავატიოთ ნაჩუქარი წიგნის წარწერის გაბიაბრუება და საჯაროდ გამოტანა?

აქვე უნდა განვაცხადო შემდეგი: გ. ახვლედიანის, ა. შანიძის, ვ. თოფურიას, არნ. ჩიქობავას... ქვეყანაში ვის გაკვირვებ ენის ცოდნით. ენათმეცნიერთა ცაზე ვარსკვლავობის პრეტენზია არასოდეს მქონია, მაგრამ პატარა, ოდნავ მბეუტავ კვარად მაინც შევიმჩნეოდი, ვ. პაიკიძემ და ალ. ჭინჭარაულმა ჩემს ნაოფლარ-ნაჭირნახულევზე მთლიანად ხაზის გადასმა მოიწადინეს.

„ვის რას უშავებს საბრალო
თაგვი სოროში მჯდომია“, —

მახსენდება ახლა გენიალური ვაჟას სიტყვები და ვფიქრობ: ნუთუ ჩემი მუხლრაუხრელი შრომა მშობლიური ენის მეცნიერული შესწავლის საქმეში, ამ ენისა და მისი მშობელი ერის სიყვარულით თეთრად გათენებული ღამეები ასე ხელალებით „მაქინატორისა“ და „უვიცის“ ნაბოდვარად უნდა შეფასებულიყო?

რაფიელ შამელაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალ „ᲑᲘᲡᲙᲠᲘᲡ“ 1980 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲠᲝᲛᲐᲜᲘ, ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ, ᲜᲝᲕᲔᲚᲐ

ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ ᲛᲔᲠᲐᲑ — მოთხრობები, № 3
ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ — დიდი შუღლის დასაწყისი. მოთხრობა, № 6
ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ ᲛᲘᲯᲐ — მოთხრობები, № 4
ᲐᲠᲯᲔᲚᲐᲜᲘᲫᲔ ᲗᲔᲛᲣᲠ — ნოველები, № 5
ᲐᲮᲯᲣᲠᲐᲒᲐ ᲓᲐᲕᲘᲓ — გადასასვლელი. მოთხრობა, № 2
ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲚᲘ ᲚᲔᲠᲘ — თოვლიანი დღე. მოთხრობა, № 7
ᲑᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲣᲠᲐᲛ — ვალი. პიესა, № 8, (წინასიტყვაობა **ᲐᲯᲐᲯᲘ ᲑᲐᲭᲘᲐᲫᲘᲡᲐᲡ**).
ᲑᲔᲠᲝᲜᲨᲕᲘᲚᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲐ — მოთხრობები, № 8
ᲑᲠᲔᲒᲐᲫᲔ ᲚᲐᲚᲘ — კენტავრის უკანასკნელი ზაფხული. მოთხრობა, № 12.
ᲑᲝᲡᲢᲝᲠᲝᲒᲚᲘᲜᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲘᲯᲘ — მოთხრობები, № 2
ᲓᲐᲕᲘᲗᲝᲜᲐᲕᲐ ᲐᲠᲘᲚᲘ — „ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ ᲨᲔᲜ თვითონ უნდა მიაკვლიო...“, მოთხრობა, № 12.
ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲡᲘᲫᲔ ᲚᲐᲚᲘ — მინიატურები, № 11
ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ ᲜᲝᲓᲐᲠ — კუკარაჩა. მოთხრობა, № 6
ᲘᲜᲐᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲘᲕᲐᲖᲗ — რთველი. მოთხრობა, № 1
ᲘᲝᲡᲣᲚᲘᲐᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ ᲝᲢᲘᲐ — მოთხრობები, № 9
ᲙᲐᲚᲐᲫᲔ ᲐᲛᲘᲠᲐᲜ — მოთხრობები, № 11
ᲙᲕᲘᲪᲐᲠᲐᲫᲔ ᲓᲐᲕᲘᲓ — მოთხრობები, № 5
ᲙᲕᲘᲠᲘᲫᲔ ᲜᲘᲜᲘᲢᲐᲜ — მინიატურები, № 11
ᲙᲝᲜᲓᲝᲠᲘᲫᲔ ᲠᲐᲖᲐᲖᲗ — ფრონტული ამბავი. მოთხრობა, № 10.
ᲙᲝᲑᲘᲠᲘᲫᲔ ᲜᲝᲓᲐᲠ — შორეული ცურვიდან დაბრუნებული გემები. მოთხრობა, № 11
ᲙᲝᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲜ ᲒᲣᲚᲘ — მოთხრობები, № 3
ᲚᲐᲒᲐᲫᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ — ავტობიოგრაფია — 1972. მოთხრობა, № 11
ᲚᲔᲠᲗᲝᲭᲘᲤᲐᲜᲔᲫᲔ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ — ეს ღამეც გათენდება. მოთხრობა, № 2
ᲛᲐᲚᲐᲨᲝᲜᲘᲐ ᲚᲔᲕᲐᲜ — თუთიყუშები გრიმით. მოთხრობა, № 4
ᲛᲘᲨᲕᲘᲚᲐᲫᲔ ᲠᲘᲕᲐᲖᲗ — ნოველები, № 5
ᲛᲘᲨᲕᲘᲚᲐᲫᲔ ᲛᲘᲠᲘᲡ — შეცდომა. ფანტასტიკური მოთხრობა, № 2
ᲛᲘᲖᲘᲚᲔᲫᲔ ᲛᲔᲠᲐᲑ — ინტერნატში მომხდარი ამბავი. მოთხრობა, № 7
ᲛᲘᲭᲐᲕᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ — ვარიერაჟზე მოფრინდება თეთრი მერცხალი. მოთხრობა, № 12.
ᲜᲐᲜᲘᲫᲔ ᲚᲔᲕᲐᲜ — უქარქაშო ხმლები. წიგნი მეოთხე, № 1, 2, 3, 4, 5, 8, 9, 10, 11, 12
ᲯᲐᲠᲩᲘᲫᲔ ᲮᲔᲛᲚ — დრო. მოთხრობა, № 1
ᲥᲘᲠᲘᲐ ᲯᲔᲛᲚ — მარადი მხედარი. რომანი, № 3, 4, 5, 6, 7, 8
ᲨᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲓᲔᲘᲐ — არა იმშურნო. მოთხრობა, № 4
ᲩᲐᲚᲐᲣᲠᲘ ᲗᲔᲚᲘᲐᲜᲗ — გულშემატკივრები. მოთხრობა, № 8
ᲩᲮᲔᲘᲫᲔ ᲝᲗᲐᲠ — ორი ეტიუდი, № 1
ᲭᲘᲜᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲝᲒᲝᲩᲘᲫᲔ — ზოგი რამ ფიქრიანი კაცის ცხოვრებიდან. რომანი, № 9, 10
ᲮᲣᲜᲯᲐᲫᲔ ᲜᲝᲓᲐᲠ — გადარჩენა. მოთხრობა, № 10
ᲯᲐᲕᲐᲮᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲓ — ხვალ. მოთხრობა, № 1

ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ, ᲞᲝᲛᲔᲑᲘ

ᲐᲕᲗᲝᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲒᲣᲚ — სიცოცხლე. ლექსი, № 9
ᲐᲚᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲘᲯᲘ — ლექსები, № 10
ᲐᲛᲘᲡᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲨᲐᲚᲕᲐ — ფერწერულ სურათთან. ლექსი, № 5
ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲐᲚᲘᲣᲓᲐ — ლექსები, № 2
ᲐᲠᲘᲜᲘᲐ ᲘᲚᲘᲐ — იმ დიად დღეთა ვარ მონაწილე. ლექსი, № 5.
ᲐᲤᲪᲘᲐᲠᲘᲐ ᲝᲡᲣᲑ — ლექსები, № 2
ᲐᲮᲝᲜᲯᲐᲫᲔ ᲐᲛᲘᲠᲐᲜ — ლექსები, № 3
ᲑᲐᲚᲐᲠᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲑᲐᲐᲓᲣᲠ — ლექსები, № 8
ᲑᲐᲠᲗᲐᲘᲐ ᲜᲝᲛᲐᲓᲘ — ლექსები, № 6
ᲑᲐᲓᲐᲔᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲖ — ლექსები, № 1
ᲑᲔᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ — ლექსები, № 2
ᲑᲔᲓᲘᲐᲜᲘᲫᲔ ᲓᲐᲚᲘᲚᲐ — ლექსები, № 2
ᲑᲔᲭᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲔᲓᲝ — ლექსები, № 10
ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ ᲖᲐᲣᲠ — სამამულო სიმფონია. ლექსი, № 2
ᲒᲐᲒᲣᲐ ᲑᲣᲗᲐ — ლექსები, № 7
ᲒᲐᲑᲠᲘᲩᲘᲫᲔ ᲜᲔᲚᲘ — ლექსები, № 12
ᲓᲔᲓᲘᲪᲘᲙᲝᲠᲘ ᲒᲘᲯᲘ — ლექსები, № 1
ᲓᲔᲓᲘᲪᲘᲫᲔ ᲕᲐᲮᲚᲔᲚ — დაერქვას სახელი ყველაზე დიდი. ლექსი, № 5
ᲓᲘᲓᲐᲣᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ — ლექსები, № 3
ᲓᲣᲛᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ — ლექსები, № 12
ᲓᲣᲜᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ — ლექსები, № 2
ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ ᲑᲐᲝᲣ — ციკლიდან — „ქალაქელი“. ლექსები, № 8
ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ ᲠᲘᲕᲐᲖᲗ — ლექსები, № 7
ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ ᲮᲣᲚᲘᲐᲜ — ლექსები, № 3
ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲗᲐᲛᲐᲠ — ლექსები, № 12
ᲖᲐᲖᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲜᲐ — ფიროსმანი. ლექსი, № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოთაძე ლალი — ლექსები, № 6
ინჭია ჭემალ — ირმის ნახტომი. სონეტების გვირგვინი, № 12
ივანოვავა დილარ — ლექსები, № 7
კალანდაძე ანა — ლექსები, № 1
კალანდია რენე — ლექსები, № 8
კარიანი ოვანეს — ლექსები, № 3
კვანტალიანი შარლოტა — ლექსები, № 11
კერძეკაძე ელდარ — ლექსები, № 11
კუხიანიძე ზურაბ — ლექსები, № 9
ლებანიძე მურმან — ახალი წიგნიდან. ლექსები, № 5
მამფორია ოთარ — ლექსები, № 7
მაჭარაშვილი სოსო — ლექსები, № 7
მებურნიშვილი ტაგუ — ლექსები, № 11
მეოტაშვილი ოთარ — ლექსები, № 12
მჭედლური დავით — ლექსები, № 6
ნაკაიძე დავით — ლექსები, № 9
ნაცვლიშვილი პაატა — ლექსები, № 11
ნენიერიძე მურად — ლექსები, № 7
ორჯონიკიძე იზა — ლექსები, № 11
ოთარაშვილი ვაჟა — ლექსები, № 11
პეტრიაშვილი გურამ — ლექსები, № 8
სანაშვილი შალვა — ლექსები, № 2
სვანი ავთანდილ — ლექსები, № 2
სულთანიძიდ ლადო — შინ ნაშუალამეეს მობრუნებულ ჭალეს. ლექსი, № 5
სოფრომაძე ნარგიზა — ლექსები, № 3
სტურუა ლია — ლექსები, № 9
ტაბიძე გალაკტიონ — ლენინი. ლექსი, № 11
ტალიაშვილი ირინე — ლექსები, № 9
ქავთარაძე გიორგი — რა დღე გათენდა. ლექსი, № 5
ქვლეფიძე მიხეილ — ლექსები, № 1
უუბუსიძე ვაჟა — ლექსები, № 11
შალამბერიძე ოთარ — ლენინი. ლექსი, № 3
შალვაშვილი ბელა — ლექსები, № 12
შამანაძე ნოდარ — ლექსები, № 7
შერაზადაშვილი ზაკარია — ისეე ხმები... ისეე ფერნი... ჯაშნიკ-სურნელი. ლექსები, № 6
ჩალაური თენგიზ — ლექსები, № 12
ჩხაიძე ავთანდილ — ლექსები, № 2
ჩხაიძე აკაკი — ლექსები, № 5
ჩხიკვაძე ვანო — ლექსები, № 11
ჩხეტიანი მზია — ლექსები, № 11
წოკალური მამუკა — ლექსები, № 9
ჭინჭარაული ქრისტინე — ლექსები, № 3
ჭონქაძე ლაზიკო — ლექსები, № 10
ხალვაში ფრიდონ — ლექსები, № 2
ხორნაული ვაჟა — ლექსები, № 6
ხერგიანი მირონ — ლექსები, № 8
ჯავახაძე ვახტანგ — წიგნიდან — „შედარება“. ლექსები, № 6
ჯალაღონია ნოდარ — ლექსები, № 8
ჯანგულაშვილი თეიმურაზ — ლექსები, № 5
ჯგუბურია მურმან — ლექსები, № 9
ჯახუა იმედი — ლექსები, № 12
ჯიჟია შუკო — ლექსები, № 12

კრიტიკა, კუალიფიკაცია

ალფენიძე ვლადიმერ — კამოინში და საქართველო, № 5
ალექსიძე ალექსანდრე — თთონი — შორეული და ახლობელი, № 6
ამისულაშვილი შალვა — პოეტის საიუბილეო კრებული, № 2
ახაბინი გურამ — სათავეებთან, № 5, 6, 7
აფციაური ჭემალ — კომიკური უძველეს ქართულ პროზაში, № 11
ბაკრაძე აკაკი — მასალა და მოთხრობა, № 6, გახლეჩილი გული, № 8
ბართაია ევგენი — ნოველა და ახალგაზრდობის პრობლემა, № 3
ბერიძე თეიმურაზ — ქალაქის შემოგარენში. მდებარე სამეფო რეზიდენციათა ისტორიიდან, № 1
ბურჭულაძე როლანდ — „წმამება ქეთევან დედოფლისა“, № 4
გიწაძე აკაკი — ცხრა მთისის დიდი მზე, № 5
გვერდწითელი გურამ — ნაბიჯი ჰორიზონტს იქით, № 11, 12.
გვენეტაძე გურამ — ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი ისტორიის ზოგიერთი მომენტი, № 11
გრძელიძე რევაზ — ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის დაუშრეტელი წყარო, № 1
გიუნაშვილი ე. სარკველაძე ზ. — „შუშანიკის წმამების“ ტექსტის ისტორიისათვის, № 4
ზარიძე ხვთისო — ადამიანის მხატვრული ასახვა ქართულ აგიოგრაფიაში, № 2
ზარნაძე გიზო — „ვისაც სიმაღლე სჭირდება ჩემი“, № 7
თვარაზე რევაზ — „ედგარი მესამედ“, № 9
კანკავა გურამ — მიხეილ ქვლეფიძე, № 10
კარტოზია ბონდო — რეკონსტეცია და ენა, № 5
კლდიაშვილი დარეჯან — ციხისკვარელთა საგვარეულოს ისტორიისათვის, № 9
კეშელავა თენგიზ — ახალგაზრდობის ქომაგი და მეგობარი, № 12
კოტაშვილი ლია — ქართული ხალხური ზღაპრების კომენტარებისათვის, № 4
ლეკვეიშვილი შოთა — კიდევ ერთხელ, № 10
მეგრელაძე დარეჯან — ვინ იყო დათუნა ბოსტაშელი, № 11
მჭედლიშვილი ვასილი — ძველი — სიცოცხლე! № 8
მშვიდობით მოხვედ, ახალო წელო! — № 1
პაიკიძე ვახტანგ — „ხიდი წყალზე გადასასვლელი საშუალებაა“, № 3
პუშკინი ალექსანდრე — წერილები. თარგმნა რუსულდან ქეგბულაძემ. № 7, 8, 9
რადიანი მალხაზ — ანდრეას გრიფიუსი და მისი ტრაგედია ქართველი ქალის გმირობაზე, № 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობაქიძე ამირან — წერილების კრებული, № 10
სარიშვილი გიგლა — ახალი წიგნი — ახალი სიმაღლე, № 9
სიგუა სოსო — „ზეკარი“, № 8
ფანჯიკიძე გურამ — ბორტსა სძლია კეთილმან, № 9
ფანჯიკიძე დალი — მაქს ფრიშის ორი რომანი, „Homo faber“ და „ვიქნები თუნდაც გატენბანი“, № 6
ფირანიშვილი პაატა — ილია ჭავჭავაძე და ირლანდიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, № 7
ფრუიძე ლევან — ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ეთნოგრაფიის თვალსაზრისით, № 11
ქართველაში ბამზე — ფოტორეპორტაჟი სპორტაკ ჯანიშვილისა, № 1
შენგელია მზია — უცნაური პოეზა, № 8
ცოცაშვილი ირაკლი — წარსულის აშმყო და მომავალი პრობლემა, № 3
წერეთელი ნუგზარ — მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ, № 9, 10, 11
წერეთელი ნიკოლოზ — საინტერესო წიგნი საბართლიანობის მგზნებარე აპოლოგეტზე, № 8
ჭუმბურიძე დიდო — „რაც აღტაცების მომგვრელია — უნდა გვახსოვდეს!..“, № 11
ჯანელიძე დავით — მამლუქი ალდოფალი სეტი ნეფისე, № 11
ჯაფარიძე რევაზ — წინათქმა, № 7, შთამაგონებელი ქმნილებები, № 9
ჯაფარიძე გოჩა — ახალი არაბული წყარო XIII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, № 1
ჯაშვილი გივი — მნიშვნელოვანი შენაძენი, № 12
ჯოხაძე მაკა — პროფესიონალები პროფესიონალების წინაშე, № 2

ახალი სახელები

ზვარელი ლაშა — ნოველები, № 1
კანკია ვიოლა — მოთხრობები, № 7, (წინათქმა **რევაზ ჯაფარიძისა**).
კერვალიშვილი მერაბ — ბინდო. მოთხრობა, № 7
სულკაური გიგი — ლექსები, № 9
ღონდაძე ლამარა — მოთხრობები, № 1

ხუთკუნთული

აბესაძე დოდო, იაშვილაშვილი ნანა, ნამორაძე ალექსი, სანიკიძე დუშა, ფუშლაძე შალვა, ჩხაიძე ავთანდილ, ხარაძე იმერი, ხოდაშნელი შოთა. ლექსები, № 6
მათითაიშვილი აკაკი — მოთხრობები, № 6

ახალი თარგმანები

ბორის ვიშნესკი — მოლოდინი ხუთშაბათ დღეს. თარგმნა ციალა ჩხეიძემ, № 8
სარვეშვარ დაიალ ხაქსენა — მკედარი თეგზის შეხება, თარგმნა ნიკოლოზ კენჭოშვილმა, № 11
სამუელ ტეილორ კოლრიჯი, უილიამ ალლმერი, ედუარდ ტომასი — ლექსები. ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ, № 12

მხლოლდ ერთი ლექსი

ადეიშვილი ხოზე, ალიმონაკი ლერი, ბოლკვაძე ზაურ, ბაზაძე ირაკლი, ივარდავა დალარ, კალაძე კარლო, კანანაშვილი ვიქტორ, კვარაცხელია რინონს, კვირტია ედემ, მაზმიშვილი დალი, ნიშნიანიძე შოთა, ჩარკვიანი ჯანსუღ, ჩირაძე შალვა, ჭანტარია ტარიელ, ჭაკვლიანი ბორენა, ჯულუხიძე გრიგოლ — ლექსები, № 1, 10

პოეზიის მერიდიანები

ისიკაკა ტაკუბოკო — ერთი მუუა ქვიშა. იაპონურიდან თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა, № 4
ევა შტრიგმატერი — ლექსები, გერმანულიდან თარგმნა მედეა კახიძემ, № 4
დაკეიუი, ქესაი მარაველი, ფერიანი, საადი, სანაი, მაფეზი — სპარსულიდან თარგმნა მაგალი თოდუამ, № 4

აფხიარცა

გამარჯობა, აფხაზეთო შენი, № 3
თარბა ივანე, ლახარია მუშნი, შინქუბა ბაგრატ, წვიება შალვა, ჯონუა ალექსი — ლექსები. თარგმნეს: ოთარ შალამბერიძემ, გივი ძნელაძემ, ვაჟა ყუბუსიძემ, ზეზვა მედულაშვილმა, ემზარ კვიტაიშვილმა. № 3
ახუბა ჯუმა — კალთა. **მაშიგი ნიკოლოზ** — ვაკაკეს რა არ შეემთხვევა. მოთხრობები. თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ, № 3
გუბლია გიორგი, ლომია კონსტანტინე, თარბა ნელი, მიქაია მუშნი, ავიწონია ნიკოლოზ — ლექსები. თარგმნეს ირინან ქიმბერლიძემ, ტარიელ ჭანტურიამ, ჯარჯი ფხოველმა, ავთანდილ გურგენიძემ, ემზარ კვიტაიშვილმა, № 3
ამარშანი ვიტალი, ჯაბა ტაიფ, ბებია პლატონ, გურგაფია ბორის, თარკალი სარიონ — ლექსები. თარგმნეს: ელდარ კერძევაძემ, ავთანდილ გურგენიძემ, ანზორ აბელაშვილმა, სიმონ შამფრიანმა, გივი გეგეჭკორმა.

ლენინიანა

ბონჩ-ბრუევიჩი ვლადიმერ — დედა. თარგმნა ეთერ თვარაძემ, № 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გორგანელი ვახტანგ — ლენინის მაგზოლეუმთან. ლექსი, № 4

გველესიანი ოლეგ — აპრილი — სავსე მზით და სიცოცხლით, ლექსი, № 4

ავანდალიანი შარლოტა — ლენინის დაბადება, ლექსი, № 4

მახარაძე ფილიპე — საჩუქრები ბელადს, № 3

მკეიდლური დავით — დაბადების დღე. ლექსი, № 4

ნავდარაშვილი დავით — წითელი ფერი. ლექსი, № 4

რევიშვილი შოთა — ლენინის სახე გერმანულ ლიტერატურაში, № 2

ტაბატაძე ალექსანდრე — ფიქრები ლენინზე, ლექსი, № 4

ქობალია ივანე — ლენინი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ, №4

უურაშვილი სერგო — ეპოქის დოკუმენტები, № 4

ცინცაძე დურმიშხან — ლენინი და პირველი სახალხო რევოლუცია საქართველოში, № 4

ხორნაული ვაჟა — აპრილის სინათლეში. ლექსი, № 4

მსოფლიო ლენინიანა

მარტინ ანდერსენ-ნექსე, არნოლდ ცვაიგი, გუსტავმ ვალკარხელი, ალბერტ რის ვილიამსი, პოლ ვაიან-კუტიურე, ივან ოლბრახტი, თეოდორ დრაიზერი, ფრანსისსკო რ. პინტოსი, № 4

ნარკვევი

გონაშვილი მაყვალა — იტყვის: სოფელი დიდია, № 9

კობიძე ალერი — კავკასიონი გულს იხსნის, № 1

60 — საქართველოს კომკავშირი — 60

გორგანელი ვახტანგ — დიდი ლენინის ორდენს გილოცავ. ლექსი, № 5

გველესიანი ოლეგ — ჰიმნი სიშამპეკეს. ლექსი, № 5

ნადირაძე კოლაუ — შენ, დაპარხეულო ცისფეროვნებავ! ბალადა, № 5

სიხარულიძე აკაკი — კომკავშირის თანაკოლი პირველი ყამირელი, № 5

ყვარელაშვილი მიხეილ — ნათელი მომავლის ზეიმი, № 5

წვერავა სიმონ — ალიო მირცხულავა, № 5

საკა XXVI ყრილობის შესახვედრად

დიაღი მოვლენის მოლოდინში, — № 9

დემურხანაშვილი სოლომონ, ხამხარაული სოლომონ — ცხვარი და მეცხვარე, № 9

„...და თბილისი შიგ ჩასმული ბადაბში“, — № 10

ნოდია ოთარ — სიმპოლის წილი სულიერებაში, № 12

ჯაბუა იმედი — სოფლის სიამაყე, № 10

ხელოვნება

აბესაძე ირინე — კიმი ტაბატაძე, № 5

ბედოშვილი ლია — ინტერვიუ სკულპტორთან, № 3

ბერიძე ვახტანგ — უჩა ჯაფარიძე, № 12

გაჩეჩილაძე ეკატერინე — რადიშ თორდია, № 7

ოგაელია არჩილ — მარადიული ბავშვი, № 3

კილასონია ნაზი — სიმღერის სიყვარული, № 12

კობერიძე კარლო — ფიქრები საგამოფენო დარბაზში, № 1

კობალაძე თინა — რაც ლეგენდაშია გადასული, № 11

კლდიაშვილი ანა — ბელა ბერძენიშვილი, № 7

კინწურაშვილი ქეთევან — სცენოგრაფი თემურ ნინუა, № 10

ლეშავა სამსონ — გოგი თოთიბაძე, № 5

მერაბიშვილი ირინე — ლორეტა შენგელია-აბაშიძე, № 12

ოცხელი იდა — გივი თოიძე, № 1

პაჭკორია ოტია — თემო ჯაფარიძე, № 9

ქავთარაძე ნანა — „პასიონები“ ვაჟას მიხედვით, № 10

ჯაფარიძე ქეთევან — იზო თოდაძე-ნოდარაშვილი, № 9

მეცნიერება

ფანჯიკიძე გურამ — პიკასო ფიზიკა — XX საუკუნის აბრაკადაბრა, № 2

რუსთაველის ნაკვალევზე

კუპრავა ვახტანგ — ერთი აფორიზმის სწორი გაგებისათვის, № 1

ფოცხიშვილი ალექსანდრე — ჩვეულებრივ სიტუაციურისა და ქართველკაცური ფენომენის გაცხადებისათვის „ვეფხისტყაოსანში“, № 12

ენინარაული ალექსი — „ვეფხისტყაოსანის“ ლექსიკიდან, № 1

იუბილე

140 — აკაკი წერეთელი — 140

ვართაგავა ავთანდილ, ვართაგავა ტარიელ — აქ, ჩვენს ახლოს აკაკის ლანდს... № 6

80 — გიორგი ლეონიძე — 80

ზლატკინი მარკ — სიბრძნე პოეტური სიმწიფისა, № 8

50 — ზურაბ კუხიანიძე — 50

ლებანიძე მურმან — არა ერთი მშვენიერი ხატი, **მამფორია ოთარ** — კარგია, როცა..., **ქვლივიძე მიხეილ** — პოეტი. — მილოცვები, № 9

ეროვნული
ბიბლიოთეკა

275 — დავით გურამიშვილი — 275

გურამიშვილი დავით — სწავლა მოსწავლეთა, ' ლეკსი, № 10
ცაიშვილი სარგის — დავით გურამიშვილი, № 10

გახსენება

გოზალიშვილი შალვა — მშობლიური ხალხის სამსახურში, № 4
მეგრელიძე ოსიფ — დაუვიწყარი შალვა ნუცუბიძე, № 3
ღვინჯილია ჯანსუღ — ...როდესაც ეშვება ფარდა, № 11

პირველი შთაბეჭდილება

არაბული ალუდა — მშვენიერი უბრალოება, № 1
ალიმონაკი ლერი — ახალი ინდოეთის მოაზროვნეები, № 1
გურგენიძე ავთანდილ — პირველი წიგნის სიხარული, № 8
მაკუტაძე გიორგი — ქამი უმწვერვალესი, № 8
მეზვრიშვილი კახი — კეთილი მეგზური, № 8
მურადაშვილი მურმან — „სიყვარულო, ძალსა შენსა", № 10
ფხოველი ჯარჯი — მალარმეს წიგნის გამო, № 8
ხარჩილავა ვახტანგ — სიმედო ნაბიჯები, № 1

ოლიმპიადა — 80

ჭირია შალვა — სამი ოქროს ნახტომი, № 7
ჭელიძე დავით — ფანატიკოსი, № 6

„ცისკრის" ფოსტა

შალამბერიძე თამარ — ღია პარათი, № 10
შამელაშვილი რაფიელ — წერილი რედაქციას, № 12
ჭინჭარაული ალექსი — პატივცემულო რედაქტორო, № 6

სატირა, იუმორი, პაროდია

გოგეშვილი ჯანრი — სსუ, მოდის!.. № 9
გრძელიძე თეიმურაზ — რაიონული მასშტაბის დეტექტივი, № 5
გაბროვოული იუმორი — თარგმნა ლენა ლონდაძემ, № 2, 3, 9
ოსეფაიშვილი რევაზ — კომპოზიტორი რედაქტორთან, № 8
მწერალთა ღიმილნარევი ცხოვრებისეული ეპიზოდები. შეკრიბა და თარგმნა შოთა ამირანაშვილმა, № 4, 5, 6
ტია-ტია — საახალწლო სუფრასთან, № 1
ციწკაძე ვანო — ქარაგმები, ფრაზები... № 3

კულტურული ცხოვრების ქრონიკა, № 7

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, ხელოვნ. ტორი — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 20. 10. 80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 12. 80 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფლიკერი ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-საგ. თაბახი 15.85 შეკვ. № 2797 უე 00783 ტირაჟი 36.950

საქართველოს კპ -კკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ